ჩვენი მწერლობა

№22

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით ფასი 1,50 ლარი 27 ოქტომბერი 2006

პრეზიდენტები და ჟურნალისტები

ვნებანი ვარდობისთვისანი

ეშმაკური დაფიცება

სოკრატე ჰელსინკში

რა ხდება საიქიომდე

დეფილე მესტიაში

შინაარსი

რედაქტორის გვერდი	2	**საფლავთა პოეტიკა** (ამირან არაბულის ფოტოგამოფენა „შენდობით მომიხსენიეთ“)
ჩვენი ყოფა, წუთისოფელი	4	**მაია დე გრაფი ნადარეიშვილი ეფემერულობის დიდებულება**
ეპისტოლე	7	**ნოდარ აფხაძე ვირტუალური სივრცის მწერლები**
დეტექტივი	9	**ლაშა იმედაშვილი შავი ფერის საკი**
პოეზია	20	**იზა ორჯონიკიძე ვნებანი ვარდობისთვისანი და სხვა ლექსები**
ესეისტიკა	26	**ლევან ბრეგაძე ეშმაკური დაფიცება**
ანონსი	28	**თეიმურაზ დოიაშვილი ინფორმაცია განსჯისათვის**
დიალოგი	31	**სამზეოს დასაფიცარი** (საუბარი მარინე რჩეულიშვილთან)
ფიქრი და განსჯა	34	**ირაკლი ბათიაშვილი პირველსაწყისის შემოტევა**
რეპორტაჟი	37	**საბა სულხანიშვილი „მაშა თუ ვითარ გვიწოდებენ მხნეთა ივერთა“** (გიორგი ერისთავის ხსოვნის საღამო)
ნავსაყუდელი სულისა	39	**მაია ჯალიაშვილი MEMENTO MORI**
კრიტიკა	42	**ნუგზარ მუზაშვილი არჩევანი**
გვაქვს უთვალავი ფერითა	48	**შორენა ლებანიძე „დალოოდის“ დეფილე მესტიის ხედებისა და სვანური ყოფის ფონზე**
ვნებანი ამქვეყნიურნი	50	**გივი გამრეკელი „ტუალეტის სტრატეგია“ თუ ფსიქოტროპული საშუალებები?!**
უცხოური ნოველა	53	**მარტი ლარნი სოკრატე ჰელსინკში**
ნაკვესები	61	**მახვილსიტყვაობის ნიმუშები**
მოზაიკა	63	**კინოში – ცოლთან ერთად**

დამფუძნებელი **„ილიონი“**

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – **(995 32) 95-23-24**
რეკლამა – **(995 77) 48-12-24**
გავრცელება – **(995 99) 93-18-52**
ფაქსი: **(995 32) 96-20-62**
E-mail: info@mtserloba.ge

ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ – **ᲠᲝᲡᲢᲝᲛ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ**
ᲞᲠᲝᲖᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ – **ᲛᲐᲙᲐ ᲯᲝᲮᲐᲫᲔ** ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ – **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲚᲝᲑᲭᲐᲜᲘᲫᲔ**
ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ – **ᲗᲐᲛᲐᲖ ᲜᲐᲢᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ**
ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲔᲠᲘ – **ᲛᲐᲚᲮᲐᲖ ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ – **ᲙᲐᲠᲚᲝ ᲤᲐᲩᲣᲚᲘᲐ**
ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ – **ᲜᲘᲜᲝ ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲘᲫᲔ** ᲓᲐᲙᲐᲑᲐᲓᲝᲜᲔᲑᲐ – **ᲚᲔᲕᲐᲜ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ**
ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘ – **ᲗᲐᲛᲐᲠ ᲩᲘᲮᲚᲐᲫᲔ** ᲡᲐᲠᲔᲙᲚᲐᲛᲝ ᲛᲔᲜᲔᲯᲔᲠᲘ – **ᲛᲐᲙᲐ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ**
ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ – **ᲚᲔᲕᲐᲜ ᲑᲘᲬᲐᲫᲔ**

ᲒᲐᲠᲔᲙᲐᲜᲖᲔ: **ᲓᲔᲤᲘᲚᲔ ᲛᲔᲡᲢᲘᲐᲨᲘ, ᲤᲝᲢᲝᲔᲢᲘᲣᲓᲘ ᲒᲝᲒᲐ ᲩᲐᲜᲐᲓᲘᲠᲘᲡᲐ ᲒᲣᲠᲐᲛ ᲠᲩᲔᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

„ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡ“ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ 10 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ

ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲚᲐᲒᲑᲐᲨᲘ "ᲝᲛᲔᲒᲐ ᲗᲔᲗᲘ"
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲡᲐᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ 17
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE +995 32 53 03 62

საფლავთა პოეტიკა

*

ამირან არაბულის ფოტოგამოფენა „შენდობით მომიხსენიეთ“

პერსი ბიში შელი არასოდეს ყოფილა გატაცებული ლიტერატურულ-ფილოსოფიური სენტენციების შექმნით, თუმც ზოგიერთი მხატვრული ფორმულა მაინც გამორეულა მის ესეისტურ-ესთეტიკურ პროზასა თუ ეპისტოლეებში და, მათ შორის, ესეც: თუ დიდი პოეტი არა ხარ, დიდი მეცნიერიც ვერ იქნებიო.

შეუძლებელია შელი რაიმეში ცდებოდეს, როდესაც პოეზიას ახსენებს – იგი სულაც პოეტისა და პოეზიის სიმბოლოდ შემორჩებოდა კაცობრიობის ხსოვნას, მოქანდაკეს შესაძლოა სწორედაც მისგან გადაეღო პოეზიის განზოგადებული სახება და ეს ლიტერატურული სენტენცია ამიტომაცაა ასეთი სარწმუნო.

თუ დიდი პოეტი არა ხარ, დიდი მეცნიერიც ვერ იქნებიო...

და თუ პოეტი არა ხარ, მეცნიერი საერთოდაც ვერ იქნები.

შელის შეგონება გულისხმობს იმავეს, რასაც მოგვიანებით გიორგი ლეონიძე პოეტური სულით გასხივოსნებას უწოდებდა და მიიჩნევდა, რომ პოეტები მხოლოდ ქაღალდზე რითმით მოლაპარაკენი კი არ იყვნენ, არამედ ამ სულით ანთებული სხვაც ბევრი დაიარებოდა ქვეყანაზე.



ამირან არაბული (შუაში)

და ეს საწყისი ჰკრავდა და ჰკრავს სამყაროს, რათა უამრავ ფრაგმენტად არ განიბნეს უსაზღვროებაში.

ეს საწყისია შთამაგონებელი იმ ბედნიერად ნაპოვნი იდეებისა, ასე რომ ამრავალფეროვნებს და ამშვენიერებს წუთისოფელს და ერთი გამოსხივების მოწმენი დღესაც გავხდით – რაღაც დიდი და ახალი სამყარო აღმოვაჩინეთ, ჩვენს თვალწინ არსებული, მაგრამ ჯერაც მიუკვლეველი.

მიუკვლეველი თავისი ათასფერადობითა და შინაგანი სივრცით, თორემ ჟამიდან ჟამად ჩვენთვისაც მოუტაცია თვალი საფლავის ქვებს, დიდრონსა თუ მომცროს – ზოგჯერ წარწერას, ზოგჯერ გამოსახულებას... მოუტაცია და სადღაც კუნჭულშიც მტკიცედ ჩაბეჭდილა ჩვენი სულისა, მაგრამ სამყაროდ ვერ მთლიანდებოდა და ვერც წარმოვიდგენდით მის სამყაროობას.

მხოლოდ მაშინ ვიგრძნობდით საფლავთა ფოტოანაბეჭდების თავმოყრის განსაკუთრებულობასა და აუცილებლობას, როდესაც პირველად ვიხილავდით ამ ორიგინალური იდეის გამჟღავნებას – ამირან არაბულის ფოტოხელოვნების ამ კიდევ ერთ რკალს, თურმე ერთგვარ ჭაშნიკს, კარის ოდნავ შეღებას უსაზღვროების ამ ხილულ მხარესთან, ორ სამყაროს – სააქაოსა და საიქიოს – რომ ბლანდავს ერთიერთმანეთზე.

ჯერ ის ჭაშნიკიც როგორ მოგვხიბლავდა. შეძვრით რომ შეგვძრავდა, ეს თავისთავად, მარადისობასა და წარმავალობაზე რომ შეგვიჯარავდა ფიქრს, ამასაც რა მიხვედრა უნდა... ის გვიკვირდა მხოლოდ – ეს რამხელა სილამაზე შემალულიყო ხშირად ბალახ და შამბგადავლილ ლოდებქვეშაც, მიმობნეულიყო, დაშორიშორებოდა ერთმანეთს და ელოდა, ელოდა იმ მადლიან ხელს, რომელიც ბალახსაც და შამბსაც გამოგლეჯდა, ყველაფერს მოასუფთავებდა ირგვლივ და ფოტოობიექტივზეც აღბეჭდავდა იმ გამორჩეულ ხიბლს, რაც გამქრალ ქვის ოსტატთა ხელოვნებად გამთლიანდებოდა.

მადლიანსა და... პოეტურ ხელს.

ამირან არაბული პოეტი გახლდათ მეცნიერებაშიც, პოეტი გახლდათ პუბლიცისტიკაშიც, პოეტი გახლდათ პირად ურთიერთობებშიც – რომანტიკული ეპოქის შვილს რომ მოგაგონებდათ, და საქართველოს მთა-ბარში თავგამეტებული ხეტიალის დროსაც ამ საწყისსა თუ პიროვნულ ნერვს შეინარჩუნებდა.

ის საჭაშნიკო გამოფენა უკვე ასხივებდა ამ პოეტურ შუქს, რაც კიდევ უფრო უნდა აბრდღვიალებულიყო, გაცილებით რომ შეივსებოდა. და, ცხადია, ესეც ერთ მცირე ნაწილად უნდა ვიგულისხმოთ იმ ვეება პანორამისა, რომელიც თანდათან ყველა ლოდს უნდა გადაწვდეს, სადაც ქართველთა სამარე გაჭრილა.

ჯერ მარტო საფლავის ლოდების ოსტატებს რამხელა კულტურისათვის მიუღწევიათ.

ეს სწორედაც თავისთავადი და არაჩვეულებრივი კულტურაა, ხელშესახები დასტური ვაჟა-ფშაველას პოეტური ფორმულისა; შენი ჭირიმე, სიკვდილო, სიცოცხლე შვენობს შენითაო; და აღარც უოლტ უიტმენის სიკვდილის საგალობელი გაკრთობს და გეუცხოება, რაკიღა ის შინაურული გარემო და იდუმალი ინტიმი ამ ფოტოციკლშიც ასეთი ხელშესახებია. და უიტმენის იმ დიდი რეკვიემის – „როცა ეზოში, გაზაფხულზე“ – ის ფრაგმენტი თითქოს ეპიტაფიაცაა და ამ საფლავის ლოდთაგან ერთი-ერთზეც ამოტვიფრულაო:

სტატიას საფუძვლად დაედო ავტორის გამოსვლა ამირან არაბულის ფოტოგამოფენაზე 2005 წლის 1 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

შენ, მოალერსე და ტკბილო სიკვდილო,
ქვეყნის გარემოვლით შემოქცეულო,
შენ, სხივოსანო, მოდიხარ, მოდიხარ,
დღისითა და ღამით, ყველგან და ყველასთან,
ადრე თუ გვიან – სათნო სიკვდილო.

ეს ერთ-ერთზე ამოტვიფრული, ედგარ ლი მასტერსის „სფუნ რივერის ანთოლოგია“ კი მთლიანი პანორამით ენაცვლება ქართველი შემოქმედის – პოეტისა და ფოტოხელოვანის – აღმოჩენილ სამყაროს და მისი თვითეული ეპიტაფია თავით ბოლომდე ჩამოურიგდება ქართული სამარის ლოდებს. თუ ჩაუკვირდებოდი, რამხელა ტრაგედიები და კომედიები ამოდიოდა „სფუნ რივერის ანთოლოგიიდან“, რა სასოწარკვეთა და ვნებათაღელვა, რამხელა დრამატიზმი და სიუჟეტური მრავალფეროვნება. ყველას, ყველას ეძინა გორაკზე და აღარც აპირებდნენ წუთისოფელში მობრუნებას, პოეტის თავგამოდება რომ არა, ვინც მათთან ერთად შედგებოდა სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე და მხოლოდ ასე შეიცნობდა საფლავთა იდუმალებასა და მომნუსხველობას.

გარეგნულად ყოფითია მასტერსის ეპიტაფიების საფანელი და ცალკეული რეალიები, ზედმეტად ყოფითი და დაწვრილმანებულიც კი, მაგრამ ერთ-ერთი მიზანიც ეს გახლდათ ამერიკელი კლასიკოსისა – ათვალწუნებით არ შეეხედა ცხოვრებისეული წვრილმანებისათვის ვითომდა მარადისობის გადმოსახედიდან და დაეფასებინა მათი სიდიადეც და მშვენიერებაც.

ყოფითი სურათები თუ ფრაგმენტები არიალდებოდნენ თვალწინ და ვერც გაიგებდი, თუ როგორი ძალდაუტანებლობით მიაღწევდნენ ღრმა სიმბოლურ განზოგადებას.

ეს ყოფითობა შემოგვყურებს ამირან არაბულის ფოტოსურათებიდანაც, ლოდების მხატვრობის ავსება ყოფითი დეტალებითა და წვრილმანებით ძალდაუტანებლად გადავიდოდა ქაღალდზეც.

რა უცნაურად შერევია ერთმანეთს – ეს კაციო, ეს ქალიო, ეს ბავშვიო, ეს ცხვარიო, ეს ცხენიო, ეს თოფიო, ეს ხანჯალიო, ეს ვაზნებიო, ეს ყვავილიო, ეს ანგელოსებიო, ეს ჯვარიო, ეს თევზიო, ეს მტრედიო, ეს მაგიდაო, ეს სკამიო, ეს დოქიო, ეს ბოთლიო, ეს ჭიქებიო, ეს ვაზიო, ეს ყურძნის მტევანიო, ეს სახლის სვეტებიო, ეს თაღიო, ეს გუთანიო, ეს საკერავი მანქანაო, ეს მაკრატელიო, ეს ურო, ეს ჩაქუჩიო, ეს ხარებიო, ეს ჯიხვიო, ეს ურემიო, ეს გარმონიო, ეს ბორჯღალიო...

უცნაურად თუ იმ იდუმალი კანონზომიერებით, რომელსაც ჩაწვდომით თუ ვერ ჩავწვდებით, ვიგულისხმოთ მაინც მისი არსებობა და, ჭეშმარიტებასთან ერთად ფარული მშვენიერება.

საფლავის ლოდებმა მაინც შეგვახვედროს.

და ეპიტაფიებიც სულ სხვაგვარად დავაფასოთ, მწერალთა შექმნილი ის ნაკადიც და უცნობ მელექსეთა მახვილგონივრული თუ გულუბრყვილო სტრიქონები, მიწის სიღრმიდან რომ შემოგვღაღადებენ. მწერალთა ეპიტაფიებისა ცალკე ანთოლოგიაა შესადგენი, ხალხური ეპიტაფიებიც ცალკე უნდა გამოიცეს, ვიდრე რჩეული ნიმუშები გვერდიგვერდაც მოიყრიან თავს.

ამირან არაბულის მიერ შეგროვებული ეპიტაფიები ძვირფას მასალად ჩაერთვის იმ კრებულს, თუ სულაც მან არ შექმნა მთავარი ძარღვიც და ქარგაც.

იძინე დიდებულო მოხუცო წიაღთა შინა
ჩვენც დაგვიდგება დრო სანეტარო და
შენთან ერთად გვექნება ბინა.

ასე დუშელები დაამშვიდებდნენ ნეშტს, ნინოწმინდელები კი გულისტკივილს გაუხარელი ცხოვრებით თვითონ მიცვალებულს დაატირებინებდნენ:

ამ წუთისოფლითგან არა მხვდა წილი
არც ქმარი მყვანდა არც თუ ყმაწვილი
ზეცათ ინდომეთ ჩემი ქორწილი.

ბოგველი მშრომელი დ მოქეიფე არც საფლავში დაიშლიდა ხალისსა და სუფრის ჟინს:

მშრომელი კაცი ვიყავი
მიყვარდა პურ-მარილია
უკანასკნელად პატივს მცემს
სიძე და ჩემი შვილია.

გუდალეთელი სიკვდილს ყვედრიდა უდროოდ გამოცხადებას:

ამ ოხერმა სიკვდილმა
რა უდროოდ მიგდო მახე
მომაშორა წუთისოფელს
შავ მიწაში დავიმარხე.

და ორბეთელიც მის სატკივარს გააგრძელებდა, იმ სამარიდან შემოეხმიანებოდა:

ბედია თვითონ ბუნება
ვისგან კაცს ნიჭნი ხვდებიან
ზოგი იფურჩქვნის ზოგნი კი
კოკორშიავე ჭკნებიან.

გივი შადური მუშტრის თვალით გაზომავდა და შეაფასებდა ყველა ამ ეპიტაფიას. მიხეილ ჯავახიშვილს სასაფლაოს ბინადრად ექცია თავისი გმირი სიცოცხლეშივე, აკლდამაში მიეჩინა ბინა გარიყულისა და უთვისტომოსათვის და ეპიტაფიების შეთხზვაც გაეხადა იმის ხელობად – თავის სარჩენი სხვა არც არაფერი მოეპოვებოდა. ამ ჟანრს არარაობის კივილად და მარადიულობის წყურვილად იხსენიებს გივი შადური და თავისი ქვის წარწერად ეს ეგულება: ავარა და არაფერიო. ხოლო ვიდრე ამ ახალ საქმეს მოჰკიდებდეს ხელს, სასაფლაოს დაივლის და წარწერების კილოსა და ხერხს შეისწავლის. მალე გაიგებს, მუშტარს რა საქონელი უნდა და, სამ დღეში ოთხ დიდ სასაფლაოს რომ მოირბენს და ერთ რვეულს ყოველნაირი წარწერით აავსებს, ხან მკვდარს რომ მიმართავენ, ხან მკვდარი მიმართავს საკუთარ თავს, ხან ცოცხალთ, ხან გამვლელს, ჭირისუფლებთან იოლად პოულობს საერთო ენას, ყველას თავთავის შესაფერისს ურჩევს:

– მე ჩავედი, შენც მოდიხარ.

ან:

– მე უკვე შინა ვარ, შენ კი ჯერ სტუმრად ბრძანდები და მალე შენც დაბრუნდები.

ანდა:

– მოვედი, ვიცხოვრე, ვიგემე, ვნახე, გავიგე და წავედი.

რედაქტორის გვერდი

საფლავთა პოეტიკა საგამოფენო დარბაზის კედლებზე გადმონაცვლებულა და ყოფითი დეტალები და წვრილმანებიც შეუნარჩუნებია.

ისევე, როგორც ეთერ თათარაიძის ლირიკული ხილვებიც, ერთი შეხედვით, საკმაოდ გადატვირთულა ყოფითი დეტალებით, იმ წვრილმანებით, რაც თითქოს არც უნდა იყოს პოეზიის თემა; და მხატვრულ ენადაც თუშურ კილოკავს გამოიყენებდა და არა ზოგადენობრივ კოინეს, იდუმალი ხმა უკარნახებდა, საშინაო-სალაპარაკო ენა თავის დიდ გამომსახველობას ინახავს და ვიღაცამ უნდა გაუხსნას კარი მწერლობაში შემოსასვლელადო. და ეს ენობრივი გარსი აამეტყველებდა ყოფით საგნებს, და ვერც გაიგებდი, ისეთი ძალდაუტანებლობით მიაღწევდნენ ღრმა სიმბოლურ განზოგადებას.

ეს სულიერი საერთოც, მხატვრული აზროვნების თავისებურებაც არის ნიშანდობლივი ამ ორი შემოქმედისათვის და ეთერ თათარაიძის პოეტური კრებულები თითქოს წინდაწინვე მიგანიშნებს, რომ ამირან არაბულის ეს ფოტოციკლიც ყოფითი წვრილმანებიდან სიმბოლურ განზოგადებამდე უნდა ამაღლდეს.

მხოლოდ მასალად რომ შეეგროვებინა, მაშინაც ძვირფასი მონაპოვარი იქნებოდა იმ ესთეტის ხელში, ვინც ამ მასალას სულს შთაბერავდა მოხდენილი კომპოზიციური განლაგებით, მაგრამ პოეტური შეგნება პოეტური ხელოვნებითვე დაგვირგვინდებოდა და ისე დალაგდებოდა სამარის ლოდთა იდუმალი ბიოგრაფიები, ისეთ ვრცელ სიუჟეტურ ქარგაში მოექცეოდა, რომ პოემასავით წასაკითხი და შესაცნობი გახდებოდა, თავისთავადობაც არ მოაკლდებოდა და თუნდ მასტერსის ეპოსის კანთიელ ფონადაც წარმოისახებოდა.

გადადინდებოდნენ, ჩაიბნეოდნენ ერთიერთმანეთში ამერიკული ეპოსი და ქართული ფოტოპოემა, იდუმალად განმსჭვალავდნენ ერთიმეორეს და ეს კი ვეღარ გაგეგო, საიდან იჭრებოდა მასტერსის მელოდიებში ის ხმაც, ამერიკელი პოეტისა რომ არა ყოფილა და ალბათ ჩვენს თანამედროვე ინტერპოლატორს ჩაემატებინა, თანაც არა თავისი, არამედ სხვისაგან ნასესხები სტრიქონები: მიწავ, შენ გებარებოდეს ეს ჩემი ტურფა იაო, შენ უპატრონე, ემშობლე, როგორაც შენი ზნეაო.

ჩვენი ყოფა, წუთისოფელი

მაია დე გრაფი ნადარეიშვილი

ეფემერულობის დიდებულება

თანამედროვე სამყაროსთვის კვლავ აქტუალურია 1980-იანი წლების ბრიტანულ სერიალში „დიახ, მინისტრო“ ერთ-ერთი დიალოგის პათოსი:

„ჯეიმს ჰაკერი: რა საშინელი ცინიზმია.

სერ ჰამფრი ეფლბი: ამას დემოკრატიას ვუწოდებთ, მინისტრო.“

მითი, რომ დასავლეთში ჟურნალისტებს ყველაფრის უფლება აქვთ და თუ არა – მაინც თავისის გატანის საშუალებას გამონახავენ ხოლმე, თანდათან ზებუნებრივ ელემენტებს იშორებს და რეალურ სახეს იძენს. სულ უფრო ცხადი ხდება, რომ ისინიც ადამიანები არიან და მათაც ისევე უწევთ ყოველდღიურობასთან გამკლავება, როგორც საქართველოში. ზოგი პრობლემა საერთო გვაქვს, ზოგიც ლოკალური. ჩვენთან თუ ყოფითია გამწვავებული, დასავლელი ჟურნალისტები საქართველოში ისტორიულად მოგვარებულ სირთულეებს აწყდებიან. განსხვავებული მენტალიტეტის, გემოვნების, აზროვნების, განვითარების, ცხოვრების წესისა და ყოველდღიურობის მქონე საზოგადოებებს დღეს მართვისა და ზემოქმედების იდენტურ მოდელს არგებენ – დემოკრატიის სახელით, გლობალიზაციის მიზნით.

მეოთხე ხელისუფლება, როგორც მმართველობის განუყოფელი ნაწილი, ოფიციალური თუ სასურველი კურსიდან ნაირგვარი გადახვევებისგან თავს ყოველთვის ვერ იზღვევს. ჟურნალისტიც ჩვეულებრივი მოკვდავია. ზოგს შინაგანი თავისუფლება არ ასვენებს. ზოგს სახელი და კარიერის კიბეზე სხვაზე მაღლა არბენა ხიბლავს. ზოგი ყველაფერს ანაზღაურების ხარისხით ზომავს და საბანკო ანგარიშ(ებ)ზე ნულების გამრავლებითაა დაკავებული. ჟურნალისტს მხოლოდ პატარა დეტალი განასხვავებს კარის მეზობლისგან – სამყაროს მართვის, საზოგადოებაზე ზემოქმედების, ერთი სიტყვით, უზარმაზარი ცვლილებების გამოწვევის ამბიცია. არცთუ იშვიათად, იგი რესპონდენტის ჩრდილქვეშ ექცევა, მაგრამ შესანიშნავად იცის, რომ ეს მხოლოდ აუდიტორიაზე გათვლილი ფანდია. საკუთარი როლის ამგვარ პირობითობასაც მიზნის განხორციელებისთვის იყენებს ჟურნალისტი.

„ნიუ-იორკ თაიმსის“ სახედ ქცეული, ლეგენდარული ჯეიმს ბარეტ რესტონი, მეტსახელად „სკოტი“, XX საუკუნის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ლამის ყველაზე გავლენიანი ამერიკელი ჟურნალისტი იყო. მის სიტყვას იმხელა ძალა ჰქონდა, რომ ხალხი მასობრივად და რეგულარულად კითხულობდა რესტონის პუბლიკაციებს, ხოლო ხელისუფლება ანგარიშს უწევდა მის აზრსა და პოზიციას. კოლეგები ამბობდნენ, ჯეიმს რესტონს ისეთივე პოლიტიკური წონა აქვს, როგორიც აშშ-ის სამ სენატორს ერთად აღებულსო. სცენარისტმა კარლ მეიერმა ერთხელ იუმორით შენიშნა: რესტონის დონის პუბლიცისტს აშკარა უპირატესობა აქვს სენატორებთან შედარებით – კონგრესის წევრს ირჩევენ, ჟურნალისტი კი ბრიტანეთის ლორდთა პალატის წარმომადგენელივით მარადიულიაო.

ჯეიმს რესტონის ხანგრძლივი და უშრეტი წარმატების საიდუმლო მარტივია: პროფესიონალიზმი და ეთიკის ნორმების ერთგულება. თუმცა ჩავარდნაც ჰქონდა დიდ ჟურნალისტს, სწორედ იმ მიზეზით, რასაც „სკოტის“ პრივილეგიას უწოდებდნენ და ფარულად საყვედურობდნენ კონკურენტები „ვაშინგტონ პოსტიდან“: რესტონმა არაერთ მნიშვნელოვან პოლიტიკოსთან მოახერხა დაახლოება და მერე თავის საინფორმაციო წყაროდ აქცია ისინი.

ჯეიმს ბარეტ რესტონი

უოლტერ ლიპმანი

ჯოზეფ ოლსოპი

პატიოსნად ლავირებდა ხელისუფლების მაღალ ეშელონებსა და მედიის მოთხოვნებს შორის. ამიტომ სხვაზე მეტად ენდობოდნენ მმართველებიც და მართულებიც. თუმცა ერთხელ თვითონ რესტონი დააღალატეს. ეს მის მიერ გულიანად ნაქებმა ჰენრი ალფრედ კისინჯერმა ჩაიდინა. ნიქსონის ადმინისტრაციაში აშშ სახელმწიფო მდივნის პოსტზე მყოფმა კისინჯერმა არასწორი ინფორმაცია მიანოდა ჟურნალისტს 1972 წელს ვიეტნამის დაბომბვის თაობაზე. მოგვიანებით პოლიტიკოსმა თეთრი სახლი შეიყვანა შეცდომაში, როცა რესტონთან საუბრისას გამოთქმული კომენტარი შეცვალა. სიმართლის გასარკვევად კისინჯერის სატელეფონო საუბრების ჩანაწერების გამოყენება გახდა საჭირო. ახლა უკვე ზედმიწევნით ცნობილია კისინჯერის უპატიოსნო თამაშის პერიპეტიები, მაგრამ რესტონის კარიერაში მაინც შავ ლაქად დარჩა აღნიშნული ინციდენტი.

ჟურნალისტმა ქრისტოფერ ჰიჩინსმა 2002 წელს გამოცემულ წიგნში „ჰენრი კისინჯერის სამსჯავრო“ დაუნდობლად გააკრიტიკა პოლიტიკოსის დანაშაულებრივი მოღვაწეობა. მოგვიანებით დოკუმენტური ფილმიც გადაიღეს ამავე წიგნის მიხედვით. რესტონი ვერ მოესწრო 21-ე საუკუნეს, ვერ იხილა, როგორ უწია მხცოვან პოლიტიკოსს ძველმა ცოდვებმა ახალგაზრდა ჟურნალისტის კალმით.

რადიკალი ეკონომისტი და მედიაანალიტიკოსი ედუარდ ჰერმანი „შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის აპოლოგეტს“ უწოდებს ჯეიმს რესტონს და თანამოაზრეებს იმოწმებს. „ნიუ-იორკ თაიმსის“ ჟურნალისტი რ.უ. ეფლი გაზეთის ფურცლიდან გამოექომაგა კოლეგას და მის ოპონენტთა გასაგონად განმარტა: „ბატონი რესტონი ჯარისკაცებს, პოლიტიკოსებსა და პარტიებს სისუსტეებს პატიობდა. როგორც მისი ზოგიერთი კრიტიკოსი ამტკიცებს, იგი გადამეტებულ მიმტევებლობას იჩენდა ხოლმე, მაგრამ ეს იმიტომ მოსდიოდა, რომ ზედმეტად ახლოს იყო იმ ხალხთან“.

გონებადაბინდულ ნერონს არასდროს ავიწყდებოდა საკუთარი სიგიჟეების მოდიფიცირება. რომი ისე გადაწვა, ხელი არ აკანკალებია, მაგრამ დანაშაულის სიმძიმე ვერ იტვირთა და ქრისტიანებს გადააბრალა. ისტორიულად ჩამოყალიბდა გაგება, რომ იმიჯი უმნიშვნელოვანესია. მედიამ აიტაცა ეს ხერხი თუ წინა სამი ხელისუფლებისგან ერგო მემკვიდრეობით, საკმაოდ საკამათო თემაა. ფაქტია, რომ მედიის გავლენა ყოველთვის დიდი იყო ამერიკაში და თვით ქვეყნის პირველი პირები ცდილობდნენ პრესის კეთილგანწყობის მოპოვებასა და შენარჩუნებას.

„ფიქრთა მპყრობელნი“ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე განსაკუთრებულად მძლავრად ახდენენ ზემოქმედებას. ამავე დროს, არც თვითონ არიან დაცულნი გარეშე ძალების გავლენისგან.

სულით ხორცამდე ჟურნალისტი უოლტერ ლიპმანი არასოდეს აიგივებდა მედიით გავრცელებულ ინფორმაციას სიმართლესთან. მისი აზრით, „ნიუსის ფუნქციაა მოვლენის შეტყობინება, სიმართლის დანიშნულება კი – დაფარული ფაქტების გამომზეურება, მათი ერთმანეთთან დაკავშირება და რეალური სურათის წარმოჩენა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია სწორად ქმედება“.

ლიპმანი თვლიდა, რომ სიმართლის ჟურნალისტური ვერსია პირადული შეხედულებებითაა ნასაზრდოები. ამიტომ იგი გარკვეულწილად შეზღუდულია, რადგან ერთი ადამიანის თვალით დანახულ რეალობას გამოსახავს. ვერასდროს მოხერხდება ინფორმაციის სრულყოფილად გადაცემა და სწორედ ამიტომ, მედია არ შეიძლება იყოს „დირექტიული დემოკრატიის ორგანო“.

ჟურნალისტიკის დანიშნულებას „ინტელექტუალურ საქმიანობაში“ ხედავდა ამერიკის ერთი-ერთი ძლევამოსილი პუბლიცისტი, ჟურნალისტი და პოლიტიკური კომენტატორი. მისი რწმენით, ჟურნალისტები პოლიტიკოსთა

და ხალხის მეკავშირის ფუნქციას უნდა ასრულებდნენ. ლიპმანის მოდელით, ჟურნალისტი პოლიტიკოსისგან მოიპოვებს ინფორმაციას და აწვდის მოქალაქეებს, რომლებიც საზოგადოებრივ აზრს ქმნიან.

ბრწყინვალე ჟურნალისტური ოსტატობის შეთავაზების დროსაც, „მკითხველ საზოგადოებას, რომელიც საკუთარი ცხვირის იქით არ იხედება, არ აინტერესებს რაიმეს შესწავლა, გაანალიზება ან გაგება“. უოლტერ ლიპმანი პირველი იყო, ვინც დაადგინა, რომ ჟურნალისტს ახასიათებს მოვლენების განზოგადებულად შეფასება და პიროვნებებზე გარკვეული იდეაფიქსების შესაბამისად მსჯელობა. ამავე დროს ლიპმანი ამტკიცებდა, რომ ზოგადად ადამიანი (აგრეთვე, ჟურნალისტი) მიდრეკილია ირწმუნოს „მის გონებაში არსებული ხატება“, იმის ნაცვლად, რომ კრიტიკული აზროვნების საშუალებით გარკვეულ დასკვნამდე მივიდეს. უოლტერ ლიპმანმა შექმნა ტერმინი „სტერეოტიპი“ და ადამიანის თვისებას – იდეების სიმბოლოებად დაკონდენსირებას, სტერეოტიპული აზროვნება უწოდა. მანიპულირება ორმხრივად შეიძლება. სტერეოტიპული აზროვნება ზემოქმედებს კონკრეტული პოლიტიკოსის იმიჯზე და პირიქით – მისი იმიჯი გარკვეულწილად განსაზღვრავს, თუ რომელ სტერეოტიპს მოარგებენ მის პოლიტიკურ პორტრეტს. დემოკრატიის ძირეულ პრობლემად ლიპმანი ინფორმაციის უზუსტობასა და წყაროს დაუცველობას მიიჩნევდა.

უოლტერ ლიპმანი მოაზროვნე ანუ საშიში ჟურნალისტის ტიპს განეკუთვნებოდა. საგაზეთო სვეტმა რუბრიკით „დღეს და ხვალ“ პულიცერის პრემია მოაპოვებინა. იგი კვირაში სამჯერ ერთდროულად 200-ზე მეტ გაზეთში იბეჭდებოდა და ბევრ პოლიტიკოსს აატკივა თავი. ლიპმანის სტატიებს უშრეტი ინტერესით კითხულობდა და აანალიზებდა ამერიკის ელიტა, მისი თანამედროვე ყველა პრეზიდენტი. ლიპმანი არ ყოფილა მხოლოდ პოლიტიკური მიმომხილველი. ზოგჯერ მრჩეველის როლშიც უწევდა ყოფნა. მას ეკუთვნის ტერმინი „ცივი ომი“, რომელიც 1947 წელს გამოცემული მისივე წიგნის სათაურია. თერთმეტი წლის შემდეგ უოლტერ და ელენ ლიპმანები ურალში, თავის მონადირის სახლში მიიწვია ნიკიტა ხრუშჩოვმა. საბჭოთა ლიდერისა და ამერიკელი ჟურნალისტის არაოფიციალური შეხვედრისას მათი საუბრის მთავარი თემა „ცივი ომი“ და ამ გაჭიანურებული კრიზისიდან გამოსვლის გზები იყო.

1964 წელს თეთრ სახლში პრესკონფერენცია გაიმართა. რეპორტიორთა შორის პრეზიდენტმა ლინდონ ჯონსონმა ლიპმანს მოჰკრა თვალი, მივიდა, ხელი მაგრად ჩამოართვა და საჯაროდ განაცხადა: „აი, მსოფლიოს უდიდესი ჟურნალისტი. იგი ჩემი მეგობარია“. ჯეიმს რესტონისგან განსხვავებით, უოლტერ ლიპმანი უკომპრომისო პიროვნება აღმოჩნდა. მან დაუნდობლად გააკრიტიკა პრეზიდენტი ჯონსონის აკვიატებული იდეა „მსოფლიო წესრიგის დამყარების“ თაობაზე. როცა კონსერვატული შეხედულებების ჟურნალისტმა თეთრი სახლის არასწორი პოლიტიკა ამხილა ვიეტნამის საკითხთან დაკავშირებით, საზეიმოდ გაცხადებული „მეგობრობა“ დასრულდა. ამერიკამ ვერ დაიტია ორივე – პრეზიდენტიც და ჟურნალისტიც. საბოლოოდ, ლიპმანს ქვეყნის დატოვება მოუხდა. ძვირად დაუჯდა უოლტერ ლიპმანს საკუთარი აზრის დაცვა. მძიმე აღმოჩნდა „პოლიტიკურ მიმომხილველთა იერარქიაში რომის პაპის“ ქუდის ტარება.

ლიპმანის წასვლის შემდეგ ამერიკის პოლიტიკური ჟურნალისტიკის ლამის ერთპიროვნული მმართველი გახდა მისი ძველი კონკურენტი ჯოზეფ ოლსოპი. ჰარვარდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა ოლსოპმა თავბრუდამხვევი კარიერა გაიკეთა გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნის“ რეპორტიორობიდან ჯორჯტაუნის ჯგუფის აქტიურ წევრობამდე. ჯეიმს რესტონის თანაგუნდელი და თანამოაზრე სრულიად განსხვავებული ტაქტიკით მოქმედებდა. ძალიან ხშირად ოლსოპი ინფორმაციას კი არ იღებდა, არამედ თავს ახვევდა პოლიტიკოსებს. რადგან ინდოჩინეთში საომარი მოქმედებების მომხრე იყო, ჯო განუწყვეტლივ ჩასჩიჩინებდა ამერიკის პრეზიდენტებს, მსოფლიო წესრიგის დამცველთა როლი ეკისრათ. ვიეტნამში 50 ათასი ჯარისკაცის გაგზავნის შემდეგ ლინდონ ჯონსონის მიერ გაკეთებული არაოფიციალური კომენტარი მოარულ ფრაზად იქცა: იმედია, ეს ცოტა ხნით მაინც დააშოშმინებს ჯო ოლსოპსო.

ურთიერთ სიმპათიით განმსჭვალული ჟურნალისტი და ჯონ კენედი საინტერესო ტანდემს წარმოადგენდნენ. ავტობიოგრაფიულ წიგნში „პერსონალური ისტორია“, რომლისთვისაც 1998 წელს პულიცერის პრემია მიენიჭა, „ვაშინგტონ პოსტის“ თანამშრომელი კატერინ გრემი მნიშვნელოვან მოგონებებს აწვდის მკითხველს კენედისა და ოლსოპის ურთიერთობის შესახებ. იგი წერს: „ოლსოპის მეოხებით, სენატორ კენედის იმაზე ბევრად უკეთ ვიცნობდი, ვიდრე ეს თავისთავად მოხდებოდა. ჯომ რატომღაც მაშინვე მხარი დაუჭირა მას. დიდ წვეულებებზე ხშირად ვხედავდი კენედების მომხიბლავ და ლამაზ წყვილს, მაგრამ სერიოზულ პოლიტიკოსად ჯონი არასდროს აღმიქვამს. კარგად მახსოვს ოლსოპის მიერ 1958 წელს ნათქვამი ფრაზა, რომ ერთ დღეს კენედი ამერიკის პრეზიდენტად მოგვევლინებაო. მაშინ შევეპასუხე, ალბათ, მეხუმრები, შენ ამას სერიოზულად როგორ იფიქრებ-მეთქი. ჯომ მიპასუხა: ჩემო კარგო, დარწმუნებული ვარ, რომ მის კანდიდატურას წამოაყენებენ და არჩევნებში გამარჯვების დიდი შანსიც ექნებაო“.

ბოლომდე გაურკვეველი დარჩა, პიროვნული თვისებებით მოხიბლა კენედიმ ჟურნალისტი თუ გამოცდილმა ოლსოპმა იოლად სამართავი კანდიდატურის მხარდაჭერა საკუთარი სამომავლო მიზნების განხორციელებისთვის განიზრახა. ფაქტია, რომ ჯონ კენედისთან მეგობრობის შედეგად ჯო შეერთებული შტატების ადმინისტრაციის კულისებში შინაურ კაცად მიიღეს.

გაქნილი კარიერისტი ხშირად მანიპულირებდა პრეზიდენტით. მამის მკაცრ მარწუხებს შეჩვეული კენედი, შესაძლოა, ვერც კი ხვდებოდა, როგორ იყენებდა ერთი შეხედვით ფანატიკურად მისი ერთგული ჟურნალისტი. სწორედ ოლსოპმა დაარწმუნა სენატორი კენედი, თითქოს აშშ ძალზე ჩამორჩებოდა საბჭოთა კავშირს ბალისტიკური რაკეტების წარმოებაში და ეს სასიკვდილო საშიშროებას უქადდა ამერიკას. უშედეგოდ აპროტესტებდა წარსულში გამოცდილი გენერალი, იმ დროს – ამერიკის პრეზიდენტი დუაიტ ეიზენჰაუერი ჟურნალისტის მტკიცებულების უაზრობას, ოლსოპის აზრმა გაიმარჯვა. დაიწყო გამალებული შეიარაღება, რაც მალე მთელ მსოფლიოს მოედო.

მხოლოდ 1961 წელს მიხვდა კენედი წინამორბედი პრეზიდენტის პროტესტის მართებულობას, მაგრამ აგორებული სამხედრო შეიარაღების შეჩერება უკვე შეუძლებელი გამხდარიყო.

მბრძანებლური ხასიათის მქონე ოლსოპის კარიერაც ვერ გადაურჩა შავ ლაქას. მოსკოვში პირველი და უკანასკნელი ვიზიტისას ჟურნალისტს სუკ-ის ფოტოგრაფმა სკანდალური სურათები გადაუღო, თუმცა საბოლოოდ ისინი არ გამომზეურებულა. ათიოდე წლის შემდეგ მოსკოვმა მაინც გადაუგზავნა ფოტოები ვაშინგტონს, მაგრამ ეს ქმედება უკვე დაგვიანებული და არაეფექტური გამოდგა. სამაგიეროდ, ოლსოპის შესახებ თითქმის არ დაწერილა სტატია და გამოკვლევა, მისი მაკომპრომეტირებელი სურათები მსჯელობის საგანი რომ არ ყოფილიყო.

ამერიკული მედიის სამასწლიანი გამოცდილება თვალნათლივ წარმოაჩენს გრძელ და ურთულეს გზას, რომელიც მხარდამხარ გამოიარეს პოლიტიკოსებმა და ჟურნალისტებმა. ბუნებრივია, მათ მომავალშიც მოუწევთ მჭიდრო თანამშრომლობა. პრაქტიკამ აჩვენა, რომ არამხოლოდ პრესა ქმნის პოლიტიკოსის იმიჯს ან სტერეოტიპს არგებს ამა თუ იმ სახელმწიფო მოღვაწეს. ჟურნალისტებიც იმიჯის „ტყვეობაში“ ვარდებიან. მათაც სტანჯავთ აუდიტორიის სტერეოტიპული აზროვნება. ფრთხილი რესტონისა და თავნება ოლსოპის გამოცდილება გვარწმუნებს, რომ ჟურნალისტიკა რისკიანი პროფესიაა და მშვიდად ცხოვრების მსურველებმა არ უნდა აირჩიონ ასეთი ასპარეზი. აქ ყოველი დღე ჭიდილით იწყება. ყოველღამ თავიდან გაეცემა პასუხი კითხვას „ვინ ვის?“ რადგან პოლიტიკური ჟურნალისტის ცხოვრება მუდმივი „ცივი ომის“ მინიატურული განსახიერებაა.

მედიის წარმომადგენლები განსხვავებულად მოქმედებენ. ზოგი ჟურნალისტი პოლიტიკოსებთან თანამშრომლობის ტაქტიკას იყენებს ექსკლუზიური ინფორმაციის მოსაპოვებლად. ზოგი მუდმივად ჩასაფრებულის პოზიციას იკავებს და უკომპრომისო ოპოზიციონერად გვევლინება. მცირე ნაწილი მეგობრობის სახელით იმდენად დაუახლოვდება რომელიმე მაღალჩინოსანს, თვითონაც რომ აღარ სურდეს, მაინც ახდენს გარკვეულ ზეგავლენას.

კარლ მაიერი საგაზეთო სვეტს ადარებს სამრეკლოს, ისეთს, რომლიდანაც 30 წელი ქადაგებდა მეხუთე საუკუნის სირიელი წმინდანი სვიმეონ მესვეტე. უწყინარი თეთრი თაბახი ფართო ასპარეზად გადაიქცევა პუბლიცისტის ოსტატობის შესაბამისად. ამიტომ დასანანია, როცა დილეტანტი ჩაიგდებს ხელში ასეთ მძლავრ იარაღს. დემოკრატიის პირობებში აზრის თავისუფლად გამოხატვის საშუალება მართლაც ყველას შეიძლება ჰქონდეს, თუნდაც გონებასუსტს. მთავარია, ვის მიმართავს და რამდენად ეძლევა აუდიტორიის მანიპულირების უფლება. გიჟისთვის ეს სამედიცინო დაწესებულების მედპერსონალი უნდა იყოს, გონიერი ადამიანისთვის – მედიასაშუალებები.

ჩვენ, ჟურნალისტები, ვარსკვლავები არ ვართ, ჰოლივუდის მსახიობებისგან განსხვავებით. არც იმგვარი სიძლიერით ვკაშკაშებთ, არც მათსავით ხანგრძლივად ვბრწყინავთ დიდებითმოსილნი. თანამედროვე სამყაროს თავზე კომეტასავით გავიელვებთ და მედიალეგენდად შემოვრჩებით ხოლმე. ისიც, ასი ათასიდან ერთი ან ორი ჩვენგანის სახელს თუ შემოინახავს საზოგადოება მეხსიერების ბნელ ხვეულებში. სამაგიეროდ, პუბლიცისტის სიტყვით გამოწვეული რეზონანსი ამახსოვრდებათ ხანგრძლივად. ასეთია ჟურნალისტის პროფესიის ეფემერულობის დიდებულება.

ვირტუალური სივრცის მწერლები

მოგესალმებით!

ამჯერად ჩემი გულისტკივილი მსურს გაგიზიაროთ, ფიქრები, რომელიც ამირან (პაკო) სვიმონიშვილის ლიტერატურულ საღამოზე აღმეძრა და დღემდე არ მასვენებს. თქვენთან მოწერა კი იმიტომ გადავწყვიტე, რომ, ვფიქრობ, სწორედ თქვენ შეგიძლიათ პასუხი გასცეთ ჩემს კითხვებს და ჩემი გულისტკივილიც მიიტანოთ გულთან...

მოგეხსენებათ, პარასკევს, 6 ოქტომბერს საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა პოეტ ამირან სვიმონიშვილს მასპინძლობდა. საღამო მართლაც კარგი გამოვიდა, მაგრამ საღამოს წამყვანსა და დარბაზს შორის გამართულმა მცირე საუბარმა დამაფიქრა. კერძოდ, ბატონმა ემზარ ჯგერენაიამ დამსწრეთ 11 ოქტომბრის ანონსი გააცნო და იკითხა, იცნობდნენ თუ არა „ვარდისფერი ავტობუსის“ პოეტებს, ვისთვისაც უნდა ემასპინძლა ამ დღეს ბიბლიოთეკას.

დამსწრეთაგან არავინ აღმოჩნდა ისეთი, ვისაც ეს ახალგაზრდები სცნობოდა. მეტიც, როცა ითქვა, რომ ისინი (და არა მარტო ისინი) ვირტუალურ სივრცეში აქვეყნებენ თავიანთ ქმნილებებს, დარბაზიდან ირონიული შეფასებებიც გაისმა. შემდეგ საღამო გაგრძელდა, მე კი, როგორც აღვნიშნე, დღემდე მაშინდელი ფიქრების ტყვეობაში ვარ.

რამ გამოიწვია ჩემი გულისტკივილი? პირველ რიგში იმან, რომ ოთხშაბათს გამართულ საღამოებზე, როდესაც ეროვნული ბიბლიოთეკა ახალგაზრდა მწერლებს მასპინძლობს, დამსწრენი მხოლოდ ახალგაზრდები არიან. ისინი, ვინც ისედაც კარგად იცნობს ერთმანეთის შემოქმედებას ზემოხსენებული ვირტუალური სივრციდან. აი, „უფროსთაგან“ კი არავინ მოდის.

6 ოქტომბრის საღამოს უმეტესად სწორედ ეს „უფროსები“ ესწრებოდნენ, ოთხშაბათის შეხვედრების დამსწრე ახალგაზრდათაგან კი არავინ ჩანდა. არ ვიცი რა არის ეს: იქნებ თაობათა ბრძოლის გამოვლინება? იქნებ თქვენ შეძლოთ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა (თქვენი ჟურნალის ფურცლებზე ხომ არაერთხელ გამოქვეყნდა რეპორტაჟი აღნიშნული შეხვედრებისა, ოღონდ მაშინ, როდესაც „ცნობილი სახეები“ იყვნენ საღამოს მასპინძლები). მე მაინც „მამების“ თაობას დავადანაშაულებდი, მათ ხომ მეტი მოეთხოვებათ...

ეპისტოლე

რაც შეეხება ვირტუალურ სივრცეს, აქ ორი ლიტერატურული გვერდი არსებობს, სადაც ახალგაზრდები (და არა მხოლოდ...) თავიანთ შემოქმედებას ამზეურებენ, ერთმანეთისას მიმოიხილავენ და ა.შ. აქ ცნობილი ავტორების ქმნილებებიც იბეჭდება, მათ შორის ვანო ჩხიკვაძისა, ლელა სამნიაშვილისა, რეზო გეთიაშვილისა და სხვ. მაგრამ არიან ნიჭიერი ახალგაზრდა შემოქმედნი, ვის ნაწერებსაც მკითხველი საზოგადოების დიდი ნაწილი არ იცნობს (შესაძლოა ეს შედარება გადაჭარბებულიც იყოს, მაგრამ ის, რომ ემილი დიკინსონის ქმნილებათაგან მის სიცოცხლეში თითქმის არაფერი გამოქვეყნებულა, ვისი „პრობლემა“ იყო უპირატესად: ავტორისა თუ მკითხველის?).

ასე, მაგალითად, „ვარდისფერი ავტობუსის“ პოეტები, ვინც ანარქისტული იდეებისადმი სიმპათიამ გააერთიანა და უტოპიის რეალობად ქცევას ისახავენ მიზნად, საინტერესო და ნიჭიერი ახალგაზრდები არიან, მათ შორის ერთი კი, დავით ყანჩაშვილი (ვინც „იორიკისა“ და „ზენონის“ ფსევდონიმით აქვეყნებს თავის ნაწერებს ვირტუალურ სივრცეში), ვფიქრობ, უკვე ჩამოყალიბებული პოეტია და, ასაკის მიუხედავად, უკვე ნაპოვნი აქვს თავისი გზა და ხელწერა. არიან სხვებიც, მაგრამ გაგონილს თვალით ნანახი სჯობსო, თქმულა (იქნებ ვცდებოდე, ვინ იცის?).

მე მაინც ვფიქრობ, რომ ეს „ვირტუალური სივრცე“ ჩვენი, ქართული მწერლობის განუყოფელი ნაწილია და ამ ახალგაზრდების „გარიყულ თაობად“ ქცევა ნამდვილად არ წაადგება ქართულ ლიტერატურას.

ახლა იმასაც დავაზუსტებ, თუ რატომ მოგწერეთ სწორედ თქვენ. პირველ რიგში, ჟურნალის სახელწოდებიდან გამომდინარე; იმიტომაც, რომ „ჩვენი მწერლობა“ მართლაც გამორჩეული გამოცემაა და ნამდვილად შეგტკივათ გული ქართულ ლიტერატურაზე.

მსურს მოკრძალებული წინადადება შემოგთავაზოთ: „ჩვენს მწერლობას“ აქვს ასეთი რუბრიკა: „ახალგაზრდებო, ან კი თქვენ“, სადაც დამწყებ შემოქმედთა ნაწარმოებები იბეჭდება ხოლმე. სამწუხაროდ, მე-11 ნომრის შემდეგ ამ რუბრიკით აღარაფერი დაგიბეჭდავთ (აღნიშნულ ნომერში კი ლიტერატურულ საიტებზე ერთ-ერთი უსაყვარლესი მწერალი გოგონას ნინო თარხნიშვილის (ამელი) მინიატურები გამოქვეყნდა). ახალგაზრდებთან კავშირის განსამტკიცებლად კი, ვფიქრობ, ცუდი არ უნდა იყოს, თქვენ თვითონ დაუკავშირდეთ მათ შორის საუკეთესოებს და თქვენი ჟურნალის ფურცლები დაუთმოთ. ვისურვებდი, ის „პირველი შთაბეჭდილება“, ზოგიერთი ავტორის ქმნილებას რომ ახლავს ხოლმე, უცნობი მწერლების ნაწერებისთვისაც დაგერთოთ (მახსოვს, „ალტერნატივაში“ იყო ასეთი, ჩემი აზრით, მისაბაძი ტრადიცია). მათ ხომ ყველაზე მეტად სჭირდებათ გამხნევება, შეფასება და მეგობრული თუ გონივრული რჩევები.

აქვე ხსენებული ლიტერატურული გვერდების მისამართებსაც მოგაწვდით. ვიმედოვნებ, გაეცნობით ახალგაზრდათა შემოქმედებას და, შესაძლოა, ჩემი წინადადებითაც დაინტერესდეთ. მოხარული ვიქნები, თუ ასე მოხდა.

www.literatura.ge და klimi.pvt.ge. ლიტერატურული ჟურნალებია, www.nplg.gov.ge/culture გვერდზე კი იმ ავტორთა ქმნილებებია გამოქვეყნებული, ვისაც უკვე უმასპინძლა ეროვნულმა ბიბლიოთეკამ.

ახლა კი ბოდიშს მოგიხდით ესოდენ ვრცელი წერილისათვის და დაგემშვიდობებით საუკეთესო სურვილებით...

ნოდარ აფხაძე

ქრონიკა

გარეთ ათასი... შიგნითაც ათასი... თუმცა შეიძლებოდა გამოცანა გამოცანადვე გვეგულისხმა, მითუმეტეს, ატლასის ელვარებასაც მოიხდენს პოეზია.

სიმართლე ითქვას, შენობის გარეთ თუ ფოიეში, ლექსის სიყვარულით შეკრებილ საზოგადოებას ვერც მთლად ათასამდე მოითვლიდით, მაგრამ სიმრავლე მაინც ეთქმოდა, თანაც ჩვეულებრივზე მეტი. დათქმულ დროს ნამდვილად ერთბაშად შეივსო სავარძლები და დარჩა ბევრი, ფეხზე დგომას რომ უნდა შეჰგუებოდა.

ერთი სიტყვით, 6 ოქტომბერს, ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზს ამირან (პაკო) სვიმონიშვილის პოეზიის თაყვანისმცემლები სტუმრობდნენ.

ჩინებულად ორგანიზებული დარბაისელი საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს თვალის ერთი გადავლებითაც მიუსადაგებდით ელიტარულს, თუმცა პირდაპირ იატაკზე, კედლის გაყოლებით, მიფენილი თინეიჯერობაც გულისყურს აყოლებდა მოლოდინს...

ტრადიციით აქაური ღონისძიებებისა, პირველი სიტყვა მასპინძელმა, ემზარ ჯგერენაიამ ირგუნა და ვიდრე პოეტს წარუდგენდა შეკრებილთ, ვალდებულად მიიჩნია თავიანთი წეს-განგება შეეხსენებინა, რომ ყოველი შეხვედრა იწერება დიქტოფონზე, იშიფრება და სათანადო რედაქტირებით ინტერნეტში ვებ გვერდზე თავსდება. და აგრეთვე დასძინა, რახან საკონფერენციო დარბაზი საკუთრებაა ეროვნული ბიბლიოთეკისა, ბიბლიოთეკა კი – პარლამენტისაა, ყოველთვის მზად არიან უმასპინძლონ ნებისმიერ მსურველს უანგაროდ, ოღონდ მეცნიერული და კულტურული შეხვედრების ორგანიზებისათვის.

და საღამომაც ცხადყო სიმართლე ამ სიტყვებისა. მთელი ორი საათის განმავლობაში კითხულობდა პაკო სვიმონიშვილი საკუთარ ლექსებსა და თარგმანებს გერმანული კლასიკიდან. კერძოდ, გეორგ თრაქლის, კლემენს ბრენტანოს, გოეთეს, გოტფრიდ ბენის, ფრიდრიხ ჰელდერლინის პოეზიის ნიმუშებს.

ორიგინალური ლექსების მეტი წილი მიძღვნითი იყო და შესაბამისად გარკვეულ სევდიან მოგონებათა მატარებელიც. თანაც ცალკეული ნიმუში ავტორს დაუწერია სხვადასხვა, ერთმანეთისაგან საკმაოდ დაცილებულ, გეოგრაფიულ არეალში – შუაგულ ევროპასა თუ აზიაში, მესხეთსა თუ სვანეთის მთებში... ასეთი პოეტური ბიოგრაფია სანატრელიც კი დარჩებოდა მრავალ კალმოსანს.

პაკო სვიმონიშვილი, შიგადაშიგ, მოკრძალებითა და სისადავით გამორჩეულ პასუხებს შეაგებებდა ხოლმე მეტისმეტად პათეტიკურ და გარაფინირებულ მკითხველებს, ხოლო დაინტერესებულად „ჩამჭრელებს“ – უწყინარ იუმორს.

გადაუჭარბებლად შეიძლება აღინიშნოს, ამირან (პაკო) სვიმონიშვილმა მეტად საინტერესო ლექსებით, დახვეწილი თარგმანებითა და, აგრეთვე, პიროვნული მომხიბლაობითა თუ გულწრფელობით, მსმენელის გული იმ საღამოსაც მოიგო.

ლაშა იმედაშვილი

შავი ფერის საკი

გამომძიებელი პეტრე ევტუშევსკი, ვგონებ, ერთადერთი ადამიანი გახლდათ მთელ თბილისსა და, ასევე, მის შემოგარენში, რომელმაც დანამდვილებით იცოდა, რომ სიტყვათშეთანხმება სკოტლანდ-იარდი, თავდაპირველად, გეოგრაფიულ ადგილს აღნიშნავდა და არა გამოცდილ მაძებართა თავყრილობას. რომ არა ორწლიანი მივლინება ინგლისში, კერძოდ კი ქალაქ ლონდონში, სადაც პეტრე ბრიტანელთა მიღწევათა თუ გამოცდილების გასაზიარებლად გააგზავნეს, ისიც იმ უცოდინარ მოქალაქეთა რიცხვში აღმოჩნდებოდა, რომელთა რაოდენობაც იმდროინდელ თბილისში სამოცი ათასს აღწევდა.

ინგლისში ჩასულ პეტრეს გაუმართლა. ჯერ ის, რომ კარგი მასწავლებლის ხელში მოხვდა. ფრედერიკ ჯორჯ ებერლაინს ხელმძღვანელობის ასამდე მადლობა ჰქონდა მიღებული, რაც მოწესრიგებული და სიტყვაძუნწი ინგლისისათვის პატარა საქმე ნამდვილად არ იყო. მეორე ის, რომ სწორედ იმ დროს ჯეკ მფატრავმა, ბრიტანეთის უპირველესმა მკვლელმა, ნადირობის სეზონი გახსნა და საზოგადოებას თუ პოლიციას გამოწვევა ესროლა. საზარელი დანაშაულის გამოძიება სწორედ რომ ჯორჯ ებერლაინს დაევალა, ასე რომ, ყოველივე ევტუშევსკის თვალწინ ხდებოდა.

მიუხედავად სამხილებისა, მოწმეებისა და უამრავი ეჭვმიტანილისა, რომელთა შორის რამდენიმე სამეფო გვარის წარმომადგენელიც კი მოხვდა, დანაშაული მაინც გაუხსნელი დარჩა, რაც დღემდე სამარცხვინო ლაქად აჩნია საქვეყნოდ განთქმულ პოლიციელთა თავყრილობას.

საკუთარი ეჭვმიტანილი პეტრე ევტუშევსკისაც ჰყავდა, ინგლისელი მხატვარი უოლტერ სიკერტი. უცნაური კაცი იყო ეს სიკერტი, მხატვრობის გარდა მსახიობობაც ეხერხებოდა, გარეგნობასაც ადვილად იცვლიდა და ხელწერასაც, ხეტიალიც უყვარდა და ისტ ენდის ბნელ-ბნელი ქუჩებიც, სადაც ჯეკ მფატრავი უბედურ ქალებს ყელს ჭრიდა, ხოლო მათ შინაგან ორგანოებს გაურკვეველი მიმართულებით მიაქანებდა.

ჯორჯ ებერლაინმა, მიუხედავად ძალზედ უცნაური ვერსიისა, მაინც ყურადღებით მოუსმინა საკუთარ შეგირდს, მაგრამ იქვე ურჩია, რომ არავისთვის არაფერი ეთქვა, რითაც საკუთარ თავსაც გადაირჩენდა და არც მასწავლებელს ჩააგდებდა უხერხულ მდგომარეობაში.

პეტრე ევტუშევსკი ასეც მოიქცა.

უოლტერ სიკერტს მეგობრებიც ჰყოლია: ჰენრი ჯეიმზი, ოსკარ უაილდი, პისარო, კლოდ მონე, ოგიუსტ რენუარი, როდენი, ამათ ემატებოდნენ პარლამენტისა და მთავრობის წევრები, მეფის კართან დაახლოებული პირები და იმდროინდელი საზოგადოების სხვა გავლენიანი წევრები. ასე რომ, ვიქტორიანულ ეპოქაში ამ წრის ადამიანზე ყოველგვარი ეჭვის მიტანა სრულიად გამორიცხული გახლდათ.

სწორედ იმ დროს, როდესაც ჯეკ მფატრავი, საკუთარი სახელიდან გამომდინარე, ფატვრას განაგრძობდა, ხოლო ებერლაინი და ევტუშევსკი მფატვრელის ვინაობასა და ფატვრის მიზეზებს ადგენდნენ, ქალაქ თბილისში, რომელიც ნისლიანი ლონდონიდან კარგა გვარიანი მანძილით გახლდათ დაშორებული, ერთი რამ მოხდა, რომელსაც უცნაურს ნამდვილად ვერ დაარქმევდა ადამიანი: გაზეთ „ცნობის ფურცელში“ ასოთამწყობის შეგირდად მუშაობა ვინმე დიმიტრი ჯაშმა დაიწყო და წარმატებით დაეუფლა ამ პროფესიას, ასევე ვინმე დიომიდე კილაძის ხელმძღვანელობით.

მართლაც და რა კავშირში უნდა იყოს ერთმანეთთან ერთი მხრივ, მკვლელი ჯეკი მფატრავი, მაძებარი ებერლაინი და ევტუშევსკი, ხოლო მეორე მხრივ, დიმიტრი ჯაში და დიომოდე კილაძე? ერთი შეხედვით არაფერში, მაგრამ თუ იმას გავიხსენებთ, რომ ყოველივე ერთმანეთს უკავშირდება და ერთმანეთისგან გამომდინარეობს, ყველაფერი წამსვე თავის ადგილას დადგება.

ორი წელი მიილია.

პეტრე ევტუშევსკი რუსეთში დაბრუნდა, თუმცა ექვსი თვის შემდეგ, ყველასთვის მოულოდნელად, სამუშაოდ საქართველოში გადაიყვანეს. იმპერიაში შექმნილ იმდროინდელ პოლიტიკურ მდგომარეობას, ევტუშევსკის ლიბერალურ შეხედულებებსა და მის ჯინიან ხასიათს თუ გავითვალისწინებთ, ეს გადმოყვანა საქართველოში, რომელიც რუსეთისთვის ღრმა თუ მიგდებულ პროვინციად ითვლებოდა, ასე გასაკვირი აღარ უნდა ჩანდეს.

თბილისის საპოლიცმეისტეროს სამძებრო ნაწილის გამგე, პეტრე ევტუშევსკი, დასახლდა სასტუმრო „კავ-

სამშაბათს, 31 ოქტომბერს
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“
დარბაზში გაიმართება განხილვა
ელისო კალანდარიშვილის
წიგნისა

**„ქრისტიანული მქადაგებლობა
და სულხან-საბა ორბელიანის
ჰომილიები“**

მომხსენებელი
მაია ჯალიაშვილი

დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის №41

კაზში“, რომელიც ერევნის მოედანზე გახლდათ განლაგებული, აშხარუმოვისა და ჯანინოვის ირანული მაღაზიის თავზე. პროფესიიდან და იმ დატვირთვიდან გამომდინარე, რაც ამ პროფესიას ახლდა თან, ევტუშევსკი მთელ დღეს, ზოგჯერ კი მთელ ღამეს, სამსახურში ატარებდა, ასე რომ, სასტუმროს ნომერში იშვიათად ხვდებოდა, და თბილისის ხალისიანი ცხოვრებაც უიმისოდ მიედინებოდა.

სანახავი კი მართლაც ბევრი რამ იყო.

თამამშევის ქარვასლა ასზე მეტი მაღაზიითა, ევროპული თუ აზიური საქონლითა და, თქვენ წარმოიდგინეთ, შიგ განთავსებული თეატრითაც კი. კაცს თვალი ახალი ხიდებისკენაც გაექცეოდა: კუკიის, მიხაილოვის, მნაცაკანოვის. ამას ემატებოდა უამრავი დუქანი თუ ჩაიხანა. ყველაზე განთქმული, „ნე უეჟაი გოლუბჩიკ მოი “, რომელიც დიღომში, ქალაქის გასასვლელში, თუ გნებავთ შემოსასვლელში, დიღმის ხიდთან გახლდათ განთავსებული. მას მოჰყვებოდა სხვა დანარჩენი: „თეთრი დუქანი “, ყავახანა „საიათ-ნოვა“, საჩაიე „როდინა“, წასახემსებელი „ჰამლეტი“ და სხვა წვრილ-წვრილი, რომელთა ჩამოთვლა მადაღაღრულ მკითხველს შორს წაიყვანს და მთავარ სათქმელს მიავიწყებს.

მოკლედ, თბილისი შენდებოდა თუ მშვენდებოდა და, როგორც ქალაქში გავლით მყოფი სტუმრები აღნიშნავდნენ, ჯერ პირად საუბრებში, შემდეგ კი მოგონებებში, თბილისი ნელ-ნელა, თუმცა კი ჯიუტად, პარიზს ემსგავსებოდა.

პეტრე ევტუშევსკის პარიზი არ ენახა, ამიტომაც საქართველოს მთავარ ქალაქს, პატარა, ვიწრო ქუჩებითა, ამ ქუჩებში დატეული უამრავი უთქმელი საიდუმლოთი და ჭრელი მოსახლეობით, უფრო ლონდონის ერთ-ერთ უბანს, ისტ-ენდს ამსგავსებდა. სწერდა კიდეც ამის შესახებ თავის მასწავლებელს, ჯორჯ ებერლაინს, რომელთანაც მიმოწერა მას შემდეგ აღადგინა, რაც თბილისში რამდენიმე საზარელი მკვლელობა მოხდა, რომელთა ხელწერა ძალიან ჰგავდა ჯეკ მფატრავის, ევტუშევსკის თეორიის მიხედვით, სიკერტის დანაშაულთა ხელწერას, მითუმეტეს, რომ მხატვარი სიკერტი თბილისშიც გახლდათ ნამყოფი. ამის დასტურად ის ნახატიც გამოდგება, რომელიც სიკერტს თავად უჩუქებია ვაჭარ ასლან ჩარვადაროვისთვის. ეს ნახატი, „ჯეკ მფატრავის საძინებელი“, დღესაც ინახება ქალაქის მუზეუმში, ოღონდ თანდართულ ფირნიშზე სიკერტის გვარ-სახელის მაგივრად, უცნობი, უფრო სწორედ, ანონიმი ავტორი გახლავთ მინიშნებული. ისიც სათქმელია, რომ ორასი თუ მეტი წლის შემდეგ ამერიკელმა მკვლევარმა, პატრისია კორნუელმა, ხუთასგვერდიანი წიგნი მიუძღვნა ევტუშევსკის თეორიას, ებერლაინთან მიმოწერაც გამოიყენა და უოლტერ სიკერტის დანაშაული დაადასტურა, თუმცა ევტუშევსკის შესახებ სიტყვაც არ დასცდენია. ადვილად მისახვედრი და სრულიად გასაგები მიზეზების გამო, პეტრე ევტუშევსკის, არც მანამდე და არც შემდეგ, ამ გამოკვლევის შესახებ გაგონილიც კი არ ჰქონდა, ამიტომაც თავის საქმეს აკეთებდა და იმ ჩახლართულ თუ ნაკლებ ჩახლართულ დანაშაულს იძიებდა, რომელიც თბილისში დროდადრო მაინც ხდებოდა ხოლმე.

მართალია, თბილისის საპოლიცმეისტეროს სამძებრო ნაწილის გამგეს დაცვაც ეკუთვნოდა და გადაადგილების საშუალებაც, მაგრამ მაინც ფეხით სიარული ერჩია, მითუმეტეს, რომ პოლიციის შენობა ერევნის მოედანთან ახლოს, გოლოვინის პროსპექტზე იდგა და სასტუმრო „კავკაზიდან“ იქამდე მისვლას ფეხმარდი ადამიანი ათიოდე წუთს მოანდომებდა.

საიდუმლო შეხვედრიდან დაბრუნებულ პეტრე ევტუშევსკის ოთახში წესიერად ფეხი არც კი ჰქონდა შედგმული, რომ მაგიდაზე, რომელსაც ყოველთვის მოწესრიგებულსა და მოვლილს ტოვებდა, ტელეგრამას მოჰკრა თვალი. გამომძიებელმა შავი ფერის საკი მაგიდის კუთხეში ჩამოსდო და ქაღალდს დააცქერდა, რომლის წაკითხვასაც, ტექსტის სიმოკლის გამო, მხოლოდ რამდენიმე წამი დასჭირდა: მოკლულია საგურამოში ჭავჭავაძე. გაემგზავრეთ შემთხვევის ადგილას. პროკურორი ტკაჩოვი.

ძიებისთვის სამწუხაროდ თუ სავალალოდ გარდაცვლილი, იმ დროისთვის, სათათბიროს წევრად ირიცხებოდა, რაც მომხდარს სულ სხვა ელფერს სძენდა და დანაშაულის მარტოდმარტო კრიმინალურ ხასიათს ყველასთვის დაუჯერებელს ხდიდა.

პეტრე ევტუშევსკი საქმის გადადებას ჩვეული არ იყო, ამიტომაც თანამგზავრი, აბელ იაშვილი, გაიყოლა და დაუყოვნებლივ გაემართა შემთხვევის ადგილისკენ, როგორც მითითებული იყო კიდეც ხსენებულ დეპეშაში.

აბელ იაშვილმა ამ ბოლო დროს პოლიციასთან თანამშრომლობას მოუხშირა. იაშვილი არც აგენტი გახლდათ და არც ინფორმატორი, ექიმი იყო და პროფესიულ მოვალეობას ასრულებდა. გვამებს კვეთდა, ჭრილობის სიგრძესა თუ სიღრმეს აზუსტებდა, მკვლელობის იარაღს ადგენდა და გარდაცვალების მიზეზს, თითქმის ყოველთვის, უტყუარად აღნიშნავდა ოფიციალურ დოკუმენტში. გარდა კერძო პრაქტიკისა, რომელსაც იაშვილი თბილისსა და მის შემოგარენში ეწეოდა, დასტაქარს სხვა ინტერესიც გააჩნდა, იგი იყო ცნობილი შემკრები ხალხური წამლებისა, წიგნიც გამოუცია სათაურით: „სახალხო მედიცინა ამიერკავკასიის მხარეში “, რაც მთავარია, ეს მისი გატაცება მთავარ საქმეს ხელს არ უშლიდა და, მიუხედავად დროის გამუდმებული ნაკლებობისა, წამოწყებული კვლევა ყოველთვის ბოლომდე მიჰყავდა.

პეტრე ევტუშევსკის უყვარდა, უფრო მართებული იქნება, უადვილდებოდა აბელ იაშვილთან მუშაობა. სხვა ბევრ თვისებასთან ერთად, ექიმს ორი უმთავრესიც გააჩნდა, მოკლე ენა და თავშეკავება, რაც ასეთ დროს, იგულისხმება მკვლელობა, სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენდა. ამას ისიც ემატებოდა, რომ იაშვილი ქართველებს კარგად იცნობდა და, საჭირო დროს, სასარგებლო რჩევის მოცემაც შეეძლო, ხოლო, ხშირ შემთხვევაში, დაკითხვისას თარჯიმნის მოვალეობასაც ასრულებდა, რაც რუსი მაძებრისთვის, ქართველ ექიმს სრულიად შეუცვლელს ხდიდა. მოკლედ, ეს ყოველივე ძალიან ჩამოგავდა ბრიტანელი კონან დოილის უკვდავი წყვილის თავგადასავალს, რომლებიც, ჩვეულებრივ მოკვდავთაგან განსხვავებით, დღესაც ცოცხლები არიან.

რამდენიმე დეტალი და დანაშაულის ზოგადი სურათი გზაშივე გახდა ცნობილი, კერძოდ: მოუკლავთ თავადი

ჭავჭავაძე, მძიმედ დაუშავებიათ მისი მეუღლე, ოლღა, ასევე მოუკლავთ თავადის ერთგული ლაქია იაკობი, გადარჩენილა მხოლოდ მეეტლე თედო, რომელის გადარჩენაც, თავისთავად, შესაძლოა არაფერს ნიშნავდა, მაგრამ რამდენიმე კითხვის დასმის უფლებას მაინც აძლევდა პეტრე ევტუშევსკის.

გზაში სასაუბრო მიზეზიც მალევე გამოჩნდა.

პირველივე დღეს ხალხში ხმა გავარდა, რომ თავადი ჭავჭავაძე გამწარებულ გლეხებს მოუკლავთ, გადამეტებული სიმკაცრისა და მომეტებული უსამართლობის გამო. ამას დაემატა ისიც, რომ მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე, ნაძალადევში, საჯაროდ დაუწვავთ თავადის წიგნები, მოგვიანებით გაფიცულან მისივე კარ-მიდამოს მუშები და ეს ყოველივე მოუთავებია გაზეთ „მოგზაურში“ დაბეჭდილ კორესპონდენციას, რომელშიც დაინტერესებული მკითხველი შემდეგს ამოიკითხავდა: „საგურამოს სოფლები უკიდურეს გაჭირვებას ითმენენ მემამულეთაგან. ერთმა საგურამოელმა გლეხმა შემომჩივლა, ყველა გლეხი გაჭირვებულ მდგომარეობაში არის, მაგრამ ჩვენი შავბედი ენით გამოუთქმელია. ჩვენ თავადი ჭავჭავაძე ერთი საჟენი შეშის ბაჟათ თუმანს გვახდევინებს. თითო ხარის საბალახოთ წლიურად სამ მანეთს ვიხდით. რაც შეეხება პურის მოსავალს, ამისას ნურას მკითხამთ, შენი ჭირიმე, იმდენს გვახდევინებს, რომ სათესლე აღარ გვრჩება“... იქვე სხვა ბევრი რამეც ეწერა, თითქოსდა თავადს გლეხებისთვის წყალი არ მიუცია, ხოლო ვისთვისაც მიუცია, უკანასკნელი გროშები დაუყრევინებია და ამდაგვარი სხვა მრავალი. წერილის ავტორს გვარ-სახელის გათქმა ვეღარ გაუბედავს და კორესპონდენციაზე მხოლოდ ინიციალები, ვ და ნ, მიუწერია, თუმცა ძიებამ მოგვიანებით დაადგინა თუ ვინ იმალებოდა ანბანის ამ ორი ასოს უკან. ეს აღმოჩნდა ვინმე ვასილ ნაცვლიშვილი, რომელსაც ბევრ ადგილას უმუშავია, ბოლოს კი ავჭალის ქუჩაზე ღვინის სარდაფი გაუხსნია, სადაც ჟანდარმერიის დავალებით შემთვრალი სტუმრების თამამ საუბარს ყურს უგდებდა და აჭერინებდა. ასე მოქცევია ვაჟა-ფშაველასაც, რომელმაც ნაცვლიშვილის დაგებული ხაფანგის შესახებ არაფერი იცოდა.

აბელ იაშვილი, როგორც გონიერი ადამიანი, ჭორებს ყურს არ უგდებდა, მაგრამ ვერც ქართველ გლეხებზე დადებდა თავს, მითუმეტეს, რომ ქართველებს, მათ შორის გლეხებსაც, ჩვევად ჰქონდათ გამორჩეული ადამიანის დაკორტნა, თუმცა ქართველ იაშვილს, რუსი ევტუშევსკისთვის მშობლიური ერის ამ თვისებაზე არაფერი დასცდენია, მითუმეტეს, რომ დარწმუნებული გახლდათ, გლეხების გამოკითხვა ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენდა და ამ ვერსიას ძიების დასაწყისშივე გააქარწყლებდა.

საგურამოში ჩასულ მგზავრებს სახლის ბინადარნი ისე დახვდნენ, როგორც უნდა დახვედროდნენ — დაბნეულები, შეშინებულები, გაურკვეველ მდგომარეობაში მყოფნი მთვარეულებივით დაბორიალობდნენ მთელს ტერიტორიაზე და ერთმანეთს ხმას არ სცემდნენ.

აბელ იაშვილი, როგორც ჩვეული იყო, საქმეს გადაუდებლად შეუდგა, მითუმეტეს, რომ გამოცდილება ჰკარნახობდა, ასეთ დროს ყოველ წუთს ოქროს ფასი ედო და დაკარგულის თუ გაცდენილის აღდგენა სრულიად შეუძლებელ საქმეს წარმოადგენდა.

გაკვეთას, გამომძიებელთან ერთად, ესწრებოდა თავად ჭავჭავაძის მეფუტკრე, დანიელ მასლოვი, რომელსაც, სხვებისგან განსხვავებით, მიცვალებულის არ ეშინოდა და საკმაოდ მარჯვედ ეხმარებოდა აბელ იაშვილს. გაკვეთის შედეგად, რა თქმა უნდა, გულიშემძრავი დეტალების გამოტოვებით, დადგინდა შემდეგი: „თავად ჭავჭავაძის სხეულზე სამი ჭრილობაა. ერთი ნატყვიარი, გამჭოლი, მკერდზე გავლით. ჭრილობის არხსა აქვს მიმართულება წინიდან უკან და მარჯვნიდან – მარცხნივ. ნასროლია წინიდან, სიკვდილი გამოწვეულია ამ ჭრილობით. ორი ჭრილობა შუბლის ძვლის უთმო ნაწილზე მიყენებულია ბლაგვი იარაღით. ერთი განეკუთვნება მძიმე, სიცოცხლისთვის სახიფათო დაზიანებათა რიცხვს, მეორე ჭრილობა უნდა მიეკუთვნებოდეს მსუბუქ დაზიანებათა ჯგუფს.

თავად ჭავჭავაძესთან ერთად მოკლული მსახურის, თარაშვილის სხეულიდან ამოღებული ტყვია სიდიდით უახლოვდება თავადის სხეულიდან ამოღებულ ტყვიას, ხოლო ნატყვიარი ჭრილობების ხვრელები ორივეს ერთნაირი აქვთ. იაკობ თარაშვილს აქვს ორი ნატყვიარი და ოცდაერთი ნასაფანტარი ჭრილობა. ეს უკანასკნელი მიყენებულია პირდაპირ, მიჯრით გასროლით, რასაც ვერ ვიტყვით ნატყვიარებზე“.

ბევრი ფიქრი აღარ უნდოდა, ძიებისგან შორს მდგარი ადამიანიც ადვილად მიხვდებოდა, რომ ორივენი, თავადიცა და მსახურიც, ერთი და იგივე იარაღით იყვნენ დახოცილები. სრულიად ადვილად მოხვდა ამას პეტრე ევტუშევსკიც და ისიც ჩაინიშნა, რომ თარაშვილს საფანტი მოგვიანებით ჰქონდა დახლილი კვალის ასარევად თუ ძიების მცდარ გზაზე დასაყენებლად. რა თქმა უნდა, ბევრ რამეზე პასუხის გაცემა თავადის მეუღლეს შეეძლო, რომელიც სრულიად შემთხვევით, ძლიერი ჯანმრთელობის წყალობით გადაურჩა სიკვდილს, მაგრამ ამჟამად იგი მიხეილის სახელობის საავადმყოფოში იმყოფებოდა და უმცროსი ორდინატორი, მიხეილ კამოტი ქალბატონის ტანჯვის შემსუბუქებას ცდილობდა.

სტატსკი სოვეტნიკი, თავადი ზაალ ჭავჭავაძე, მცხოვრები ქალაქ თბილისში, ანდრეევის ქუჩაზე, ზუგდიდის მაზრის მომრიგებელი შუამავალი, ასე გაეცნო გამომძიებელს სამოცდათორმეტი წლის მოხუცი, რომელიც, ადვილი მისახვედრია, რომ გარდაცვლილის ნათესავი უნდა ყოფილიყო. მოხუცთან საუბარი დროის გარდა უსაზღვრო მოთმინებასაც მოითხოვს. ძიებისთვის საბედნიეროდ და დამნაშავეთათვის საუბედუროდ ევტუშევსკის თავშეკავება იმაზე მეტი აღმოაჩნდა, ვიდრე საჭირო იყო. ზაალ ჭავჭავაძე, სხვა არასაჭირო რამესთან ერთად, ბევრ საინტერესო ინფორმაციასაც აწვდიდა ძიებას. სწორედ მისგან შეიქნა ცნობილი დოკუმენტებით სავსე საკვოიაჟის, იგივე საკის ისტორია და მუქარით აღსავსე წერილების ამბავი.

– მაინც რა უნდა ყოფილიყო იმ ჩანთაში? – იკითხა პეტრე ევტუშევსკიმ და ის უბის წიგნაკი მოიმარჯვა, რომელიც ჯერ კიდევ ინგლისიდან ჩამოყვა და რომელშიც, ასეთ დროს საინტერესო რაღაც-რაღაცეებს ინიშნავდა ხოლმე.

– საბუთები, მგონი რაღაც მოხსენება, მოხსენებას ვინღა ჩივის, არაფერი შეარჩინეს გარდაცვლილს, ყველაფერი წაჰგლიჯეს, ფული, საათი, პენსნე და, თქვენ წარმოიდგინეთ, ჩექმებიც კი, სიკვდილის პირას მისული კნეინაც არ დაინდეს, უგონო მდგომარეობაში მყოფ ქალს საყურეები აართვეს. – აღშფოთებას ვერ მალავდა ზაალი და კიდევ კარგა ხანს ისაუბრებდა, გამომძიებელი რომ არ ჩარეულიყო.

– მითუმეტეს რაში სჭირდებოდათ მძარცველებს საბუთებით სავსე საკი, რა ხეირი ექნებოდათ ამ ქაღალდებისგან? – ძნელი სათქმელია, ვის ეკითხებოდა გამომძიებელი, საკუთარ თავს თუ მის წინ მჯდარ მოხუცს, ევტუშევსკის ტონალობიდან გამომდინარე ამის თქმა საკმაოდ ძნელი გახლდათ, მაგრამ იმის გამო, რომ ოთახში მათ მეტი არავინ იმყოფებოდა, თავადმა ჩათვალა, რომ დასმული შეკითხვისთვის მას უნდა ეპასუხა.

– მაგ დოკუმენტების ამბავი ნოდარ წინამძღვრიშვილს უფრო ეცოდინება, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლს, სწორედ მასთან მიემგზავრებოდა თავადი.

– მაშ, თქვენი აზრით, გლეხების ჩადენილი არ უნდა იყოს ეს დანაშაული?

– სხვა ხალხი უნდა იყოს გარეული, ეშინოდა კიდეც, მაგრამ არ ტყდებოდა, ბოლო დროს ბაღშიც აღარ გადიოდა, იარაღს ატარებდა და მეც მომიტანა, მოსე მემარნიშვილის მკვლელობის შემდეგ მამულში სტრაჟნიკები ჩააყენეს, სამწუხაროდ, ვერც ამან უშველა.

ევტუშევსკის ზედმეტი კითხვა აღარ დაუსვამს, მითუმეტეს, რომ ამ საქმეს კარგად იცნობდა, მიუხედავად იმისა, რომ ძიებაში თავად არ მონაწილეობდა. მართალია, ზაალ ჭავჭავაძემ გლეხების მონაწილეობა ამ დანაშაულში კატეგორიულად გამორიცხა, მაგრამ ევტუშევსკიმ მაინც გადაწყვიტა, რამდენიმეს დაკითხვა საქმეს არ წაახდენდა.

ამირხანაშვილი კოლა, სოსანას ძე, ოცი წლის, სოფელი გალავანი: თავადი ყველასთვის საყვარელი ადამიანი იყო. არც სიცოცხლის დროს და არც მისი მოკვლის შემდეგ მე არასდროს ერთი სიტყვაც არ გამიგია მის საწინააღმდეგოთ, პირიქით, ყველა კმაყოფილი და მადლიერი იყი მისი.

მოძმანაშვილი ნუშა, სანდროს ასული, ორმოცდაშვიდი წლის, სოფელი არაშენდა: ჩვენი კუთხის ხალხი დიდად აფასებდა თავად ჭავჭავაძეს და გულწრფელად უყვარდა ის, როგორც მათი მფარველი და დამხმარე.

ლაბაური გაბო, სვიმონის ძე, ოცდაათი წლის, სოფელი საგურამო: მამაჩემის სიკვდილის შემდეგ თავადის მოურავმა, მოსე მემარნიშვილმა, ჩვენი კუთვნილი მიწები ჩამიგვართვა და თავის ნათესავს, სიმონ მოძღვრიშვილს გადასცა. წავედი თავადთან სათხოვნელად, მოვუყევი როგორ წაგვართვა მოსემ მიწები და გადასცა თავის ნათესავს. თავადმა დაუძახა მოურავს და უთხრა, როდის დაგავალე, საწყალ კაცს ჩამოართვი მიწები და შეძლებულს მიეციო. მოურავმა ვეღარაფერი თქვა, მიწები მალე დაგვიბრუნდა.

დაახლოებით ამას ადასტურებდნენ გლეხები, ნაგლაძე სანდრო, ყელაურიძე ალექსანდრე, მოძმანაშვილი მიხეილი, სისაური ბასილა, მჭედლიშვილი მიხეილი, ბიჩნიგაური გორა, ჭინჭარაული ვასილი, ისმელაშვილი ვასილი და სხვა მრავალი, რომელთა ჩვენებანი, პედანტურად, ჩვეული სიზუსტით აღწერა და შეიტანა კიდეც ევტუშევსკიმ საკუთარ დავთარში, რომელსაც პოლიციაში დღემდე საქმეს ეძახიან.

ჯერი სტრაჟნიკებზე მიდგა.

საინტერესო კაცი აღმოჩნდა დაცვის ურიადნიკი ვასილ ემეცი. ნასწავლი, წიგნიერი, გონებაგახსნილი, გასაკვირიც კი იყო დაცვის სამსახურში მისი განწესება, სადაც, ძირითადად, საშუალოზე დაბალი შესაძლებლობების ადამიანები ხვდებოდნენ ხოლმე, ასე რომ, ემეცის კარიერის უკან რაღაც საიდუმლო იმალებოდა, რასაც მისი სევდიანი გამოხედვა და გულჩათხრობილი ხასიათიც ადასტურებდა.

უცხო ენის ცოდნას რა სჯობს, ყველამ იცის და ჩამოთვლაც არ ღირს იმ უპირატესობების შესახებ, რაც ამ საქმეს ახლავს თან, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში, ეს ცოდნა გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს და ისტორიის შეცვლას თუ ვერ შეძლებს, ამბის გარკვევაში მაინც დაეხმარება ადამიანს. ეს სწორედ ის შემთხვევა გახლდათ, რადგან უკრაინელმა ვასილ ემეცმა, საკუთარი ნიჭის წყალობით, ქართული ენა კარგად შეისწავლა, რაც პეტრე ევტუშევსკისთვის სასიამოვნო მოულოდნელობა აღმოჩნდა.

ძნელი წარმოსადგენია, რომ ურიადნიკს, საკუთარი თანამდებობიდან გამომდინარე, რამე დაემალა ან დავიწყებოდა, ამიტომაც ყოველივე, რაც საკუთარი თვალით ნახა, იგრძნო თუ ყური მოკრა, ევტუშევსკის დაუფარავად უამბო. იმ დღეს, რა თქმა უნდა, იგულისხმება მკვლელობის დღე, ემეცს სტრაჟნიკთან ერთად თბილისში წამოსვლა გადაუწყვეტია. ეს გაუგია ჯაშს, თავადის ახალ მოურავს და ისიც ადევნებია პოლიციელებს, ყოველივე კი გახშირებული ყაჩაღობითა და მგზავრობის შიშით გაუმართლებია. ემეცი დათანხმდა, თუმცა მოურავი აბარგებას არ ჩქარობდა და წასვლას აგვიანებდა. ასე გასულა ოცი თუ ორმოცი წუთი, ეს მეფუტკრე მასლოვსაც შეუმჩნევია და ხეზე ასულ ჯაშისთვის, რომელიც რატომღაც კაკალს ამგვარი უცნაური ხერხით კრეფდა, დაუძახია თუ დაუჩქარებია. მხოლოდ ამის შემდეგ იკადრა მოურავმა ხიდან ჩამოსვლა და სტრაჟნიკებს აედევნა. გზაში მხოლოდ ჯაში საუბრობდა, თავად ჭავჭავაძეს ახსენებდა და სულ იმას გაიძახოდა, საცაა თავადის ეტლი გამოჩნდებაო. ტყიდან გამოვედით თუ არა ეტლიც გამოჩნდა. ახლოს მივედით, ჩვენს თვალწინ საზარელი სურათი გადაიშალა: ეტლს მიყუდებული ცოცხალ-მკვდარი კნეინა ოდნავ არხევდა სხეულს, სახე ჰქონდა დასისხლიანებული, მის გვერდით, გზაზე, პირაღმა იწვა თავადი, მთლად დასისხლიანებული სახით, არც ირხეოდა და აღარც სუნთქავდა, ოციოდე ნაბიჯის მოშორებით, ბუჩქებში წავაწყდით ლაქია იაკობის გვამს, სამივე მსხვერპლს ეტყობოდა გაძარცვის კვალი, ყველაფერი, რაც გააჩნდათ, წაღებული დაგვხვდა. ამ დროს გამოჩნდა მეეტლე თედო, რომელიც ყაჩაღებს რატომღაც ცოცხალი დაუტოვებიათ. მეეტლე არეულად ყვებოდა თავდასხმის ამბავს, ერეოდა ყაჩაღთა რაოდენობა, ხან ოთხს ასახელებდა, ხან შვიდს, ხან რუსებად მოიხსენიებდა, ხანაც

სომხებად, თუმცა ერთი რამ არასოდეს ავიწყდებოდა და გამუდმებით იმეორებდა, თავში ჩამცხეს, კოფოდან ჩამოვვარდი და ბუჩქებისკენ გავიქეციო. ასეთი ქცევა ურიადნიკს უჩვეულოდ მიუჩნევია, მაგრამ მეეტლესთან ხანგრძლივი საუბრის დრო აღარ ჰქონდა, რადგან ტყეღრეში ყაჩაღების ძებნას შედგომია, თუმცა კი უშედეგოდ. კიდევ უფრო უცნაურად გამოიყურებიდა მოურავის ქცევა. ჯაშს, სამწუხაროდ, წარმოდგენაც კი არ ჰქონდა ურიადნიკის ნიჭიერების შესახებ და არც იმის შესახებ იცოდა რამე, რომ ემეცი ქართულ ენას იმდენად კი ფლობდა, ჯაშის ნათქვამი კარგად გაეგო. მოურავს ჯერ თავადისთვის დაუხედავს, შემდეგ კნეინასთვის და ასეთი რამ ამოუთქვამს: „მადლობა ღმერთს, რომ ესეც მოკლეს“, რა თქმა უნდა, ეს სიტყვები თედოს გასაგონად იყო ნათქვამი, რადგან ერთადერთი ქართველი იმ დროსა და იმ ადგილას, მოურავს თუ არ ჩავთვლით, მეეტლე თედო გახლდათ.

სხვა გამომძიებელი, იგულისხმება ევტუშევსკის რომელიმე კოლეგა, ურიადნიკის ჩვენების შემდეგ წამსვე დააპატიმრებდა ჯაშსა და ლაბაურს, ნესტიან საკანში უკრავდა თავს და შესაძლოა საქმე გახსნილადაც გამოეცხადებინა, მაგრამ პეტრე ევტუშევსკი ევროპაში, კერძოდ კი ინგლისში განსწავლული გახლდათ და ყველაფერთან საკუთარი მიდგომა ჰქონდა, მეთოდს რომ ეძახიან, სწორედ ისეთი, რომელსაც დღემდე წარმატებით იყენებდა. ამგვარი ხერხით ორივე ეჭვმიტანილი, გარკვეულ დრომდე, თავს უზრუნველად გრძნობდა, სიტყვა-პასუხს სწონიდა, დაკითხვისთვის ემზადებოდა და ერთმანეთთან მოლაპარაკებისა თუ შეხვედრის საშუალებასაც იყენებდა, რა თქმა უნდა, ეს ყოველივე პოლიციელთა თვალთვალის ქვეშ მიმდინარეობდა, რის შესახებ ეჭვმიტანილებს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ. დღე დღეს მისდევდა, ევტუშევსკი ჯაშისა და ლაბაურის გამოტეხვას არ ჩქარობდა. ამის შემდეგ იწყებოდა ნერვიულობა, უნდობლობა ერთმანეთის მიმართ და შეცდომას შეცდომა მოსდევდა, ასე რომ, მოურავისა და მეეტლის ალაპარაკება მხოლოდ და მხოლოდ დროის საქმე იყო. გამოცდილ გამომძიებელს სხვა რამ უფრო აინტერესებდა, კერძოდ, ჭავჭავაძის საკის, იგივე საკვოიაჟისა და მასში მოთავსებული დოკუმენტების ბედ-იღბალი, რადგან გუმანით, ანუ გამოცდილებით გრძნობდა, რომ ძაღლის თავი სწორედ აქ უნდა ყოფილიყო დამარხული.

ეს საჩოთირო საქმე აბელ იაშვილს უნდა მოეგვარებინა. რაც უნდა იყოს, ნოდარ წინამძღვრიშვილი თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი გახლდათ და მისი განაწყენება არც ძიებას წაადგებოდა და არც პეტრე ევტუშევსკის კარიერას, მეგობრული საუბარი კი, რაც ხსენებულ შემთხვევაში, ანუ ძიების დროს, იგივე დაკითხვას ნიშნავდა, ოღონდ ოფიციალური ქაღალდის გარეშე, ამ უხერხულობას ოდნავ მაინც გააქარწყლებდა, მითუმეტეს, რომ ექიმი წინამძღვრიშვილს კარგად იცნობდა, მასთან სახლშიც იყო ნამყოფი და რამდენჯერმე დაეხმარა კიდეც, როდესაც წინამძღოლის მსუნაგმა მწევარმა მოზრდილ ძვალს ვერაფერი მოუხერხა, ვეღარ ამოისუნთქა და, რომ არა იაშვილი, ვინ იცის, იქნებ ვეღარასოდეს ენადირა კიდეც.

აბელ იაშვილი იმ თაობის ადამიანებს ეკუთვნოდა, რომლებსაც ავლაბრის მიწურებიც კარგად ახსოვდა და ის უკაზიც, რომლითაც, მთელ თბილისში, ამ მიწურების მშენებლობა აიკრძალა. ქალაქი შენდებოდა, მშვენდებოდა და მის მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებს ორსართულიანი თუ მეტი, ქვის შენობები ემატებოდა. მირზოევის სახლი, რომელიც სასამართლოსა და დავიდოვის ქუჩის კუთხეში იდგა, ანდა შტაბის შენობა, სომხური სასწავლებელი, თბილისის გიმნაზია, რაც იმას ადასტურებდა, რომ თბილისი ევროპის ფეხისხმას თუ არა, სუნთქვას მაინც გახლდათ აყოლილი.

თბილისის გუბერნიის თავადადაზნაურთა წინამძღოლს, ნოდარ წინამძღვრიშვილს ერთ-ერთი ასეთი შენობა ეკავა მიხეილის ქუჩაზე. სახლი თათუგა პერსეგოვს აუშენებია, რამდენიმე წელი უცხოვრია და ასატურ ნარინოვისთვის მიუყიდია. ასატურას თამაში ყვარებია, ყომარი და მისთანები, ამასვე დაუღუპავს, მევალეებს უჩივლიათ, სასამართლოს აღმასრულებელი გამოუგზავნია და ასატურას საცხოვრებელი, ავეჯიანად, აუქციონზე გაუტანია, სწორედ აქ შეუძენია იგი არუტუნ აკოფოვს, მეუღლესთან, ნატალია ასტვაცატუროვასთან ერთად, ცოტა რამ შეუკეთებია და საცხოვრებლადაც გადასულა. ოჯახური ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა, არუთინი ყველასთვის მოულოდნელად გარდაცვლილა და მარჩენალის გარეშე დარჩენილ ქვრივს სახლის გაყიდვა განუზრახავს. ვაჭრობამ რამდენიმე თვეს გასტანა. ასტვაცატუროვა, როგორც თავისი ერის ღირსეული წარმომადგენელი, გასაყიდ ფასს კაპიკს არ უკლებდა და საკუთარ სიტყვაზე მყარად იდგა. სწორედ ამ დროს გამოჩენილა ქართველ თავადაზნაურთა ამხანაგობა, რომელსაც ქვრივთან საერთო ენა გამოუნახავს და სახლი საკუთარი მიზნებისთვის შეუძენია. ასე რომ, ნოდარ წინამძღვრიშვილს ეს შენობა დროებით ჰქონდა დაკავებული, თუმცა საცხოვრებლადაც იყენებდა, მაგრამ, ამავე დროს, საქმიან შეხვედრებსაც მართავდა ორსართულიანი სახლის გალერეაში, რომელიც, იმდროინდელი თბილისისთვის, აუტანელი სიცხისგან თავის დასაცავად ერთადერთი და უღალატო თავშესაფარი გახლდათ.

წინამძღოლს დარდისა და უძილობის კვალი დატყობოდა.

– თქვენთან ყოფილა გამგზავრებამდე. – შებედა აბელ იაშვილმა.

– საქმეს ვინ იძიებს? – კითხვა შეუბრუნა წინამძღოლმა.

– პეტრე ევტუშევსკი. – სიამაყით აღნიშნა ექიმმა.

– ბრძანდებოდა. – ამოთქვა წინამძღოლმა და ეს პასუხი იმის დასტური გახლდათ, რომ წინამძღვრიშვილი მაძებრის გვარ-სახელით კმაყოფილი ჩანდა და გამოძიებას ყველაფერს თუ არა, თითქმის ყველაფერს ეტყოდა. – საქმეზე იყო ჩამოსული.

– რამე თუ ჰქონდა თან?

– შავი ფერის საკი. – დააზუსტა წინამძღვრიშვილმა.

– რაზე ისაუბრეთ, თუ საიდუმლო არ არის?

– დასამალი რა მაქვს, ქვეყანამ იცის, მოხსენება ჰქონდა ჩამოტანილი, სიკვდილით დასჯის გაუქმებას ითხოვდა.

თავადაზნაურთა წინამძღოლი არ ცრუობდა. იმ დროისთვის, თავადი ჭავჭავაძე უკვე იყო სახელმწიფო საბჭოს წევრი, როგორც ქართული თავადაზნაურობის რჩეული. ექიმობის მიუხედავად, აბელ იაშვილი განათლებულ ადამიანად ითვლებოდა, თანამედროვე ცხოვრების რიტმსაც უწყობდა ფეხს და პოლიტიკაშიც კარგად ერკვეოდა, ასე რომ, იმდროინდელი ცხოვრების შესახებ, შეიძლება ითქვას, ყველაფერი იცოდა. კერძოდ, კარგად ჰქონდა შესწავლილი სათათბიროსა თუ სახელმწიფო საბჭოს ძველი და ახალი ამბები, თუმცა ეს მხოლოდ ექიმის მომეტებული ინტერესის გამო არ მომხდარა. აბელ იაშვილი შესაბამისი ასაკის დადგომისა და პრაქტიკის დასრულების შემდეგ პოლიტიკაში გადაბარგებას აპირებდა, გულის სიღრმეში კი, ბედის სასიკეთოდ შემოტრიალების შემთხვევაში, სათათბიროსა თუ სახელნწიფო საბჭოს წევრობას ლამობდა, რომელიც იმდროისთვის, დანიშნულთა და ამორჩეულთა ერთიანობით, ორას სამოცდაათი წევრისგან შედგებოდა. ვის არ წააწყდებიდით ამ თავყრილობაში: გრაფებს, სტატსკი სოვეტნიკებს, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკებს, გენერლებს, დიპლომატებს, იურისტებს, კრიმინალისტებს, იურისტ-კრიმინალისტებს და, თქვენ წარმოიდგინეთ, კომპოზიტორსაც კი, გვარად ტანეევს. ასევე ჭრელი იყო მათი ეროვნული კუთვნილებაც: რუსები, გერმანელები, პოლონელები, ლატვიელები, ესტონელი, სომეხი და ერთი გარუსებული ჩვენი ერის შვილი, გოფმაისტერი, ნიკოლაი ნიკოლაევიჩ ჩოლოკაევი, ხოლო რაც შეეხება პარტიების რაოდენობას, ამაში გარკვევა პოლიტიკურად განსწავლული აბელ იაშვილისთვისაც სრულიად შეუძლებელ საქმეს წარმოადგენდა. სახელმწიფო საბჭოში, თავად ჭავჭავაძის გარდა, სხვა ქართველებიც ყოფილან. თბილისის გუბერნიიდან — ნოე ჟორდანია, ოსიკო ბარათაშვილი და სვიმონ წერეთელი, ქუთაისის გუბერნიიდან — ივანე გომართელი, სერგი ჯაფარიძე და ისიდორე რამიშვილი, ბათუმის ოლქიდან — გენერალი პროკოფი შერვაშიძე. სწორედ ამ ჭრელ აბანოში უნდა წაეკითხა თავად ჭავჭავაძეს საკუთარი მოხსენება, რაც ძნელი წარმოსადგენი არ უნდა ყოფილიყო, თუ როგორ დამთავრდებოდა. თუმცა, ექიმის ღრმა რწმენით, თავად ჭავჭავაძის მკვლელობის მიზეზად ეს ამბავი არ გამოდგებოდა, რადგან საბჭოში სიკვდილით დასჯის გაუქმებას ღიად სხვა წევრებიც უჭერდნენ მხარს, რომელთა შორის არაქართველებიც იყვნენ, მაგალითად, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ვლადიმერ ვერნადსკი და ასევე პროფესორი, კრიმინალისტი ნიკოლოზ ტაგანცევი.

მიზეზი სხვაგან უნდა ეძებნათ.

– ჩემი აზრი აინტერესებდა, მოსმენა მთხოვა, ასე მითხრა: გუშინ დავასრულე ჩემი მოხსენება სიკვდილით დასჯის შესახებ, ამ დღეებში წავუკითხავ ჩვენს წრეს, მერმე კი – სახელმწიფო საბჭოს.

– მოუსმინეთ? - ჩაეძია ექიმი.

– რომ გაცოცხლდეს, არც მაშინ მოვუსმენ. – იფეთქა წინამძღვრიშვილმა. – მოწინააღმდეგე ვარ და იმიტომ.

– როგორ? – მეტი ვერაფერი მოახერხა დაბნეულმა ექიმმა.

– სიკვდილით დასჯა უნდა მოისპოს, მაგრამ ერთი რამ არ მომწონს, რაღა მაინცა და მაინც ქართველმა უნდა იკისროს სახელმწიფო საბჭოში ამ მოხსენების წაკითხვა?! განა იქ რუსები ცოტანი არიან, პროფესორები, მეცნიერები, რატომ ისინი არ იკისრებენ, დარწმუნებული ვარ, ასეთი დაუფიქრებულობით მთელ საქართველოს საქმეს გავაფუჭებთ, ისევ რუსმა წაიკითხოს.

ახლა ყველაფერი გასაგები გახდა, აბელ იაშვილს შერცხვა კიდეც, რომ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლის პატიოსნებასა თუ ქართველობაში უნებურად ეჭვი შეიტანა.

– ეს კიდევ არაფერი, სხვა მოხსენებაც ჰქონდა. – წინამძღვრიშვილი სტუმრისკენ გადაიხარა და ჩურჩულზე გადავიდა, რაც იმას მოასწავებდა, რომ წინამძღოლს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რამ, საიდუმლოს რომ ეძახიან, ისეთი უნდა ეთქვა. – საქართველოს ავტონომიას ითხოვდა, არც ამას მოვუსმინე, რადგან ვერაფერს მიაღწევდა, კარიერას კი საბოლოოდ დაისამარებდა, ვერაფერი შევასმინე, მაინც აპირებდა სიტყვით გამოსვლას

რაც წინამძღვრიშვილს საიდუმლო ეგონა, აბელ იაშვილისთვის კარგა ხანია ცნობილი იყო. საქართველოს უნდა წამოეყენებინა რუსეთის მთავრობის მიღებული, შემდეგ კი მის მიერვე დარღვეული მფარველობითი ტრაქტატის გადახედვის პირობები, რაც თავდაპირველად ფართო ავტონომიის მოთხოვნას გამოიწვევდა, მოგვიანებით კი მოიტანდა სრულ დამოუკიდებლობას. მისაწვდომი ჩანდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენაც, რაც მსოფლიო ეკლესიის სამართლებლივ ნორმებს ემყარებოდა.

ერთ-ერთ ასეთ საუბარს, სრულიად შემთხვევით, აბელ იაშვილიც შეესწრო. თუ როგორ მოხვდა ამ თავყრილობაზე ყველასთვის პატივსაცემი ექიმი, ძნელი სათქმელია. შეხვედრა სასტუმრო „ევროპის“ ცალკე ოთახში გამართულა, საბჭოში ამორჩეულ ყველა ქართველ დეპუტატს მოუყრია თავი, ნადიმს გრიგოლ დიასამიძე უძღვებოდა, სუფრის დანახარჯი, როგორც იმ დროს მიღებული იყო, დავით სარაჯიშვილს დაუფარავს.

ბევრი ილაპარაკეს. ქართული წესის თანახმად ერთმანეთი აქეს, დიასამიძეს უთქვამს თავადისთვის, შენ საპრეზიდენტო კაცი ხარო, რითაც სხვები გაუღიზიანებია და ჯერ არდაწყებული საუბარი თავიდანვე ჩიხში შესულა. ამ ამბით შეწუხებულმა დავით სარაჯიშვილმა შამპანური გახსნა. ისიდორე რამიშვილს ძალიან მოეწონა შუშხუნა სითხე, ცოტა იხუმრეს კიდეც, თითქმის ყველამ დალია და ნელ-ნელა საქმეც დაიძრა. პროფესორმა ცაგარელმა ლექცია წაიკითხა და საბოლოო აზრი გამოთქვა ავტონომიის შესახებ, თუმცა მისმა განმტკიცებულ რწმენაზე აშენებულმა სიტყვებმა ვერაფრით შეარყიეს ისიდორე და სხვა მისნაირები.

– ჩვენ ახლა ამ კითხვაზე სათათბიროში ლაპარაკი მეტად მიგვაჩნია, ჯერ სხვა საერთო კითხვებია გასარჩევი. – ყველას ამას პასუხობდა, წყნარად და აუღელვებლად.

ცაგარელმა დაამთავრა და რამიშვილმა დაიწყო, ახლა მისი ლექციის დრო დადგა. აბელ იაშვილი თვალს არ აცილებდა თავად ჭავჭავაძეს, რომელიც ისიდორეს ყველა სიტყვას საცერში ატარებდა და თავის იქ ყოფნას მხოლოდ იმით გასთქვამდა, რომ დროდადრო დარბაისლურად შეირხეოდა ხოლმე.

ისიდორე რამიშვილი საუბარს აგრძელებდა.

თავადმა ჭავჭავაძემ, ყველასგან მალულად, ისე რომ არავის გაეგო, რა თქმა უნდა, თუ არ ჩავთვლით სანდო ექიმს, დავით სარაჯიშვილს გადაულაპარაკა:

– მე მაგათ ვერსიას შევაცვლევინებ, რაც რამიშვილმა თქვა, ის მაგათი მტკიცე გადაწყვეტილებაა, ჩვენ სხვა რამ უნდა ვიფიქროთ, ფანატიკოსები არიან დალოცვილნი!

მოკლედ, ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

ნათელი გახდა, ყველაფრის გათვალისწინებით, იგულისხმება წინამძღვრიშვილისა და თავადის ახლანდელი საუბარი, ყოველივეს გაანალიზებით, გვახსენდება სარაჯიშვილისა და გარდაცვლილი ჭავჭავაძის გადალაპარაკება, ისე გამოდიოდა, რომ ჭავჭავაძე ამ მოხსენების გამო უნდა ყოფილიყო მოკლული, უფრო ზუსტად კი მისი დაწერისთვის, სულ მთლად ზუსტად კი მისი წაკითხვის ჩანაფიქრისთვის. რადგან თავადი ჭავჭავაძე, იმდროინდელ და ასევე დღევანდელ საქართველოში, ერთადერთი ადამიანი გახლდათ, ვისაც ამგვარი მოხსენების დაწერა, დასაბუთება, მოგვიანებით კი სხვებისთვის წაკითხვა-დარწმუნება შეეძლო, შეთქმულთა განზრახვა მთლად გაუგებარი აღარ უნდა გამხდარიყო, რადგან ძველადაც და ახლაც წინააღმდეგობის დაძლევის ეს უტყუარი საშუალება კარგად მოქმედებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოკამათესთან მოლაპარაკება სრულიად შეუძლებელ საქმეს წარმოადგენს.

მხატვარი მალხაზ იაშვილი

აბელ იაშვილი ექიმი იყო და, სხვებისგან განსხვავებით, კარგად ესმოდა, რომ მიცვალებული არსად გაიქცეოდა, ცოცხალ ადამიანს კი, დროდადრო მაინც, კვება და ენერგიისა თუ ძალის აღდგენა ესაჭიროებოდა. ევროპულად მოაზროვნეს სამოსიც ევროპული უყვარდა და საჭმელიც. ვისაც არ ახსოვს, ასეთები კი ბევრნი არიან, იმათ გასაგონად ითქმება, ეს ის დროა, როდესაც თბილისში ევროპული ყაიდის რესტორნები იხსნება და ამ რესტორნებში შეძლებულ მოქალაქეებს სრულიად განსხვავებული გემოვნების საკვების შეძენა შეუძლიათ, განსაკუთრებულ ინტერესს, შეგრძნებისა და უცნაური ფორმის წყალობით, იტალიური მაკარონი იწვევდა, რომლის გასასინჯად მისულ თბილისელებს ხშირად რიგშიც კი უწევდათ დგომა.

დავიწყების ხავსით იმოსებოდა ქართულ-სომხურ-თათრული, ერთ დროს ყველასთვის საყვარელი საჭმელები: ხაში, ბოზბაში, ყაურმა, დომხალი, სპასი, ყაიმაყი, ალვახაზი, ცინდალი, მახოხი, ბასილა, ქადა, შილაფლავი, აგანცი, ნაბათი, ფაშლიყი, შარბათსა და ღვინოს არაყი ცვლიდა, იკარგებოდა თამადა, ტულუმბაში და პირველი დარდიმანდი, აღარ ისმოდა ალავერდი და მისი აუცილებელი პასუხი, იახში იოლ, ყოველივე ეს მიწისქვეშეთში ინაცვლებდა და იქ იმალებოდა, რასაც დუქანი ერქვა.

სულ სხვა იყო ცხოვრება მიწის ზემოთ. რესტორნები „ანონა“, „იუჟანე“, „ვ საკოლნიკახ“, „სან-სუსი“, ევროპულად შემოსილი ოფიციანტებით, იგივე გარსონებით, სულ სხვა, ჯერ არნახულ კერძებს სთავაზობდნენ სახეშეცვლილი ქალაქის მაცხოვრებლებს.

აბელ იაშვილს, ყველაზე მეტად, „სან-სუსი“ იტაცებდა, რომელიც მოშორებით, მდინარის მეორე ნაპირზე იყო განთავსებული, მაგრამ რა მოსატანია მანძილი იმ სიამოვნებასთან, რაც მოშიებულ ადამიანს აღნიშნულ რესტორანში ელოდა.

გაბედული და ახალგაზრდა ადამიანი ფეხითაც გაუყვებოდა გზას, მაგრამ რესტორნის სიშორის გამო ექიმმა იმ ხუთას ოცი ფაიტონიდან ერთ-ერთის დაქირავება გადაწყვიტა, რომელიც იმდროინდელ თბილისში დაქროდა ხოლმე.

– გარეკე! – ბრძანება გასცა ექიმმა და მეეტლეს ის მისამართი მიუთითა, რომელიც მან აბელ იაშვილის დაუხმარებლადაც კარგად იცოდა.

ექიმს აქაც კარგად იცნობდნენ, ამიტომაც, მიუხედავად ხალხმრავლობისა, მისთვის ცარიელი მაგიდის გამონახვა მაინც მოხერხდა. მენიუს, ანუ საჭმელთა ფას – ჩამონათვალი საკმაოდ გრძლად გამოიყურებოდა:

მოსკოვის კატლეტები.
სევასტოპოლის კიბოები.
სხვადასხვა სალათები.
რუსული ბლინები.
ათასგვარი ხილი.
არაყი.
ღვინო.
შამპანური.

და რაც მთავარია, ყელის კოკლოზი, დახვეული მაკარონი პირდაპირ იტალიიდან. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ეს უცნაურად დაკლაკნილი კერძი გვარიანი ფასიც ღირდა. აქვე დღისით რუმინული ორკესტრი უკრავდა, საღამოს კი ორკესტრს ხმაურიანი ბოშები ცვლიდნენ.

თუკი საჭმელი გემრიელია, ხმაურიც არ გაწუხებს და მოსაუბრეც ხელს არ გიშლის, ფიქრს არაფერი სჯობს და, ძნელი სათქმელია, უფრო მეტ სიამოვნებას კერძის გემო ანიჭებს ადამიანს თუ ამ კერძის ჭამის დროს გონებაში მობრძანებულ საღ აზრთა რაოდენობა.

ეხლა სწორედ ის დრო იყო.

აბელ იაშვილი ჩაფიქრდა.

რა გამოდიოდა: თავადი ჭავჭავაძე თბილისს მიემგზავრება, თან, როგორც დადგინდა, ორი მოხსენება მიაქვს, გამგზავრების, და ასევე მოხსენების, შესახებ რამდენიმე კაცმა იცის, ზაალ ჭავჭავაძემ, რომელიც სათვალავში არ ჩაიგდება, გარდაცვლილის მეუღლემ, რომელზეც ეჭვის მიტანა ასევე შეუძლებელ საქმეს წარმოადგენს, მეეტლე ლაბაურმა და მოურავმა ჯაშმა, რომელთა საქციელი თუ საუბარი დაეჭვების საფუძველს ნამდვილად იძლევა. თუმცა რჩებოდა კიდევ ერთი შემსწრე ამ ყველაფრისა, რომელმაც სხვებივით ზუსტად იცოდა თავადის მოხსენებისა და გამგზავრების შესახებ, არეულ დროსა და ქართველების ხასიათს თუ გავითვალისწინებთ, შეთქმულებაში მონაწილეობა, თეორიულად, მასაც შეეძლო, მაგრამ ნოდარ წინამძღვრიშვილის განვლილი ცხოვრების გზა ამგვარი დაეჭვების საფუძველს ნამდვილად არ იძლეოდა, ასე რომ, უხერხულიც კი გახლდათ ამ საქმეში მისი გარევა, რაც აბელ იაშვილის კარიერასა თუ ოცნებას საბოლოოდ დაუსვამდა წერტილს და არც რუს მაძებარს დააყრიდა კარგ დღეს.

ეს, და სხვა ბევრი რამ, ექიმს არ დაუმალავს და საგურამოში დაბრუნებულმა ჩვეული პირდაპირობით მოახსენა თავის კოლეგას, რომელსაც, მიუხედავად სხვადასხვა პროფესიისა, ერთად გატარებული დროისა თუ გახსნილი საქმეების გამო, უკვე კარგა ხანია ასეთად თვლიდა.

დრო არც პეტრე ევტუშევსკის დაუკარგავს. მან უკვე იცოდა, რომ მოურავი ჯაში, წინა წლებში, პოლიციას რამდენჯერმე ჰყავდა დაკავებული პოლიტიკური საქმიანობისა და რამდენიმე წვრილმანი ქურდობის გამო, რაც გამოცდილი პოლიციელისთვის ბევრი რამის მანიშნებელი იყო. გაკვირვებას სხვა რამეც იწვევდა, როგორ უნდა მოხვედრილიყო ასეთი ბიოგრაფიისა თუ რეპუტაციის მქონე ადამიანი თავადის სახლში, მითუმეტეს, რომ ჯაშსს მოურავობის არც გამოცდილება ჰქონდა და არც მინის მოვლა-პატრონობის გაეგებოდა რაიმე. ევტუშევსკის სხვა ბევრი რამეც ჰქონდა შესწავლილი. კერძოდ, არ დაიზარა და, სხვა პოლიციელებისგან განსხვავებით, შემთხვევის ადგილი ყურადღებით დაათვალიერა, სქემაც ჩახატა და ჩანაწერებიც დაურთო: „სქემაზე გამოსახულია საგურამოში მიმავალი შარაგზის ხელმარჯვნივ ბუჩქებით დაფარული მთა, გზის ხელმარცხნივ მიმართულია დაღმართი, მოჩანს ორი სისხლის გუბე, ერთი ზედ გზაზე, თავადისა, მეორე უფრო მარცხნივ, ლაქია იაკობისა, ამ გუბეზე ყრია დამწვარი ასანთის ღერები და ათი ცალის შემცველი პაპიროსის კოლოფები“. არც ჯაში და არც, მითუმეტეს, წერაკითხვის უცოდინარი ლაბაური პაპიროსს არ ეწეოდნენ, ასევე არამწეველები იყვნენ სტრაჟნიკები და მათი მეთაური ემეცი, სავარაუდოდ, თამბაქო თუ მისი ნარჩენები ჩასაფრებული მკვლელის, ან მკვლელების კუთვნილება უნდა ყოფილიყო, რომლებიც, მათთან დაახლოებულ თანამზრახველებთან ერთად, მეეტლეს გამოჩენას მოუთმენლად და ნერვიულად ელოდნენ, ასე რომ, ჯაშისა და ლაბაურის დაკითხვა, როგორც პოლიციაში ამბობენ, მომწიფებულ საქმეს წარმოადგენდა.

დაკითხვას, როგორც მოსალოდნელი იყო, აბელ იაშვილიც დაესწრო.

მეეტლე ქართულად ნათარგმნ ყველა კითხვას ხელახლა იმეორებდა, პასუხს აჯანჯლებდა, მზერას მალავდა, თვალებს დაბლა და მარჯვნივ ხრიდა, მოკლედ, ისე იქცეოდა, როგორც მატყუარა ადამიანი.

– გამომძიებელი გეკითხება, როდის გამოხვედით თბილისიდანო? – იაშვილმა კითხვა გაიმეორა და მეეტლეს მიაჩერდა, რომელიც მუჭში მომწყვდეულ ქუდს ისე ებრძოდა, როგორც დაუნდობელ მტერს.

– ჩვენა? – ჩვეულ ხერხს მიმართა მეეტლემ.

– ჰო, თქვენა, თქვენა. – ლამის იყვირა ექიმმა.

– თერთმეტი საათი იქნებოდა, ნელა მოვდიოდით...

– როგორ ისხედით?

– ჩვენა? – ისევ იკითხა მეეტლემ, რომელსაც, თუ მისი ფეხათრეული პასუხებით ვიმსჯელებთ, ნებით თუ უნებლიეთ, საკუთარი მოკლე ჭკუით, ჩაფიქრებული ჰქონდა ექიმისა და გამომძიებლის წყობიდან გამოყვანა, რაც, ადვილი მისახვედრია, რომ უპირობოდ გამოიწვევდა დაკითხვის ჩაშლას, რითაც მეეტლე ლაბაური რამდენიმე დღეს თუ არა, რამდენიმე საათს მაინც მოიგებდა, ეს კი მას ახალი ტყუილის მოფიქრების საშუალებას მისცემდა. – ჩვენა, თქვენი ჭირიმე, როგორც გვეკუთვნოდა ისე ვიჯექით... კნეინა იჯდა მარცხნივ, თავადი მარჯვნივ...

– შენ სად იჯექი?

– მე?... სადაც მევალებოდა იქ, კოფოზე, იაკობიც ჩემთან იყო.

– იარაღი გქონდა?

– იარაღი?.. მეეტლეს იარაღი სად გაგონილა, შენი ჭირიმე, ლაქიას ჰქონდა, ერთი რევოლვერი და ერთი თოფი, ცენტროვკა.

– თოფი რაღად უნდოდა? – ჩაერთო ევტუშევსკი, რომლის სახის გამომეტყველებით თუ ვიმსჯელებთ, ამ ფაქტის გამო, ვგონებ, გარდაცვლილ იაკობის პატიოსნებაშიც შეჰქონდა ეჭვი.

– მებაღესთვის მიჰქონდა. – ეჭვები გაფანტა მეეტლემ და, ამავე დროს, თავად ვერაფერს მიხვდა.

– განაგრძე! – ბრძანება გასცა ევტუშევსკიმ, რომელიც საქმის დიდი ცოდნით წამსვე იქნა გადათარგმნილი, ექიმ-თარჯიმნის, აბელ იაშვილის მიერ.

– სახატეს გავუსწორდით და ბუჩქებიდან ოთხი კაცი გამოხტა, სტოიო, დამიძახეს. – დაიწყო დაზეპირებულის ჩამონათვალი თედო ლაბაურმა. – ეცვათ დიდი ჩექმები, თეთრი კიტელები ოფიცრის სამხრეებით, ეხურათ თეთრი ფაფახები, შავგვრემანები იყვნენ, ორს ჰქონდა წვერ-ულვაში, დანარჩენებს მხოლოდ ულვაში, სომხები იყვნენ...

– მაგას როგორღა მიხვდი?

– ლაპარაკით. – გაიკვირვა მეეტლემ და ოთახში მყოფ მამაკაცებს შეხედა, რომელთაგანაც ამდაგვარ მიუხვედრელობას ნამდვილად არ ელოდა.

– რა ენაზე ლაპარაკობდნენ?

– რუსულად...

– რუსული თუ იცი, რაღას გვაწვალებ, მასხრად გვიგდებ?! – გაბრაზდა აბელი და ევტუშევსკის გადახედა, რომელსაც ქართული გადალაპარაკების არაფერი ესმოდა.

– როგორ უნდა ვიცოდე, შენი ჭირიმე. – კითხვა დაუბრუნა მეეტლემ. – რუსულის არაფერი გამეგება, მაგრამ ხალხის გარჩევა კი შემიძლია ერთმანეთისგან.

– დაკვირვებული კაცი ჩანხარ, თედო, იარაღსაც ადვილად შეამჩნევდი. – დაუყვავა ეჭვმიტანილს აბელ იაშვილმა.

– დავინახე, აბა, როგორ ორს ბერდანკა ეჭირა, ერთს ცენტრალკა, ერთსაც კიდევ ფისტონიანი თავადმაც დაინახა იარაღი და აჩქარებაც ამიტომ მიბრძანა.

– მერე? რატომ არ გარეკე ცხენები?

– მინდოდა, როგორ არ მინდოდა, მაგრამ მარჯვენა განაპირა ცხენი სუსტი იყო, რამდენჯერ ვუთხარი თავადს, მოურავიც დამპირდა დახმარებას, დღე-დღეზე უნდა გამოეცვალათ, მაგრამ ვეღარ მოასწრეს, ეხლა ვინღა გამომიცვლის, ცხენი რომ ფეხმარდი ყოფილიყო, ეგ უბედურება არ დაგვემართებოდა. – მეეტლემ წაიტირა და დასველებული უპეები დაჭმუჭნული ქუდით შეიმშრალა, თუმცა ტანჯვით გადმოგდებულ ცრემლს დამსწრე საზოგადოებაზე არანაირი გავლენა არ მოუხდენია.

– კარგი, კარგი, ცხენების ამბავი მერე იყოს, სხვა რა მოხდა კიდევ?

– სუსტი ცხენი რომ იყო, იმიტომაც გადაგვასწრო იმ მეხუთემ...

– აკი ოთხნი იყვნენ? – შეახსენა ექიმმა.

– ის ოთხი თოფიანი იყო, მეხუთე კიდევ უთოფო. – არ დაიბნა ლაბაური. – მეხუთემ სტაცა ხელი სადავეს და ცხენი შეაჩერა, ეგრე მითხრა, შე მამაძაღლო, რატომ არ ჩერდები, როდესაც დაგიძახესო.

– მამაშვილურად კი დაუყვავებია. – თავი გააქნია იაშვილმა.

– რა მამაშვილურად, შენი ჭირიმე, ხელი მტაცა და კოფოდან ჩამომაგდო, დავეცი და თოფის ლულა გვერდში ჩამკრა. – თავი მოისაწყლა მეეტლემ.

– სხვები?

– დახოცეს და ეგ არის...

– ეგ ჩვენც ვიცით, შენ ის გვითხარი, როგორ დახოცეს. – აბელ იაშვილი ცრუპენტელა მეეტლეს უკან დასახევ გზას უვიწროვებდა.

– ერთი იაკობს გამოუდგა, დანარჩენები თავადს მივარდნენ, ასე ხუთი ნაბიჯის დაშორებით, ჯერ გვერდიდან ესროლეს, მერე წინიდან, თავადი მაშინვე გადმოვარდა ეტლიდან გზაზე, რადგან კნეინა ჯერ კიდევ ეტლში იჯდა, იმის შიშით რომ ცხენებს არ გაეტაცათ, ეტლს წინიდან შემოვურბინე და ხელი სადავეებს ვტაცე, ამ დროს კნეინასაც ხელი ჰკრეს და ეტლიდან ჩამოაგდეს, მეტი არაფერი დამინახავს, ცხენებს თავი მივანებე და ჩემთვის ვიდექი.

– გამომძიებელი გეკითხება, სულ რამდენჯერ გაისროლესო?

– ოთხჯერ... ერთხელ თავადს ესროლეს, სამჯერ კი იქით გაისროლეს, საითაც იაკობი გაიქცა.

– აკი თავადს ორჯერ ესროლესო? – ადრე ნათქვამი შეახსენა იაშვილმა.

– ერთი დააცილეს და, აბა, ეგ რა ჩასაგდებია სათვალავში.

– ხუთი ნაბიჯიდან დააცილეს? – ისევ შეახსენა იაშვილმა.

– მეც გამიკვირდა, შენი ჭირიმე

– რა წაიღეს თავდამსხმელებმა?

– პატარა ჩემოდანი გააყოლეს ხელს, თავადიც გაჩხრიკეს, ღმერთი მაგათ როგორ გაახარებს.

– ეხლა არ თქვი, არაფერი დამინახავსო? – არ მოეშვა იაშვილი.

– ეგ მერე დავინახე, ეტლს რომ გაცილდნენ. – თავი იმართლა მეეტლემ.

– ერთი ეს მითხარი, ყველა გაიმეტეს და რაღა შენ დაგინდეს? – იკითხა იაშვილმა იმის იმედით, რომ ამჯერად მაინც დააბნევდა ლაბაურს, მაგრამ ექიმის გასაოცრად მეეტლემ საოცარი ბუნებრივი გამჭრიახობა გამოავლინა და ექიმს იმგვარი პასუხი გასცა, რომელიც სულ მთლად თუ არა, ნაწილობრივ მაინც ამართლებდა მის ცოცხლად გადარჩენას.

– გაჭირვებულ ადამიანთან ყაჩაღს რა ხელი აქვს, ჩემი მოკვლით რა ხეირი ექნებოდათ

– შენი ლაპარაკით ისე გამოდის, რომ ლაქია იაკობი არც გაჭირვებული ყოფილა და მისი მოკვლით ხეირიც უნახავთ?

– იყო, განა არ იყო, მაგრამ ჩემსავით ღატაკი და ღვთის ანაბარა მიტოვებული არ ყოფილა, ხანდახან თავადიც ეხმარებოდა და კნეინაც ხელს უმართავდა. – მეეტლეს სახე ეცვალა და მის თვალებში შურისა და, როგორც ამ დროს ხდება ხოლმე, ბოროტების ნაპერწკალმა იელვა.

– მაშ კოფოდან ჩამოგაგდეს? – იკითხა იაშვილმა, რომელმაც მეეტლეს სახეცვლილება წამსვე შენიშნა და რომელსაც გვარიანად მობეზრდა ლაბაურის ტყუილები, ამიტომაც გადაწყვიტა ერთი ხელის დაკვრით დაესრულებინა ეს კატა-თაგვობანა და ორპირი მეეტლე, ყოველგვარი დარდის გარეშე იქით გაეშვა, საითკენაც გამგზავრებას ულაპარაკოდ იმსახურებდა.

– ეგრე იყო. – ამოიოხრა ტკივილისგან შეწუხებულმა მეეტლემ.

– პერანგი აიწიე. – მტკიცედ განაცხადა ევტუშევსკიმ, რომელსაც ეტლის კოფოსა და მიწას შორის თითქმის ორმეტრიანი მანძილი უკვე გაზომილი ჰქონდა და იმაშიც დარწმუნებული გახლდათ, რომ ამ სიმაღლიდან ძალით ჩამოგდებული ადამიანი რამეს თუ არ მოიტეხდა, დაიზიანებდა მაინც.

– რაო? – დაინტერესდა ლაბაური, რომელსაც დაკითხვა დასრულებული ეგონა და ექიმისა თუ გამომძიებლის დაგებულ ხაფანგს აღარ ელოდა.

– პერანგი აიწიე, ვნახოთ, რამე ხომ არ დაგიზიანეს ავაზაკებმა. – დაამშვიდა ექიმმა.

თედო ლაბაური წამოდგა, გაზინტლული პერანგი ზევით ასწია და ბანჯგვლიანი მუცელი გამოაჩინა.

– ზურგი გვაჩვენე!

განწირული მეეტლე დაემორჩილა, შეტრიალდა და ოთახში მყოფთ ასევე ბანჯგვლიანი ზურგი მიუშვირა.

მამაკაცებმა ერთმანეთს გადახედეს. თედო ლაბაურს სხეულზე არც დაცემისა და, მითუმეტეს, არც ლულის ჩარტყმისა არაფერი ეტყობოდა. ნათელი გახდა ის, რაც ისედაც გასაგები იყო, მეეტლეს ბრალი მიუძღოდა ყაჩაღური თავდასხმის ხელშეწყობაში. მართალია, თავს დამნაშავედ არ ცნობდა, უარზე იდგა, ათას რამეს ბლანდავდა, მაგრამ მას არ შეეძლო მხოლოდ ცრუ ჩვენების მიცემა, თუნდაც იმიტომ, რომ მის შეზღუდულ გონებას ამბების მოსაგონებლად არც შეძლება ჰქონდა და არც გაქანება, ამის გამო, ზოგჯერ, ძალაუნებურად, სიმართლის თქმა გამოსდიოდა, თუმცა ამ მცირე სიმართლემ ევტუშევსკის გული ვერ მოალბო, ამიტომაც გამომძიებელმა ერთადერთი, და, ამავე დროს, მართებული გადაწყვეტილება მიიღო: შეეფარდოს თედო ლაბაურს წინასწარი პატიმრობა, რათა აღკვეთილ იქნას სასამართლოსა და გამოძიებისათვის თავის არიდება.

მეეტლე მეტეხის ციხეს ჩაბარდა, როგორც სხვა, ათასი მისნაირი და ნაბიჯ – ნაბიჯ განვლო სახრჩობელისკენ მიმავალი გზა, რასაც თითქმის ორი წელი დასჭირდა.

ჯერი თავად ჭავჭავაძის მოურავზე, დიმიტრი ჯაშზე მიდგა. კაცმა რომ თქვას, ჯაშზე გამოძიებას თითქმის არაფერი გააჩნდა, თუ არ ჩავთვლით კნეინას უსულო სხეულთან ნათქვამ სიტყვებს, რომელიც, თავისმხრივ, ბევრნაირად შეეძლო გაეგო ადამიანს, მათ შორის, გამომძიებელსაც. რა თქმა უნდა, პეტრე ევტუშევსკი, როგორც მას დიდ ბრიტანეთში ასწავლეს, გარკვეული ხრიკებისა თუ გამოცდილების წყალობით მოურავს აუცილებლად აალაპარაკებდა და იმ თავდამსხმელთა გვარ-სახელებსაც ათქმევინებდა, რომელიც უკვე მეტეხში გამოკეტილმა ლაბაურმა, დიდი მცდელობის მიუხედავად, არაფრით არ გათქვა, მაგრამ ამ ყველაფერს გვარიანი დრო ესაჭიროებოდა, რომელიც გამოძიებას არ გააჩნდა და რომელიც, ნებით თუ უნებლიეთ, დამნაშავეების წისქვილზე ასხამდა წყალს, რადგან მათ მიმალვის საშუალებას აძლევდა. ასე რომ, ევტუშევსკის მხოლოდ იღბალის იმედიღა უნდა ჰქონოდა, რომელიც კარგ გამომძიებელს ისევე სჭირდება, როგორც ბანქოს თავგადაკლულ მოთამაშეს.

არაფერი იმალება.

არაფერი იმალება და არც დაიმალება, მითუმეტეს, საქართველოში, სადაც ჭორი და მითქმა-მოთქმა ისეთივე აუცილებელია ადამიანისთვის, როგორც შიშველ სხეულზე სამოსის გადაცმა. ასეთ სამოსად, თუ ღვთის შვილზე ასეთი რამ ითქმება, კოტე აბხაზი აღმოჩნდა.

მართლაც დიდი ძალა აქვს შემთხვევითობას, გაიფიქრა პეტრე ევტუშევსკიმ და აბელ იაშვილს გახედა, რომელიც, როგორც მაძებარს ეჭვად ჰქონდა, იგივეს ფიქრობდა.

საქმე ასე ყოფილა: მკვლელობიდან ორი დღის შემდეგ კოტე აბხაზი საგურამოდან შინ, თბილისში ბრუნდებოდა. მატარებელი არ ჩანდა, კოტეს საქმე არაფერი ჰქონდა, ბაქანზე დაიარებოდა და მისნაირ, მომლოდინე მგზავრებს აკვირდებოდა. დაკვირვება - დაკვირვებაში თავად ხიმშიევს მოჰკრა თვალი, რომელსაც შვილი მიჰყავდა გიმნაზიაში. მართალია, დიდი ნაცნობ-მეგობრობა არ ჰქონდათ ერთმანეთში, მაგრამ ამგვარ ადგილებს, იგულისხმება სადგური და მისთანები, საკუთარი კანონები აქვს, რომელსაც, მიუხედავად ჩინისა თუ წარმომავლობისა, უნდა თუ არა, ყველა მაინც განუყრელად იცავს. ამ კანონებს აბხაზიცა და ხიმშიევიც იცავდნენ, ასე რომ, მათ საუბარს წინ ვეღარაფერი დაუდგებოდა. სიტყვას სიტყვა მოჰყვა, რა თქმა უნდა, არც თავად ჭავჭავაძის მკვლელობა დაუტოვებიათ უყურადღებოდ. ხიმშიევმა ამ საკითხში საოცარი განსწავლულობა გამოამჟღავნა და კოტე აფხაზს მკვლელობის შესახებ უცნაური ამბები უამბო. თითქოსდა თავდამსხმელები ყოფილან ათ კაცამდის, თითქოსდა თავდამსხმელებს მთიდან ვიღაც ხელმძღვანელობდა, რომელსაც განკარგულება გაუცია, რომ თავადი მოეკლათ, ხოლო კნეინასთვის ხელი არ ეხლოთ, თავადი თითქოსდა გადმოსულა ეტლიდან და ეუბნებოდა მათ, თუ ძარცვა გაქვთ ჩაფიქრებული, მკვლელობა რაღა საჭიროაო, თითქოსდა ლაქია იაკობს უსვრია ყაჩაღებისთვის და რომელიღაც მათგანი დაუჭრია ფეხში, მათ კი სწორედ ამისთვის მოუკლავთ ლაქია, ხოლო საკუთარი დაჭრილი წაუყვანით. ამ ყველაფერს თავადი ხიმშიევი იმგვარი სიზუსტით ყვებოდა, კაცი იფიქრებდა, სულაც თავადის მოკლული ხომ არ იყო ჭავჭავაძე. ამ აზრმა კოტე აბხაზსაც გაუელვა, მაგრამ წამსვე დაწყნარდა, რადგან ხიმშიევმა იმ ადამიანთა გვარები დაასახელა, ვისგანაც ეს ისტორია მოსმენილი ჰქონდა.

კოტე აბხაზი გარდაცვლილი თავადის დისწული იყო, გარდა ამისა, კანონმოშიში ადამიანიც გახლდათ, ეს ორი მიზეზი სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ კოტე აბხაზი ევტუშევსკისთან გამოცხადებულიყო და ეს დაუჯერებელი ამბავი ეამბნა.

თავადმა ხიმშიაშვილმა არც ამჯერად დაიხია უკან და ერთხელ მონათხრობი ევტუშევსკის სიტყვა-სიტყვით გაუმეორა. ჯერი მეურმეებზე მიდგა. ისინიც მალე გამოჩდნენ და ევტუშევსკის საქაღალდეში, რომელიც ნელ-ნელა წონაში იმატებდა, ამგვარი ჩვენებები გამოჩნდა.

აბრაამ გაცოს ძე ბაიაშვილი, მცხოვრები სოფელ სიმონიანთხევში: ნახშირი მიგვქონდა თბილისში, იმ დროს მივედით, როცა თავადს კლავდნენ. რვა ყაჩაღი ჩოხებში იყვნენ გამოწყობილები, ერთს ეცვა ოფიცრის ფორმა, ერთს კიდევ ჯარისკაცის, მაღალი და გამხდარი პირველი მივარდა ეტლს, წაიღო რაღაც ფუთა და გადაისროლა ქვევით ბუჩქებში, თავადის მკვლელობის შემდეგ ყველა გაეკიდა ლაქიას, ისიც მოკლეს და წავიდნენ მდინარე არაგვისკენ.

გიგლა გიგლას ძე ბეკურაშვილი: იმ დღეს მე სხვებთან ერთად თბილისში მივდიოდი, როდესაც მივედით მცხეთის მოპირდაპირე მხარეს მდებარე დუქნებამდის, გამოვუშვით პირუტყვი და ვისვენებდით, ამ დროს გაგვიარა თავადმა ჭავჭავაძემ, ჩვენც შევაბით პირუტყვი და გავწიეთ მის კვალდაკვალ, მივედით თუ არა სოფელ წიწამურთან, ატყდა თოფების სროლა, მივედით და ვიხილეთ მომხდარი ამბის ადგილას მოკლულები თავადი ჭავჭავაძე, მისი ლაქია და დაჭრილი კნეინა, აქვე იყვნენ სტრაჟნიკები, ჩაფრები, მეურმეები და თავადის მეეტლე. ყველამ იცის, შეთქმულება მოწყობილია მოურავ ჯაშის მიერ და მეეტლეც გარეულია ამ საქმეში. ამის მეტი ამ საქმეზე ჯერჯერობით არაფერი ვიცი და რასაც შევიტყობ, ყველაფერს დაწვრილობით ვაცნობებ სასამართლო და ადმინისტრაციულ ხელისუფლებას.

თუმცა ესეც საკმარისი იყო.

გადაწყდა, ჯაში უნდა დაეპატიმრებინათ. არადა, კაცმა რომ თქვას, ბევრი არაფერი გააჩნდათ მის წინააღმდეგ, თუ არ ჩავთვლით კაკლის ხეზე ასვლასა თუ დაგვიანებას და გაუფრთხილებლობით თუ უტვინობით გამჟღავნებულ დაკვირვებას, რომელიც მან, ანუ მოურავმა, უგონოდ მყოფი კნეინას დანახვისთანავე წარმოთქვა: მადლობა ღმერთს, რომ ესეც მოკლეს! მიუხედავად ამისა, ჯაშის დაპატიმრება, გარკვეული მიზეზების გამო, მაინც რთულ საქმეს წარმოადგენდა. ხეზე ასვლას, თუნდაც კაკლის იყოს, ვერავის დაუშლი, დიდი-დიდი მეურნეობის უცოდინარობა დასწამო, რომელიც ჯაშს არასოდეს დაუმალავს. ვერც ენას დაადებ კლიტეს, ბოლო-ბოლო ყველა პასუხი აღზრდისა და განათლების ამბავია. კაცი რომ დაფიქრდეს, თავისებურად მოურავი შესაძლოა მართალიც იყო, აბა, როგორღა უნდა ეცოცხლა კნეინას საყვარელი მეუღლის გარეშე? ხომ გაათავებდა დარდი? ხომ გამოჭამდა ხსოვნისა თუ მოგონების დაუნდობელი ჭია? მაშ არ ერჩივნა მომკვდარიყო? ასეთი სიკვდილი ხომ ყველა ერთგული მეუღლის ხმამაღალი ნათქვამი თუ არა, ჩუმი ნატვრა მაინც უნდა იყოს? ასე ფიქრობდა ჯაში და ამბობდა კიდეც, რითაც ძიება, სრულიად შეგნებულად, გამოუვალ ჩიხში შეჰყავდა

პეტრე ევტუშევსკი ამას გრძნობდა. გრძნობდა, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ გააჩნდა, ემოციას, თუნდაც მართებულს, ვერ ჩასტევდა იურიდიული ენით გაფორმებულ მშრალ საქმეში. ვინ იცის, მწერალი რომ ყოფილიყო, იქნებ დაჭერილიც კი ჰყოლოდა მოურავი საკუთარი რომანისა თუ მოთხრობის ფურცლებზე. სხვა მხრივ ჯაშს ვერაფერს მოუხერხებდა, რადგან მოურავი მკვლელობის ადგილას არ იმყოფებოდა და ამის მოწმეებიც კი არსებობდნენ გამოძიების ერთგული სტრაჟნიკების სახით.

ასეთ დროს, იგულისხმება დროის უკმარისობა და გამოძიების სირთულე, ეჭვმიტანილის დაპატიმრება სწორედ რომ წამალია. მეტეხის ციხის ნესტიანი საკანი მთავარ საქმეს თავადვე გააკეთებდა. ეს ხერხი ყოველთვის უღალატოდ ჭრიდა და ძნელი წარმოსადგენია, მოურავზე არ ემოქმედა.

ასეც მოხდა.

კმაყოფილმა პეტრე ევტუშევსკიმ, ამის გამო, თავის უშუალო უფროსს, თბილისის პოლიცმეისტერს, პოლკოვნიკ ვიაჩესლავ ციხოვსკის მადლობის წერილი მისწერა: „მაქვს პატივი მოვახსენო თქვენს მაღალკეთილშობილებას, რომ მე გამაჩნია გარკვეული სამხილები მოურავ ჯაშის წინაამდეგ და საჭიროდ ვცნობ სასწრაფოდ გაგაცნოთ იგი. სახელდობრ, ადგილობრივი საერობო დაცვის ურიადნიკის ჩვენება, გარდა ამისა, მომხდარი დანაშაულის შემდეგ ჯაში ერთთავად საეჭვოდ იქცეოდა, ხშირად მიდიოდა მამულიდან და სად იმყოფებოდა, ამის შესახებ არავის არაფერს ეუბნებოდა. ამასთანავე ძალიან მოხარული ვარ და გმადლობთ, რომ თქვენ ინებეთ სასწრაფოდ გაგეცათ განკარგულება ჯაშის დაპატიმრების შესახებ. ღამის ორ საათზე ჩამოვიდნენ სტრაჟნიკები და დააპატიმრეს იგი, რითაც თავიდან ამცილდა აქტიური მონაწილეობა მის დაპატიმრებაში, საქმის მსვლელობის მიხედვით კი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პირადად მე არ მომიხდა მისი დაპატიმრება“.

ახლა, როცა ორივენი, დიმიტრი ჯაშიცა და თედო ლაბაურიც, მეტეხის ციხეში იყვნენ გამომწყვდეულები და პეტრე ევტუშევსკის მცდელობით ერთმანეთთან დაკავშირების არანაირი საშუალება არ გააჩნდათ, მოურავის პიროვნების შესწავლა სრულიად წყნარ ვითარებაში გახლდათ შესაძლებელი, რადგან, ეს უკანასკნელი, დიდი მცდელობის მიუხედავად, გაქცევას მაინც ვერ შეძლებდა. გარდა ამისა, ყველა ის პირი, ვინც კი ჯაშის შესახებ რაიმე იცოდა, სამძიმრისა თუ დარდის გასაზიარებლად თავადვე ჩამობრძანდა საგურამოში და უხერხულიც კი იყო ასეთი შემთხვევის ხელიდან გაშვება.

მაინც ვინ იყო დიმიტრი ჯაში და როგორ მოხვდა იგი თავად ჭავჭავაძის მამულში?

როგორ და, თავადის დის, ელისაბედ საგინაშვილის წყალობით. ხომ უცნაურია? ევტუშევსკისაც ასე მოეჩვენა და რამდენიმე კითხვის დასმა განიზრახა, თუმცა ამ ყველაფრისთვის ოფიციალური დაკითხვის სახე არ მიუცია, რაც უნდა იყოს, მგლოვიარე დასთან ჰქონდა საქმე.

ყველაფერი წერილებით დაიწყო.

სასიყვარულო ბარათები არაფერ შუაშია, საუბარი მუქარის წერილებზეა. ელისაბედს რამდენიმე ასეთი წერილი მიუღია კიდეც, სადაც ანონიმი ავტორი ორი ათას მანეთს ითხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ოჯახის განადგურებით ემუქრებოდა. ქალი დაფრთხა, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ასეთი რამ, არეულ დროში, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხდებოდა, შიშის მიზეზი უფრო გასაგები გახდება. ელისაბედს, ამავე შიშის გამო, პოლიციელთათვის არაფერი უთქვამს და ეს ამბავი მხოლოდ თავის მეგობარს, ქალაქის გამგეობის მდივანს, ჭრელაევს გაუმხილა. ეს ჭრელაევი, იგივე ჭრელაშვილი, საბრალო ქალს დახმარებას დაჰპირდა და ამ საქმის მოსაგვარებლად საიდანღაც დიმიტრი ჯაში მოიყვანა, რომელმაც დამფრთხალ ქალბატონზე სანდო ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა. როგორ და რანაირად, დღემდე უცნობია, მაგრამ ჯაშმა პირობა შეასრულა, მუქარის წერილები შეწყდა, ოჯახმა ამოისუნთქა, მადლიერმა საგინაშვილმა უმუშევარი ჯაშის დასაქმებას მიჰყო ხელი. ჯერ სათავადაზნაურო ბანკში სცადა მისი მოწყობა, მაგრამ ეს ცდა, უცნობი მიზეზის გამო, მარცხით დასრულდა. სწორედ ამ დროს თავად ჭავჭავაძის მოურავს კლავენ, ისიც იძულებული ხდება ახალი მოურავი ეძებოს. ჯაში თანახმაა ამ ადგილზე იმუშაოს, თუმცა ბაღ-ვენახის მოვლის არაფერი გაეგება. ელისაბედ საგინაშვილი თხოვნით მიმართავს ძმას, ისიც იძულებულია დათანხმდეს და ჯაში სამსახურში მიიღოს. მოვლენათა ამგვარ განვითარებას, კერძოდ, ამ საუბარსა თუ თხოვნას ასევე ადასტურებს საგინაშვილისა და თავადის მამულების გამგე, მიხეილ ჩიკვაიძე. ის ამბავი, რომ ჯაშმა მათი, იგულისხმება საგინაშვილი და ჭრელაევი, რეკომენდაციით შეძლო მოურავად მოწყობა, ფრიად საჩოთირო ამბავი გახლდათ და ეჭვის საფუძველს თუ არა, რამდენიმე კითხვის დასმის უფლებას მაინც აძლევდა ევტუშევსკის, თუნდაც საკუთარ თავთან.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

იზა ორჯონიკიძე

რამხელა ცვლილებებსაც უნდა განიცდიდეს პოეტის შემოქმედებითი გზა სიღრმისა თუ სრულყოფილების თვალსაზრისით, როგორც უნდა განსხვავდებოდეს სტილისტიკით ცალკეული ლირიკული რკალები, არსებობს რამდენიმე ზოგადი ნიშანი, რაც უცვლელად მოსდევს მის მხატვრულ წარმოსახვებსა თუ პოეზიასთან მიმართების კულტურას.

როდესაც გურამ ასათიანი აღნიშნავს:

„იზა ორჯონიკიძე მხოლოდ მაშინ იწყებს ლექსს, როცა ის პირთამდეა სავსე გრძნობით. ზოგიერთი მისი ლექსი შეკავებულ კივილს ჰგავს და თითქოს ამ კივილის ჩასახშობად ან დასამალავად არის დაწერილი“.

ან:

„იზა ორჯონიკიძე კი განსაკუთრებული გულისხმიერებით ეპყრობა უსახელო, დავიწყებულ სიტყვებს (მოთმინებით რომ ელოდნენ თავიანთ დღეს), სათუთად აცლის მტვერს, ეფერება, ჩუმი ცრემლით ნამავს და ეს უსახური, უჩინო სიტყვები, როგორც წვიმის შემდეგ აკაშკაშებული ფერადი კენჭები, მოულოდნელი სხივით ავსებენ მის სტრიქონებს.

ყოველივე ამას ის აკეთებს ზომიერად. ზოგჯერ მთელ ლექსში ერთი ასეთი სიტყვა გვხვდება, მაგრამ ის განსაზღვრავს მთელი ლექსის ფერწერულ ტონალობას“.

ანდა საგანგებოდ იხსენიებს მის პოეტურ ფესვებს, მიწის წიაღიდან, სიცოცხლის პირველსაწყისებიდან დაბადებას მისი ხილვებისა, ახალგაზრდა მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება შეიძლება დარჩეს, რომ ეს სიტყვები უშუალოდ ამ პოეტური რკალის ანალიზის შედეგია, ჩვენი ჟურნალის მკითხველს რომ ვთავაზობთ ჭეშმარიტ პოეზიასთან კიდევ ერთხელ შესახვედრად.

არადა, მათი წარმოთქმიდან სამი ათეული წელია ჩავლილი.

ციკლიდან: „წვიმიანი გაზაფხულის ქრონიკა“

* * *

თმენა, ვაგლახი, გადარევა,
ტრფობის ხალისი –
შენ იცი ყველა –
უტკბილესიც და უმწარესიც...
და მაინც ცოდვილს,
მაინც ყოველ მთვარის ავსებას,
გინდა ის წამი,
როს მოკვდავი ღმერთს ემსგავსება!

ცრუპენტელა წვიმა

წამოწინწკლა. წამოცვარა.
გააჟრჟოლა ჟოლოს...
ცრემლად სხვაგან დაიღვარა,
სამი სოფლის ბოლოს...
გამოუდგა ცხელი ქარი,
დაეწია, ალბათ,
ახლა ვითომ ნაწვიმარი
იშმუშნება ბალბა...
ავარდნილი შარას ბდღვირი
ჯდება ნება-ნება,
იქ აბია ლურჯი ვირი,
სადაც წეღან ება...
ნეტა ერთი მაცოდინა,
არ მოვიდა აქ რად?!
მომეჩვენა, როგორც წინათ,
დამცეცხლა და... გაქრა!

შეუსმენელი თხოვნა

რა კარგია სიყმაწვილე!
მე ვუხილავ მურას რწყილებს,
მურაც – რაც აქვს – მინაწილებს...
სამხრის დროა, სამხრის...
ცა მერცხლებით არის სავსე,
ჩემს მზეს ველი წამისწამზე,
ველი მზეს და მერე რა მზეს –
საკოცნელად დახრილს...

იწვის ცა და იწვის მიწა.
ჩემს ჰამაკში ჩრდილი მიწვა.
სანატრელი – ხმაზე ვიცან –
ჩამჩურჩულებს სიო:

„– ქარს თუ მისცემ უფლის არჩევს,
უმადლოა გულის ხარჯი...
ნურსად წახვალ, – ჩემთან დარჩი,
უცნაურო იო...“

ძველი მეგობრის მცირე აპოლოგია

ვუძღვნი ბაჩანა ბრეგვაძეს

დიდ, სამსხვერპლო კოცონს უზის, –
ლურჯი კვამლი ადის ზეცას...
ნებიერი ცხრავე მუზის
უყვარს კაცს და უყვარს ღმერთსაც.

მაგან იცის აქ რა უნდა,
იცის იქ რა წაიყოლოს...
თვალი კი არ გაუხუნდა,
ცოტა მოეღრუბლა მხოლოდ...

დაგვიანებული გამოძახილი

დამიკორძდნენ იარები,
იმათ ცრემლით ველარ მობან!
დარდს ნუ შემეზიარები,
ორად აღარ გაიყოფა...

ლექსად გეტყვი აღსარებას,
თუ ვიპოვე სიტყვა ღირსი...
ხომ ხედავ, რომ გულს არ მხვდება, –
ტყვიას ნულარ გამოისვრი...

მონატრება

რეზის და თამაზს

ერთხელ ერთად უნდა ვნახო
საყვარელი ბებრები!
ჩემი ძმები – ძველისძველი
დარდის შემგროვებლები...

მინდა სევდის თბილი კალთა
ტაბლას გადავაფარო,
გავახსენო ოდინდელი
ლაღობა და ლაფარო...

მინდა შავი ღვინო ვასვა
ქამრიანი ჭიქებით,
გავიხარო მათთან ყოფნით,
მღერა-შეჭიკჭიკებით...

ჩუმად ცრემლსაც მოვიწურავ,
მარტოდ როცა მივრჩები...
აღარ მოვა სხვა თაობა
ოთხმოცი წლის ბიჭების.

ბლოგის გასულს

დიდედისა და პაპის მონატრება

მიიწურა ვარდობისა.
ბალს იმცვრევენ ბელურები.
აღარა მაქვს ყრმობის სახლი –
შინ არავინ მეგულებით.

აშრიალებს ზენა ქარი
ხეხილს სიყვარულით ნარგავს,
უცრემლოც ვარ, უნუგეშოც –
მოვალ, საფლავს გაგიმარგლავთ...

არსად შრება ჩემი წილი
აღარც ჩირი, აღარც კერკი...
რად, რად იყო უფრო ტკბილი
ბალი ჩიტის ანაკენკი?!

„ვერ ვნახე, დაკარგულიყო...“

დავეკარგე ერთხელ მშობელს...
წყარო მახსოვს, მახსოვს შარაც...
ახლად გავლებულმა ღობემ
უცნობივით ამიარა...

ძლივს ვაკავებ ღრუბელს თვალის,
მინდვრებს ვეძებ ფერად-ფერადს...
აქ ჩავლილი თითქო წყალი
მობრუნდა და მომეფერა,

თითქო სიყმაწვილის ლალა
საიდანღაც მიწვდის ხელებს...
ახლა არც ცრემლს დამიმალავს,
აღარც ჭინჭრით ამაჭრელებს...

მზისა და მთვარისა

ჩვეულებრივი დღეა,
ჩიტი აჩქეფებს გუბეს.
ვითომ საავდროდ აშლილს
მზე ეფარება ღრუბელს.

არ გაავდრდება, არა!
რომ არ ჩამორჩეს მოდას,
მანათობელიც ცრუობს, –
ჩვეულებრივად სცოდავს,

ჩვეულებრივი მზეა!
ვიდრე ამინდებს არევს,
ჯერ აივსება, მერე –
გამოიცვლება მთვარე...

აგარაკზე

მომეჩვენა – გამთენიას
რაღაც გაკრთა თეთრად შარას...
ნისლი იყო... მოდიოდა,
მერე ხევში დაიცარა.

აწკმუტუნდა თითქო ძაღლიც,
თითქო ფრთხილად კარიც იღო,
გაშრიალდა ნამიანში –
ქარი, ქარი... ქარი იყო,

ალბათ, კვამლი, წუხანდელი,
აქიაქა ჩერო-ჩერო...
იცის გულმა! მაგრამ უნდა
დავაცადო, დაიჯეროს...

დაუპატიჟებელი სტუმრისა

ძუძუნაწყვეტი ბალღივით
ისევ ჭუჭყუნებს ამინდი...
ჩაი მივართვი... გააბა...
ლაპარაკობს და... არ მიდის!

მე ჩემი დარდიც მეყოფა,
რა ვიცი სხვისი ურვისა...
დილიდან ამყვა უჟმური,
ღრუბელმაც გამაგულისა,

მიიზლაზნება, მიცოცავს,
მთებს როსღა გადაეგება?
შორით რომ მოსჩანს ნათელი,
ჩემთვისაც ენთოს ეგება...

ნუ მოხვალ!

ნუ მოხვალ! პასუხს მე გავცემ
შინაურსაც და გარესაც...
ვინც მიყვარს – ყველა თან მახლავს,
ცოცხალიცა და მკვდარიცა...

ნუ მოხვალ! გამოვატანე
ქარს შენი საბან-გობანი...
რაღა დროს სიყვარულია
და ბებრის ყვავილობანი?!

რატომ გათენდა ის ღამე,
ან ის დღე რაღად დაღამდა?!
მეგონა, ისე ვკვდებოდი,
ვერავინ დაინახავდა...

კიდევ სამი ესკიზი ძველი ალბომიდან

გზაში

გადაიწმინდა ანაზდად –
ცამ თვალში გამოიხედა.
მაყვლის საკრეფად მივდივართ
სოფელი, მე და დიდედა...
დაფხავებულმა ფოშფოშმა
აკრიფა სველი კალთები...
ბირკასაც ბლომად ავიკრავ,
ბარდებშიც გავიხლართები,
ვიცი ამათი ამბავი –
არ უყვართ კოხტაპრუწები...
ნეტავი თავსხმამ მოგვისწროს,
აუ, რას გავიწუწები!

ტყეში

„– აბა, რას ებღოტებოდი
ხამი და გაუჩვეველი?!“ –
დამცინის შემოსწრებული
მყრალი თუთუნის მწეველი...
ვითომც არ გამიგონია!
მიდის, თავის თხებს მიდენის...

ფეხქვეშ შრაშუნებს უსულო
ფოთოლი შარშანწინდელი...
ცა არ ჩანს, არც მზის ნათელი,
თითქო თვლემს ბინდი გრძნეული,
თითქო საცრიდან იფრქვევა
სხივი აქ შემოღწეული...
რატომ არავინ მეძახის?!
გზას ვეძებ – შვავში ვიფლები...
მეწვის ნაკაწრი მკლავები,
სულს მიბერავენ წიფლები...

ნასამხრევს

შინა ვარ. არაყს მისვამენ.
ესეც ზაფხულის დამლევი!..
ვარიებს ვეღარ იყოფენ
მარტის წითელი მამლები...
ალაგ – მზე, ალაგ – ღრუბელი, –
ნელთბილი იალ-კიალი...
ნეტავ რად მასევდიანებს
ბუდეში ბარტყის წრიალი?!

კეკლუცი მდინარისა

ჩემი ჩხრიალა მდინარე
ელუკლუკება ტყის პირებს,
არც სიღრმე ჰყოფნის, არც ძალა,
თორემ დახრჩობას მიპირებს.

ქვიშით ამივსო თვალები,
ქვაც მომაყოლა შორიდან,
რამდენი ზეცამ იჭექა,
იმდენი მღვრიე მოვიდა...

ახლა ძლივს მიიკლაკნება,
დარდმა დააშრო ვითომდა,
მაგას რომ სურვილი ჰკლავდეს,
ნაპირებს გადმოვიდოდა...

საჩუქარი

აღარ მაშფოთებს, აღარ,
თითქო ფინალი დრამის –
გუშინ ჩავლილი თქეშის
დატოვებული ლამი...

არც ახლა ცდება გული,
არც ახლა სტყუის სარკე.
არ ვემდურები ამინდს,
აღარც ხვალისას ვარკვევ...

დადგა ასეთი წამი –
დროც აღარ არის დავის –
შემოგთავაზო მინდა
უკანასკნელი ზავი

და სახსოვარიც მცირე –
(ძლივს ვარჩიე და ვჩხიბე!)
ჩემს აივანზე, ზეცად,
ამოსასვლელი კიბე...

ნედლი შეშისა და ჩემი გუხრისა

უალოდ იწვის, შიშინებს,
ჩუის და წვალობს წიფელი,
წვეთიც ისე სდის, ვით ნისლებს,
დილით წარაფზე მიფენილს...

აბა, რა ბუხრის ბრალია,
ნედლი თუ შემომაპარეს...
წავალ, გამომშრალს მოვძებნი,
მადლია ცეცხლის ზღაპარი,

დილამდე შემიყოლიებს,
ალი სიტყვასაც ედება!
რას მიზამს ავი ზამთარი,
თუ თავი მეიმედება...

ფერისცვალეგისა

დღეს იკურთხა შემოსული ხილი...
თითქო ხატავს ნაირ-ნაირ ნაყშებს
შემოდგომის უჩინარი ჩრდილი,
მოარული მიტოვებულ ბაღში...

მეც აქა ვარ. ცოტას კიდეც ვშველი
და გადაღვრილს ერთმანეთში ფერებს,
რბილი ფუნჯით, გაწაფული ხელით
ვწერ და... ჩემი აკვარელიც მღერის...

წამით ვხარობ! დრო /ვინ მომცა მეტი!/,
უცებ იცვლის გუნებას და – ფერსაც...
რასაც ახლა უხილავი მეტყვის,
იმას ვეღარ გავიგონებ ვერსად...

ზაფხულის მეხთატეხისა

გადაიგრგვინა. აქვე,
ახლოს გავარდა მეხი...
ხედავ? დარგული ჩემი
შუა გადატყდა ვერხვი!

ხრჩის ნამეხარი ახლა
და გულს მიწყლულებს აზრი,
რომ აჩეხავენ საწყალს,
სიოს ალერსით გაზრდილს...

სულ ცახცახებდა, ტანზეც
სულ მოვერცხლილი ეცვა...
რამ განარისხა ზევსი?
რას მიმანიშნებს ზეცა?

არ გადავხერხავ ძირში!
მე ჩვეული ვარ ლოდინს...
გაზაფხულდება! იქნებ
ამოიყაროს ყლორტი...

ათი ციტატა „ვეფხისტყაოსნიდან“

დაღლილისა

აღარას დაგემდურები,
არც ძველებრ შემენაღვლები,
ეჭვისაც მოკლედ დავაბი
ბალანაშლილი ძაღლები,

ავყვები მე შენს თამაშას,
ვითომ წრფელსა და გულიანს...
ისე ლამაზად მატყუებ,
ისეთი გაზაფხულია...

რა ვიცი, როდის რა მომდის,
ან ჭკუას მოვალ გაისად?
ქუხილმაც გადაიარა –
„თქმა სჯობს სიტყვისა წყნარისა...“

არეულ ამინდში სტუმრად ყოფნისა

მზის ნატეხივით ლამაზი
ბიჭი მიცინის ნამცეცა,
შემაკრთო კიდეც,
ისეთი თვალები შემომაცეცა,

კაცივით მათვალიერა,
წამოველ – სარკმლით მიცქირა...
რა იყო, რა მოეჩვენა?!
ღმერთმანი, არა ვიცი რა...

რა უცნაური დღე არი,
რა უცხვირპირო დარია...
მოვიდა მარტი სულელი
„და წვიმა თოვლში არია...“

სევდიანი თიბათვისა

წელს უჩემოდ ჩაატარა
გაზაფხულმა ზიზილები...
ხსოვნის მძიმე ფარდის უკან
ვზივარ... სარკმლით ვიმზირები...
არავინ ჩანს მომავალი
მტვერში ასვრილ ქარის მეტი,
ჩიტი აჭიკჭიკდა უბის –
აბდალი და აბუეტი,

აჩემებულ ჰანგზე უსტვენს!
ვიდრე ჩაშავდება ილი,
რა იქნება მზეს ამოჰყვე,
„განმინათლო გული ჩრდილი?!“

თვალთმაქცი მთვარისა

საცაა ღრუბელს წაუვა,
აბა, რა ვიცი, სად მიდის,
ვარსკვლავს მოგიწყვეტს,
თუ თავად არ აურია ამინდი...

ნეტავ აქამდე სად იყო?!
რაღა უკლია თენებას...
თუ გაბადრული მობრძანდა,
უმანკოც მოგეჩვენება...

ღმერთმა მშვიდობით ატაროს!
აქ გული არ დარჩენია...
მე კი... რით ვეღარ „დავლიენ
სიყმაწვილისა დღენია?!“

ვნებანი ვარდოგისთვისანი

დაიქუხა და დასჭექა
გაუგონარი რიხითა,
ცას კალთა ჩამოახია,
სარკმელთან ჩამომიკიდა,

ხელით მატარა ცისკრამდე,
პირს თაფლი შემომაღირსა,
დადგა ბუღი და ალმური
მაგის ფუხის და ფახისა...

მერე... რა ვიცი... დაყარა
ვარდმა ფურცელი პირველი,
მოლიც გაყვითლდა მოვლილი...
რა არის გასაკვირველი,

ყმაწვილი ვიყო, გავძლებდი
აღმა და აღმა ფრენითა...
„ყველაი წახდა, არ ვიცი,
აქა მოვსულვარ მე რითა...“

გვალვისა და გერანისა

იწვიან ნაწვერალები.
წვეთი სწყურიათ ჭალაკებს.
ჩრდილშიც არ დამედგომება,
თუ გული ვალაპარაკე,

თუ ერთი თავი ჩავკიდე,
თუ მივწექ, საცა ძნებია,
როგორც შარაზე დავარდნილს
პირშიაც ჩამიძვრებიან

საქონლის მწვანე ბუზები,
წვრილი, წივანა ქინქლები...
გოგირდიც უნდა ვახრჩოლო –
უფრო გულმშვიდად ვიქნები...

იწვიმებს, აბა, რას იზამს!
შინა ვართ მეც და გერანიც...
აბა, რა საკადრისია
„ჩემგან მი და მო რბენანი“.

წერილი მეგობრისადმი
(მიწერილი წერაქვიდან)

მომნატრებია ეს სახლი!
(ცრემლს ღარი გადავუკეტე!)
მარტოსულისთვის სამყოფელს
ვერც ინატრებდი უკეთესს...

სარკმლიდან მოსჩანს უღრანი,
ტყის პირას ნისლი წრიალებს...
ისმის გულდაგულ ნალესი
დიდრონი ხერხის ხრიალი...

ისმის თიკნების კიკინი,
მამლების გადაძახილი...
აქ მზეა დროის საზომი
და კიდევ... სოფლის ნახირი...

თუ გადაბმულად იწვიმა,
ციდან ჩამოდის ნაღველი,
აქ ჟამი ისე მიღოღავს,
სულ გახსოვს მისი სახელი...

აქ აივნიდან უმზერენ
ველობს სიმშვიდემოფენილს,
არსად ჩანს ზღუდე – სამანი –
ერთია ორთავ სოფელი...

აქ მარტივია სიცოცხლე,
უხანოც – ვითა ენძელა,
მახსოვს, უჩვევი სიჩუმე
მეუცხოვა და მეძნელა...

უკვე გამოშრა ალერდი,
მალე დადგამენ ზვინებად...
ზოგსაც ხვალ გეტყვი,
საცაა ნაწერზე ჩამეძინება...

გაახლე ღამის ფრინველი
და გრილი სიო ტყე-ველის –
„უსტარი შესანახავი,
არ ცუდად დასახეველი...“

შლეგი მარტისა

დღეში სამ-სამჯერ ირთვები,
სამ-სამჯერ მოიღუშები...
არ შეარჩინე ზიზილებს
მაქმანები და რუშები...

აუქროლ-ჩამოუქროლებ,
მერე შორს გაენაბები...
სულ ღობე-ღობე ფრიალებს
ნუშის ქათქათა კაბები...

რა გინდა, რას ემართლები,
რისთვის ამდენი ცივ-ცხელი?!
რა სულელივით მიცინი,
რა შეთქმულივით მიცქერი?!

თუ რამე იცი გულისა
ან მოგზავნილი მკვლელისა
არ გიკვირს „ჩემი სიცოცხლე,
ასრე დარჩომა მრთელისა?“

დიდედაჩემის უცნობი წერილი ძველი მეგობრისადმი

შუაღამის ექსპრომტი,
ჩემგან ოდნავ სახეცვლილი

ჩამოდი, ჩამომიარე,
გამოაჯავრე რაყიფებს,
ალალ რძეს დაგალევინებ,
ამინდის თივას დაგიფენ,

სთვლობას აჯობებს,
საარყე ჩამწიფდებიან შინდები,
თაღარაც სავსე მექნება,
სტუმარს არ შევუშინდები.

გრძელ ვახშმობამდე თუ მოხვალ,
(მჭირს ძილისპირის შიშები!)
წინასწარ შემატყობინე,
ყველანი წამოვიშლებით –

ჩემი ბომბორა ძაღლები,
კატა და ჭრელი კნუტებიც –
ჭიშკართან მოგეგებებით,
ძმასავით ჩაგეხუტები...

ახლა წვიმს, დარი ირევა,
ვტირი და ნუ გაოცდები...
ეს ჟინჟლი გასტანს კარგა ხანს,
შევბეზრდები და მოვცდები –

შეშა მაქვს ჩამოსატანი,
ვიდრე წამოწვნენ დათვები...
არ შეგაწუხე, არ მითქვამს –
მომიკვდა ცეცხლის დამნთები...

სიტყვას ვეძებ და ვაწყდები –
ის არის გადამრჩენელი!
„დიდი ლხინია ჭირთა თქმა“ –
მაგრამ არ ვიცი მსმენელი...

ჩამოდი, ჩამომიარე,
წვიმამ სარკმელიც შეღობა...
მწუხრის ერთგული ცოლი ვარ,
ერთი ნუგეშიც მეყოფა...

ძველი სახლის აივნისა და დიდედაჩემის სკამლოგინისა

ცა იჩადრება. ღრუბლებში
მზემ მაინც გამოიხედა...
ამ აივანზე ოდესღაც
ვისხედით მე და დიდედა,

ცხვირზე სათვალე ეკოსა
ლამაზს და ნატიფხელიანს...
მეტყოდა: „შენ ხარ ახალი!
სხვა ყველაფერი ძველია,

ისევ ის ყრუა ქვეყანა,
სევდა კი მეტისმეტია –
ხან ჟინჟლს და ბურუსს მოჰყვება,
ხან ქარებს – შარახვეტიას...

რა ბავშვის სადარდელია
ფერფლი დამწვარი ძნებისა,
ან დედამიწა – მწუხარე
ყოველი შებინდებისას?!

დრო მოვა, ელვის ნატეხო,
არც შენ დაჰყვები დინებას...
გულმა რაც იცის,
გონებას არასდროს ეცოდინება...“

ახლა მე ვზივარ იმ სკამზე
ჭირისუფლად და მრჩეველად...
ვიცი... და მაინც, ღვთის მადლით,
„მიეფინების მზე ველად“.

ლევან ბრეგაძე

ეშმაკური დაფიცება

მხატვრულ ლიტერატურასა და ცხოვრებაში

გავიხსენოთ ერთი ეპიზოდი „ტრისტან და იზოლდადან“: მეფე მარკის ყურს მისწვდა, რომ მისი მეუღლე, იზოლდა, ტრისტანს ჰყვარობდა. მეფეს სურს, დარწმუნდეს ამ ამბის სისწორეში. იმ ქვეყანაში თავის მართლების ასეთი წესია: ეჭვმიტანილმა „თეთრ მინდორზე“ დავანებული წმინდა ნაწილების წინაშე უნდა დაიფიცოს, რომ უდანაშაულოა და ამის შემდეგ ხელით გავარვარებული რკინა აიღოს; თუ მისთვის წაყენებული ბრალდება უმართებულოა, გახურებული ლითონი არავითარ ზიანს არ მიაყენებს. დაფიცებაზე უარის თქმა დანაშაულის აღიარების ტოლფასი იქნებოდა, ამიტომ იზოლდა დათანხმდა, ოღონდ სასწრაფოდ შიკრიკი აფრინა ტრისტანთან, ეს ამბავი ამცნო და სთხოვა: მწირის (პილიგრიმის) ტანსაცმელი გადაიცვი, რომ ვერავინ გიცნოს და როცა ფიცის წარმოსათქმელად „თეთრ მინდორზე“ გამოვცხადდები, იქ დამხვდი, მდინარესთან – ნაპირს ნავით მოვადგები მხლებლებთან ერთადო. ტრისტანმა შეასრულა სატრფოს დავალება. როცა იზოლდას ნავი ნაპირს მიადგა, დედოფალმა მხლებლებს განუცხადა: ფეხის დასველება არ მინდა, აგე, იქ წმინდა კაცს ვხედავ, იმან გადამიყვანოს ნაპირზეო. მოუხმეს პილიგრიმად გადაცმულ ტრისტანს (რომელიც, რასაკვირველია, ვერ იცნეს) და უბრძანეს, დედოფალი აეტატებინა და ხმელზე გაეყვანა. „მწირი“ დამორჩილდა. ნაპირს რომ მიუახლოვდნენ, იზოლდამ ტრისტანს ყურში ჩასჩურჩულა, სილაში წაიქეციო. ტრისტანმა წაიბორძიკა, წაიქცა და ზემოდან გადაემხო დედოფალს. აღშფოთებული მსახურნი მისცვივდნენ და ცემა დაუწყეს „მწირს“. იზოლდა გამოექომაგა – დაეხსენით, დასუსტებულია ხანგრძლივი მოგზაურობით და ამიტომ წაიფორხილაო.

ამ ინციდენტის შემდეგ მეფისა და დიდებულთა თანდასწრებით იზოლდამ ასეთი ფიცი წარმოთქვა: „ამ წმინდა ნაწილებს და დედამიწის ყველა წმინდანის ნაწილს ვფიცავ, რომ არასოდეს ქალის ნაშობი მამაკაცი არ მომხვევია, გარდა ჩემი მბრძანებლის მარკ მეფისა და იმ ბეჩავი მწირისა, რომელმაც თქვენ თვალწინ წაიბორძიკა და ძირს დამცა“ (გერონტი ქიქოძის თარგმანი).

ამის შემდეგ მან ცეცხლიდან შიშველი ხელით ამოიღო გავარვარებული შანთი, რომელსაც მისთვის არავითარი ვნება არ მიუყენებია.

ასე გააცურა იზოლდამ ზეგარდმო ძალა, ანუ განგება, ეშმაკური დაფიცების მეშვეობით.

ამის მსგავს ეპიზოდს ვხვდებით „თიმსარიანშიც“ („სინდბად-ნამეში“), რომელიც სპარსულიდან მეფე თეიმურაზ მეორემ თარგმნა. აქაც ქმრის მოღალატე ცოლი საყვარელს ატყობინებს: „ჩემი საქმე ასე მოხდა, რომე ფიცსა მიპირობენ და შენის გულისათვის მომკვლენ; აწე თუ ჩემი სიყვარული გაქვს და ან ჩემი სიკვდილი არ გინდა, აბდლის ტანისამოსი ჩაიცვი, თავი მოიმცდარე, გზაში დამხვდი, როცა იასაულებს მივყვანდე, და შემცდარულად წამომეჭიდე და მაკოცე; მე იმას ფიცში ჩავიტან და ეგების მოვრჩე ამისთანა საქმითაო“.

დაფიცებით კი ამ ქალბატონს ერთ წყაროსთან უნდა დაეფიცა. ვინც ამ წყაროსთან ცრუ ფიცს წარმოთქვამდა და მერე წყაროს წყალს დალევდა, იმ წამსვე გასკდებოდა.

კაცმა ყოველივე ისე მოიმოქმედა, როგორც მიჯნურმა დაარიგა: აბდალივით გადაცმული დახვდა გზაში, მივარდა ჩადრწამოსხმულ ქალბატონს და აკოცა. დიაცმაც ვითომ დიდად იწყინა ეს ამბავი. იასაულებმა ცემით გააძევეს მომხდური.

ქმრის მოღალატის ფიცი ამ არაკში ასე ჟღერს: „ჩემს ქმარს გარეთად, რაც ეხლა ამ გზაში ერთი შემცდარი კაცი არ წამომეჭიდა – თვითვან ამ თქვენმან იასაულმან გამაგდებინა – თუ იმის მეტის კაცის ხელი მომხლებოდეს, ღმერთმან და ამ წყალმან აწვე გამხეთქოსო“.

დალია წყალი და უვნებელი დარჩა.

სერვანტესის „დონ კიხოტში“ ერთი ასეთი ამბავია მოთხრობილი: სანჩო პანსასთან მისი „გუბერნატორობისას“ სამართლის საძიებლად ორი კაცი გამოცხადდა. ერთი ირწმუნებოდა, ათი დუკატი ვასესხე და აღარ მიბრუნებსო. მოპასუხე კი აცხადებდა, ვალი დავუბრუნე და ხელმეორედ მთხოვსო. მოპასუხემ ჯვარზე უნდა დაიფიცოს, რომ მართლა დააბრუნა ნასესხები ათი დუკატი. ვალის ამღებს ხელში ჯოხი ეჭირა და დაფიცების წინ ეს ჯოხი მევალეს გაუწოდა – ცოტა ხანს დამიკავე, ფიცის წარმოთქმისას ხელს შემიშლისო. მევალემ გამოართვა ჯოხი და მოპასუხემ დაიფიცა, მართლა ვისესხე მისგან ათი დუკატი, მაგრამ დავუბრუნე, ხელიდან ხელში გადავეცი და რაღას მემართლებაო. ამის შემდეგ მომჩივანს თავისი ჯოხი გამოართვა. სანჩო დააეჭვა ამ ჯოხის გადაცემა-გამორთმევის ამბავმა. მართლაც, აღმოჩნდა, რომ ჯოხი შიგნიდან ღრუ ყოფილა და ის ათი დუკატი მასში ეწყო. როდესაც მევალემ დაიფიცა, დუკატები დავუბრუნე, ხელიდან ხელში გადავეციო, იმ მომენტში იგი სიმართლეს ამბობდა, თუმცა მომჩივანმა ამის შესახებ, ბუნებრივია, არაფერი იცოდა.

„ტრისტან და იზოლდას“ ეპიზოდში ძლიერია ზღაპრული ელემენტი (გავარვარებულმა ლითონმა ხელი არ დასწვა დამფიცებელს), „თიმსარიანში“ ზღაპრულობა შესუსტებულია (აქ ეჭვიტანილს დაფიცების შემდეგ წყაროს წყლის შესმა ევალება და ზღაპრული მხოლოდ ამ წყაროს მაგიურობის რწმენაა), „დონ კიხოტში“ აღწერილი ამბავი კი სინამდვილეშიც შეიძლებოდა მომხდარიყო (მომხდარა კიდეც – ამაზე ქვემოთ ვიტყვით).

ეს ეპიზოდები ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე იმის გამო, რომ ***მახვილგონიერების***, ***მზაკვრობისა*** და ***ღვთისმოშიშობის*** უცნაურ ნაზავს წარმოადგენს.

სიტყვის პოლისემიაზე დამყარებული ეშმაკური დაფიცებით დიდ საფრთხეს დააღწია თავი სულხან-საბა ორ-

ბელიანის ერთი არაკის („ჭაბუკი და მეკობრენი“) პერსონაჟმა. ყაჩაღებმა ცოლთან ერთად მიმავალი ჭაბუკი შეიპყრეს და გაძარცვეს. ერთ ყაჩაღთაგანს ამ ჭაბუკის ხმალი მოეწონა და ტყვეს გაურიგდა: „საჭურველსა და სხვა ქონებას შენ გაგაყოფინებ. შენი ხრმალი მე მომახვედრე და შენს ცოლს მოგცემ და გაგიშვებო. მან კაცმან ფიცი მისცა: თუ მე გამაყოფინებ, ჩემს ხრმალს შენ მოგახვედრებო“.

გაყოფისას ჭაბუკმა „ერთ წილად თავისი ცოლი დასვა და ერთ წილად ერთი ფარი და ზედ შიშველი თავისი ხრმალი. ანაზდად დაავლო ხელი, უწინ, რომელსაც ხრმალი უქადა, სცა მას და მოკლა. ერთი სხვაც მოკლა“, დანარჩენები გაიქცნენ.

სულხან-საბას პერსონაჟს შეუძლია გული დაიმშვიდოს, რომ ფიცი არ გაუტეხავს, ვინაიდან, როცა ყაჩაღს შეჰფიცა, „ჩემს ხრმალს შენ ***მოგახვედრებო***“, ამ სიტყვის მეორე მნიშვნელობა იგულისხმა – „მოგარტყამ“ (გატაკებ, გაძგერებ) და არა „გარგუნებ“. (ეს სიტყვის თამაში შემჩნეული აქვთ „სიბრძნე სიცრუისას“ გერმანულად მთარგმნელს მიხეილ წერეთელს და რუსულად მთარგმნელს ელენე ღოღობერიძეს – ისინი ამას სქოლიოში აღნიშნავენ. მაგრამ შეუმჩნეველი დარჩენიათ ამავე არაკში მეორე სიტყვის თამაში, პირველის ჩინებული გაგრძელება. საბა გვეუბნება: როცა ჭაბუკმა თავის ხმალს ხელი დაავლო, პირველად იმას აძგერა, „რომელსაც ხრმალი ***უქადა***“. „უქადა“ აღთქმასაც ანუ დაპირებასაც ნიშნავს და დამუქრებასაც). სულხან-საბას ეს არაკი განზე დგას განხილული ეპიზოდებისაგან იმის გამო, რომ აქ ეშმაკურ დაფიცებას დანაშაულის დასაფარავად კი არ მიმართავენ, არამედ ავკაცთაგან თავდახსნის მიზნით.

ახლა ვნახოთ ეშმაკური დაფიცების რამდენიმე ნიმუში რეალური სასამართლო პრაქტიკიდან, რომლებიც მოხმობილი აქვს გიორგი დავითაშვილს წიგნში „სასამართლო მტკიცებულებანი ქართულ ჩვეულებით სამართალში“ (თსუ გამომცემლობა, 2003). ოღონდ ჯერ რამდენიმე ციტატას მოვიტან ამავე წიგნიდან, სადაც ლაპარაკი იქნება ფიცის, როგორც სასამართლო მტკიცებულების, შესახებ.

პირველი თავის დასაწყისში, რომლის სათაურია „ეჭვმიტანილის (მოპასუხის) ფიცი“, ვკითხულობთ: „ფიცი, როგორც სასამართლო მტკიცებულება, უძველესი დროიდან გამოიყენებოდა სხვადასხვა ხალხის სამართალწარმოებაში. (...) საუკუნეების მანძილზე ხალხს უდიდესი რწმენა ჰქონდა ფიცისადმი. საქართველოში ხატის შიშითა და რიდით მის წინაშე ტყუილად დაფიცებას ვერავინ გაბედავდა. ხოლო თუ ტყუილად ფიცს მაინც ექნებოდა ადგილი, ხალხის რწმენით, ტყუილად დამფიცებელს ღმერთი აუცილებლად დასჯიდა...“.

ამავე თავის მეორე პარაგრაფში („ეჭვმიტანილის ფიცის, როგორც მტკიცებულების, ზოგადი დახასიათება“) ვკითხულობთ: „დავების უმრავლესობა ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით ფიცით წყდებოდა“, ხოლო დასაფიცებლად დგინდებოდა ფიცის ფორმულა: „ის სიტყვები, რომელიც დამფიცებელს უნდა წარმოეთქვა, ზუსტად იყო დადგენილი, სასამართლო ზედმიწევნით ზუსტად განუსაზღვრავდა დამფიცებელს ფიცის სიტყვებს. თუ ეს უკანასკნელი შეცვლიდა ფიცის დროს ამ სიტყვების შინაარსსა და თანამიმდევრობას (ამას შეიძლება აზრის შეცვლა მოჰყვეს), ფიცი დადებულად არ ითვლებოდა“.

საგულისხმოა წიგნის ავტორის თვალსაზრისი იმის თაობაზე, თუ რატომ ექცეოდა ასეთი დიდი ყურადღება ფიცის ფორმულის ზუსტად დაცვას: „მიზეზი ალბათ ის იყო, რომ არ მომხდარიყო სიტყვების თამაში, რომლის მეშვეობითაც დამფიცებელს საშუალება მიეცემოდა ფორმალურად ყველაფერი თითქოს სწორად ეთქვა ფიცის დროს, ფაქტობრივად კი ტყუილად დაეფიცა, რაც, ხალხის რწმენით, პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევის საშუალებას მისცემდა“.

ამის შემდეგ წიგნში მოყვანილია ეშმაკური დაფიცების რამდენიმე მაგალითი ჩვეულებითი სამართალწარმოების პრაქტიკიდან.

თითქმის მთელ საქართველოში, მიწაზე დავისას, გავრცელებული ყოფილა ასეთი ეშმაკური დაფიცება: „დამფიცებელი ქალამნებში თავისი მამულიდან აღებულ მინას ჩაიყრიდა, დადგებოდა სადავო მამულზე, რომელიც მისი არ იყო, და დაიფიცებდა: „ვფიცავ, რომ ჩემს მიწაზე ვდგავარ“, რაც ფორმალურად სიმართლე იყო (იგი ხომ მართლაც ქალამნებში ჩაყრილ საკუთარ მიწაზე იდგა), ფაქტობრივად კი ტყუილად იფიცებდა“.

მეორე შემთხვევა: „ძვაბავამ თავად ჩიქოვანს მოპარა ხარი... თავადმა ეჭვი ძვაბავაზე აიღო. თავადმა ძვაბავას ხატზე დაფიცება მოსთხოვა. ძვაბავა შევარდა სახლში, ცოლს აკვნიდან ბავშვი ამოაყვანინა, თვითონ ჩაწვა შიგ და აკვანი ცოლს დაარწევინა. შემდეგ წავიდა ეკლესიაში და დაიფიცა ხატზე ასე: „რაც აკვნიდან ავდექი, თუ მომეპაროს ვინმესთვის ხარი, ჩემი ოჯახი ამოწყდეს“. საქმე ამით დამთავრებულა“.

გიორგი დავითაშვილი გურიაში დაფიქსირებულ ზუსტად ისეთ შემთხვევასაც იმოწმებს, როგორიც „დონ კიხოტშია“ მოთხრობილი.

მოკლედ, ეშმაკურად დამფიცებელთა ფანტაზია და გამომგონებლობა განსაცვიფრებელია.

ფაქტია, რომ ეშმაკურად დამფიცებელს სწამს ფიცის და სწამს ზეგარდმო ძალისა, მაგრამ იმაშიც დარწმუნებულია, რომ ზეგარდმო ძალის გაცურება შეუძლია. ზეგარდმო ძალა მას ისეთ ინსტანციად წარმოუდგენია, რომელიც დანაშაულის არსებობას ვერ შეამჩნევს, თუკი ***ფორმალური*** მხარე მოგვარებულია (სიტყვა ***ფორმალური*** ასეა განმარტებული მ. ჭაბაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონში“: „რაც მხოლოდ ფორმას იცავს და საქმის ნამდვილ ვითარებას არ შეესაბამება“). ზეგარდმო ძალა ეშმაკურად დამფიცებელს ერთგვარ ავტომატად, მანქანად ესახება, რომელიც საქმის არსს არად დაგიდევს, თუკი გარეგნულად, მოჩვენებითად ყველაფერი რიგზეა.

ქართული სინამდვილე იცნობს ეშმაკური დაფიცების და მისი მართებული შეფასების ერთ საგულისხმო შემთხვევას. იგი აღწერილია თხზულებაში, რომლის სათაურია „სოლომონ მეორე დიდი, იმერეთის მეფე“, და გახლავთ „ზეპირ-გადმოცემული თანამედროვისაგან, რომელიც იყო სიკო კანდელაკის პაპა და ჩაწერილი მისი შვილიშვილის სიკო კანდელაკისაგან“ (ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ისტორიული ხასიათის ნაშრომი აკაკი წერე-

თელმა აღმოაჩინა და გამოაქვეყნა. იგი დამატების სახით შესულია მწერლის თხზულებათა თხუთმეტტომეულის VIII ტომში). მასში დიდი ადგილი უჭირავს თხრობას სოლომონ მეფისა და მისი ურჩი ვასალის როსტომ რაჭის ერისთავის ურთიერთობის შესახებ. სოლომონის რამდენიმე მცდელობა, დაესაჯა განდგომილი ფეოდალი, უშედეგოდ დამთავრდა. ბოლოს მან ასეთ ხერხს მიმართა: თავი ისე დაიჭირა, თითქოს ერისთავის შემორიგებას აპირებდა და შუამავლად თავისი ძმა, კათალიკოსი იოსები მიუგზავნა. როსტომმა თავიდან სიფრთხილე გამოიჩინა და არ გაჰყვა ქუთაისში კათალიკოსს. „ცხადია, რომ მხოლოდ სიკვდილის ეშინიაო“, – მოახსენა მეფეს რაჭიდან დაბრუნებულმა კათალიკოსმა. ამაზე მეფემ მიუგო: „გაძლევ სიტყვას და ვფიცავ შენს ხახულის ღვთისმშობელს, არც ის და არც მისი შვილები არ მოვკლა და ისეთი პატივისცემითაც მივიღო, რომ საარაკოდ დარჩესო“. ამ ფიცით დაიმედებული კათალიკოსი ხელმეორედ წაბრძანდა რაჭას. იქ ბარძიმზე ხელის დადებით დაარწმუნა ერისთავი, სოლომონს შენს მიმართ გულში ცუდი არაფერი უდევსო. ამის შემდეგ როსტომი შვილებიანად ეახლა მეფეს. იქ ისინი სანადიროდ გაიტყუეს, შეიპყრეს და თვალები დათხარეს.

ეს რომ იოსებ კათალიკოსმა გაიგო, განრისხებული მიეჭრა მეფეს სასახლეში: „სად არის შენი აღთქმა და რად გამატეხინე ფიცი მე ცოდვილსო!“

სოლომონმა თავი ასე იმართლა: „მე დიაღაც ავასრულე ჩემი სიტყვა. როგორც აღგითქვი, სიკვდილით არ მომიკლავს და საარაკოდაც მოვექეცი“.

თითქოსდა, მართლაც, რას ვერჩით ხელმწიფეს – მას ხომ ფიცი არ გაუტეხავს: არ მოვკლავო და არ მოუკლავს – მარტო თვალები დათხარა და მოდინახეს ციხეში გამოამწყვდია; ისეთი პატივით მივიღებ, რომ საარაკოდ დარჩესო და როსტომ ერისთავისა და მისი შვილების საარაკოდ დასჯის ამბავი სამუდამოდ შემორჩა ჩვენს ისტორიას. რა პრეტენზია შეიძლება მის მიმართ ჰქონდეს ხახულის ღვთისმშობელს! მაგრამ კათალიკოსმა ძმამ მარტივი ჭეშმარიტების შეხსენებით გაუქარწყლა სოლომონს ცრუ იმედი, რომ ეშმაკური დაფიცებით განგების გაცურებას შეძლებდა. მან მეფეს ასეთი ღირსშესანიშნავი ფრაზით მიმართა:

„არა, ბატონო მეფევ, ღმერთთან სიტყვის ჭახრაკობა გამოსადეგი არ არის!“

კათალიკოსზე უკეთ ვის მოეხსენება, ღმერთი რომ გულთამხილავია და არა საქმის ფორმალურ მხარეს მიჩერებული ბიუროკრატი.

* * *

ეშმაკური ფიცი და ცრუ ფიცი რომ სხვადასხვა რამეა, ვფიქრობ, აშკარაა. დიახ, ეშმაკური დაფიცება ცრუ დაფიცება არ არის – ის რაღაც უარესია.

ბატონო როსტომ!

მკითხველი მალე მიიღებს ჩემს წიგნს „ორნი ერთ ნავში: ღაღანიძის „კნინი წიგნი“ და რეცენზენტი კიკნაძე“.

იმედი მაქვს, მისი შესავალი ნაწილის გამოქვეყნებაში ხელს არ შეგიშლით ის გარემოება, რომ თქვენ ხართ მ. ღაღანიძის წიგნის რედაქტორი და ზ. კიკნაძის რეცენზიაც გაზეთ „ჩვენს მწერლობაში“ დაიბეჭდა.

თეიმურაზ დოიაშვილი

ინფორმაცია განსჯისათვის

თავდაპირველად ერთი პიკანტური პასაჟი მინდა გაგახსენოთ დავით გურამიშვილის პოემიდან „მხიარული ზაფხული“, სადაც მთავარი პერსონაჟის – ქაცვიას მომავალი მშობლების ხორციელი ლტოლვის ამბავია მოთხრობილი.

ვნებამოძალებული თექვსმეტი წლის ბიჭი ქორწინებამდე ვეღარ ითმენს და ღვთისმოშიშ, „შჯულის“ მორჩილ გოგოს, ბოლოს და ბოლოს, ეშმაკობით დაითანხმებს, სურვილი დაიკმაყოფილონ. სისხამ დილით ჭალაში რომ გავიდნენ: „არ დაიხედა მან ნდომით წინა, / საჩქაროდ გოგო წამოაწვინა; / სადაცა ეყარა / მრავლადა ეკალა, / დასცა მაზედა“.

ადვილი წარმოსადგენია, რაც დაემართებოდა გოგოს:

საბრალომ გოგომ ტიტველა ნაცი
ზედ დანახივა, სად იყო ქაცვი.
რა რომ ის ეტკინა,
გოგომ იმწვიტინა
გამწოებულმან.

გოგომ სულსწრაფ ბიჭს წიხლი ჰკრა, ეკლის გორაზე „გარდააგორა“ და ორივემ სიმწრით ტირილ-ყვირილი მორთო. იქვე, ჭალაში კაცი შეშას ჭრიდა. ყვირილი მოესმა თუ არა, მათკენ გაეშურა. ეკლისგან ნაცდაჩხვლეტილ, ნაძრახ საქმეზე წასწრებულ, შიშისა და სირცხვილისაგან ენაჩავარდნილ ყმაწვილებს კაცმა მუნათი არ დაუგვიანა:

დაგმო და დასძრახა,
ორნივ დალანძღა!

აი, ამბავი, რომელიც ჭალაში მოხდა და რასაც სხარტად, იუმორით გვიყვება გურამიშვილი.

ახლა ერთი კითხვა მინდა დავსვა: ვინმემ სერიოზულად რომ ამტკიცოს, ტიტველა ნაცში შერჭმული ეკალი – ქაცვი უბრალო რამ არ გეგონოთ, მასში „საღმრთო კანონზომიერებაა“ გამოვლენილი და, საერთოდაც, გოგო-ბიჭი

ჭალაში ბუღრაობისას თეოფანიის – ღვთისგამოცხადების აქტის შემსწრე და მონაწილეაო, რას იფიქრებთ?

ბიბლიამ თეოფანიის სულ რამდენიმე შემთხვევა იცის – რამდენიმე უზენაესი სასწაული მოკვდავთა წინაშე ღვთის მოვლინებისა.

აქ კი – „მხიარულ ზაფხულში“ ქაცვი თურმე „საღმრთო ნების“, „უზენაესი ნების“ მაცნეა, ხოლო ნაცში ქაცვის შერჭმა, – უფალო, შემინდე! – არც მეტი, არც ნაკლები, თეოფანია!!!

ძნელი დასაჯერებელია, არა? მაშინ ერთ უმწიკვლო ლიტერატურათმცოდნეს მოუსმინეთ, მორალური და ესთეტიკური **უმწიკვლოება** ამ პროფესიის აუცილებელ თვისებად რომ მიაჩნია:

„აქვე გათამაშდება პოემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი – ქაცვიას დედ-მამის ერთმანეთთან ვერდაწოლის სცენა, სადაც ასე დაიტვირთება აზრით *ქაცვი* (სწორედ ამ ადგილზე გახდნენ პოემის გმირები თეოფანიის შემსწრენი და მხილველნი).

ოდეს მირეკეს ცხვარი ჭ ა ლ ა კ ა დ,
ბიჭმა გახადა გოგო მალაყად“.

ეს ისეთი უნიკალური მიგნებაა, ძნელია, თავი შეიკავო, კიდევ ერთხელ არ გაახმიანო, არ გაიმეორო:

„მღვდელი... აკურთხებს ქაცვს, აკურთხებს იმ ადგილს, სადაც უმაღლესი რეალობის მარჯვენა გამოვლინდა, სადაც ღმრთისგამოცხადების, თეოფანიის მისტიკური აქტი განხორციელდა“.

ამ „აღმოჩენის“ ანუ უპრეცედენტო მკრეხელობის ავტორი, მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა, უცნობი არ გახლავთ საზოგადოებისათვის. უცნობი კი არა, თანამზრახველთა და ხელშემწყობ გარემოებათა წყალობით იგი – ეს უმწიკვლო შარლატანი! – ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ლიდერობას ლამობს და განათლების სისტემის რეფორმირებაშიც აქტიურად მონაწილეობს.

ის, ვისაც ნაცში ქაცვის შერჭმა თეოფანია ჰგონია, წესით, მედიკოსთა ყურადღებას უნდა იქცევდეს, მაგრამ ჩვენს ორიენტაციადაკარგულ დროში ასეთი ტიპები საშიშ სოციალურ ძალას იხვეჭენ, მეტიც – არც მაქებარ-მეგუნდრუკენი აკლიათ. და იმართება უსაქციელო, ზნეობასთან შემომწყრალ ფუჭმეცნიერთა აღლუმები, სადაც დაბერწებული მამლები უნაყოფო, დაბადებითვე დაშრეტილ ყვინჩილებს „ყიყლიყოს“ უქებენ...

ამჯერად, ერთი მხრივ, იმ წიგნზე მექნება საუბარი, რომელშიც ქაცვ-ნაცის „მისტიკური“ აზრი გაცხადდა, პარალელურად კი – მასზე დაწერილ ერთ ზეაღმტაც რეცენზიაზეც. წიგნის ავტორია უცხოეთიდან მშობლიურ სანახებს შემოფარებული **მერაბ ღაღანიძე**, სათაური წიგნისა, რომელიც ეკლესიური სიმდაბლის ნიშნად ავტორის მიერ არაერთგზის მოიხსენიება „კნინ წიგნად“, – **„სინამდვილე და წარმოსახვა დავით გურამიშვილის „მხიარულ ზაფხულში“** (თბ., 2002).

რეცენზენტი? რეცენზენტიც საფერი ჰყავს – სულიერი მოძღვარი, პროფესორი **ზურაბ კიკნაძე** – საეჭვოდ მრავალდარგოვანი ფილოლოგოსი და საეჭვოდ ჭრელი შეფერილობის „სამოქალაქო მოაზროვნე“!

* * *

ღაღანიძე-კიკნაძის ხმაშეწყობილმა დუეტმა სულ რაღაც სამი-ოთხი წლის წინათ გაიჟღერა და აგერ, ჩვენს თვალწინ აქტიურ სამოქალაქო-ექსტრემისტულ „ცენტრად“ გაფორმდა.

2003 წელს მერაბ ღაღანიძემ საყვარელ მოძღვარს – საიუბილეოდ! – წერილი-შესხმა უძღვნა – **„სივრცეთა ძახილის მოყურადე“**. ეს იყო მადლიერი შეგირდის საპასუხო „ხუტბა“ იმ რეცენზიის გამო, რომელიც კიკნაძემ ზუსტად ერთი წლით ადრე გამოაქვეყნა ღაღანიძის წიგნზე თვალისმომჭრელი სათაურით – **„სამოთხის სიცილი „მხიარულ ზაფხულში“**.

თავისი მადლიერება, მოწიწება და აღტაცება ღაღანიძემ მეტაფორულ-ჰიპერბოლურ მხატვრულ სახედ ჩამოქნა, წერილს ფოტო დაურთო, ისე, რომ შესხმის ობიექტი ტექსტში ერთხელაც არ უხსენებია – უხსენებლად დააქარაგმა და „სივრცეთა ძახილის მოყურადე“ უწოდა!

ვის აღარ აყურადებდა ანუ უსმენდა თურმე კიკნაძე, რომელიც, ღაღანიძის მოქარგული ენით, თან ნათებას დაატარებდა, ნათელს გამოსცემდა, თან – როგორც შორეულ სივრცეთა შიკრიკი – უცხო სივრციდან მიღებულ უწყებებს აგროვებდა.

ვისი ხმა აღარ აღმოაჩინა ათეული წლების მანძილზე სივრცეთა ძახილზე მონადირე ამ ფართო დიაპაზონის მეცნიერ-რადისტმა – გილგამეშიდან და ოდისევსიდან ვიდრე... მერაბ ღაღანიძემდე!

შეგირდის წიგნში მოძღვარმა „სამოთხის სიცილი“ მოისმინა და რა გული გაუძლებდა, სივრცეებისთვის, – ყოველ შემთხვევაში, მკითხველისათვის, – არ გაენდო თავისი აღტაცება იმის გამო, თუ როგორ მოიხილა ღაღანიძემ ზესთასოფელი და ჩვენ, მოკვდავთ, „სამოთხის სიცილი“ დაგვიბრუნა!

რა სიცილიც ისმის სამოთხეში, ეს აუცილებლად გაირკვევა, სასაცილო და საქილიკო კი ღაღანიძის წიგნშიც და კიკნაძის რეცენზიაშიც იმდენია, შეიძლება გულყრა დაგვემართოს.

ჯერ კი წინ გზა გვაქვს გასავლელი: ერთ ნავში მსხდომ ავტორს და მის რეცენზენტს – ყოფიდან ზესივრცეებისაკენ, ჩვენ კი – აკადემიურობის პრეტენზიის მქონე, სტილურ-ტერმინოლოგიურად ბუნდოვანი, გაფუყული ნაშრომიდან იმ დასკვნამდე, რომ კვაზიმეცნიერულ, აღვირმიშვებულ სისულელეს საზღვარი არა აქვს!

ზემოთ ნავი რომ ვახსენე, უბრალო, „ემპირიული“ მცურავი ობიექტი არ გეგონოთ, „არქეტიპულ-მითოლოგიური“, „უნივერსალური ნავია“. მისი ნეტარი მგზავრები – ღაღანიძე და კიკნაძე, ორნი ერთ ნავში, პრივატიზებული ედემისაკენ მიცურავენ – „განსხვავებულ სტატუსს იძენენ, ახალი ქცევის ნორმებს ემორჩილებიან“! რაც მთავარია, „სამოთხის სიცილი“ ესმით!

აბა, რაღას გაიგებენ ეს სტატუს და ნორმაშეცვლილი „რეფორმატორები“ სხვების – კოლეგების! – მოთქმა-გოდებას...

* * *

პროფესორი კიკნაძე რეცენზიას საგულისხმო ინფორმაციით იწყებს: „საუბარი გვაქვს 15 წლის წინათ დაწერილ

წიგნზე, რომელიც თავის დროზე, არ ვიცით, რა მიზეზით, არ გამოქვეყნებულა. იგი, როგორც ავტორი გვარწმუნებს, უცვლელი სახით ქვეყნდება“.

ღაღანიძის ნაშრომი – საკანდიდატო დისერტაცია, მართლაც, 1987 წელს დაიწერა და ტრიუმფით იქნა დაცული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. რადგან სამეცნიერო-საზოგადოებრივი საქმეებით დიდად დატვირთულმა კიკნაძემ ამ ძველი ნაშრომის სარეცენზიოდ მოიცალა, ჩანს, დიდი რამ გადანახული საგანძური აღმოაჩინა შიგ და მისი ცოცხალ სააზროვნო პროცესში ჩართვა გადაუდებელ აუცილებლობად მიიჩნია (ცხადია, ქართული ლიტერატურათმცოდნეობის სასიკეთოდ!).

ეტყობა, არც ღაღანიძეა მთლად დაბალი წარმოდგენის თავის „კნინ წიგნზე“ – ლიტერატურათმცოდნეობითი აზრის განახლებისა და მოდერნიზაციის ხანაში ნაშრომის დიდი დაგვიანებითა და თანაც უცვლელად გამოქვეყნება მთლად უპრეტენზიო საქციელად ვერ ჩაითვლება. ასეთი საქციელი „შესაძლოა, გაუმართლებელ სითამამედ იქნეს მიჩნეულიო“, – თვითონვე აღნიშნავს, მაგრამ იქვე თავმდაბლურად განმარტავს ქცევის ზნეობრივ მოტივებს – პასუხისმგებლობას „დროისა და თაობის წინაშე“, იმის ისტორიული სიზუსტით დაფიქსირებას, „თუ როგორ ფიქრობდა იმდროინდელი ახალგაზრდა თაობა ლიტერატურის შესახებ, როგორ ესახებოდა ამ თაობას ლიტერატურის კვლევისა და ლიტერატურული კვლევის მიმართულებანი“.

„კნინი წიგნის“ თავმდაბალ ავტორს ერთი მოკრძალებული არგუმენტიც აქვს: „წიგნში ასახული სათქმელი, მიგნებული თემები და მიმართებანი მას შემდეგ, როგორც ჩანს, არც გახმოვანებულა იმ არცთუ მრავალრიცხოვან ლიტერატურაში, რაც უკანასკნელ ხანს დავით გურამიშვილის შესახებ დაიწერა და დაიბეჭდა“.

დროისა და თაობის წინაშე უმწიკვლო კაცი, იმდროინდელი ახალგაზრდობის ფიქრთამპყრობელი, ჩემის შეტყობით, კოლეგებს საყვედურობს, „მიგნებული თემები და მიმართებანი“ რატომ არ აიტაცეთ ჩემი დისერტაციიდან, რატომ არ გაახმოვანეთ, აწ ცანით, წიგნის გამოცემით როგორ აღვადგენ გაწყვეტილ დროთა კავშირსო!

რეცენზენტმა კიკნაძემ ბოლოთქმაში მოყვანილი ეს არგუმენტები გამოტოვა, სამაგიეროდ, უფრო გლობალურ, დიდ საგანს ჩასჭიდა ხელი – იგი თანაგრძნობით იმოწმებს ღაღანიძის სიტყვებს: „შესაძლოა, წინამდებარე წიგნი იმის მოწმობადაც გამოდგეს... – თუ იმპერიის ყოველმხრივ ჩაკეტილი საზღვრები როგორ შემოსაზღვრავდა და განსაზღვრავდა იმის აკადემიურ თვალსაწიერსაც, – თვალსაწიერსა და არჩევანს, – ვინც არასოდეს ცდუნებულა იმპერიული მასშტაბების (მით უმეტეს რეჟიმის) ხიბლით“.

რეცენზენტის შეფასებით, ეს არის **„შესანიშნავი, შეიძლება ითქვას, ეპოქალური სიტყვები“**!

ეპოქალური ღაღანიძის ამ ციტატას უფრო ეპოქალური კიკნაძე ასეთ ჰეროიკულ კომენტარს ურთავს: რეჟიმმა კი დააზარალა ავტორის აკადემიური – და არა ინტერესთა – თვალსაწიერი, – „მაგრამ, რაც უფრო მნიშვნელოვანია ამ თხუთმეტწლიანი დისტანციიდან, მასში ჩანს არჩევანი, არჩევანი ზოგადად პიროვნულ-ეკსისტენციალური და არჩევანი ყბადაღებული, თავშესაფრად ქცეული ხარკის გაღებაზე უარისთქმისა, როგორც რეჟიმის ინდივიდუალურად ძლევის ფორმა“.

ამ შეფასებას „პიროვნულ-ეკსისტენციალური“ ბუნდოვანებისაგან თუ გავათავისუფლებთ, უცებ წამოიმართება ღაღანიძე-გმირის ფიგურა, რომელმაც, უბრალოდ, დისერტაცია კი არ დაწერა გურამიშვილზე, არამედ „ეკსისტენციალური არჩევანი“ მოახდინა, უარი თქვა „ხარკის გაღებაზე“ და **ინდივიდუალურად დაამარცხა რეჟიმი!**

წარსულის ფაქტებისადმი პატივისცემა ჩემთვისაც არ არის უცხო, სინამდვილე კი აი, ასეთი იყო: რეჟიმის ინდივიდუალურად მძლეველი ღაღანიძე კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის შუამდგომლობით და პირადად ე. შევარდნაძის დასტურით უგამოცდოდ ჩარიცხეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში!

მოტყუვდნენ გულუბრყვილო კომუნისტები, ამაოდ რომ აცდუნებდნენ მომავალ „მძლეველს“ „იმპერიული მასშტაბის... ხიბლით“. იმპერიულ მასშტაბებს რას დაგიდევდათ ღაღანიძე, როდესაც სიჭაბუკითვე მცირე მასშტაბის ცდუნებებს ისე იყო დაჩვეული, დღემდე ვერ მოიშალა...

გახსოვთ, ალბათ – „გმირს წინა-უძღვის ყოველთვის უძლური წინამორბედი“! ეს წინამორბედი, – მაგრამ არა უძლური! – კიკნაძე იყო, ვინც – ღაღანიძის ჩვენებით! – უცხო სივრცეებს აყურადებდა, ვინც იმპერიის „პირქუშ კედლებს“ ბზარი გაუჩინა, ე. ი. უფრო ადრე მოძებნა „რეჟიმის ინდივიდუალურად ძლევის ფორმა“!

დაე, სჯეროდეთ კიკნაძე-ღაღანიძეს, რომ მათი დისერტაციები ანგრევდა იმპერიას, მე კი ისღა დამრჩენია, ჩავიხედო ღაღანიძის „კნინ წიგნში“ და გაჩვენოთ, როგორ ხდება გურამიშვილის ტექსტის მოუწყინარი გაყალბება, ქართული ლიტერატურათმცოდნეობითი ტრადიციის ჩანაცვლება ინფანტილური ინტელექტუალიზმით.

ქრონიკა

გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირის იმერეთის რეგიონალური ორგანიზაციისა და ქუთაისის მერიის ერთობლივი ლიტერატურული პრემიების მიმნიჭებელი კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა დავით კლდიაშვილის, ლადო ასათიანისა და ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიების მოსაპოვებლად წარმოდგენილი კანდიდატურები.

ლაურეატები გამოვლინდნენ ფარული კენჭისყრით.

კომისიის გადაწყვეტილებით, 2005-2006 წლებში გამოქვეყნებული ნაწარმოებებისათვის პრემიები მიენიჭათ:

პროზაში, დავით კლდიაშვილის სახელობისა – **ავთანდილ ყურაშვილს**;

პოეზიაში, ლადო ასათიანის სახელობისა – **ზაალ ებანოიძეს**;

კრიტიკასა და პუბლიცისტიკაში, ნიკო ნიკოლაძის სახელობისა – **თემურ ამყოლაძეს.**

სამზეოს დასაფიცარი

*

საუბარი მარინე რჩეულიშვილთან

– ქალბატონო მარინე, წლების წინათ, 1992 წელს, ჟურნალ „ცისკრის“ მეორე ნომერში დაიწყო და ნაწილ-ნაწილ იბეჭდებოდა მხატვრულ-ბიოგრაფიული მოთხრობა „გურამ რჩეულიშვილის ცხოვრება-შემოქმედებისათვის“. სხვას ვერაფერს ვუწოდებთ ამ პუბლიკაციას, რადგან ეს არ იყო ნარკვევი, არ იყო მონოგრაფია და მით უფრო, არც მხოლოდ გახსენება.

ჩემი აზრით, ერთი მწერალი მეორე მწერლის შესახებ გვიამბობდა ძალზე ექსპრესიულად და საინტერესოდ. ეს არის, ალბათ, დოკუმენტურ-მხატვრული პროზა, ამჟამად ძალზე პოპულარული ჟანრი დასავლეთში.

გურამ რჩეულიშვილი

ვეებერთელა საარქივო მასალის პირისპირ მარტო დარჩენილხართ: „გაქცევა მომინდა, მაგრამ რაღაც საოცრად შეიკრა უგზოობის განცდამდე ყველა გზა და დარჩა მხოლოდ ერთი – ჩემი ძმის ცხოვრება-შემოქმედების, მისი სულიერი ბიოგრაფიის გზა

ვცდილობდი ჩავწვდომოდი თვითეულ სიტყვას, სიტყვათა კავშირს, წინადადებას, აბზაცს, თავს, მოთხრობას, პიესას, ლექსს, დღიურს, ჩანახატს, ხელწერას. ვცდილობდი მივყოლოდი იმ უხილავ წყალქვეშა დინებებს, რაც აერთიანებდა, ამთლიანებდა, ამაგნიტებდა ყველაფერს და წარმოადგენდა გურამის მთელი ცხოვრება-შემოქმედების საფუძველს.“

მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა. თქვენ აგრძელებთ მუშაობას გურამ რჩეულიშვილის არქივზე და ხელთ გაქვთ უკვე მისი თხზულებების რამდენიმე ტომი.

მასალა, როგორც ჩანს, ამოუწურავია.

ჩვენი საუბარი ამ ხუთტომეულით დავიწყოთ. ახალი რა მზადდება გამოსაცემად?

– ამ ტომეულის გამოცემის მიზანი იყო, ნაწარმოები მკითხველს მიეღო ისეთი, როგორიც გურამმა დაწერა. ეს იყო საკმაოდ რთული შესასრულებელი რამ.

მისი დაღუპვა მოულოდნელი იყო.

გურამის ნაწერები ბედს იყო მინდობილი. ზოგი მეგობრებმა მომიტანეს, ზოგი მუზეუმში აღმოჩნდა; მაგალითად, დაუმთავრებელი რომანი, რომელსაც გურამი იქ წერდა. მთელი არქივი გაფანტული იყო. იმდენად დიდი სამუშაო მქონდა, რომ უნივერსიტეტს თავი დავანებე. თვრამეტი წელია ამაზე ვმუშაობ. ყველაფერი ძნელი დასადგენია: ქრონოლოგია, ტექსტი ახლა მეოთხე ტომი გამოვა – „მარინე“ და იქაც ნახავთ, გამოჩნდება, რა არის ტექსტი და რა არ არის ანუ, რა იყო თვითონ ნაწარმოებების ქსოვილი და რა, ვთქვათ, მინაწერები, მასალები.

აქამდე ეს ყველაფერი იმ სახით არ გამოქვეყნებულა, როგორც დაიწერა. რატომ? სხვა ყველაფერთან ერთად არსებობდა „მკითხველის ცენზურაც“. ავიღოთ „ჩემი ლიტერატურული შეხედულებები“ – მასში გაერთიანებულია სამი მოთხრობა: „ირინა და მე“, „ალავერდობა“ და „დღიური“. მათ აერთიანებს საერთო შესავალი. ისინი ცალკეულ მოთხრობებად არ იყო ჩაფიქრებული. თან მწერალი ირინეს ფინალში მართლაც კლავს, რაც გურამის პირველი კრებულის გამოცემისას გიორგი შატბერაშვილმა ისე გადააკეთა, რომ თითქოს გურამი ირინეს მართლა კი არ კლავდა, არამედ წარმოსახვაში აკეთებდა ამას. ასეთი ცვლილება გამოიწვია იმან, რომ მკითხველი მაშინ ვერ მიიღებდა მწერლისგან ასეთ სინამდვილეს. ვახტანგ ჭელიძე, მაგალითად, წერდა,ძალიან სისხლიანი ნოველაა, გურამ, არ გინდა ასეთი რაღაცებიო. სინამდვილეში კი გურამის შემოქმედებას მაგისტრალურ სიუჟეტად მიჰყვება ცხოვრებისა და ხელოვნების ურთიერთდამოკიდებულება. ირინე აქ იყო ცხოვრების სიმბოლო და გურამი მისი მკვლელობით უარს ამბობდა ცხოვრებაზე ხელოვნების სასარგებლოდ.

– ანუ, გურამს გამოგონილი რეალობა ერჩივნა არსებულ სინამდვილეს

– დიახ, ასეა, მაგრამ, ამასთან ერთად, ისიც მინდა ვთქვა, რომ გურამის შემოქმედება ციკლური ხასიათისაა. მაგალითად, „ირინა და მე“ გურამმა მოსკოვში დაწერა და შეინახა, არც დაბეჭდა, არც გადაათეთრა, არც არავის მისცა წასაკითხად – მეც კი. თუმცა ყოველთვის მაკითხებდა, როდესაც რაიმეს დაწერდა. მხოლოდ წელიწადნახევრის შემდეგ, როდესაც „ალავერდობა“ და „დღიური“ დაწერა, მხოლოდ მაშინ „გამოაჩინა“, „ირინა და მე“ და ის აქცია ციკლის პირველი ნაწარმოებად.

ეს იყო გარკვეული ევოლუცია მწერლისა, რომელიც გადის გზას ხელოვნების აღიარებიდან მის სხვა ხარისხში აყვანამდე. ხელოვნებისა და ცხოვრების რთული ურთიერთდამოკიდებულება გრძელდება გურამის სიცოცხლის ბოლო დღემდე. მის შემოქმედებაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს დღიურს და შემდეგ უკვე დღიურისა და გამონაგონის ურთიერთდამოკიდებულებას. ასე იქმნება მთლიანობა, მაგრამ არქივზე მუშაობისას ძალიან ძნელდება გამონაგონისა და მინაწერების გამიჯვნა. გარკვევა, რა არის ნაწარ-

მოების ნაწილი და რა - დღიურების მინაწერები. რომელია ტექსტის გარეთ არსებული ტექსტი, ამის გაგება ძალზე რთულდება. ხშირად ისინი ერთმანეთს ერწყმის. სხვადასხვა ფორმით ცხოვრება იჭრება გურამის შემოქმედებაში. ეს ჩანს მის პიესებშიც.

ძალიან რთული იყო მიხვედრა, რა როგორ იყო, როგორ დაწერა გურამმა.

– რა გამოსავალი იპოვეთ?!

– შევეცადე მკითხველისთვის ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს თვითონ ზის პირველად ამ მასალასთან და მუშაობს. რედაქტორის გაშალაშინებულსა და გალამაზებულს კი არა, „ცოცხალ არქივს“ ამუშავებს.

პირველად მე თვითონ ძალიან დავიბენი პუნქტუაციასთან დაკავშირებით, იმიტომ, რომ გურამი პუნქტუაციას თითქმის არ ხმარობს. ხანდახან კი ისე გამოდის, რომ პუნქტუაცია სემანტიკურ მნიშვნელობას იძენს. ეს აღდგენილი მაქვს. მართალია, ხშირ შემთხვევაში პუნქტუაცია აღვადგინე, როგორც წესია, მაგრამ ფუნქციურ-სემანტიკური მნიშვნელობა შევინარჩუნე.

მაგალითად, “მონადირეში” წერტილის ნაცვლად უწერია ორწერტილი. თითქოს გაგრძელება მკითხველზეა

ერთი ფილმი მაგონდება: გელა კანდელაკი თამაშობს სულ ცდილობს რაღაც დაწეროს. არადა, მელოდია ესმის და ვერ წერს. მოკლედ, კომპოზიტორია, რომელმაც ვერ დაწერა, ვერ შექმნა. თუმცა მუსიკა ესმოდა, მაგრამ ის ვერ შეიკრა ნაწარმოებად. აი, მსგავსი განცდაა „ნადირობაში“ და ეს გურამს ორწერტილით აქვს მიღწეული.

– კიდევ რა სირთულეების დაძლევა მოგიხდათ არქივზე მუშაობისას?

– ქრონოლოგიის დადგენაა ძალიან რთული საქმე. თითქმის ყველა ნაწარმოები უთარიღოა. მე ისინი ჟანრულ-ქრონოლოგიურად დავალაგე.

მივაგენი გურამის შემოქმედების მაგისტრალურ სიუჟეტს. ეს არის ცხოვრებისა და ხელოვნების ურთიერთდამოკიდებულება და ის პირველივე ნაწარმოებში ჩანს. რაკი ამას მივაგენი, მერე უკვე ამ გზას მივყევი. რაკი ეს აღღო გამიჩნდა და მივხვდი ამას, ასევე ავაწყე მთელი მისი შემოქმედება.

დაუმთავრებელ ნაწარმოებებშიც ჩანს ეს ხაზი და ამიტომ ისინი დასრულებულ თხზულებებთან შევიტანე. იმ დაუმთავრებლობასაც თავისი ფუნქციური დატვირთვა აქვს.

ამ გამოცემაში მოტანილია და შედარებული თეთრი და შავი ხელნაწერები და ამ შედარების დროს, თუ დავაკვირდებით, ბევრი რამ არის ამოტივტივებული, ანუ ის, რაც ქვეტექსტში გადავიდა.

გურამს პროტოტიპებზეც დიდი ყურადღება აქვს გამახვილებული.

ასევე მიხდება უკვე გამოქვეყნებულ მოთხრობებში გამოტოვებულ-ამოღებული წინადადებებისა და ადგილების აღდგენა. მაგალითად, „ალავერდობა“. ის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწარმოებია, რომელშიც გურამი გადის ინიციაციის საფეხურებს. ამ მოთხრობაში ამოღებულია ისეთი წინადადებები, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანია მწერლის მთელი შემოქმედების გასააზრებლად. „ალავერდობაში“ ბევრი რამ გადაწყდა.

– კერძოდ, რა არის ამოღებული ისეთი, რასაც თქვენ ასეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ?

– აი, თუნდაც ეს: „ეს ისტორიულადაც ბოლო დღეა“. რას ნიშნავს: ეს ისტორიულადაც ბოლო დღეა?! ანდა, „ჩვენ ორი დღით დავიბენით!“

– და თქვენ ურთავთ კომენტარს?

– რასაკვირველია. და ამასთან, ეს ყველაფერი თავს მოიყრის მონოგრაფიაში, რომელსაც ვწერ და ახლა არ მინდა ამაზე საუბარი. თუმცა, მაქვს მინიშნებები. თვითონ გურამს „ირინა და მესთვის“ ცალკე ჩანაწერები აქვს. მათში სამყაროს ესქატოლოგიური ხედვაა. გურამი სულ სხვანაირად ხედავს მთელ სამყაროს და წინასწარმეტყველსა და მწერალს აერთიანებს.

მოკლედ, ძალიან დიდი შრომის შედეგად შევაღწიე გურამის ტექსტში. მას არ უყვარდა აშკარა სიმბოლიკა. არადა, მთელი მისი შემოქმედება სიმბოლურია ისევე, როგორც სამყაროა სიმბოლური. ამ სიტყვას სიმბოლიზმის მნიშვნელობით არ ვხმარობ. მზის ამოსვლა რაღაცას ნიშნავს და ჩასვლაც რაღაცას ნიშნავს. ჩიტის ჭიკჭიკი სიმბოლოებით არის სავსე. ჩემთვის სიმბოლო არის გზა სხვა სამყაროებისკენ, რომლებიც ირეალურია და რომელიც მატერიალურში გამოვლინდა გარკვეული ფორმების სახით. ცხოვრებისეული სიმბოლოებზე ვამბობ და არა, ვთქვათ, მეტაფორულზე, რომელიც სიმბოლიზმისთვის არის დამახასიათებელი. შესაძლოა, ჭეშმარიტი ხელოვნება ყოველთვის სიმბოლური იყოს. ის სცილდება ზედაპირს და სამყაროს არსის წვდომისაკენ მიდის. სიტყვაში ვლინდება არსი და, ამგვარად, მიღმა სამყაროს ძალიან მნიშვნელოვანი შრეები იხსნება.

– ლექსებს თუ წერდა გურამი?

ახლა იბეჭდება ხუთტომეულის მეოთხე ტომი, რომელშიც შედის ლექსებიც.

ერთი მინიატურაა:

ისევ მომიტაცა ურჯუკა სულანმა,
ისევ დავუჭირე თავი
ცხენი შფოთავდა,
მე გული დამწყდა.

თითქოს არაფერია ისეთი, მაგრამ აქ იმოდენა შინაგანი ძაბვაა, გურამის ბუნება იშლება.

– დღიურები, ჩანაწერები, ეს კიდევ სხვა თემაა. ალბათ, არც მათი გაგება და გაშიფრვაა იოლი საქმე

– საერთოდ, პუბლიცისტურ სიტყვის გაგება ძალიან რთულია.

დღიურები კიდევ უფრო სხვა რამაა. მათში ის მიჰყვებოდა თავის შინაგან ხმას. ჩემთვის უფრო რთული იყო დღიურის ტექსტის გაგება, ვიდრე მხატვრული ნაწარმოებისა. აქ მთლიანობაში იქმნება აზრი, ხოლო დღიურებში სხვაგვარადაა. თუმცა ერთი ჟანრი მეხმარებოდა მეორეს გაგებაში. გურამთან, მართალია, მნიშვნელოვანია შემოქმედება, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია პიროვნება. გურამის დაწერილი თითოეული სიტყვა იყო მოწმობა მისი პიროვნებისა.

– გურამს თქვენსავით არავინ იცნობდა, და მაინც, არქივმა სხვანაირი გურამი აღმოგაჩენინათ?

– გურამის არქივზე მუშაობას არ ვაპირებდი. ვფიქრობდი, რომ გამოჩნდებოდა ვიღაც ჭკვიანი ადამიანი, ვინც ამ საქმეს იდებდა თავს. ერლომ ახვლედიანმა „შემაბა“. ერ-

თხელ მითხრა, მოდი გურამის არქივზე ერთად ვიმუშაოთო. მერე წავიდა და დაიკარგა. ძალიან ვღელავდი. როგორ უნდა დამეწყო? რა მექმნა, არ ვიცოდი. ვკითხულობდი, ვჩხრეკდი, ვიწერდი და უცებ მივხვდი, რომ აქ არის რაღაც – მოწმობა ადამიანის ცხოვრებისა, რომელიც თავის თავში შეიცავს რაღაც მნიშვნელოვანს ელდასავით მეცა. ასეთი უცაბედი განცდა დამეუფლა. ეს, ალბათ, ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობაა, რადგან მსგავს განცდაზე სხვასთანაც წამიკითხავს. იმ დღიდან დაიწყო ჩემი წვალება. ღმერთი მაძლევს მოთმინებას, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ გამომძიებელივით მივყვე გურამის სიტყვას. ხანდახან მიჩნდება კითხვა: ვინ დამნიშნა გამომძიებლად? რატომ უნდა ვიძიო? ალბათ, იმიტომ, რომ მნიშვნელოვნად მიმაჩნია გურამის სამყარო, მისი ფენომენი. მან ბევრი გააერთიანა თავისი სახელის ირგვლივ და ეს მხოლოდ მწერლური ნიჭის წყალობა არა მგონია. ასე ვფიქრობ: არცერთი სიტყვა ტყუილად არ არის დაწერილი. ის რაღაც განსაკუთრებული მუხტი ყველაფრში დევს: სიტყვაში, კომპოზიციაში, სათაურში, პუნქტუაციაშიც კი. ის წარმმართავს. როდესაც რაღაც არ მესმის, იმას კი არ ვამბობ, რომ გურამს რა ბუნდოვნად დაუწერია, ანდა, ეს არაფერია-მეთქი. მაშინვე ძალას ვიკრებ და ვიწყებ გაგებას.

არაფერი ისე არ დამეხმარა გაგებაში, როგორც თვითონ არქივზე მუშაობა. ეს იქცა ჩემს ცხოვრებად.

– თქვენ წერთ: „1956 წლის იანვრამდე, იმ მომენტამდე, სანამ დაიწყებოდა გურამის მისიის აღსრულების ოთხი ცეცხლოვანი წელი, მთელი 22 წელიწადი იყო; იყო ნიჟარაძე-კიკნაძე-ხიდიბერგიშვილ-რჩეულიშვილ-ვახვახიშვილ-ჯავახიშვილების უზარმაზარი სამყარო, რომელიც აღმოჩნდა „ქუეყანა კეთილი“ ღვთის სიტყვის აღმოსაცენებლად.“ ანუ აღიზარდეთ ტრადიციულ ოჯახში და ამაყობდით ყველაფრით, რაც მართლაც, საამაყო იყო – ბებიებით და პაპა-ბაბუებით, მშობლებით, მათი ურთიერთობებით, მათი განათლებითა და ზნე-საქციელით

და მაინც, მინდა გკითხოთ, რა არის თქვენთვის ტრადიცია და ტრადიციული ოჯახი?

– შეიძლება სანიმუშოდ ჩაითვალოს გურამის დამოკიდებულება დედისადმი. ცალკე თემაა საერთოდ, დედას წერილები გურამისადმი. საოცრებაა! დედა ძალიან მომთხოვნია. ერთი და იგივე თემა შეუძლია ათასჯერ შეახსენოს, სანამ გურამი არ გააკეთებს ისე, როგორც დედა ურჩევს. უნდა ჩაიცვას ასე, უნდა დაწეროს დიპლომი... დედას ყველაფერზე ჰქონდა ნაფიქრი – როგორ უნდა მოიქცეს მისი შვილი და როდის რა გააკეთოს. გაუთავებლად შეახსენებს ერთსა და იმავეს! მიუხედავად ამისა, არ მახსოვს გურამს ერთი საყვედური დასცდენოდეს. სხვა დედამ ასე ჩაციებით შვილს ერთი და იგივე რომ ასჯერ უთხრას და უმეოროს, ის უსათუოდ ეტყვის, რა გამიწყალე გულიო. გურამისთვის კი ძალიან მნიშვნელოვანი იყო დედაშვილური იერარქია. ასევე იყო მამას მიმართ. ცნობილია, გურამი ჩხუბშიც რომ ყოფილიყო, მამის დანახვისთანავე თავს ჩაქინდრავდა და წამოყვებოდა. მისგან უზრდელური სიტყვა არ მახსოვს. მშობლებს არასოდეს შეკამათებია. ჩემს შვილს რამდენჯერმე ვერ ვეტყვი ერთსა და იმავეს და ისიც ვერ გაუძლებს, თუმცა ძალიან კარგი შვილია. გურამი უძლებდა ასეთ დატვირთვას, რადგან ეს იერარქიული დამოკიდებულება მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

ჩვენს ოჯახში ასეთი ურთიერთობა მყარად იყო დამკვიდრებული. დღესაც ასეა, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე თაობა ყოველთვის ერთად ვართ. წვეულებებზე სულ ერთად ვიყრით თავს, არ არის გაყოფილი დიდი და პატარა, თუმცა უმცროსებმა ყოველთვის იციან თავისი ადგილი და უფროსებთან არ არიან ათქვეფილები. როგორც ჩანს, ეს ტრადიცია სულ უნდა იყოს.

მაგალითი ბევრს ნიშნავს. დედა, მაგალითად, მამამისს, ბაბუაჩემს თქვენობით ელაპარაკებოდა.

ჩემი მეუღლეც ასეა. მამაჩემი რომ შემოვიდოდა, გეიდარი ფეხზე წამოდგებოდა ხოლმე. მახსოვს, ახალი გათხოვილი ვიყავი და ჩემი დაბადების დღე იყო. გავიხედე და, მამა მოვიდა თავისი მეგობრებით. ცოტა არ იყოს გავბრაზდი, ამათ ჩემს დაბადების დღეზე რა უნდათ-მეთქი, და დედას ვთხოვე, მათთვის სუფრა ცალკე გაეშალა. გეიდარმა საშინლად იწყინა ჩემი საქციელი, გვერდზე მოისვა მამაჩემის მეგობრები და მთელი სუფრა წარმართა ამ უფროსი ხალხის პატივისცემით; ჯერ ისინი იყვნენ და მერე სხვები – ახალგაზრდები. მამა მანამდეც დიდ პატივს სცემდა ჩემს მეუღლეს გეიდარმა დაიცვა და შეინარჩუნა ტრადიცია.

ჩვენთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო ურთიერთპატივისცემა.

გურამს უწერია ერთგან: ვიღაც ეუბნება, დედა ყველაფერს გაპატიებსო. ამაზე გურამი პასუხობს: დედა ერთადერთია, ვინც არაფერს არ გაპატიებსო.

საერთოდ, გურამისა და დედას ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანი თემაა. მისი ბოლო ორი წერილი დედისადმი იყო მიწერილი, ბოლო ლექსი ეძღვნებოდა დედას საზოგადოდ, აქედან, ამ ურთიერთობის გაანალიზებით ძალიან მნიშვნელოვან შრეებში შეიძლება შეღწევა.

– ახლა კი თელავზე ვისაუბროთ! თხრობისას არაერთხელ ახსენებთ ამ არაჩვეულებრივ ქალაქს: „ნადიკვარი ჩვენი ეზოა. დღისით დავრბივართ ფეხშიშველები.

რაც ამ მწვანე-ბალახ-ხალიჩა-გადაკრულ გორაზე ხდება, ყველაფერი ჩვენ გვეხება. საღამოთი ჩვენს ეზოში მთელი თელავი იკრიბება. ჩვენც, მასპინძლები, ნადიკვრობისათვის საგანგებოდ დაბანილ-დავარცხნილები, ვიღებთ სტუმრებს“ დღესაც ასეთი განწყობა და განცდა გაქვთ?

– თელავი ჩვენი ოჯახისთვის ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი იყო. როგორ შეიძლება თელავი არ გიყვარდეს?! მითუმეტეს, თუ ყველაფერი გიყვარს, რასაც შენი ჰქვია?! ჩემს შვილიშვილებსაც ძალიან უყვართ იქ ყოფნა.

გურამს ყოველთვის მიუხაროდა თელავში უსაყვარლეს ბებოსთან

– გურამის არქივზე მუშაობა რაც დაიწყეთ, დროის მსვლელობაც „სხვანაირი“ გახდა თქვენთვის - „თითო მომატებულ წელს უკან მივყავარ ჩემი ძმისკენ, და ველოდები იმ დღეს, როდესაც ჩემი აწმყო მთლიანად დაემთხვევა ჩემს წარსულს, რაც ქრონოლოგიურად რომ მივყვეთ, მომავალში უნდა იყოს!“ დროის მთლიანობის ასეთი განცდა არ გიიოლებთ საქმეს? არქივის რა ნაწილი დაგრჩათ დასამუშავებელი?

– მე მგონი, ჯერ მხოლოდ გზის დასაწყისში ვარ. ვნახოთ, თუ გავალ ბოლომდე

ესაუბრა
თამარ ღონღაძე

ირაკლი ბათიაშვილი

პირველსაწყისის შემოტევა

„ახალი და ძველი ღმერთები უკვე აღელვებენ მომავლის ოკეანეს“

მ. ფუკო „სიტყვები და საგნები“

ჩვენ ვილაპარაკებთ თანამედროვე კატაკლიზმების ფენომენოლოგიაზე. ვფიქრობთ, რომ ეს უაღრესად საინტერესო და აქტუალური სფეროა ფილოსოფიური კვლევების. საქმე ეხება იმ გლობალურად შექმნილი სპეციფიკური სიტუაციის ანალიზს, რომელიც გარკვეულწილად საბედისწერო აღმოჩნდა ჩვენი დღევანდელი ყოფიერებისათვის. ტერორიზმი, სტიქიური კატასტროფები, პანეპიდემიები – აი, უახლესი ეპოქის დიდი ისტორიული ხდომილება და ამჟამად გვაინტერესებს, თუ როგორ კონსტიტუირდება იგი, ანუ გვაინტერესებს, თუ ობიექტურად როგორ განიცდის და რა საზრისს დებს ამ ხდომილებაში თანამედროვე ცნობიერება. მაშასადამე, მოცემულ კვლევებს არც აპოკალიპტურ-მეტაფიზიკური და არც ფსიქოლოგიური ხასიათი არ აქვთ, ვინაიდან ისინი არ სცილდებიან ფენომენოლოგიური მეთოდით ნაკარნახევ საზღვრებს. სწორედ ამ მეთოდით გაწვრთნილი სუფთა მზერით უნდა განვიხილოთ ფენომენი, რომელიც ამჟამად საყოველთაო ყურადღების ცენტრშია. მაგრამ რამდენად მართებულია ასეთი საუბარი? რამდენად, მართლაცდა, გამოკვეთილია წინა პლანზე ეს ფენომენი?

ჩემს კომპიუტერში რეგულარულად ვინახავ ხოლმე ინფორმაციებს მსოფლიოს მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ. ამასწინ გადავწყვიტე ერთიანად გადამეთვალიერებინა ეს საკმაოდ გრძელი სია და ჩემთვის ერთბაშად თვალშისაცემი შეიქნა შემდეგი რამ: ამ ჭრელ მოზაიკაში იკვეთებოდა ერთი მთავარი ფიგურა, ხოლო დანარჩენი უფრო მეტად ფონს შეადგენდა. სახელდობრ, ეს იყო ფიგურა, რომელსაც შემოხაზავდნენ ინფორმაციები ტერორიზმის, სტიქიური უბედურებებისა და პანეპიდემიების შესახებ. მსურს რა ჩემი შთაბეჭდილება გაგიზიაროთ, კიდევ ერთხელ თქვენთან ერთად მიმოვიხილავ მათ მცირედ ნაწილს: 2001 წლის 11 სექტემბერი – იგი, ალბათ, მალე შეფასდება, როგორც ახალი ათვლის წერტილი ისტორიის მსვლელობაში.

– 2002 წლის აპრილი: ცნობილ კურორტზე ინდონეზიაში, კერძოდ კუნძულ ბალიზე მოხდა საშინელი აფეთქება, რომელმაც იმსხვერპლა 187 ადამიანი.

– 2004 წლის მარტში ათი აფეთქება განხორციელდა მატარებლებზე მადრიდში, რის შედეგადაც დაიღუპა 190 ადამიანი, დაშავდა ათასორასი.

– 2004 წლის ივნისში ჩრდილოეთკავკასიელმა ბოევიკებმა ფართომასშტაბიანი თავდასხმა მოაწყვეს ინგუშეთზე.

– 2004 წლის ივლისი: ოცდასამი ადამიანი დაიღუპა ფილიპინებზე ტაიფუნის შედეგად.

– წყალდიდობები სამხრეთ აზიაში (ინდოეთი, ნეპალი, ბანგლადეში): დაზარალდნენ მილიონები, დაიღუპა ასორმოცდაათი ადამიანი.

– მძლავრმა აფეთქებამ ერაყის ქალაქ ბააკუბაში იმსხვერპლა სამოცდარვა ადამიანი.

– 2004 წლის აგვისტო: ერაყში ტერორისტებმა სიკვდილით დასაჯეს კიდევ ორი თურქი მძევალი.

– ქალაქ ბესლანში ბოევიკებმა ასობით მძევალი აიყვანეს ერთ-ერთი საშუალო სკოლის შენობაში.

– ჯაკარტაში ავსტრალიის საელჩოსთან აფეთქდა დანაღმული ავტომანქანა: დაიღუპა ცხრა, დაშავდა ასოთხმოცდაცხრა.

– აღმოსავლეთ ჩინეთში ტაიფუნ „რანანის“ მსხვერპლი გახდა ასთხუთმეტი მოქალაქე.

– გრიგალი „ივანე“ თავს დაატყდა ამერიკის შეერთებული შტატების შტატ ალაბამას. კარიბის აუზში უკვე დაიღუპა სამოცი ადამიანი, ფლორიდასა და ლუიზიანაში – თორმეტი. ორ მილიონ მოსახლეზე მეტი ევაკუირებულია.

– გრიგალი ჰაიტიზე: მსხვერპლის რაოდენობამ ორიათასს მიაღწია.

– 2004 წლის ოქტომბერი: ეგვიპტეში ტერაქტის შედეგად დაღუპულთა რაოდენობამ ოცდაექვსს მიაღწია.

– პაკისტანის ცენტრალურ რეგიონში, ქალაქ მულტანში მოხდა ღამით მძლავრი აფეთქება, რის შედეგადაც დაიღუპა ოცდაათი ადამიანი და მრავალი დაშავდა.

– 2004 წლის დეკემბერი: გრანდიოზული ცუნამი ინდოეთის ოკეანეში, რომელმაც გამოიწვია უზარმაზარი მსხვერპლი (დაახლოებით ორასიათასამდე ადამიანი) და ნგრევა ინდონეზიაში, ინდოეთში, შრი-ლანკაში, ტაილანდში.

– 2005 წლის თებერვალი: აფეთქების შედეგად გარდაიცვალა ლიბანის ექს-პრემიერი რაფიკ-ჰარირი.

– 2005 წლის მარტი: წყალდიდობებმა ავღანეთში იმსხვერპლა ორასი ადამიანი და დაანგრია ათასობით სახლი.

– რვანახევარ ბალიანი მიწისძვრა ინდონეზიაში, რის შედეგადაც დაიღუპა ორიათასი ადამიანი, დაშავდა მრავალი და მასიურად დაინგრა შენობები.

– 2005 წლის აპრილი: დიდი წყალდიდობები საქართველოში.

– აფეთქებათა სერია ბაღდადში, რომლის შედეგად დაიღუპა ოცდასამი ადამიანი.

– ერაყის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ ერბილში დაიღუპა სულ მცირე ორმოცდაათი ადამიანი და დაშავდა ასორმოცდაათი აფეთქების გამო, რომელიც მოაწყო თვითმკვლელმა ტერორისტმა.

– 2005 წლის ივნისი: ბაღდადში უკანასკნელი თორმეტი საათის განმავლობაში განხორციელდა ტერაქტების სერია: დაიღუპა ორმოცი, დაიჭრა – დაახლოებით ასამდე.

– 2005 წლის ივლისი: მძლავრ აფეთქებათა სერია ლონდონში. ბომბები ამუშავდნენ ქალაქის მეტროპოლიტენის სამ საკვანძო სადგურსა და ავტობუსში. დაიღუპა ორმოცდათექვსმეტი ადამიანი.

– აფეთქებები განხორციელდა ღამით ეგვიპტის ცნობილ კურორტზე შარმ-ელ-შეიხ-ზე, რომელიც მდებარეობს სინაის ნახევარკუნძულზე: გარდაიცვალა ორმოცდარვა ადამიანი, დაიჭრა ორასზე მეტი.

– ბაღდადში კვირას სულ მცირე ოცდახუთი კაცი დაიღუპა და ოცდაათი დაიჭრა პოლიციის განყოფილებასთან სატვირთო მანქანის აფეთქების შედეგად.

– უზარმაზარი წყალდიდობები ინდოეთში.

– 2005 წლის აგვისტო: დიდი წყალდიდობები ევროპაში (გერმანია, შვეიცარია, რუმინეთი).

– 2005 წლის სექტემბერი: ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროს თავს დაატყდა არნახული სიძლიერის გრიგალი – „კატრინა“. ახალ ორლეანში ასი ათასობით მაცხოვრებელი საჩქაროდ ტოვებს თავის სახლ-კარს. მსხვერპლის რაოდენობამ ექვსასოთხმოცდათორმეტს მიაღწია.

– ხოცვა-ჟლეტა ბაღდადში: აფეთქდა ცხრა დანაღმული ავტომანქანა – დაიღუპა ასორმოცდაათი ადამიანი, დაახლოებით ორასი დაშავდა.

– 2005 წლის ოქტომბერი: აფეთქებები დელიში, რომლის დროსაც დაიღუპა სამოცდაორი ადამიანი.

– პაკისტანში მოხდა 7,6 ბალის სიმძლავრის მიწისძვრა (ეპიცენტრი მდებარეობდა ქვეყნის ჩრდილოეთში). მსხვერპლის რაოდენობამ უკვე ოციათასს გადააჭარბა.

– სულ მცირე ორასორმოცდაათი ადამიანი დაიღუპა ცენტრალურ ამერიკასა და მექსიკაში წყალდიდობებისა და ტალახის ნაკადების გამო. მხოლოდ გვატემალაში ექვსასი კაცი ითვლება დაკარგულად, ხოლო ასსამოცდაათის სიკვდილი უკვე დადასტურებულია.

– ოთხმოცი ქვეყნისა და რვა საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები შეიკრიბნენ ვაშინგტონში მოლაპარაკებებზე დახურულ კარს მიღმა, რათა განიხილონ ფრინველის გრიპის მსოფლიო პანდემიის თავიდან აცილების სტრატეგია. ჯერჯერობით ამ შტამისაგან (51) დაიღუპა სამოცი ადამიანი.

– რუმინეთის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ დუნაის დელტაში აღმოჩენილი ფრინველის გრიპის შტამი არის მომაკვდინებელი 51. ეს დაავადება გამოჩნდა აზიაში და იმსხვერპლა სამოცი ადამიანი. იგი უკვე გავრცელდა თურქეთშიც.

– 2005 წლის ნოემბერი: ამერიკის შეერთებული შტატების კენტუკისა და ინდიანას შტატებს თავს დაატყდა ტორნადო, რომლის შედეგად დაიღუპა ოცდაერთი ადამიანი, დაზარალდა არანაკლებ ორასისა. ტორნადომ კვალის სახით დატოვა ოცდათორმეტი კილომეტრის სიგრძისა და ერთნახევარი კილომეტრის სიგანის ნანგრევების ზოლი.

– 2006 წლის აპრილი: დიდი წყალდიდობები ევროპაში (ჩეხეთი, უნგრეთი, გერმანია). დაიტბორა სერბეთის დედაქალაქი - ბელგრადი.

– ერაყის ქალაქ ბაკუბაში მოხდა აფეთქება შიიტურ მეჩეთში. დაიღუპა ოცდახუთი ადამიანი.

– სულ მცირე ოცდასამი კაცი დაიღუპა და ათობით დაშავდა სამი აფეთქების შედეგად, რომელიც განხორციელდა წითელი ზღვის სანაპიროზე მდებარე ეგვიპტის კურორტ დაჰაბში.

აი, ჩვენს წინაშეა დღევანდელი კატაკლიზმების, მართლაცდა, მღელვარე ოკეანე! როგორ აღვიქვამთ მას? განა, მხოლოდ, როგორც შიშველ ფიზიკურ, ბიოლოგიურ და სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებს, რომლებიც თავის თავში არავითარ სხვა საზრისს არ ატარებენ?! თუ პირიქით, ისინი რაღაცას გვამცნობენ, გვატყობინებენ? რა არის ის, რაზედაც ისინი „ფრთხილად“ მიგვანიშნებენ? და როგორია არსებითად თანამედროვე ცნობიერება ამ კატაკლიზმებისა, რომლებიც ამგვარი ფარული საზრისის მქონე მოვლენების სახით გვეცხადებიან?

ჩემს წინაშეა ბოდრიარის ეგზოტიკურ-ფილოსოფიური ესსე – „ბოროტების გამჭვირვალეობა“, რომელიც ეძღვნება სწორედ, რომ ე.წ. ექსტრემალურ მოვლენებს. თუკი მას კარგად ჩავუღრმავდებით, უთუოდ დავინახავთ შემდეგს: იგი რეფლექტურ დონეზე გამოხატავს იმ ინტენციონალობას (ანუ მიმართულობას), რითაც ხასიათდება საერთოდ თანამედროვე ცნობიერება აღნიშნულ მოვლენათა მიმართ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს რეფლექსიები თავისებური ეგზემპლარია, რომელშიც კარგად გამოსჭვივის ამ კატაკლიზმების ეპოქალური აღქმის არსი. ამიტომაც ჩვენი მოკლე ანალიზი ეყრდნობა ბოდრიარის აზრის არაორდინარულ მოძრაობას და შევეცდებით წარმოვაჩინოთ მისი ცალკეული მნიშვნელოვანი შტრიხები.

„შიდსი, კრახი, კომპიუტერული ვირუსები, ტერორიზმი (და ამას ემატება სტიქიური კატასტროფები – ი. ბ.) ისინი დაკავშირებულნი არიან ნათესაური კავშირებით“.* (* თარგმანი – ი.ბ.). „არცერთს ამ მოვლენათაგან არა აქვს პრივილეგია სხვათა წინაშე – ისინი წარმოქმნიან ერთიან თანავარსკვლავედს“. დიახ, ბოდრიარის მიხედვით ეს განსხვავებული სახეობის ექსტრემალური მოვლენები, რითაც აღბეჭდილია თანამედროვე სამყარო, საერთო ძირიდან მოდიან. რამ განაპირობა მათი ექსპანსია? არის თუ არა იგი „პასუხი“, „რეაქცია“ რაღაც პროცესზე, რომელიც პოსტინდუსტრიულ ცივილიზაციაში მიმდინარეობს? რა არის ეს პროცესი? ბოდრიარი მასთან დაკავშირებით სარგებლობს უცნაური ტერმინით: „ოპერაციული სითეთრე“. „ჩვენს საზოგადოებას დაეუფლა სისხლის გათეთრების რაღაცნაირი სახესხვაობა“ გლობალურად მკვიდრდება ჰომოგენური და გამჭვირვალე სასიცოცხლო გარემო ანუ ის უნივერსალური სივრცე, სადაც გაფანტულია, განზავებულია რადიკალური განსხვავებები, წინააღმდეგობები. აქ ჭარბობს შუქი და ძალზედ მცირდება ჩრდილი. „ჩვენ თითქოსდა ყოველი მხრიდან განათებული ვართ ტექნიკით, ხატებით, ინფორმაციებით“ და ეს იმ გრანდიოზული ქირურგიული ოპერაციის შედეგია, რომელიც ტარდება ბუნებაზე, კულტურებზე, ფსიქიკაზე და რომელიც დღესდღეობით გადამწყვეტ ფაზაში შედის. „ყველაფერი უნდა მიეძღვნას ნივთთა ამ ოპერაციულ გადაგვარებას“.

აღნიშნული დიდი ექსპერიმენტის გამოისობით ჩვენ აღმოვჩნდით მოქცეული ზეინტეგრირებულ სისტემებში – პოლიტიკურად, ტექნოლოგიურად, ეკონომიკურად ზეინტეგრირებულ სისტემებში, სადაც თითქოსდა თავს მაქსიმალურად საიმედოდ და დაზღვეულად უნდა ვგრძნობდეთ. მაგრამ სწორედ აქ დაგვეუფლა იმუნური

დეფიციტი, რაც სავსებით გასაგებია. „თუკი იმუნური სისტემა სუსტდება, ეს ხდება, რადგანაც ხშირად პროგრესად წოდებულ შეუქცევად ტენდენციას მივყავართ იმისკენ, რომ ადამიანურ სხეულს და გონებას დააკარგვინოს მისი დამცავი თვისებები, რათა გადაიტანოს ისინი ხელოვნური არსებობის ტექნიკურ სფეროში“. „ყველა ინტეგრირებული და ზეინტეგრირებული სისტემა, ტექნიკური სისტემები, სოციალური სისტემა, თავად აზროვნება ხელოვნურ გონებაში და მის წარმოებულებში მიისწრაფვის იმუნური დეფიციტის ამ ზღვრისაკენ“. და აი, მაშინ ასეთ სისტემებში იწყება ვირუსული გავრცელება სხვადასხვა ანომალიური დაავადებების – ტერორიზმის, ავადმყოფობების, სტიქიური კატასტროფების „ექსტრემალური მოვლენების მოსპობის სურვილი აბსოლუტურად ილუზორულია. ისინი გახდებიან სულ უფრო და უფრო ექსტრემალურები ჩვენი სისტემის ფალსიფიკაციის დონის ზრდის შესაბამისად“. ეს ახალი, ე.ი. არატრადიციული საფრთხეები ადამიანის მხრიდან მიდგომას, „მოხელთებას“ ანუ მართვას არ ექვემდებარებიან, არა იმიტომ, რომ ჯერჯერობით ამის ინტელექტუალური და ტექნიკური რესურსები არ გაგვაჩნია, არამედ არსებითად – თითქოსდა გაიხსნა „პანდორას ყუთი“ რაღაცის წიაღში! და ამიტომ, ადამიანი ცოცხლობს დღევანდელ სამყაროში პერმანენტული და ტოტალური მუქარის ცნობიერებით – ნათელი თუ ლატენტური ცნობიერებით. იგი მუდმივი მოლოდინია ამ მუქარისა. ეს უკანასკნელი პრინციპულად დაუძლეველია, ვინაიდან მოდის ჩვენთვის სრულიად არათანაზომიერი საწყისიდან; დიახ, იქიდან, რასაც უცხოს ანუ იდუმალს ვუწოდებთ.

„ჩვენ ეკლექტიკურ კულტურაში, რომელიც შეესაბამება სხვა კულტურების დაშლასა და შექუჩებას, არაფერია მიუღებელი“. დიახ, ვშთანთქეთ და ავითვისეთ რა ყოველივე, ახლა ამ „ნაყროვანებისა“ და „ინტოქსიკაციისაგან“ დაგვეწყო მწვავე ალერგია: გვინდა ყველაფერი ამოვიღოთ, უკუვაგდოთ. „მიუღებლობა, უკუგდება, ალერგია – ენერგიის განსაკუთრებული სახეა“. და სწორედ მას განეკუთვნება ჩვენი დროის უცნაური მოვლენები: ვირუსული პათოლოგიები, ტერორიზმი და ა.შ. „თავად ბუნებრივი კატასტროფები გვეჩვენებიან ალერგიის რაღაც სახესხვაობად, ბუნების მიერ უკუგდებად ოპერაციული ზემოქმედებისა ადამიანური მოდგმის მხრიდან“.

უნივერსალიზაციის „დასავლური“ ექსპერიმენტი კრახს განიცდის: „ჩვენ კი მოვსპეთ ყველაფერი, რაც გარედან მოდის“ – მოვინდომეთ ყოველივეს აბსორბაცია ერთიან, გლობალურ ვესტერნულ სისტემაში და შედეგად მივიღეთ ტოტალური ვირუსული უკუეფექტი. დიახ, „ჰუმანიტარული უნივერსუმი, განსხვავების უნივერსუმი (ე.ი. რომელიც პოლიფონიურად თავის თავში მოიცავს განსხვავებათა მთელ სპექტრს – ი.ბ.) ყველგან სრულ ჩიხში ექცევა“

აშკარად ვწვდებით, რომ ბოდრიარის ამ აზრთა მსვლელობაში მეტყველებს საერთოდ თანამედროვე ცნობიერების არსი და ამიტომ, ჩვენთვის გასაგები ხდება, თუ როგორ ეცხადებიან ეს ექსტრემალური ხდომილებები ამ ცნობიერებას და რა საზრისს იძენენ ისინი. სახელდობრ, მათ ჩვენ არ ვისაზრისებთ, როგორც რაღაც ღვთის სასჯელს ან როგორც მხოლოდ კონკრეტული მიზეზების და პირობების შედეგებს: დღეს ჩვენ მიერ ამ კატაკლიზმების გაგება არ ატარებს არც აპოკალიპტურ-რელიგიურ და არც სციენტისტურ ხასიათს. ცხადია, აღნიშნულ ხდომილებებს თავისი კონკრეტული მიზეზები აქვთ. ვთქვათ, ტერორიზმს – ცივილიზაციური, სოციალურ-პოლიტიკური, ფსიქოლოგიური მიწისძვრებს – გეოფიზიკური კომპიუტერული ვირუსების გავრცელება ხომ გარკვეული ადამიანური მოტივაციითა და ტექნიკური შესაძლებლობებითაა განპირობებული და ა.შ. და რა თქმა უნდა ყოველივე ეს მეცნიერული კვლევის საგანს შეადგენს. მაგრამ ჩვენ გაგებაში „ვირუსული შემოტევა“ არსებითად განპირობებულია უფრო ღრმა და საყოველთაო საფუძველით, რომელიც საერთოდ შესაძლებელს ხდის მათ პროვოცირებას ამა თუ იმ კონკრეტული მიზეზებით. „ის აწყობს აი, ამ აფეთქებას და ეს მორიგი ფაქტი ტერაქტთა უსასრულო ჯაჭვში წარმოადგენს შედეგს მისი მოტივების, გარეშე ფაქტორების, ხელშემწყობი პირობების და ა.შ. მაგრამ ის ამას აკეთებს არა უბრალოდ ზემოთ ჩამოთვლილი ვითარებების გამო, არამედ, რადგანაც „რაღაცა“ აკეთებინებს და ე.ი. რადგანაც იგი ჩართულია ტერორიზმის გლობალური გავრცელების ფატალურობაში. მისი ქმედება არის ერთ-ერთი გამოვლინება ამ ფატალურობისა; ის არის გამოვლინება პირველსაწყისის ანუ ყოფიერების „რეაქციისა“ ჩვენი ცივილიზაციის ზეინტეგრაციული პროცესის მიმართ. მაშასადამე, თანამედროვე ცნობიერება ამ კატაკლიზმებს ისაზრისებს, როგორც სწორედ ყოფიერების „რეაქციას“: ჩვენ მოვინდომეთ ყოველივეს აბსორბაცია – „უცხოს“ დაძლევა და მონელება კულტურებში, ბუნებაში, ფსიქიკაში და სამყაროს ეს ათვისება საოცარი უკუეფექტით შემოგვიბრუნდა. როდესაც ვირწმუნეთ, რომ სამყარო პრინციპულად ხელმისაწვდომი და ხელთმყოფია ჩვენთვის; რომ ჩვენ ყველგან თავდაჯერებულად შინ-ყოფნა შეგვიძლია; რომ ირგვლივ ყოველივე თანმიმდევრულად ექვემდებარება უნივერსალურ ტრანსპარენტულ სისტემაში მოქცევას და რომ არაფერი გაუმჭვირვალე და იდუმალი ბუნებაში არ შეიძლება დარჩეს ამ ტრანსპარენტულობის მიღმა, აი, სწორედ მაშინ იფეთქა უცხომ და იდუმალმა არსებითად უმართავი გლობალური კატაკლიზმების სახით და ამ ბედისწერამ უცებ დაგვაყენა ჩვენთვის სრულიად არათანაზომიერი საწყისის პირისპირ – ყოფიერების პირისპირ

გრანდიოზული ექსპერიმენტი ბუნებაზე დასასრულს უახლოვდება იგი დაიწყო ინდუსტრიულ ეპოქაში და პოსტინდუსტრიულ ცივილიზაციაში უკვე სულ სხვა მასშტაბი და ფორმა შეიძინა. მისი გამოისობით ჩვენ აღმოვჩნდით „სასიკვდილო დისტანციაზე“ ყოფიერებისგან: ეს არის ზღვარი, უკიდურესი ზღვარი რასაც დავშორდით, იგი თავად მოგვაწვა მთელი ძალით! ჩავიკეტეთ რა თითქოსდა საიმედოდ ჰერმეტიზირებულ ხელოვნურ სისტემაში, მან შემოგვიტია და დაგვბომბა „ვირუსების“ გრიგალით დიახ, ჩვენ წინაშე თამაშდება დიდი ონტოლოგიური ხდომილება: სახეზეა პირველსაწყისის შემოტევა!

საბა სულხანიშვილი

„მაშა თუ ვითარ გვიწოდებენ მხნეთა ივერთა“

*

გიორგი ერისთავის ხსოვნის საღამო

ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების თბილისურ თავყრილობათა ციკლში მეასე საღამოს თეკლა ბატონიშვილის ხსოვნას მივუძღვნიდით.

მომხსენებელი ნინო ვახანია იქნებოდა.

საგანგებოდ შეირჩეოდა თემა.

საგანგებოდ შეირჩეოდა მომხსენებელიც.

საიუბილეო შეკრებას სწორედაც დაამშვენებდა თეკლა ბატონიშვილის სახელიც და იმ პიროვნებისაც, ვინც ჩვენს დროში ასე მიზანდასახულად წამოსწია ალექსანდრე ორბელიანის სახელიც, მისი გარემოცვისაც, და თვალსაჩინო ღვაწლიც დასდო მისი სახელობის საზოგადოების საქმიანობასაც.

ეს შეხვედრა ამ ექვსი წლის წინათ გაიმართება.

წლევანდელ გაზაფხულის სეზონს დამთავრებულად რომ გამოვაცხადებთ და მსმენელებს სექტემბრის ბოლომდე გამოვემშვიდობებით, ისე შეჩოჩქოლდებიან და აბუზღუნდებიან, ასე ნაადრევად რატომ მოვათავეთ შეხვედრები, შუა ზაფხული კი დაგვიდგა, მაგრამ კიდევ ერთი საღამო რომ გაიმართოს, არაფერი დაშავდებაო, ხალხის ამ მონდომებასა და თხოვნას კანონად მივიღებთ, უკანვე წავიღებთ ჩვენს გამომშვიდობებას და სახელდახელოდ დავთქვამთ, კიდევ ერთ თავყრილობაზე შევიკრიბოთო.

მაგრამ საღამო რას უნდა მიძღვნოდა, რა თემა შერჩეულიყო.

ახალი წიგნის წარდგინება?

თუ განხილვა?

აუდიტორია ყველაფერზე თანახმაა, ოღონდაც ის შეკრება აუცილებლად გაიმართოს.

ხსოვნის საღამო ხომ არა?

რამდენი ხანია 1832 წლის შეთქმულების მონაწილე აღარ გაგვიხსენებია.

კარგი იქნება... მაგრამ რომელი? აი, თუნდაც... თუნდაც გიორგი ერისთავი.

მაგრამ მოხსენებას ვინ აიღებს თავის თავზე – ასე სასწრაფოდ და თანაც ცოცხლად, მიმზიდველად, ექსპრესიულად ვინ წარმოსახავს მის მღელვარე ბიოგრაფიასა და ღვაწლს?

ნინო ვახანია, უთუოდ ნინო, ვინც ძალიან კი შეცბუნდება: ვაითუ მომზადება ვერ მოვასწროო, – მაგრამ ისე შეჩერდება არჩევანი მასზეც და ქართული დრამატურგიის მამაზეც, რომ, სხვა რა გზა აქვს, დაყაბულდება და კიდეც დაამშვენებს ჩვენი ლიტერატურული შეხვედრების დაუსრულებელ ნაკადს კიდევ ერთი შესანიშნავი გამოსვლით.

გიორგი ერისთავის ხსოვნის საღამომდე ერთი-ორი დღით ადრე რატომღაც ჩავუკვირდებით: ნეტა მერამდენეა ეს თავყრილობა თბილისურ ციკლშიო. გადავიანგარიშებთ, გადმოვიანგარიშებთ... დაახლოებით მეორასე უნდა იყოს... თუმც რად გვინდა ეს „დაახლოებით“, ზუსტად დავადგინოთ. აჰა, არცერთი არ გამოგვრჩენია და... ზუსტად მეორასეა – არც ერთით მეტი, არც ერთით ნაკლები.

და ისევ 1832 წლის შეთქმულების მონაწილეზე.

და ისევ ნინო ვახანიამ უნდა წარმოსახოს მისი ბიოგრაფიული ქარგა და ფსიქოლოგიური პორტრეტი.

გინდ საგანგებოდ შეარჩიე, გინდ შემთხვევას მიანდე – მაინც ასე უნდა მოხდეს და ასე.

ამ შინაგან კანონზომიერებასაც აღნიშნავს ამ თავყრილობათა უცვლელი ხელმძღვანელი თავის გამოსვლაში და სიტყვას გადასცემს ნინო ვახანიას, ვისი თხრობის მომხიბლავი, დარბაისლური, სადა, სულიერად ანთებული კილოს წყალობით მსმენელი თითქოს თვალდათვალ შეჰყურებს გარდასულ ამბებს და ცოცხლად აღიქვამს დრამატულ სცენებსაც და ცალკეულ ფაქიზ ნიუანსებსაც.

შეთქმულების გმირებს სწორედ ასე სჭირდებათ შემოყვანა და დამკვიდრება საზოგადოებრივ ცნობიერებაში, რადგანაც მათი გარდასულობა პირობითია და კვლავაც გრძელდება მათი თავგანწირული სწრაფვა ძლიერი ქართული სახელმწიფოს დასაფუძნებლად, სახელმწიფოსი – თავისი ზნეობრივი საფუძვლებით, ეროვნული ცნობიერებით, თვითმყოფადი კულტურის შენარჩუნებაგაღრმავებით და სხვა სახელმწიფოებრივი ატრიბუტებით, რაც თავისთავად, აღმოცენდება ამ საძირკველზე.

17 წლის ყმაწვილკაცი გახლდათ გიორგი ერისთავი, ელიზბარ ერისთავი რომ გაანდობდა საიდუმლო ორგანიზაციის არსებობას და ისიც ისე მონდომებით ჩაებმოდა იატაკქვეშა საქმიანობაში, ცალკე მძაფრ პატრიოტულ თხზულებას შექმნიდა ბახტრიონის აჯანყებაზე, საკმა-

ოდ გამჭვირვალე მინიშნებებით, რუსული უღლის გადაგდებას რომ გულისხმობდა, და ცალკე ფილადელფოს კიკნაძეს დაუკავშირდებოდა თელავში, შუამთის მონასტრის ბერს, წამოიღებდა მისგან „აქტი გონიურს“ – საიდუმლო ორგანიზაციის წესდებას – გააცნობდა სხვა შეთქმულებს და ყველას მასზე დააფიცებდა.

პოემის – „ზარე და ყანიმათ“ – ნაწყვეტს რომ გამოაქვეყნებდა სოლომონ დოდაშვილის ჟურნალში „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, რომელიც განზრახული გახლდათ შეთქმულთა იდეების პროპაგანდისათვის, ის ფრაგმენტი დაბოლოვდებოდა სტრიქონებით, პოემის არცერთ გამოცემაში რომ აღარ განმეორდებოდა, რადგანაც მკაფიოდ ამოიკითხავდა ცენზურა, რომ „თათარნი“ გულისხმობდნენ რუსებს და მხოლოდ რუსებს:

თუ მიებაძათ ჩვენთა ივერთა,
ვით ვერ განჰყრიდნენ თვისგან თათართა.

ამბოხების მცდელობას ავლაბრის ყაზარმაში გამომწყვდევა, გასამართლება და ვილნოში, პოლონეთის ქალაქში, გადასახლება მოჰყვებოდა („მივალ, გარნა-ღა სული აქ მრჩებისო“, – მისწერდა გადასახლების წინ თავის მეგობარს სვიმონ მაჩაბელს). იქ, თუნდაც შეჭირვებულ, ხშირად სასოწარკვეთილ ყოფას ადვილად არ დაემორჩილებოდა და პოლონურ ენასაც შეისწავლიდა და პოლონურ კულტურასაც ზედმიწევნით გაეცნობოდა, სამშობლოში დაბრუნებული კი ხორცს შეასხამდა თაობების ოცნებას და ორ ისეთ უმნიშვნელოვანეს საქმეს აღასრულებდა 50-იან წლებში, ერთისთვისაც რომ მოება თავი, მაშინაც დიდების შარავანდით შევიდოდა ქართული კულტურის, საქართველოს ისტორიაში:

ქართული თეატრის შექმნა

და

ჟურნალ „ცისკრის“ დაარსება.

მომხსენებელი სახოვნად მიმოიხილავს მის ამ ღვაწლსაც, დრამატულ ქმნილებებსაც („გაყრა“, „დავა“, „უჩინმაჩინის ქუდი“, „ყვარყვარე ათაბაგი“...), ლექსებსაც, სამოგზაურო ნარკვევსაც ევროპის გზებზე, და მის გამოსვლას მომხიბლავად შეერევა გიორგი ერისთავის სიყვარულის ისტორიაც – ერთი გაწბილებული სიყვარული, მეორე...

მკვლევართაგან არავის დატოვებს მოუხსენიებლად ნინო ვახანია, საგანგებოდ კი გამოაცალკევებს იონა მეუნარგიას, გიორგი ერისთავის პირველ ბიოგრაფოსსა და საერთოდ თვალსაჩინო მოვლენას ქართული მხატვრულ-დოკუმენტური ჟანრისა.

გულგატეხვასაც ვერ გადარჩებოდა გიორგი ერისთავი, რაც არაერთი დიდი მოღვაწის ხვედრი ყოფილა.

ამიტომაც განმსჭვალულა მძაფრი ტკივილით მიხეილ თუმანიშვილის მემუარული პასაჟი:

„რომ ვერ გააწყო თავისი გრძნობა ჩვენზედ, გიორგი ერისთავმა დაანება თავი ჟურნალსაც, თეატრსაც და თითქო ასე გვითხრაო გულ ამოხვრით: „როგორც გიწირავთ, ისე სწირეთო!..“ მას აქეთ პოეტი სულ სოფელში ცხოვრობდა, თბილისის ხმაურობას მოშორებული, ათასში ერთხელ თუ ჩამოვიდოდა ქალაქში და გააგონებდა აქ თავის მოსწრებულ და ტკბილად მოუბარ ენას თავად-აზნაურობის კრებაზე, ან სხვაგან სადმე კერძო საზოგადოებაში.

და ჩვენც გული უნდა დაგვწყდეს, რომ არ შემონახულა გიორგი ერისთავის მჭევრმეტყველების ნიმუშები, ქართული ორატორული ხელოვნების უსათუოდ ერთი სახიერი რკალი.

საღამოზე აღარც გიორგი ერისთავის ცხოვრების უკანასკნელი წლები მიყრუვდება, აქამდე რომ მკვლევართა მხედველობის მიღმა რჩებოდა და ზოგად ფრაზებში მოექცეოდა – ჩამოშორდა სამწერლო და თეატრალურ ასპარეზს და მშობლიურ სოფელ ხიდისთავში გამოიკეტაო. ოთარ ჩხეიძე ვერ იყაბულებდა ამ უკანასკნელი წლების ამგვარ შეფასებას, რადგანაც გიორგი ერისთავის ენერგიისა და მიზანდასახულების კაცი მარტოდენ თავის ხელნაწერებსა და ფიქრებს ვერ მიეცემოდა, თუნდაც საზოგადოებაზე გულაყრილი ყოფილიყო, და კიდეც გაარკვევდა, რომ ხიდისთავში „გამოკეტილი“ მწერალი უხელმძღვანელებდა გორში თეატრალური დასის შექმნას და მოამზადებდა პრემიერასაც, თუმც ამ დღეს თვითონ ვეღარ მოესწრებოდა, 1864 წლის 9 სექტემბერს რომ აღესრულებოდა და დაიკრძალებოდა სოფელ იკორთას, ერისთავთა ძვალშესალაგში.

მომხსენებლის შემდეგ მოკლე სიტყვას წარმოთქვამდა ლევან ბრეგაძე შესახებ გიორგი ერისთავის თხზულებათა 1966 წლის გამოცემისა, რომლის ტექსტიც დაადგინა, ბიოგრაფიული მონაცემები, ენობრივი მიმოხილვა, ვარიანტები, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ოთარ ურიდიამ.

ეს გამოცემა მიიჩნია სანიმუშოდ, როგორც ნამდვილი პროფესიონალიზმისა და კეთილსინდისიერების გამოვლენა, და თავისებურ ძეგლად არამარტო ქართული დრამატურგიის მამის, არამედ გამომცემლისაც, ვინც კოლორიტული ლექტორი გახლდათ ქართული ენისა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მის აღზრდილებს, მათ შორის, ბ-ნ ლევანსაც, არაერთი რამ აქვთ კეთილად მოსაგონარი.

... თქვენ ხართ იგინი, სად სიგიჟით და თავხედობით ჰგონებდით სამნი, რომ სპარსეთსა სრულ დაამხობდით? – ბობოქრობდა შაჰი გიორგი ერისთავის პოემაში და მის მრისხანებასა და მუქარაში რუსეთის იმპერატორის ბობოქრობა გამოხვეულიყო, ბიძინა ჩოლოყაშვილის, შალვა და ელიზბარ ერისთავების პასუხში კი 1832 წლის შეთქმულთა სულისკვეთება:

– ივერსა შინა აღარ გეგონათ ძენი მამულის?

ეს ის სტრიქონია, რომელიც დაშვენდება ყველა ამბოხს, ყველა შეთქმულებას რუსეთის იმპერიის კაბალისაგან თავდასაღწევად და საერთოდ მთელ ჩვენს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

„მაშა თუ ვითარ გვიწოდებენ მხნეთა ივერთა, თუ ვერ განვდევნით ჩვენის საზღვრით მამულის მტერთა“ – უკვირდა გიორგი ერისთავს და ამ სიამაყეს უნერგავდა თანამედროვეთაც და შთამომავალთაც, რაკიღა საკუთარ თავზე ეწვნია, რომ მთლად ერთბაშად და ადვილადაც ვერ მოხერხდებოდა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ამოგება.

მაია ჯალიაშვილი

MEMENTO MORI

ღირდა თუ არა სხვა სიცოცხლეზე
ოცნება ჩუმი და ფერმიხდილი?
მე გზა არ ვიცი უახლოესი:
ერთადერთი გზა არის სიკვდილი

– წერს გალაკტიონი. ხშირად პოეტები ინტუიციით გრძნობენ და მხატვრული სახე – სიმბოლოებით გადმოსცემენ „სხვა სიცოცხლეს“, რომელიც მხოლოდ სიკვდილის კარიბჭის გავლით მოიპოვება. მემენტო მორი – პოეტებს ყველაზე ფხიზლად ახსოვთ და სიკვდილს ერთგვარად უშინაურდებიან კიდეც. სწორედ ისინი აღწერენ ყველაზე შთამბეჭდავად უხილავი, მიღმა სამყაროს სანახებს. ზოგნი შიშითა და კრძალვით, ზოგნი თამაშითა და ირონიით (მაგალითად, დავით გურამიშვილი), მაგრამ ყველანი მაინც ერთგვარი იდუმალებით მიისწრაფვიან იმ მისტიკური ფარდის ასახდელად, რომლის მიღმა იმალება გამოუცნობი. მრავალმა აღწერა სამოთხისეული ნეტარებანი თუ ჯოჯოხეთის ტანჯვანი, მათ შორის ყველაზე სახიერად დანტე ალიგიერმა, მაგრამ სიკვდილი მაინც დარჩა, როგორც უცხო და მიუღებელი.

და ეცემოდნენ სადღაც წვიმები,
შორეულ ღრუბლის სანაპიროდან.
კუბოსთან იდგნენ სერაფიმები,
და ღვთისმშობელი ჩემზე ტიროდა

– ასე წარმოუდგებოდა გარდაცვალება ტერენტი გრანელს, რომელსაც არც სიცოცხლე უნდოდა, არც სიკვდილი, არამედ რაღაც სხვა.

სულხან-საბა სიკვდილს განმარტავს, როგორც სულისა და ხორცის გაყრას და ასე ესმის ის მთელ ქრისტიანულ სამყაროს. სული სიცოცხლეს აგრძელებს სიკვდილის შემდეგაც, რადგან ის ღვთაებრივია, უკვდავი ღმერთის ნაწილია, მაგრამ როგორია ის სხვა სიცოცხლე? რა ემართება სულს გარდაცვალების შემდეგ? სწორედ ამის შესახებ მოგვითხრობს XX საუკუნის ერთ-ერთი გამოჩენილი მართლმადიდებელი მოღვაწე, მღვდელმონაზონი სერაფიმ როუზი, რომლის წიგნები „სულიერ კლასიკადაა“ აღიარებული. „სული გარდაცვალების შემდეგ“ (თანამედროვე „სიკვდილშემდგომი“ გამოცდილებანი მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლების შუქზე“) – ასე ეწოდება მის წიგნს, რომელიც შესანიშნავად თარგმნა მარიამ ნიაურმა. ქართველი მკითხველი აქამდეც იცნობდა ამ მამის ნაწერებს, მათ შორის, „სამეუფო გზასა“ და „ზეციურ სასწაულებს“. ღვთისმეტყველმა მამამ ამ წიგნით ორი მიზანი დაისახა და შეასრულა კიდეც. პირველ რიგში, თანამედროვე „სიკვდილშემდგომი“ გამოცდილებანი საიქიო ცხოვრებაზე მართლმადიდებლური თვალსაზრისით განმარტა და, მეორე მხრივ, წარმოადგინა საიქიო ცხოვრებაზე მართლმადიდებლური სწავლების ძირითადი წყაროები და ტექსტები. მამა როუზი წიგნში გადმოგვცემს იმ სწავლებას, რაც, მისივე აზრით, დასაბამითვე მოგვცა ქრისტეს მართლმადიდებელმა ეკლესიამ და ეს სწავლება წმინდა მამათა თხზულებებში, წმინდანთა ცხოვრებებსა და მართლმადიდებელი ეკლესიის ღვთისმეტყველებაშია გადმოცემული.

საგულისხმოა ამ მოძღვრების ერთგვარი სიმარტივე, რაც, ერთი შეხედვით, გულუბრყვილოდ შეიძლება მოეჩვენოს მავანს, მაგრამ ყოველი ჭეშმარიტი სწავლება ხომ სწორედ ამგვარი უბრალოებით გამოირჩევა. წიგნის წერისას მამა როუზისთვის შთაგონების ძირითად წყაროდ ქცეულა დიდი რუსი ღვთისმეტყველის, ეპისკოპოს ეგნატეს (ბრიანჩანინოვის) შრომები. სწორედ მან ამხილა ამ საკითხის თაობაზე რომაულ-კათოლიკური და სხვა ყალბი თვალსაზრისები. ასევე, ეპისკოპოს თეოფანე დაყუდებულის, წმ. მთავარეპისკოპოს იოანე მაქსიმოვიჩისა და სხვათა ნაწერები.

მამა სერაფიმე წიგნში, მართლმადიდებლური წყაროებისა და განმარტებების გარდა, საჭიროებისამებრ, მოიხმობს ამ საკითხზე არსებულ თანამედროვე არამართლმადიდებლურ და ოკულტურ ლიტერატურასაც. იგი ამ ცრუსწავლებებს მიუკერძოებლად გადმოსცემს, რათა ჩვენი დროის მკითხველს, ეჭვებით მოსილს და დაბნეულს, შესაძლებლობა ჰქონდეს თავისუფალი არჩევანისა. თანაც, ეს არამართლმადიდებლური ტექსტები მხოლოდ ფაქტობრივი გამოცდილების თვალსაზრისით, ცალკეულ შემთხვევებში, საოცრად ადასტურებენ მართლმადიდებლურ ჭეშმარიტებებს. ამიტომაც წიგნში დიდი ადგილი ეთმობა არაქრისტიანული გამოცდილებების განხილვასაც. მამა სერაფიმემ თავისი ინტერპრეტაციები პირობითი ფორმით წარმოადგინა და აღნიშნა, რომ მის წიგნს საიქიო ცხოვრებაზე მართლმადიდებლური სწავლების ამომწურავად გადმოცემის პრეტენზია არ ჰქონდა. მას ეს შეუძლებლადაც მიაჩნდა ცოცხალი ადამიანისთვის. მისი აზრით, სიკვდილი არის პროცესი, რომელიც ამ ცხოვრებაში იწყება და მარადისობაში სრულდება, სადაც ჩვენ პირისპირ ვიხილავთ იმას, რასაც ახლა „ვითარცა სარკითა და სახითა“ ვხედავთ (I კორ. 13. 12). მამა სერაფიმი საგანგებოდ მიმოიხილავს XX საუკუნეში განსაკუთრებულად მომრავლებულ „მიღმურ სამყაროსთან“ კონტაქტებს და ამ მოვლენას აპოკალიფსის ერთ-ერთ ნიშნად მიიჩნევს. მას რეალურად მიაჩნია არამართლმადიდებლურ წიგნებში აღწერილი სიკვდილშემდგომი გამოცდილებანი და ფიქრობს, რომ ეს არის დემონურ ძალებთან კონტაქტის ამსახველი გამოცდილება და არა ჰალუცინაცია. ქრისტიანული ცხოვრების მიზანი სასუფევლის მოპოვებაა, „საიქიო უფრო რეალურია და უფრო ახლოა, ვიდრე გვგონია“. ეს წიგნი დაეხმარება ქრისტიანებს, აირიდონ დემონთა მახეები.

სიკვდილის შემდგომ რომ სიცოცხლე გრძელდება, ეს აღწერილია ცნობილ მეცნიერთა და ექიმთა წიგნებშიც. მას შემდეგ, რაც შესაძლებელი გახდა „კლინიკურად გარდაცვლილთა“ რეანიმაცია, ბევრი „მკვდარი“ (რომელთაც არ ჰქონდათ პულსი და გულისცემა) დაუფარავად ყვებოდა სიკვდილის შემდგომ განცდებზე. მამა სერაფიმ როუზი იკვლევს, თუ რატომ გახდა ეს თემა ასეთი პოპულარული XX საუკუნის მეორე ნახევარში. ამ მოვლენას „დროის ნიშნად“ მიჩნევს. იგი ვრცლად ჩერდება ამერიკელი ფსიქიატრის დოქტორ რეიმონდ მუდის წიგნზე „სიცოცხლე სიცოცხლის შემდგომ“ (1975), სადაც მომაკვდავთა გამოცდილებანია აღწერილი. ამ წიგნს განსაცვიფრებელი წარმატება ხვდა წილად. მუდმა მოპოვებული მასალის აღწერით, ანალიზითა და კლასიფიკაციით შექმნა სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის გარკვეული მოდელი, მაგრამ აღიარა, რომ ამ საკითხის მეცნიერული შესწავლა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, ამიტომაც ახსნის ძიება დაიწყო ოკულტურ შეხედულებებში, უპირველესად,

სვედენბორგის თხზულებებსა და ტიბეტურ „მკვდრების წიგნში“. მამა სერაფიმე განიხილავს ამ და სხვა მსგავს წიგნებსაც, მათ შორის, ელიზაბეტ კუბლერ-როსის „სიკვდილი არ არსებობს“ და კ. იკსკულის „ბევრისთვის დაუჯერებელი, მაგრამ ნამდვილი ამბავი“. ამ უკანასკნელმა ავტორმა თვითონ განცადა 36 საათიანი სიკვდილი, რის შემდეგაც ურწმუნოებიდან ჭეშმარიტ მართლმადიდებელ აღმსარებლად იქცა და მონაზვნადაც აღიკვეცა.

მამა სერაფიმეს დაკვირვებით, ქრისტიანი წმინდანის სიკვდილშემდგომ გამოცდილებას დანარჩენების გამოცდილებასთან საერთო ნიშნები აქვს, მაგრამ არსებითად განსხვავდება და სხვა განზომილება გააჩნია, რომელიც არ ექვემდებარება მკვლევარ-ფსიქიატრთა ანალიზს. თუ ჩვეულებრივ ადამიანები კლინიკური სიკვდილისას გარდაცვლილ ახლობელთა სულებს ხვდებიან, დოქტორ ოსისისა და ჰარლდსონის გამოკვლევებით, ინდუსები ინდუისტური პანთეონის „ღმერთებს“ ხედავენ (კრიშნას, შივას, კალის და სხვა). მამა სერაფიმეს აზრით, ეს დემონებთან შეხვედრაა, როგორც პავლე ასწავლის, ეს „ღმერთები“ არარაა.

წმინდანები ცოცხლებს შეეწევიან და იცავენ, გარდაცვლილ ცოდვილებს კი ცოცხლებთან ურთიერთობა არა აქვთ. ნეტარი ავგუსტინეს განმარტებით, ცოცხლებთან მიცვალებულთა გამოცხადება ან „ანგელოზთა“ საქმეა ან ეშმაკთაგან თავსდატეხილი „მზაკვრული ზმანებები“, რომლის მიზანია, ადამიანს საიქიოზე ყალბი წარმოდგენა შეუქმნას. სიკვდილის შემდგომ გამოცდილებათაგან საგულისხმოა „მანათობელ არსებასთან“ შეხვედრა. ვინ ან რა არის ის? არის თუ არა ის ანგელოზი? ამაზე პასუხის გასაცემად მამა სერაფიმე მიმოიხილავს მართლმადიდებლურ მოძღვრებას ანგელოზთა შესახებ. სახარებიდან დასტურდება, რომ გარდაცვალებისას სულს ანგელოზები ეცხადებიან – მბრწყინავი თეთრით მოსილი ჭაბუკების სახით. წმინდა მამათა ნაწერების გულდასმით გაანალიზების შემდეგ გამოტანილია დასკვნა, რომ ანგელოზის ბუნება არსებითად მხოლოდ ღმერთმა უწყის, მაგრამ მათი მოქმედების გაგება ყველას შეუძლია. წიგნში განმარტებულია დემონთა ბუნებაც. მათ აქვთ ჰაეროვანი სხეული, მახვილი აღქმა და მოძრაობის სისწრაფე. მხოლოდ სულიერად თვალახელილი ადამიანი ხედავს დემონებს. წიგნში საუბარია, თუ როგორ ეცხადებიან ანგელოზები და დემონები ადამიანს სიკვდილის ჟამს. ანგელოზებს სულის დაცვა და საიქიო ცხოვრების გზაზე გაცილება ევალებათ, დემონები კი საზვერეებში განიკითხავენ და ცილს სწამებენ. მამა სერაფიმეს აზრით, ეშმაკები ადამიანს სიკვდილის ჟამს მისი რწმენის შესაბამისად ევლინებიან. საზარელი სახით მას – ვისაც ჯოჯოხეთის შიში აქვს, ხოლო ვისაც არ სჯერა – დემონები მას ათასგვარ საცდურს სთავაზობენ და ცხადად არ ააშკარავებენ თავიანთ ბოროტ ზრახვებს. ასე რომ, კლინიკურად გარდაცვლილთა მიერ აღწერილ „მანათობელ არსებას“ მამა როუზი „ნათლის ანგელოზად“ მოჩვენებულ ეშმაკად მიიჩნევს, რომელსაც არა მარტო მოკვდავის ცდუნება სურს, არამედ იმათიც, ვისაც შემდეგ ისინი უამბობენ გადახდენილ ამბავს. სიკვდილშემდგომი გამოცდლებების მიხედვით, ზოგი ადამიანი უჩვეულოდ მშვენიერ მდელოებს, ბაღებსა და ქალაქებს ხედავს, ზოგს იმქვეყნიური მუსიკა ესმის. მამა სერაფიმე ერთმანეთისგან მიჯნავს სხვა სამყაროს ჭეშმარიტ მადლმოსილ ხილვებს და უბრალო ბუნებრივ გამოცდილებებს, რომლებიც კი სცილდებიან ადამიანური გამოცდილების ნორმალურ ჩარჩოებს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენენ სულიერ გამოცდილებებს და არაფერს გვეუბნებიან არც სამოთხის რეალურ ჭეშმარიტებასა და არც ქრისტიანულ მოძღვრებაზე. ამიტომაც ისინი ამქვეყნიურ ჩვენებებადაა მიჩნეული.

მამა სერაფიმე ეყრდნობა დიდ ღვთისმეტყველებს და მსჯელობს იმის შესახებ, რომ სამოთხეში ცოდვით დაცემით ადამიანის ხორციც შეიცვალა და სულიც. ადამიანი მოკვდა, რადგან განშორდა ჭეშმარიტი სიცოცხლე – ღმერთი. „მარადიულ სიკვდილით ჩვენ უკვე მკვდრად ვიბადებით“ (გურამიშვილი: “ცოცხალნი შობენ მკვდართა და მკვდარნი ცოცხალთა ბადებენ“). დაცემის შემდეგ ადამიანის სხეული ცხოველისას დაემსგავსა. „სხეული სულის დილეგი და სამარეა“, ამიტომ ადამიანს გულმოდგინე სინანულით მართებს განწმენდა. მას შემდეგ, რაც ღვთისგან განდგომამ გამოიწვია ადამიანის სიკვდილი, მას აღარ შეუძლია წმინდა სულებთან ურთიერთობა. ცოდვილ და დაცემულ ადამიანებთან კი დემონები ცხადდებიან და არა ანგელოზები. ისინი მხოლოდ იმათ ეცხადებიან, რომელთაც წმინდა ცხოვრებით ღმერთთან ურთიერთობა აღადგინეს.

გარდაცვალებისას ადამიანის სული სულთა საუფლოს უერთდება. სადაც იოლად შესვლისთვის აუცილებელია საღვთო მცნებებით დღენიადაგ სრულყოფა, სწორედ ამისთვის აქვს მინიჭებული ადამიანს მიწიერი ცხოვრება. წმინდა წერილზე დაყრდნობით, მამა სერაფიმე მსჯელობს იმის თაობაზე, რომ სხეულის გრძნობები ერთგვარი კარიბჭეა სულის შინაგანი სამყოფლისა. ეს კარი ღვთის მინიშნებით იღება და იხურება. დაცემულ ადამიანებში იგი მუდმივად დაკეტილია, რათა ადამიანთან მისი დაუძინებელი მტრები – დემონები არ შეიჭრან. ადამიანები ბოროტი სულების ტყვეობაში არიან. დემონები ცოდვილი აზრებითა და ოცნებებით გარედან ცდილობენ მათ ცდუნებას. დაუშვებელია ღვთის ნების გარეშე, საკუთარი ძალებით გახსნას კაცმა თავისი გრძნობები და სულებთან იურთიერთოს, თუმცა ეს მხოლოდ დაცემულ ძალებთან მიიღწევა და სწორედ ამას ახერხებენ ათასგვარი ჯურის მედიუმები და სპირიტისტები.

ახლადგარდაცვლილი სულები აწყდებიან ეშმაკებს, რომელთა სამკვიდრებელი „ჰაერია“. ადამიანის ცოდვითდაცემისა და სამოთხის კარის ჩაკეტვის შემდეგ სატანა თვისი ურდოებით სამოთხისკენ მიმავალ გზაზე დადგა. ბნელი ძალების მიერ საჰაერო სივრცეში მიმავალი სულების განსასჯელად სამსჯავროები და მცველებია დადგენილი. დედამიწიდან ზეცამდე შრეებში დაცემულ სულთა მოდარაჯე ლეგიონები დგანან, თითოული ცოდვის განსაკუთრებულ სახეს განაგებს და იქ მისულ სულს განსჯის. მამათა ნაწერებში ეს სამსჯავროები „საზვერეებად“ იწოდება, ხოლო იქ მსახური სულები – მეზვერეებად. მამა სერაფიმეს აზრით, ადამიანურ ენაზე აღწერილი საზვერეები უნდა გავიგოთ ფიგურალურად. სხეულიდან გასულ სულს ანგელოზები მაიცილებენ, ხოლო ბნელი ძალები აბრკოლებენ. წიგნში ამის ამსახველი უამრავი მაგალითია წმინდანთა ცხოვრებიდან. წმინდანები ამ საზვერეებს სიცოცხლეშივე მოიხილავენ.

2005 წელს მართლმადიდებლური ბიბლიოთეკის სერიით პეტრე-პავლეს ეკლესიის დეკანოზმა არჩილ მინდიაშვილმა თარგმნა და გამოსცა უაღრესად საგულისხმო წიგნი „როგორ ატარებს სული პირველ ორმოც დღეს სხეულის დატოვების შემდეგ“, რომელშიც წარმოდგენილია საზვერეთა არსებობის შესახებ წმინდა მამათა (წმინდა ეფრემ ასურის, მაკარი ეგვიპტელის, წმინდა იოანე ოქროპირის, წმინდა კირილე ალექსანდრიელის) თხზულებებიდან და წმინდანთა (ანტონი დიდის, ნეტარი იოანე მოწყალის) ცხოვრებებიდან გამოკრებილი მოწმობანი. აქვეა საზვერეებზე ღირსი თეოდორას მონათხრობი, რომელიც მან ვასილი ახლის მოწაფეს – გრიგოლს გამოუცხადა. ღირსმა თეოდორამ აღწერა 20 სხვადასხვა საზვერე, რომელიც მისმა სულმა გარდაცვალების შემდეგ გაიარა. როგორც აღვნიშნეთ, ეკლესია საზვერეებს უწოდებს სამსჯავროებს, ჰაერის სივრცეში დროებით გასაჩერებელ ადგილებს, სადაც ბოროტი სულები ახალგარდაცვლილთა სულებს აკავებენ და ამხილებენ მიწიერ ცხოვრებაში ჩადენილი ცოდვებისთვის. საზვერეები, რა თქმა უნდა, ადამიანმა უნდა გაიაზროს არა უხეში, გრძნობისმიერი, არამედ სულიერი თვალსაზრისით. ღირსი თეოდორა აღწერს, როგორ შლიდნენ ბოროტი სულები გრაგნილებს, რომლებშიც ყველა მისი ბოროტება, სიტყვით, გულისხმისყოფით თუ საქმით ჩადენილი, იყო ჩაწერილი და პასუხს სთხოვდნენ. ორი ნათლით მოსილი ანგელოზი კი მის კეთილ საქმეებს იხსენებდა და სასწორის პინაზე დებდა ბოროტ საქმეთა პირისპირ, მათ გასაბათილებლად.

მამა სერაფიმეს აზრით, გარდაცვალების შემდეგ საზვერეების გავლა – ეს არის მხოლოდ თავისებური და საბოლოო ფორმა იმ საერთო ბრძოლისა, რომელსაც ყოველი ქრისტიანის სული ეწევა მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე. თუ რატომ არ მოიხსენიება სულის მიერ საზვერეთა გავლა თანამედროვე სიკვდილშემდგომ გამოცდილებებში, ამას მამა სერაფიმე იმით ხსნის, რომ ისინი ქარაფშუტულია და მოკლებულია სიღრმეს, ან მხოლოდ სულის მოგზაურობის დასაწყისს შეიცავენ

წიგნში გაანალიზებულია და ერთმანეთთანაა შედარებული ეგვიპტური და ტიბეტური „მკვდრების წიგნები“, მიჩნეულია, რომ ორივე წიგნი ილუზორული ხილვებითაა სავსე. აგრეთვე, სხვა ოკულტურ ტექსტებთან ერთად საგანგებო ყურადღებაა გამახვილებული შვედი მისტიკოსის ემანუილ სვედენბორგის თხზულებებზე, რომლებშიც იმქვეყნიური ხილვებია აღწერილი. მამა სერაფიმე თეოსოფიის „ასტრალურ სიბრტყეებსაც“ მიმოიხილავს, აღწერს, როგორ აღწევს ადამიანი „სხეულგარეშე ყოფნას“ გარკვეული მეთოდებისა და ვარჯიშების საშუალებით და ასკვნის, რომ ამ გზებით მიღწეული სამყარო არის არა ზეცა, არამედ ცისქვეშეთის საჰაერო სივრცე, რომელიც დაცემული სულებითაა სავსე. მამა სერაფიმე სხეულგარეშე ყოფნისა და სიკვდილშემდგომ გამოცდილებათა მსგავსება – განსხვავებებსაც აანალიზებს.

რით შეიძლება ცოცხალი ადამიანი შეეწიოს მიცვალებულის სულს? ლოცვითა და წირვაზე მოხსენიებით. მოვა დრო, როდესაც ეს ხრწნადი სამყარო დასრულდება და დადგება მარადიული სასუფეველი ღვთისა. ადამიანები აღდგებიან უკვდავი და უხრწნელი სხეულით. მამა სერაფიმე როუზის წიგნში საუბარია იმ თვალსაზრისთა შესახებაც, რომლებიც სამ ოთხისა და ჯოჯოხეთის არსებობას ან უარყოფენ, ან ადასტურებენ. მისი აზრით, ისინი ჩვენს „სივრცობრივ-დროით“ სისტემაში არ აღიქმება. იოანე ოქროპირი ურჩევდა მრევლს: „შენ ის უნდა იცოდე, რომ ჯოჯოხეთი არსებობს და არა ის, სად მდებარეობს იგი. იმისთვის უნდა ზრუნავდე, როგორ აიცილო იგი“

წმინდანთა ცხოვრებაში აღწერილი ამბების მიხედვით, მამა სერაფიმე ზეცის ჭეშმარიტი ქრისტიანული გამოცდილების შემდეგ თავისებურებებს გამოყოფს: ზეაღსვლა სულისა, ანგელოზთა მიერ სულის თანხლება, ზეცის მკვიდრ სულთა მიგებება, ზეციური ნათლის ბრწყინვალება, ღვთის უხილავი თანაყოფნა, ღვთის წინაშე წმინდანთა კრძალვა და შიში, ღვთაებრივი მადლის განცდა, აღუწერელი კეთილსურნელება, ზეცაში შეხვედრა მოწამეთა და წმინდანთა სულებთან.

მამა სერაფიმეს აზრით, თანამედროვე სიკვდილშემდგომი გამოცდილებანი ზედაპირული და გრძნობადია. ქრისტიანულ გამოცდილებათა სიღრმე კი მტკიცდება ჭეშმარიტი სასწაულებრივი შემთხვევებით. მართლმადიდებლურ ლიტერატურაში ჯოჯოხეთის ხილვა ისევე ჩვეულებრივია, როგორც ზეცისა და სამოთხისა.

მამა სერაფიმე სიკვდილშემდგომი გამოცდილებაზე მკვლევართა სწავლებას რამდენიმე პუნქტად აჯამებს: 1. სიკვდილისა არ უნდა გვეშინოდეს. 2. არც სამსჯავრო, არც ჯოჯოხეთი არ იქნება. 3. სიკვდილი უმტკივნეულო გადასვლაა „ცნობიერების უფრო მაღალ მდგომარეობაში“. 4. სიკვდილის შემდგომ ცხოვრების მიზანი „სიყვარულში ზრდის“, „შემეცნებისა“ და „თვითრეალიზაციის“ უსაზღვრო პროცესია. 5. „სიკვდილშემდგომი“ და „სხეულგარეშე“ გამოცდილებანი სიკვდილის შემდეგ სიცოცხლისთვის მზადებაა. ამგვარ სწავლებებს მამა სერაფიმე ეშმაკისეულად მიიჩნევს. მათი მიზანია საიქიო ცხოვრებაზე ტრადიციული ქრისტიანული სწავლების შერყევა და ეს არის „დროის სულის“ ნაწილი. მართლმადიდებლური სწავლებით, სიკვდილი ღმერთს არ შეუქმნია და მან ადამის მიერ ჩადენილი ცოდვის შემდეგ შეაღწია ქმნილებაში. გარდაცვალების შემდეგ შეუძლებელია როგორც სინანული, ასევე, ცხოვრების გამოსწორება, ეს კარგად განმარტა მაცხოვარმა მდიდრისა და ლაზარეს შესახებ იგავით. სიკვდილი ის რეალობაა, რომელიც ადამიანს აცნობიერებინებს ამქვეყნიურ და მომავალ სამყაროს შორის სხვაობას და სინანულითა და სიწმინდით ცხოვრებას შთააგონებს.

ყოვლადუსამღვდელოესი ეგნატე ურჩევდა ადამიანებს: „სამოთხიდან განდევნილნო! ჩვენ დედამიწაზე არც სამხიარულოდ, არც სადღესასწაულოდ, არც სათამაშოდ არ ვიმყოფებით, არამედ – რათა რწმენით, სინანულითა და ჯვრით მოვკლათ ჩვენი მკვლელი სიკვდილი და დავიბრუნოთ დაკარგული სამოთხე“. წიგნში ჩართულია მთავარეპისკოპოს იოანე (მაქსიმოვიჩის) ჩანაწერები, რომლებშიც საუბარია სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის რაობაზე, სულიერი ხედვის დასაწყისზე, სულებთან შეხვედრაზე. აღწერილია, გარდაცვალების შემდეგ პირველ ორ დღეს როგორ ტკბება სული თავისუფლებით, საყვარელ ადგილებს მოინახულებს, მესამე დღეს კი სხვა სფეროებში გადაინაცვლებს საზვერეების გასავლელად და მხოლოდ მეორმოცე დღეს დაიმკვიდრებს ღვთისგან მისთვის განკუთვნილ ადგილს.

ჭეშმარიტ რწმენას ადამიანი სიკვდილიდან სიცოცხლისკენ მიჰყავს: „გარდაიცვალოს იგი სიკუდილისაგან ცხორებად“ (იოანე, 5, 24). როდესაც ქრისტეს ფარისევლები ჩაეკითხნენ, როდის მოვა ღვთის სასუფეველიო, მან უპასუხა: „სასუფეველი ღვთისა შორის თქუენსა არს“(ლუკა, 17, 21). სული სიყვარულით იშვებს საიქიოშიც და სააქაოშიც.

ნუგზარ მუზაშვილი

არჩევანი

1.

როგორც ძველად ამბობდნენ, ყოველი მწერალი, თუნდაც გოეთესავით მხცოვან ასაკს მიაღწიოს ანდა ბაირონივით ნაადრევად გამოესალმოს წუთისოფელს, სინამდვილეში, მხოლოდ ერთ წიგნს წერს.

ერთი მწერლის შემოქმედება, სინამდვილეში, ყოველთვის ერთი წიგნი, ერთი სამყარო, ერთი ნაგებობაა.

შეიძლება ეს ნაგებობა ძველი მეფეების სასახლეებივით გრანდიოზული ქმნილება იყოს, როგორც, ვთქვათ, ბალზაკის შემოქმედება. ანდა პატარა, მაგრამ იტალიური ვილა-პალაცოსავით თვალწარმტაცი, როგორც, ვთქვათ, სტენდალის შემოქმედება, ერთხელ რომ ნახავ და ვეღარ დაივიწყებ, სადაც არ უნდა წახვიდე, რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, სულ რომ თავისკენ გიზიდავს და იმედს არასოდეს გიცრუებს, არც 16 და არც 40 წლის ასაკში...

2.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი თაობის მწერალთა შორის როსტომ ჩხეიძე ყველაზე ნაყოფიერია და უკვე ბევრის გაკეთებაც მოასწრო, ისიც ერთ წიგნს წერს, ერთ ნაგებობას აშენებს. შენობის გასრულებას ჯერ ბევრი უკლია, ჯერ არც ხარაჩოები ჩამოხსნილა და არც დაუცხრომელი შრომა წყდება წუთით, მაგრამ ეს დაუმთავრებელი ქმნილებაც კი უკვე ძალზე შთამბეჭდავია ჩვენი კულტურული ლანდშაფტისთვის უჩვეულოდ დიდი სილუეტით.

სხვაგან ალბათ ეს არავის გაუკვირდებოდა, მაგრამ ჩვენში, სადაც ყველაფერს ტრადიციული არასისტემატურობისა და სიზარმაცის კვალი ატყვია, ნამდვილად გასაკვირია ქმნილების ასეთი მასშტაბურობა, ჩანაფიქრის სიღრმე და მოცულობა. ამგვარი შედეგის მიღწევა, რასაკვირველია, მხოლოდ ნამდვილი დასავლური ტიპის სისტემატურობით, შრომისმოყვარეობითა და ადამიანისათვის გამოყოფილი დროის მსწრაფლწარმავლობის მწვავე შეგრძნებითაა შესაძლებელი.

მაგრამ სწორედ ასეთ ფონზე განსაკუთრებით უცნაური და პარადოქსულიც კი გამოჩნდა როსტომ ჩხეიძის დიდი წიგნის ახალი ფურცელი, სახელწოდებით „ქება სიზარმაცისა“.

3.

ქება სიზარმაცისა?!

რა თქმა უნდა, კაცს მაშინვე განთქმული „ქება სისულელისა“ მოგაგონდება, მაგრამ საკმარისია სულ რამდენიმე გვერდის წაკითხვა, რათა გასაგები გახდეს – „ქება სიზარმაცისა“ არ არის თავისი სახელოვანი წინამორბედივით ირონიული წიგნი ირონიული სათაურით.

პირიქით.

ჩემი აზრით, უფრო დრამატული წიგნი, ვიდრე „ქება სიზარმაცისაა“, ჩვენში, საერთოდ, ნაკლებად იწერება.

მაშ, რაშია საქმე?

ცხადია, არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს როსტომ ჩხეიძემ სათაურის შერჩევაში დაუშვა შეცდომა. ან თითქოს „ქება სიზარმაცისა“ რაღაც დასანანი გაუგებრობაა, მთლიანად რომ ვარდება მწერლის მიერ აქამდე შექმნილი სამყაროს შინაგანი კანონზომიერებიდან.

ცხადია, არა.

„ქება სიზარმაცისა“ შეიძლება განვიხილოთ როგორც მწერლის შემოქმედების, მთელი მისი მოღვაწეობის ძირითადი მიმართულების დასაბუთება-დაფუძნების სრულიად ახლებური და მიზანმიმართული ცდა. იმდენად რაციონალიზებული და მიზანმიმართული, რომ თვით წიგნის სახელწოდებით გამოწვეული გაკვირვების გრძნობაც კი მწერლის ჩანაფიქრის ნაწილია და არცთუ უმნიშვნელო ნაწილი.

ეს ყველაფერი იმას მოასწავებს, რომ როგორც ყველა კარგი წიგნი, „ქება სიზარმაცისაც“ გარკვეულ საიდუმლოს შეიცავს, რაც მისი სხვადასხვანაირი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საამისოდ ძალზე ზოგად, მაგრამ ნათლად ჩამოყალიბებულ მიმართულებას გვთავაზობს წიგნის რედაქტორი ლევან ბრეგაძე მცირე, მაგრამ მაქსიმალურად ინფორმაციულ ნარკვევში, რომელიც ტექსტს ბოლოში აქვს დართული.

4.

ლევან ბრეგაძის აზრით, წიგნის ასეთი მოულოდნელი სახელწოდებაცა და შინაარსიც გამოწვეულია როსტომ ჩხეიძის მიერ დეკონსტრუქციის მეთოდის მომარჯვებით, რომლის არსიც სხვა არაფერია, თუ არა ტრადიციულ ბინარულ ოპოზიციებს შორის (სინათლე და სიბნელე, სიკეთე და ბოროტება, სიმართლე და სიცრუე... ზოგადად პლუსი და მინუსი) წინააღმდეგობის მოშლა და მათი დაპირისპირების ფარდობითი ხასიათის წარმოჩენა.

დღეს უკვე დეკონსტრუქციის რამდენიმე ვერსია არსებობს, მაგრამ ამ მეთოდის ავტორის ჟაკ დერიდას, ასე ვთქვათ, კლასიკური დეკონსტრუქციის არსს, მართლაც ბინარულ ოპოზიციებს შორის წინააღმდეგობის გაუქმება წარმოადგენს.

მაშ, თუკი როსტომ ჩხეიძე თავის წიგნში სიბეჯითისა და სიზარმაცის ოპოზიციური წყვილის დეკონსტრუქციას ახდენს, შესაბამისად, ყველაფერი თითქოს თავის ადგილზე დადგება – წიგნის სათაურიც, მისი შინაარსიც და დანიშნულებაც. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, ცხადია, ჩვენი ფოლკლორისა და ლიტერატურის კარგად ცნობილი პერსონაჟებისა და პასაჟების ყოველი ახლებური და მათ შორის დეკონსტრუქციის მეთოდით შესრულებული ინტერპრეტაციაც, არა მარტო საინტერესო საკითხავი იქნება, კლასიკასაც დაიცავს „კულინარიულ“ (გასართობ) ლიტერატურად გადაქცევის საფრთხისაგან.

მაგრამ...

ჩვენში ხომ ლიტერატურა და ხელოვნება არასოდეს ყოფილა იმდენად თვითკმარი მოვლენა, რომ წმინდა ესთეტიკური ფორმების შექმნით ან მათი თამაშითა და

ჭვრეტით დაკმაყოფილებულიყო? პრინციპი „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ ჩვენში ყოველთვის მეტისმეტად უადგილოდ გამოიყურებოდა და, ვფიქრობ, დღესაც დიდი ფუფუნებაა. უკიდურესად მოუგვარებელი, პრობლემატური ყოფა ის რეალობა არ არის, იოლად რომ დაუსხლტე ხელიდან. ჩვენ ყველანი ამ რეალობიდან გამოვდივართ. ყველა ჩვენი ნააზრევი, ცნობიერიცა და გაუცნობიერებელიც ამ რეალობის გააზრებას, მის ინტერპრეტირებას და იდეაში მის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. მით უფრო ეს ითქმის ისეთ მწერალზე, როგორიცაა როსტომ ჩხეიძე, რომელსაც თავისი შემოქმედების ასეთი პოლიტიკური თუ პრაქტიკული საფანელი არც არასოდეს მიუჩქმალავს.

ამიტომ, მე მგონი, ლევან ბრეგაძის მსჯელობა გაგრძელებასა და ზოგიერთ არსებითი ხასიათის დაზუსტებას მოითხოვს.

5.

ძალიან უცნაური იქნებოდა, როსტომ ჩხეიძეს დეკონსტრუქციის მეთოდი მხოლოდ კლასიკის გასართობ ლიტერატურად გადაქცევის საფრთხის თავიდან ასაცილებლად გამოეყენებინა და არ ეფიქრა ამ მეთოდის მეორე, გაცილებით მნიშვნელოვან თვისებაზე. ვის შეუძლია ჩვენი კულტურის, როგორც ასეთის, პოზიციიდან ყველაფრის თავდაყირა დაყენების, ფუნდამენტური ფასეულობების გაუფასურებისა და სრული დეზორიენტაციის უკეთესი ხერხი და საშუალება მოიფიქროს, ვიდრე დერიდასეული დეკონსტრუქციაა?

გარდა იმისა, რომ 1990 წელს მოსკოვში ჩასული დერიდა თავადვე აღნიშნავდა დეკონსტრუქციის ფრანგული მოდელის პოსტსაბჭოთა სივრცეში გამოყენების დაუშვებლობას, არც როსტომ ჩხეიძეა იმდენად წინდაუხედავი მწერალი, რომ ამგვარი ნაბიჯი დაუფიქრებლად გადადგას.

მათთვის, ვისაც შეუძლია დააფასოს არა მარტო იდეათა შინაარსი, არამედ ფორმაც, წინასწარ მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ როსტომ ჩხეიძე იმიტომ კი არ ახდენს სიბეჯითე-სიზარმაცე ოპოზიციური წყვილის დეკონსტრუქციას, რათა მიღებული შედეგითა და ამგვარი წმინდა წყლის თვითკმარი ლიტერატურული თამაშით დატკბეს, არამედ იმიტომ, რომ გვაჩვენოს – რატომ და როგორ არ შეუძლია მისი მიღება.

მოკლედ, როსტომ ჩხეიძის ტექსტი უშუალოდ უკავშირდება დღეს უკვე ისეთ სამკვდრო-სასიცოცხლო პრობლემას, როგორიცაა ქართული კულტურის დამოკიდებულება დასავლურ ცივილიზაციასთან. „ქება სიზარმაცისას“ ანალიზი პოსტმოდერნისტულ-პოსტსტრუქტურალისტურ- დეკონსტრუქტივისტურ განწყობილებათა თუ იდეათა ჭრილში ნათლად დაგვანახებს ტექსტის ავტორის, როგორც კონკრეტული კულტურის წარმომადგენლის, მრავალი თვალსაზრისით ყურადღების ღირს დამოკიდებულებას ზოგადად დასავლურ და კერძოდ, მის ისეთ სპეციფიკურ და რთულ სიტუაციასთან, როგორშიაც დღეს იმყოფება დასავლური ცივილიზაცია.

სწორედ ეს მომენტია უაღრესად მნიშვნელოვანი და ყურადსაღები, ერთდროულად ფორმით ორიგინალური და შინაარსით ალბათ საეტაპო, როგორც თავად როსტომ ჩხეიძის, ასევე, უადგილო პათეტიკის გარეშე შეიძლება ითქვას, ზოგადად ქართული აზროვნებისთვისაც.

6.

თავის დროზე ე. ისტჰოუპმა დეკონსტრუქციის ხუთი ტიპი გამოყო. შეიძლება დღეს მათი რაოდენობა გაიზარდა კიდეც, მაგრამ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ არც ერთი მათგანი არსად და არასოდეს არ შეიძლება მოგვევლინოს როგორც ტექსტის ანალიზის წმინდა ტექნიკური ხერხი თუ საშუალება.

დეკონსტრუქციის ნებისმიერი ტიპი ყოველთვის წარმოადგენს ე. წ. პოსტმოდერნისტული მგრძნობიარობიდან ამოზრდილ ძალზე სპეციფიკურ შემეცნებით მეთოდს. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ არა ის უაღრესად თავისებური განცდა კრიზისისა, რომელმაც დასავლურ საზოგადოებაში გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მოიკიდა ფეხი და მალე ყველაფერი მოიცვა, დეკონსტრუქციის არავითარი საჭიროება არ იარსებებდა.

ჩვეულებრივ, პოსტმოდერნისტული მგრძნობიარობის უმთავრეს ნიშნად მიჩნეულია სამყაროს როგორც ქაოსის განცდა. იმისათვის, რომ მივხვდეთ ეს რას ნიშნავს, უნდა წარმოვიდგინოთ საზოგადოება, რომელიც თავისი განვითარების შინაგანმა კანონზომიერებამ ყველა ტრადიციული ფასეულობის გაუფასურებამდე მიიყვანა. გახუნდა ყველა ავტორიტეტი. აღარ დარჩა აღარავითარი ხელშეუხებელი ფასეულობითი ან აზრობრივი კრიტერიუმი სამყაროში ორიენტაციისათვის. ქვა ქვაზე აღარ დარჩა ისეთი ცნებებისაგან, როგორებიცაა ღმერთი, რელიგია, მეფე, ადამიანი, ლოგიკა... რომლებიც გარდასულ ეპოქებში მთლიანად განსაზღვრავდნენ, აზრითა და მნიშვნელობით ავსებდნენ ადამიანის ცხოვრებას.

ასეთი კოშმარული სიტუაციიდან გამოსვლას ისახავს მიზნად დერიდასეული დეკონსტრუქცია, რომლის არსიც მართლაც სხვა არაფერია, თუ არა ტრადიციული ბინარული ოპოზიციების კრიტიკული ანალიზი, მის წევრებს შორის არსებული წინააღმდეგობის გაუქმებისა და განადგურების მიზნით.

მაგრამ როგორ შეიძლება ადამიანს სამყაროში ორიენტაციის უნარი დაუბრუნოს, ვთქვათ, სიკეთესა და ბოროტებას, სიმართლესა და სიცრუეს, სინათლესა და სიბნელეს შორის არსებული წინააღმდეგობის გაუქმებამ?

7.

საინტერესოა, რომ დასავლელმა ინტელექტუალებმა კრიზისიდან გამოსავალი რომელიმე ძველი რელიგიური ან ფილოსოფიური სისტემის რეანიმაციაში კი არა, ისევ წინსვლაში დაინახეს.

ერთ-ერთი უმთავრესი დასკვნა, რომელიც მე-20 საუკუნის დასავლურმა აზროვნებამ გააკეთა, ის გახლავთ, რომ ადამიანს პრინციპულად არ შეუძლია ობიექტური ჭეშმარიტება შეიმეცნოს, რითაც, ფაქტობრივად, ყოველგვარი უკან დახევა გამოირიცხა, რადგან წარსულში დიდი ძალისა და გავლენის მქონე და აწ გაუფასურებული ყველა სისტემა სწორედ ობიექტური ჭეშმარიტების ფლობაზე აცხადებდა პრეტენზიას.

პოსტსტრუქტურალისტებისთვის თითქმის მოარულ ჭეშმარიტებად იქცა იდეა, რომლის თანახმადაც ის, რასაც ადამიანი რეალობად აღიქვამს ანუ ის ფორმა, რომლითაც იგი რეალობას მოსავს, სინამდვილეში მხოლოდ მისი წარმოდგენაა რეალობაზე. აქედან გამომდინარეობდა დერიდას სისტემატური მცდელობანი წაეშალა საზღვარი რეალურ სამყაროსა და იმ სამყაროს შორის, რომელიც ადამიანთა ცნობიერებაში აირეკლება.

ადამიანს, განსხვავებით დანარჩენი არსებებისგან, არ შეუძლია უფორმო, არაინტერპრეტირებულ სამყაროში არსებობა. გარკვეული გაგებით ისიც კი შეიძლება ითქვას, რომ ზოგადად ადამიანის, როგორც ასეთის, ისტორია იმ დროიდან იწყება, როცა პირველად მოხდა სამყაროს თუნდაც ძალზე პრიმიტიული, უმარტივესი ინტერპრეტაცია. ამ ოპერაციით მანამდე გაურკვეველი, უფორმო, ქაოტური და მტრული გარემომცველი რეალობა ადამიანური გონებისთვის გასაგებ და მისაღებ ფორმას იძენს. პირველად ალბათ სწორედ ამ დროს იწყება სამყაროს დაქუცმაცება ზოგადად პლუსისა და მინუსის უსასრულო რიგად, რაც მე-20 საუკუნის დასაწყისში სტრუქტურალისტების მიერ ბინარულ ოპოზიციებად მოინათლება და ნებისმიერი სტრუქტურის ქვაკუთხედად გამოცხადდება.

მაგრამ ბინარიზმის ნამდვილი ისტორია დასავლურ აზროვნებაში, ისევე როგორც სხვა ბევრი რამისა, ძველ საბერძნეთში იწყება. კერძოდ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნეში ჯერ ელეატელთა სკოლაში და მოგვიანებით ლევკიპესა და დემოკრიტეს ნააზრევში. სამყაროს ასეთი ხედვა ბოლოს და ბოლოს სულს გამოაცალკევებს მატერიისაგან და წარმოშობს დუალიზმს, მთელი დასავლური აზროვნების ერთ-ერთ ფუნდამენტურ თვისებას, რომელიც ადამიანური შემოქმედების სხვადასხვა სფეროებში სხვადასხვა ფორმებით იმოსება. რელიგიაში ეს იყო დაშვება იმისა, რომ არსებობს სამყარო და არსებობს მის მიღმა მდგარი სუპერგონიერი და პერსონიფიცირებული ღვთაება, რომელიც გარედან მართავს მას.

ბინარიზმის ახალი სიცოცხლე იწყება აღორძინების ეპოქაში. თუკი მანამდე ყველაზე მნიშვნელოვანი სულიერი რეალობისა და ღმერთის დიდებულების შემეცნება იყო, ახალი ევროპული მეცნიერების ფუძემდებლების განსაკუთრებულ ყურადღებას მატერია და მატერიალური სამყარო მიიპყრობს.

დასავლეთში იწყება პროცესი, რომელიც მანამდე არსად მომხდარა. ეს არის სამყაროს რელიგიური ინტერპრეტაციის ჩანაცვლება მისი მეცნიერული მოდელით, თუმცა დუალიზმი ხელუხლებელი რჩება.

უფრო მეტიც, რენე დეკარტის მიერ ბუნების ფუნდამენტური გაყოფა ორ დამოუკიდებელ სფეროდ – ცნობიერებად და მატერიად, ხელს უწყობს სამყაროს ახალი მოდელის ჩამოყალიბებას, რომლის თანახმადაც მატერია რაღაც არაცოცხალი და ადამიანისაგან განცალკევებული სუბსტანციაა, ხოლო მატერიალური სამყარო – რაღაც გიგანტური და რთული აგრეგატი, რომლის შესწავლა და საკუთარ სამსახურში ჩაყენება ადამიანური ინტელექტისთვის სრულიადაც არ არის შეუძლებელი.

ეს ის გზაა, რომელიც ბოლოს და ბოლოს „კლავს ღმერთს“, ახდენს სამყაროს მეცნიერული ინტერპრეტაციის სრულ ლეგიტიმაციას და მართლაც გამაოგნებელი ტექნოლოგიური რევოლუციების მთელი კასკადით ქმნის თანამედროვე დასავლური კაცობრიობის სახეს – მასობრივი კეთილდღეობის, სუპერკომფორტულ, სუპერსისტემატიზირებულ, უზარმაზარი მატერიალური ძალმოსილების მქონე საზოგადოებას.

მაგრამ მე-20 საუკუნის პირველ სამ ათეულ წელიწადში ატომური ფიზიკის შემქმნელები ისეთი რეალობის წინაშე აღმოჩნდნენ, რომელმაც საბოლოოდ დაასამარა დასავლურ აზროვნებაში გაბატონებული სამყაროს კლასიკური მეცნიერული ინტერპრეტაცია. აღმოჩნდა, რომ ჩვეულებრივი რაციონალისტური ლოგიკა სრულიად უძლურია გაიგოს და აღწეროს ის ატომური და სუბატომური რეალობა, რომელიც მთელი სამყაროს ფუნდამენტშია ჩადებული. დასავლურ კულტურაში სამყარო ფორმას კარგავს და ქაოსში იძირება.

8.

სუპერკომფორტულ დასავლეთში ასე თავისებურად მეორდება პრეისტორიული უფორმობა, რომელიც გარეგნულად ბევრს არაფერს ეტყობა, მაგრამ რომელიც თავის კვალს აჩნევს ადამიანური შემოქმედების ყველა სფეროს.

სინამდვილეში მართლაც გასაოცარი რამ მოხდა. დასავლურმა მეცნიერებამ გადალახა საკუთარი მსოფლმხედველობრივი საზღვრები და კვლავ იმ საწყის წერტილს უბრუნდება, საიდანაც ოდესღაც დაიწყო მოძრაობა. გასული საუკუნის 70-იან წლებში ცნობილი ფრიტოფ კაპრა ძალზე დამაჯერებლად გვაჩვენებს იმ ანალოგიებს, რომლებიც ასე უხვად არსებობს, ერთი მხრივ, ატომური ფიზიკის გასაოცარ აღმოჩენებსა და თეორიებს და, მეორე მხრივ, ყველა დროისა და ეპოქის მისტიკურ წარმოდგენებს შორის. ეს არის ხედვა, რომლის თანახმადაც მთელი სამყარო ერთიანი გიგანტური ორგანიზმია, რომლის ორგანულ ნაწილსაც წარმოადგენს თავად ადამიანიც და რომლის შემეცნებაც ტრადიციული ლოგიკით, რომელიც განასხვავებს, გამოყოფს, უპირისპირებს, ადარებს, ზომავს და ირჩევს, ყოვლად შეუძლებელია.

შეიძლება ითქვას, რომ პოსტსტრუქტურალისტების მიერ ჩატარებული უზარმაზარი სამუშაო და კერძოდ, დერიდასეული დეკონსტრუქციაც სხვა არაფერია, თუ არა სამყაროს – როგორც ერთი მთლიანობის – გაცნობიერებისაკენ გადადგმული ნაბიჯი. დეკონსტრუქცია ააშკარა-

ვებს დასავლური რაციონალიზმის, დერიდას ტერმინოლოგიით ლოგოცენტრიზმის, მიერ ინტერპრეტირებული სამყაროს უკიდურესად ცალმხრივ, მცდარ და მანკიერ ბუნებას. შეტევის ობიექტადაც ამიტომ შეირჩევა მანამდე სტრუქტურალისტების მიერ გაფეტიშებული ბინარული ოპოზიციები და მის წევრებს შორის არსებული წინააღმდეგობის რელატიურობის ჩვენებაც იმისთვისაა საჭირო, რომ ლოგოცენტრიზმის მიერ ყველაფერში სისტემისა და აზრის დანახვის ან თავსმოხვევის ფიქტიურობა ამხილოს.

ანუ დეკონსტრუქცია არის მეთოდი, რომლის გამოყენებისას ინტელექტი კვლავ განასხვავებს, გამოყოფს, ადარებს და ზომავს, მაგრამ აღარ აპირისპირებს და აღარ ირჩევს.

დეკონსტრუქცია იღებს.

და ამ მიღებით ცდილობს სიკეთისა და ბოროტების, სინათლისა და სიბნელის, სამართლიანობისა და უსამართლობის, ზოგადად პლუსისა და მინუსის ერთიანობა გააზროს და მის მიღმა არსებულ ზერეალობას მისწვდეს.

ამავეს ცდილობდნენ და ცდილობენ, ოღონდ სულ სხვა მეთოდებითა და საშუალებებით, ყველა დროისა და ეპოქის მისტიკოსებიც.

9.

იმ კულტურულ სივრცეში, სადაც არც ატომურ ფიზიკას შეუქმნია მსოფლმხედველობრივი პრობლემები, არც ლოგოცენტრიზმი გაჭაჭანებულა და არც მისი რკინისებური კანონებით სტრუქტურებული საზოგადოება, რომ მერე პოსტმოდერნისტულ მგრძნობიარობას შევეწუხებინეთ, ვფიქრობ, დამეთანხმებით, რომ ისეთ მოვლენას, როგორიცაა დეკონსტრუქცია, ფრთხილად მოპყრობა სჭირდება. სიფრთხილე საჭიროა იმისათვის, რათა სხვისთვის წამალი ჩვენთვის საწამლავად არ იქცეს. თუმცა უნდა ითქვას, რომ სამყაროს ერთგვარი უფორმობა უკანასკნელი 15 წელია ჩვენშიაც იგრძნობა. ცნობილმა ტრაგიკულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა ჩვენს კულტურულ სივრცეში მანამდე ერთპიროვნულად გაბატონებული პატრიოტული დისკურსის გაკოტრება და ნიჰილიზმის მომძლავრება გამოიწვია ანუ კრიზისშია ქართული კულტურაც, მაგრამ ეს კრიზისი არ გახლავთ იმდენად ფუნდამენტური ხასიათისა, რომ საერთოდ ადამიანური არსებობის ფუძემდებლური პრინციპების გადასინჯვამდე მივიდეს საქმე. მოკლედ, სპეციფიკურად ქართული კრიზისი ჯერჯერობით ბინარული ოპოზიციების წევრებს შორის არსებული წინააღმდეგობის გაუქმების არავითარ აუცილებლობას არ ქმნის. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ჩვენში ირჩევს ყველა – პატრიოტიცა და ნიჰილისტიც. როგორც ჩანს, ასეც უნდა იყოს, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ყველა ირჩევს როგორღაც გაუცნობიერებლად, ემოციურად, ირაციონალურად, რაც მნიშვნელობას უკარგავს არჩევანს და მხარეებს შორის ნამდვილი დისკუსიის შესაძლებლობას გამორიცხავს.

ირჩევს როსტომ ჩხეიძეც, მაგრამ „ქება სიზარმაცისას“ ერთ-ერთი უმთავრესი ღირსება ის გახლავთ, რომ არჩევანი აქ ბოლომდე გაცნობიერებული და დასაბუთებული ანუ რაციონალიზებულია. ეს სწორედ ის არის, რაც ასე აკლია ჩვენს სააზროვნო სივრცეს და რომლის სწორად გააზრების შემთხვევაშიც ბუნებრივად იქმნება ნორმალური სადისკუსიო ველი.

მაგრამ კარგ მთქმელს კარგი გამგონი სჭირდება, ხოლო კარგ წიგნს – კარგი მკითხველი. თუმცა გარკვეული პრობლემები შეიძლება ამ თვალსაზრისითაც შეიქმნას.

10.

ის, რასაც ვ. ლეიჩი ამბობდა პოლ დე მანის არგუმენტაციის მანერაზე, გარკვეულწილად იმ სტილზეც შეგვიძლია გავიმეოროთ, რომლითაც როსტომ ჩხეიძემ დაწერა თავისი „ქება სიზარმაცისა“.

ისევე როგორც ამერიკელი დეკონსტრუქტივისტი, ჩვენი მწერალიც თავისი იდეებისა და პოზიციის ფორმულირებას ძირითადად სხვადასხვა ტექსტების ანალიზის პროცესში ახდენს. ის არ აკეთებს არავითარ საპროგრამო განცხადებას თავის დეკონსტრუქტივისტურ პროექტზე ან ჩანაფიქრზე. შესაბამისად, მისი ლიტერატურულ-კრიტიკული პოზიციაც ღრმად არის შეფარული მისსავე ნაშრომში. უყურადღებო ან ლიტონი მკითხველის ზოგჯერ შეგნებულად დამაბნეველი, გამჭრიახი და ფრთხილი როსტომ ჩხეიძე, ანალიზის მისთვის დამახასიათებელი სკრუპულოზური მანერით კანონიკური ტექსტებისა და ჩვენში გავრცელებული სააზროვნო კლიშეების მართლაც ძალზე საინტერესო გააზრებას გვთავაზობს.

მაგრამ რატომ შეირჩა მაინცდამაინც სიბეჯითე-სიზარმაცის ოპოზიციური წყვილი?

იქნებ იმიტომ, რომ სწორედ ეს ოპოზიცია გამოხატავს ყველაზე უკეთ ამწუთიერისა და მარადიულის ბრძოლას ადამიანის ცნობიერებაში?

ალბათ იმიტომაც, რომ სიბეჯითე-სიზარმაცის ოპოზიციური წყვილის ისტორია ერთგვარად დასავლური კაცობრიობის განვითარების ისტორიაცაა აღორძინებიდან დღემდე.

აღორძინების ხანის ქალაქში შემთხვევით ხომ არ შეეცილა ტაძარს პირველობაში საათიანი რატუშა? შემთხვევით ხომ არ დაჯაბნა თანდათანობით და შემთხვევით ხომ არ დაიპყრო მთლიანად ევროპელთა გული, გონება და ყოფა?

საათი მართლაც კარგი სიმბოლოა იმ ფასეულობებისა, რომელთაც დასავლური კაცობრიობა აღორძინების ხანიდან იღებს, იმ ქანცისგამწყვეტი ცხოვრების წესისა, რომელიც დღენიადაგ ჩაგძახის, რომ დრო ფულია და ერთი წუთი სულის მოთქმის უფლებას არ გაძლევს, სულ წინდაწინ მიგერეკება.

ცხადია, შემთხვევით არ გადაუნაცვლებია ტაძარს უკანა პლანზე. არც ღმერთის მეშვიდე დღეს დასვენების სიმბოლიკის არსის გაფერმკრთალება მომხდარა რაღაც გაუგებრობის გამოისობით. ჩვენსავით არც სახარება ჰქონიათ ოდესმე სანთლით საძებარი, რომ იესოს სიტყვები დავიწყებოდათ: იცხოვრეთ ველის შროშანებივით და ცის ფრთოსნებივით, რომელნიც არც თესენ, არც მკიან, და არც საუნჯეს აგროვებენო.

მაინც დაივიწყეს.

კიდეც თესეს, კიდეც მკეს, თან ისეთი დაჟინებითა და ენერგიით, რომ საუნჯეც აურაცხელი დააგროვეს და დი-

დი და ძლევამოსილი სახელმწიფოებიც შექმნეს. მაგრამ ეს ყველაფერი ადამიანსა და ბუნებას და ადამიანსა და ადამიანს შორის დაკარგული ჰარმონიის ხარჯზე მოხდა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სხვადასხვა ფორმებითა და საშუალებებით არც დაკარგული ჰარმონიის ძიება შეუწყვეტიათ ოდესმე. როსტომ ჩხეიძის თქმით, დიდი და ძლევამოსილი სახელმწიფოების შვილებს დროც თავზესაყრელი ჰქონდათ და არც არანაირ გატაცებაში არ ეშლებოდათ ხელი ჩვენსავით.

რომანტიკოსებიც ამას ეძებდნენ და ნაწილობრივ მოდერნისტებიც. მაგრამ ამაოდ. სანამ თავად სიბეჯითემ არ მიაღწია მაქსიმალურ სისავსეს, მანამდე ვერავინ გაიხსენა ამ იდუმალი სამყაროს უანგარო ჭვრეტის, ღვთაებრივი მოცალეობის, მედიტაციის, როსტომ ჩხეიძის თქმით – სიზარმაცის, ფასი და მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში.

ბოლოს მაინც გაიხსენეს.

გაიხსენეს კი არა, ბუნებრივად მივიდნენ აქამდე. სხვა გზა აღარ დარჩათ და მივიდნენ.

დიდი და ძლევამოსილი სახელმწიფოების შვილებს დროც თავზესაყრელი ჰქონდათ და აქვთ და არც არანაირ გატაცებაში არ ეშლებოდათ და არ ეშლებათ ხელი ჩვენსავით.

11.

უკანასკნელი რვა საუკუნეა ჩვენი ქვეყანა დიდი და ძლევამოსილი სახელმწიფო აღარასოდეს ყოფილა. შესაბამისად, არც მოგვარებული ყოფა გვქონია, არც თავზესაყრელი დრო და ვერც ვერანაირ გატაცებას ვერ მივყოლილვართ ბოლომდე, მაგრამ...

მაგრამ რაღაც კანონზომიერების გამოისობით სიბეჯითე-სიზარმაცის ოპოზიციური წყვილი ჩვენთვისაც ძალზე აქტუალური და საჭირბოროტო გამხდარა, განსაკუთრებით მე-19 საუკუნიდან, როცა ისედაც სუსტი სახელმწიფოებრიობა საერთოდ გაქრა და საქართველო რუსეთის იმპერიის მიყრუებულ გუბერნიად გადაიქცა.

რა თქმა უნდა, პირველ რიგში, სწორედ ამიტომ იქცევს როსტომ ჩხეიძის ყურადღებას სიბეჯითე-სიზარმაცის ოპოზიციური წყვილი.

12.

„მორბის არაგვი არაგვიანი, თან მოსძახიან მთანი ტყიანნი...“

ვის არ ახსოვს ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“ მეორე კარის დასაწყისი?

ბავშობაში ხომ გაგვიზეპირებია და ეჭვი არ არის, მერეც არაერთხელ მოგვადგებოდა ენაზე, სადმე ბუნების ფერწერულ სურათს თუ გადავაწყდებოდით.

და რა უცნაურია.

მაინც ვერ შეგვიმჩნევია ის, რაც როსტომ ჩხეიძემ შეამჩნია – როგორაა ამოვარდნილი ეს ლირიკული გადახვევა პოემის საერთო სულისკვეთებიდან.

გახსოვთ?

კრწანისის კატასტროფას ქართლის ბედი, ვინ იცის მერამდენედ, მაგრამ ამჯერად საბოლოოდ, სასწორზე შეუგდია. სასოწარკვეთილი მოხუცი მეფე საბედისწერო ნაბიჯის გადასადგმელად ემზადება. მოკლედ, თვით საქართველოს ისტორიაშიც კი გამორჩეულად შავბნელი ვითარებაა.

„ის ქართველი კი, ხაზს უსვამს როსტომ ჩხეიძე, არაგვისა და მისი ჭალების მშვენებით მოხიბლული, ერთბაშად ჩამოხტებოდა ცხენიდან. არ შეეძლო არ ჩამოქვეითებულიყო, რაგინდ საშური საქმე ჰქონოდა. როგორ იქნებოდა არ განესვენა.

სამჯერ მაინც უნდა გადაეკრა ღვინო.

ცხენი მოეძოვებინა.

თვალი მოეტყუებინა.

გამოღვიძებულს შუბლი გაეგრილებინა.

ერთი ქართველურად კიდეც შეეძახა: არაგვო, მაგ შენს ამწვანებულ მთებსო.

და მერე თუნდაც დაგვიანებოდა, ამისთვის აღარ დაღონდებოდა“.

მართლა საკვირველია.

იმდენად, რომ კაცმა შეიძლება იფიქროს, ინტერპოლაცია იქნება, ბარათაშვილი ასეთ ლაფსუსს არ დაუშვებდაო. მაგრამ რაკი ინტერპოლაციაზე ლაპარაკიც ზედმეტია და სტილიც აშკარად ბარათაშვილისეულია, ამიტომ ახსნა სხვაგან უნდა ვეძებოთ.

ვინ იცის, სხვამ შეიძლება სხვა თქვას, მაგრამ როსტომ ჩხეიძისთვის ამგვარი უცნაური არხეინობა, თან ყველაზე შეუფერებელ მომენტში, რაც თავისთავად ზოგადდება საერთო ქართველურ თვისებად, სხვა არაფერია, თუ არა იმ იდუმალი ნოტის ახმიანება ბარათაშვილში, დიდი და ძლევამოსილი სახელმწიფოს შვილს რომ შეჰფერის და მთელი სამყაროს მემკვიდრედ აგრძნობინებს თავს. იმ ხანის გამოძახილია, როდესაც ქართული მოდგმა ორ ზღვას შორის ჯერ არ მომწყვდეულიყო და ვეება ტერიტორიაზე განფენილიყო.

ასე უკავშირდება „ქება სიზარმაცისა“ „ქალდეას მონატრებას“.

ასე შეიძლება აიხსნას იმ უსახელო ქართველის უცნაური თავდავიწყება, რეალური ჟამიდან რომ ამოვარდნილა და, მშვენიერების ჭვრეტაში ჩაძირული, დროის შეგრძნებას საერთოდ კარგავს. აღარც კრწანისის ბრძოლა აღელვებს და აღარც დამხობილი დამოუკიდებლობა.

როსტომ ჩხეიძისთვის ეს არის მონატრება იმ ჟამისა, ხელშესახები შეგრძნება იმ ნაკადისა, შენს სახელმწიფოებრიობას ანუ შენს ღირსეულ ყოფა-ცხოვრებას არაფერი რომ არ ემუქრება და როცა მშვიდი სინდისით, სავსებით ბუნებრივად იძირები თვითჭვრეტაში, როცა მშვენიერების შეგრძნება თავისთავად გაგდებს ამწუთიერი რეალობიდან და შანსი გეძლევა, ეს იდუმალი სამყარო იმ სიმაღლიდან შეიგრძნო, საიდანაც სიბეჯითე-სიზარმაცის დაპირისპირებულობის მოჩვენობითობისა და ამაოების დალანდვა და იქნებ მათ მიღმა გადახედვაც მოხერხდეს...

იქნებ...

რა შეიძლება კაცისთვის ამაზე მნიშვნელოვანი იყოს? სხვა ყველაფერი ნამდვილად ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაოა.

მაგრამ...

მაგრამ თუკი სახელმწიფოებრიობა საერთოდ დაგიკარგავს, დიდ პოლიტიკურ დაპირისპირებებში გამოჭყლეტილხარ ანუ ღირსეული ადამიანური ყოფა-ცხოვრე-

ბა სანატრელი გაგხდომია და გადარჩენა-არგადარჩენის ტკივილიან ფიქრებსა თუ მიწყდომ-მოწყდომას შეუპყრიხარ, მაშინ?

მაშინ გინდა თუ არ გინდა ყველაფერი ამას დაუკავშირდება.

მაშინ ამწუთიერი მარადიულს შეეტოქება და უკანა პლანზე გადასწევს.

მაშინ პოლიტიკა შეიჭრება მხატვრულ წარმოსახვებსა და სამეცნიერო ძიებებში და ყველაფერს თავის დაღს დაასვამს.

მაშინ რაც არ უნდა კარგად გესმოდეს მარადიულის ფასი და მნიშვნელობა, ბარათაშვილის უსახელო და „რომანტიკულად ზარმაცი“ პერსონაჟი ილია ჭავჭავაძის ბედოვლათ ლუარსაბ თათქარიძედ გარდაქმნილი მოგვევლინება.

მიხეილ ჯავახიშვილიც ამიტომ მოახდენს თავის „გივი შადურში“ ბარათაშვილის პოემის ხსენებული პასაჟის პაროდირებას.

კოტე მაყაშვილისა და სხვებისთვისაც ამიტომ გახდება ცრუპენტელა და ზარმაცი, მაგრამ დევების რისხვა ნაცარქექია უმნიშვნელოვანესი პერსონაჟი...

13.

ეს წარსულში, მაგრამ დღეს?

ვითომ დღესაც ისევ ისე იჭრება პოლიტიკა მხატვრულ წარმოსახვებსა და სამეცნიერო ძიებებში, როგორც მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან იჭრებოდა და თავის კვალს ამჩნევდა ქართულ სულიერ კულტურას?

ვითომ ახლა კი შეგვიძლია თამამად ვამჯობინოთ მარადიული ამწუთიერს?

ვითომ ახლა კი გვაქვს თავზესაყრელი დრო და აღარც არანაირ გატაცებაში აღარ გვეშლება ხელი?

მაშ რატომ რჩება აუხდენელ ოცნებად როსტომ ჩხეიძეს, სადმე ბექობზე ნახევრად წამოწოლილი გადაჰყურებდეს მდინარის დენას?

არც რომ მოსწყინდებოდა.

არც რომ გაბეზრდებოდა.

მაშ რატომ ვერ მიუტოვებია, ხელიდან რატომ ვერ გაუგდია უთვალავი საქმე, ზვავით რომ დასწოლია თავზე და... გასრესით ჯერ არ ესრესინება?

„ქება სიზარმაცისასაც“ ხომ იმიტომ წერს, რომ მშვენივრად მოეხსენება მისი ფასი და ისიც კარგად იცის, რომ დროის ამაზრზენ, წელში გამტეხ ძალმომრეობას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაუსხლტე ხელიდან, თუკი აღარ იბრძოლებ, თუკი ყველაფერს მიიღებ, თუკი წამოწვები სადმე ბექობზე და ამწუთიერი საზრუნავისგან დაცლილი თვალს მიადევნებ მდინარის დენას.

მაგრამ როსტომ ჩხეიძე „ქება სიზარმაცისას“ იმიტომაც წერს, რომ ამ ოცნების განუხორციელებლობაზე მიგვანიშნოს.

მისთვის განუხორციელებლობაზე.

უფრო მეტიც. მე მგონი, ძირითადად სწორედ ამიტომ წერს.

ანუ როსტომ ჩხეიძეც ირჩევს და ირჩევს კვლავ ამწუთიერს. მარადიული კვლავ განუხორციელებელ ოცნებად რჩება.

მისთვის რჩება.

და მიუხედავად იმისა, რომ არავის არაფრისკენ არ მოუწოდებს, არც არავის ჰგმობს, არც არავის აღმერთებს, უბრალოდ, თავის განუხორციელებელ ოცნებაზე გვესაუბრება, როგორღაც ვგრძნობთ, რომ ეს ოცნება ჩვენიც ყოფილა და ჩვენთვისაც განუხორციელებელი რჩება.

რა მნიშვნელობა აქვს ვინა ხარ, პატრიოტი თუ ნიჰილისტი? თუ „ქება სიზარმაცისას“ გაიგებ, იმასაც გაიცნობიერებ, რომ შენც ამქვეყნის შვილი ხარ, ეს ოცნება შენიც ყოფილა და შენთვისაც განუხორციელებელი დარჩენილა, რადგან კვლავ პოლიტიკა იჭრება ჩვენს მხატვრულ წარმოსახვებსა და სამეცნიერო ძიებებში და ამწუთიერი კვლავ უკანა პლანზე სწევს მარადიულს...

მე მგონი, „ქება სიზარმაცისას“ უმთავრესი ღირსება სწორედ ეს გახლავთ.

14.

სხვამხრივ კი...

სხვამხრივ მეც და, დარწმუნებული ვარ, თქვენც სიამოვნებით შეუერთდებით როსტომ ჩხეიძის ნატვრას.

იქნებ ოდესმე, ხანი რომ გაივლის, ბოლოს და ბოლოს ჩვენშიაც მიდიოდეს ვინმე დაღლილი კაცი სადმე ბექობის მოსაძებნად და იქ ნახევრად წამოწოლილი გადაჰყურებდეს მდინარის დენას.

იქნებ მას მაინც გაუჩნდეს საკუთარ თავში ჩაძირვისა და რელიგიური აქტის შეგრძნება, დალანდოს უსასრულობაში გაჭრილი ბილიკი და... ცხოვრების დანიშნულებაც ამოიცნოს.

იწვეს ასე ბექობზე და გადაჰყურებდეს მდინარის დენას.

სხვა მართლაც რა უნდა სთხოვოს კაცმა საქართველოს?

ჩვენი ფოსტა

გამარჯობა!

გაწუხებთ ვადიკ ამიროვი მოსკოვიდან, რუსეთიდან.

ძალიან მინდა განმარტებათა მოსმენა იმ სიახლის შესახებ, რაზეც თქვენი სააგენტო იტყობინებოდა. თვითონვე გესმით, ლობჟანიძის მოძებნა მოსკოვიდან გამიძნელდება, ამიტომაც გთხოვთ, მას რამდენიმე შეკითხვა დაუსვათ: 1. რამ უბიძგა ქართულად ყურანის თარგმნა წამოეწყო 2. და რას ფიქრობს ლობჟანიძე მუსლიმთა საღვთო წიგნის შესახებ. ბუნებრივია, მოვიხსენიებთ თქვენს სააგენტოს. იმედი გვაქვს, ჩვენი თანამშრომლობა საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე ნეგატიურად არ აისახება. ვფიქრობ, უკეთესი იქნება, თუ ეს ურთიერთობა გაუმჯობესდება.

სხვათა შორის, თბილისის „დინამოს“ ძველი გულშემატკივარი ვარ, ოთარ გაბელიას, ალექსანდრე ჩივაძის, რამაზ შენგელიას დროიდან... ღმერთო ჩემო, რა ხანი გასულა!

გვაპატიეთ, რომ ჩვენთან ასეთი ამბავი ტრიალებს, ასეთი ანტიქართული განწყობილებაა.

გმადლობთ,

ვადიკ ამიროვი
მოსკოვი

შორენა ლებანიძე

„დალოოდის“ დეფილე

მესტიის ხედებისა და სვანური ყოფის ფონზე

ლათინოამერიკული რიტმები მესტიის მთებისა და კოშკების ფონზე მოაცილებს პირველი სვანური დეფილეს სიმბოლოდქცეულ მოდელს. ღიაცისქვეშა სანახაობის საფინალო კოსტიუმი, სოფელ ლენჯერის ხედებით, დღეს რაიონის კუთვნილებაა. პოდიუმს სტოვებენ სასაჩუქროდ გამიზნული საზამთრო-საშემოდგომო კოლექციის სხვა ნიმუშებიც: წელს ზემოთ სილუეტზე მომდგარი და ბოლოგაშლილი საღამოს კაბები; ბეწვის აქსესუარებიანი ნაქსოვი ჟაკეტები და შალის პიჯაკები...

სტილი ხაზგასმულად მკაცრია და დახვეწილი, ტონები – მუქი და მკვეთრი. ნაკლებად იგრძნობა მინიშნება დეტალზე, რომელიც ღია სივრცეში არ ჩანს, მეტად – ფორმების მასშტაბურობა. ნაკლებად – ავანგარდი და სვანური გარემოსთვის შეუსაბამო თამამი ნატურალიზმი, მეტად – კლასიკა: მოდელიორ ნანა შუკვანს სურდა, 50-ივე კოსტიუმ-აქსესუარი ფონად შერჩეულ მთიან ლანდშაფტსა და ადგილობრივთა გემოვნებას მორგებოდა, დიზაინერის ერთგვაროვანი ხელწერა კი ფაქტურის, სამოსის, ფერებისა და სტილის „კოქტეილს“ შეეცვალა.



„კოქტეილი“ თბილისურ სამოდელო სახლში შეიქმნა. სახლს, რომელსაც ნანა შუკვანი ხელმძღვანელობს, „დალოოდი“ ჰქვია. „დალოოდი“ ლენჯერელი დიზაინერის ბავშვობის სახელია და სვანურად ბროლის თოჯინას ნიშნავს. „ბროლის თოჯინა“, რამდენიმე წელიწადია, არსებობს. აქვს საკუთარი მაღაზია და კონტაქტები ცნობილ სამოდელო სააგენტოებთან. „შარმისა“ და „ნატალის“ მანეკენები, მესტიის ღიაცისქვეშა სანახაობის გარდა, ექვს თბილისურ ჩვენებაში მონაწილეობდნენ.

„სვანური დედოფალას“ „ფეშენშოუებამდე“ ქალაქში იყო ერთი პატარა სამკერვალო ატელიე, რომლის გახსნის იდეა ნანა შუკვანს მარტივმა გარემოებამ უკარნახა: ქალს ხელსაქმე უყვარდა. ბავშვობიდანვე კერავდა, ქსოვდა, ქარგავდა. დაგროვდა კოლექცია. გამოჩნდნენ დამკვეთები, მუდმივი კლიენტურა. შეიქმნა მცირე წარმოება, მერე – „დალოოდი“. ჰობი იქცა პროფესიად. პროფესიონალიზმმა მოითხოვა ხმაურიანი აქცია-სენსაცია – სვანეთის ისტორიაში პირველი დეფილე. ჩვენება სექტემბერის ბოლოს შედგა.

ლურჯმაუდგადაკრულ მომცრო პოდიუმს სასტუმრო „თეთნულდის“ ეზო დაეთმო. სასტუმროს მიმდებარე უბანს „სპარდიში“ ჰქვია. ის მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ემიჯნება. დაბლა ხიდია, ხიდს გაღმა – საგვარეულო კოშკების კომპლექსი, მარჯვნივ – ბანგურიანის მწვერვალი, ქედებზე – დაბის უძველესი სამოსახლოები მაჩუბებით, მაჩუბებში – მახვშის საკარცხულები, მარნები...

„თეთნულდის“ სიმაღლიდან დანახული ხედი „ფეშენშოუს“ მხატვრული გაფორმების მთავარ მახასიათებლად იქცა. მოდების ჩვენებისათვის გამიზნული ადგილი ორგანიზატორებს ამინდის ჭირვეულობამაც ვერ შეაცვლევინა. დილიდანვე კოკისპირულად წვიმდა. სანახაობას ჩაშლის საფრთხე ემუქრებოდა. იყო ალტერნატივა: დახურული სივრცე – მესტიის ახალგარემონტებული სკოლის ფოიე. ნანა შუკვანმა, გამოდარების იმედით, ალტერნატივაზე უარი თქვა.

გამოიდარა და ერთსაათიანი შოუს დასრულებისთანავე გაავდრდა. წვიმასა და წვიმას შორის, ოვაციებქვეშ, 5-6-ჯერ ჩაიარეს „შარმისა“ და „ნატალის“ მანეკენებმა. მაყურებელს არ ეთქმოდა ხალხმრავალი. მესტიელთა უმრავლესობა უამინდობის, უგზოობის, მოუწესრიგებელი კომუნიკაციებისა თუ დეფილეს არასათანადო რეკლამირების გამო ვერ დაესწრო სანახაობას.

ნანა შუკვანი: „შინმისულს უხუცესები დამხვდნენ. მეზობელი სოფლებიდანაც მირეკავდნენ, ზოგი – მოსალოცად, ზოგი – სასაყვედუროდ, რატომ არ გაგვაგებინეო. ვწუხვარ, ხმა რომ ვერ მივაწვდინე. დრო ცოტა გვქონდა.“

მოდების ჩვენება ზაფხულში დაიგეგმა და, ივლისის დაძაბული პოლიტიკურ-კრიმინოგენული ვითარების ფონზე, რამდენჯერმე გადაიდო. სავარაუდოდ, უსახსრობის გამო ვერ მოხერხდა თავდაპირველი ჩანაფიქრის სრულყოფაც. ღონისძიება, რომელიც უძველესი ხალხური სანახაობებისა და ალპინისტური ილეთების ჩართვას ითვალისწინებდა, „დალოოდის“ კოლექციების წარმოდგენით შემოიფარგლა.

ნანა შუკვანი: „მოდების ჩვენების მთავარი მიზანი ადგილობრივთა ერთფეროვანი ყოფის გამრავალფეროვნება, რეგიონისადმი ყურადღების მიქცევის მცდელობა იყო. მინდოდა, მეთქვა: სვანეთ-

ში არსებობს ყველა პირობა ტურიზმის, სამთო-სათხილამურო და ექსტრემალური სპორტის განვითარებისთვის. ხომ დაათვალიერეთ მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი? მსგავს სიმდიდრეს, უნიკალურ ხატებს, ტრადიციული ხუროთმოძღვრების ნიმუშებს ნებისმიერ სოფელში ნახავთ. ბუნების სილამაზეზე აღარაფერს ვამბობ – უდავოა. ეჭვსა და უნდობლობას იწვევს მხოლოდ სტერეოტიპი, რომელსაც წამოსვლის დღეს ერთხელ კიდევ გადავაწყდი: „როგორ, დაცვის გარეშე მიგყავთ მოდელები?“ მიმყავს, რადგან ადგილობრივებისადმი შიშის უსაფუძვლობაში დარწმუნებული ვარ. სვანეთში მოგზაურობა და დასვენება გარდაუვალ ხიფათთან და რისკთან არ არის დაკავშირებული. მხარეს სტუმრები არა მარტო უყვარს, სჭირდება კიდეც. ის ტურისტების ნაკადის ზრდაში შემოსავლის წყაროს, დასაყრდენს, მოსახლეობის შენარჩუნების აზრსა და შანსს ხედავს.“

ნანა შუკვანი მოდელებთან ერთად

* * *

ვარაუდს, რომ თბილისელები რაიმე ფორმით გამოეხმაურებიან „დალოოდის“ დიზაინერის მიწვევას, მესიჯს, მყარი საფუძველი აქვს: დღეს ტურიზმის თემა სვანეთში განსაკუთრებულად აქტუალურია. საგვარეულო კოშკების კომპლექსიდან არცთუ მოშორებით დგას პატარა სახლი, სადაც საქართველოს მთის მოყვარულთა კავშირი ტურიზმის სასწავლო ცენტრისთვის ოფისს ამზადებს. შენობის შესაძენ-შესაკეთებელი თანხა შვეიცარიის განვითარების სააგენტომ გაიღო. რემონტის დასრულებისთანავე ოფისს ტექნიკით ფრიდრიხ ებერტის ფონდი მოამარაგებს.

ცენტრის შექმნის იდეა ერთბაშად არ მომწიფებულა. ჯერ მესტიაში, ებერტის ფონდისავე დაფინანსებით, ტურიზმის სფეროს მომსახურე პერსონალის საწვრთნელ-მოსამზადებელი ტრენინგები იმართებოდა. ტრენინგებმა საკუთარი მისია ამოწურა. წლების მანძილზე რამდენჯერმე გავლილი ერთკვირიანი სასწავლო კურსები ადგილობრივი კვალიფიციური კადრების ზრდისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. საჭირო იყო მუდმივმოქმედი ორგანიზაცია.

საქართველოს მთის მოყვარულთა კავშირის წარმომადგენელი მესტიაში ზაურ ჩართოლანი: „ტურიზმის სასწავლო ცენტრი იკისრებს შუამავლის როლს სვანეთში მოგზაურობის მსურველებსა და გესთჰაუზების, ანუ ოჯახური სასტუმროების, მენეჯერებს შორის. ცენტრს ექნება საკუთარი ლოგო, ემბლემა, საიტი. დედამიწის ნებისმიერ წერტილში, ნებისმიერი პიროვნების სახელზე, გაიგზავნება გესთჰაუზების დაწვრილებითი აღწერილობა. ქართველი და უცხოელი ტრეკერები უშუალოდ დაუკავშირდებიან ადგილობრივ მასპინძელ ორგანიზაციას, რაც გააიაფებს ტურისტის მომსახურებას და გაცილებით მეტ შემოსავალს მოუტანს სვანეთს. საქმე დაწყებულია. შესყიდულია შენობა. გაკვალულ-დამუშავებული და მარკირებულია ოთხი საფეხოსნო და ერთი საცხენოსნო მარშრუტი. უკვე მოვიცავთ ტერიტორიას ბეჩოდან უშგულამდე. ვვარაუდობთ მარშრუტების გაკვალვას ნაკრისა და ჭუბერის ხეობებში. მთავარია საიმედო პოლიტიკური ფონი. კოდორის მოვლენებმა, იტალიელების გაძარცვამ ტურისტებს ჩამოსვლის სურვილი დაუკარგვინა. ერთი თვის მანძილზე აღარავინ გაკარებია სვანეთს.“

უცხოელი ინვესტორების მიერ დაფინანსებული პროექტისაგან განსხვავებით, უიღბლო აღმოჩნდა მაჩუბი-სასტუმროს გახსნის მცდელობა. მრავალგზის რეკლამირებულ იდეას სატელევიზიო შოუს მონაწილე ბიზნესმენებიდან ერთ-ერთი (თემურ ჭყონია) კი გამოეხმაურა, მაგრამ შემდეგ მესტიას გამგზავრება გაურკვეველი ვადით გადადო. ჩართოლანების საგვარეულო კოშკში სასტუმროს მოსაწყობად დასახელებული თანხა – 50 ათასი ლარი – დღეს უკვე საკმარისი აღარც არის.

ზაურ ჩართოლანი: „ბიზნესმენების ფინანსურ მხარდაჭერას სვანური ყოფის, მაჩუბის ინტერიერისა და თანამედროვე სერვისის შერწყმა უნდა მოჰყოლოდა. ეს იყო ეგზოტიკური გარემოს შესაქმნელად და ძველი უბნების შესანარჩუნებლად გათვლილი კონცეპტუალური მიდგომა. დღეს ბევრი სახლი ინგრევა მესტიაში. ტრადიციული ხუროთმოძღვრების რამდენიმე ნიმუშისგან მხოლოდ ფასადებიღა დარჩა. მათ აღსადგენად საჭიროა სამი რამ: უკვე ნახსენები კონცეფციის გათვალისწინება, ტურიზმით დაინტერესება და ფული.“

* * *

ტურისტული სერვისი უპირობოდ გულისხმობს უსაფრთხოების გარანტიას. გარანტია შესაბამისმა სამსახურმა უნდა შექმნას. მესტიაში, რამდენიმე წელიწადია, არსებობს სამაშველო ფირმა „მთის ლეგენდა“. მას ცნობილი ალპინისტი ნუგზარ ნიგურიანი ხელმძღვანელობს. წელს ფირმამ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტთან თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება გააფორმა. თანამშრომლობა, უმთავრესად, „მთის ლეგენდის“ ტრანსპორტით უზრუნველყოფაში გამოიხატება. ვგულისხმობთ არა ძვირადღირებულ და წარმოუდგენელ ფუფუნებას – ვერტმფრენს, არამედ ად-

გილობრივი პოლიციის კუთვნილ მანქანას, რომელსაც განყოფილება, საფრთხეში ჩავარდნილ ტურისტებამდე ან დაშავებულ ალპინისტებამდე მისაღწევად, ათხოვებს მაშველებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო კარვებისა და საძილე ტომრების გადაცემასაც აპირებს. აღჭურვილობაზე საუბარი ჯერ არ არის, მიუხედავად იმისა, რომ ტრავმირებული მთამსვლელების დასაშვებად საჭირო თოკი ფირმის თანამშრომლებს ზოგჯერ მიხეილ ხერგიანის სახლ-მუზეუმიდან გააქვთ. თოკი 1963 წელს არის ჩამოწერილი.

ნუგზარ ნიგურიანი: „ხელშეკრულების მიხედვით, საგანგებო სიტუაციათა დეპარტამენტმა საზაფხულო სეზონის დაწყებისთანავე ტურისტ-ალპინისტების შესახებ დაწვრილებითი ცნობები უნდა მოგვაწოდოს. „მთის ლეგენდამ“ კი დაადგინოს: ვინ, საიდან, რა მიზნით, რამდენი ხნით მოდის, რომელი მარშრუტის გავლას აპირებს, სად ბინავდება... ანუ გააკონტროლოს, აღრიცხოს, უპატრონოს ყველა ჩამომსვლელს, გამორიცხოს უსისტემობა და ქაოსი.“

* * *

ვიცით, ტურიზმს სჭირდება შესაბამისი ინფრასტრუქტურა, კვალიფიციური მომსახურე პერსონალი, გაჭიმული ტრასა და კომუნიკაციების მოწესრიგებული ქსელი. სვანეთში კადრების მომზადება იწყება. ახალი აეროპორტი დღე-დღეზე ჩადგება მწყობრში. შუქიც არის. მაგრამ... მესტიის გზებზე კვლავინდებურად ჯაყჯაყებს ტრანსპორტი. ცენტრში გახსნილია სასადილოს ტიპის ერთადერთი რესტორანი. ძველი უბნები ინგრევა. რაიონის გამგებლის მიერ შეპირებული თანხის გარდა, იტალიელი მთამსვლელის, სილვიო კალვის შემწეობას ელის მიხეილ ხერგიანის სახლ-მუზეუმი.

საქართველო არცთუ მდიდარი ქვეყანაა. ტურიზმს კი სჭირდება...

გივი გამრეკელი

„ტუალეტის სტრატეგია“

თუ ფსიქოტროპული საშუალებები?!

მატჩი მსოფლიო პირველობაზე, რომელიც სხვადასხვა წესებითა და პერიოდულობით, საჭადრაკო სამყაროში 1886 წლიდან იმართება, სრულიად განსაკუთრებულ სპორტულ მოვლენად ითვლება. მისთვის საგანგებოდ ემზადებიან არა მარტო თვით მონაწილეები და მათი თანაშემწენი, არამედ, ასე გასინჯეთ,თითოეული გულშემატკივარიც კი, ჭადრაკის მიმომხილველებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. იხსენებენ მეტოქეთა ადრინდელ ანგარიშს, მათ შორის გათამაშებულ პარტიებს. ყოველივე ამას მხოლოდ სტატისტიკისათვის კი არა აქვს მნიშვნელობა.

ამასთან მატჩიც არის და მატჩიც. ორი მათგანი მაინც განსაკუთრებული იყო. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ალექსანდრე ალიოხინის გამარჯვება მანამდე აბსოლუტურად უძლეველად მიჩნეულ ხოსე რაულ კაპაბლანკასთან (ბუენოს-აირესი, 1927) და, რა თქმა უნდა, რობერტ ფიშერის დამაჯერებელი მოგება ბორის სპასკისთან (რეიკიავიკი, 1972 წელი).

ჩვენ რომ გვკითხონ, ვლადიმირ კრამნიკისა და ვესელინ ტოპალოვის ორთაბრძოლასაც ამ განსაკუთრებული მნიშვნელობის შეხვედრების რიცხვს მივაკუთვნებდით. რატომ? განა მათი ავტორიტეტი შეედრება იმავე ფიშერისა და გნებავთ ამასწინათ ჭადრაკიდან საკუთარი ნებით წასულ და პოლიტიკაში „გადავარდნილ“ გარი კასპაროვის სახელსა და ავტორიტეტს? რა თქმა უნდა, არა! საქმე სულ სხვა რამეშია. კრამნიკისა და ტოპალოვის შებრძოლებას უნდა გაეერთიანებინა ორად გახლეჩილი საჭადრაკო სამყარო. ამიერიდან უნდა გამქრალიყო რაღაცა უხერხული გამოთქმები: „მსოფლიო ჩემპიონი პროფესიონალთა შორის“, „მსოფლიო ჩემპიონი ფიდეს სისტემით“ და ჭადრაკს ჰყოლოდა, როგორც ეს მრავალი წლის განმავლობაში იყო, ერთი, საყოველთაოდ აღიარებული უძლიერესი დიდოსტატი. სწორედ ამას მოითხოვდა საჭადრაკო სამყარო მთელი უკანასკნელი 13 წლის განმავლობაში, მოითხოვდა და უკანასკნელ მომენტამდე ვერაფერს აღწევდა, სანამ საქმეში ფიდესა და ყალმუხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი კირსან ილიუმჟინოვი არ ჩაერია. ხომ გახსოვთ ბომარშეს გამოთქმა „გრაფს ჯიბეში ისეთი არგუმენტები აქვს!“ დიახ, ამ ორგზის პრეზიდენტმაც ჩაიყო ხელი ჯიბეში, ამოიღო ერთი მილიონი დოლარი, ორივეს თანაბრად გაუნაწილა და შეხვედრაც თავის მიერ აშენებულ „ჩეს-სიტიში“ მოაწყო, ქალაქ ელისტაში, თორემ თავდაპირველად არც ერთს უნდოდა თამაში და არც მეორეს. ტოპალოვზე იმასაც ამბობდნენ, თითქოს მას კრამნიკზე ეთქვას, „რატომ უნდა ვეთამაშო, ის ხომ ჩემი კლასის მოთამაშე არ არის!“

ვლადიმირ კრამნიკი (დაიბ. 1975 წლის 25 ივნისს) ვესელინ ტოპალოვზე (დაიბ. 1975 წლის 15 მარტს) სულ რამდენიმე თვით უფროსი, თუმცა იგი უკვე განთქმული მოჭადრაკე იყო, როცა ტოპალოვის სახელი, თუ, რა თქმა უნდა, მის ქვეყანას, ბულგარეთს არ გავითვალისწინებთ, არავინ იცოდა. კრამნიკის საჭადრაკო კარიერა ნამდვილად ბრწყინვალეა, თუმცა ზოგიერთ შემთხვევით მომენტსაც ნუ გამოვრიცხავთ. შემთხვევითობაა, აბა რაა, რომ როცა კრამნიკი 16 წლისა იყო და მხოლოდდამხოლოდ ოსტატის წოდებას ატარებდა, იგი მსოფლიოს მაშინდელი ჩემპიონის, გარი კასპაროვის დაჟინებით, საბჭოთა კავშირის ნაკრებში შეიყვანეს, რომელიც საერთაშორისო ოლიმპიადაზე გასამგზავრებლად ემზადებოდა. ეს მაშინ, როცა ყველა დანარჩენი წამყვანი დიდოსტატი სასტიკი



პეტერ ლეკო და ვლადიმირ კრამნიკი

წინააღმდეგი იყო, ამ ბავშვს ჩვენს რიგებში რა უნდაო! კრამნიკი კი, ადგა და ოლიმპიადაზე ყველა პარტია მოიგო, იქიდან მოყოლებული კი იმარჯვებდა ყველა შეჯიბრებაში, სადაც კი მონაწილეობდა. რა იცოდა მაშინ კასპაროვმა, ვის უქმნიდა „ზურგქარს“, თურმე თავის მომავალ მძლეველს, თუმცა იქამდე ჯერ რამდენიმე წელი რჩებოდა. ბედისწერით, კრამნიკს ერთ მომენტში ძალიან გაუჭირდა, თუმცა აქაც კასპაროვი დაეხმარა (საფლავს ითხრიდა?!) და თანაც როგორ! ჩვენ მხედველობაში გვაქვს მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტების ფინალური მატჩი 1998 წელს, რომელში გამარჯვებულიც მსოფლიო ჩემპიონ კასპაროვს უნდა შეხვედროდა. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ვლადიმირ კრამნიკი და ალექსეი შიროვი, გენიალური მიხეილ ტალის მოწაფე და თანაქალაქელი. კრამნიკი ფავორიტად კი ითვლებოდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ ორთაბრძოლა მაინც წააგო (3,5:5,5). აი, ამ შეხვედრის ორგანიზატორებმა კი პირდაპირ „სოლომონისებური გადაწყვეტილება“ მიიღეს: დაე, მთელი ჰონორარი, 100 ათასი დოლარი დამარცხებულს, კრამნიკს გადაეცეს, შიროვი ხომ მსოფლიო ჩემპიონს ეთამაშება და თუნდაც წაგების შემთხვევაში გაცილებით მეტ თანხას დაიმსახურებსო. სინამდვილეში კი აი, რა მოხდა: კასპაროვმა შიროვთან შეხვედრაზე უარი თქვა, ასეთ მატჩს (იგი ხომ შიროვს თითქმის ყველა პარტიას უგებდა) არცერთი სპონსორი არ დააფინანსებსო. აქ, რა თქმა უნდა, დიდი როლი ითამაშა კასპაროვისა და შიროვის ძალიან ცუდმა პირადმა ურთიერთობამ. ერთი სიტყვით, კასპაროვის დაჟინების შედეგად შიროვი საერთოდ ცარიელ-ტარიელი დარჩა და მისი შემდგომი მარცხიანი გამოსვლებიც იოლად გასაგები გახდა. რაც შეეხება თვით კრამნიკს, იგი 2000 წელს შეხვდა კასპაროვს, დაამარცხა იგი ორი ქულის უპირატესობით (ისე, რომ ერთი პარტიაც კი არ წაუგია) და მსოფლიოს მეთოთხმეტე ჩემპიონი გახდა. ერთი სიტყვით, რომ იტყვიან, კასპაროვს ენამ უყივლა, რა თქმა უნდა, გულის სიღრმეში მწარედ ინანა, რომ ფაქტობრივად თვით უჩვენა „მწვანე შუქი“ ესოდენ ძლიერ ახალგაზრდა კონკურენტს.

გავიდა დრო. დაწინაურდა დიდოსტატების ახალი თაობა. ერთმა მათგანმა, უნგრელმა პეტერ ლეკომ (დაიბ. 1979 წლის 8 სექტემბერს) იმდენი ქნა, რომ 2004 წელს თვით შეხვდა ახალ მსოფლიო ჩემპიონს. ეს ორთაბრძოლა კრამნიკისათვის მეტად ძნელი გამოდგა. საკმარისია აღინიშნოს, რომ მან მხოლოდ უკანასკნელი პარტიის მოგებით შეძლო ანგარიშის გათანაბრება და მოქმედი წესებით, შეინარჩუნა მსოფლიო ჩემპიონობა. როგორც გამოირკვა საქმე მარტო უნგრელის სიძლიერეში არ იყო. კრამნიკი სერიოზულად დაავადდა (ართრიტი) და მომდევნო ორი წლის მანძილზე ფრიად უფერული შედეგები ჰქონდა. იგი უკვე აღარ იყო რეიტინგით პირველი, შორს გაუსწრეს ინდოელმა ვიშვან ათან ანანდმა, იმავე პეტერ ლეკომ, გარი კასპაროვზე რომ აღარაფერი ვთქვათ. სისტემატურად მიიწევდა წინ ვესელინ ტოპალოვიც, რომელსაც ბულგარეთში პირდაპირ იდეალური პირობები შეუქმნეს. უამრავ ქომაგთან ერთად მას მხარში ედგა სიმეონიც. ამ ფრიად საყურადღებო პიროვნებას ჩვენ მხოლოდ სახელით იმიტომ ვახსენებთ, რომ იგი ყმაწვილობაში ბულგარეთის მეფე იყო, შემდეგ კომუნისტებმა გააძევეს, ემიგრაციაში მთელი ნახევარი საუკუნე გაატარა, შემდეგ დაბრუნდა, ბრწყინვალედ გაიმარჯვა არჩევნებში და პრემიერ-მინისტრი გახდა, რაც მსოფლიო ისტორიაში არნახული მოვლენაა.

საუკუნის მიწურულისათვის ტოპალოვი ერთ-ერთი გამოჩენილი ახალგაზრდა დიდოსტატი კი იყო, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტად მას არავინ თვლიდა. ასე ფიქრობდა მხოლოდ მისი აღმზრდელი სილვიო დანაილოვი. თვით ტოპალოვი კი თავის დროს ელოდა. მანამდე მას სულაც არ უთაკილია უკრაინელ რუსლან პონომარიოვის სეკუნდანტობა, რომელიც კასპაროვთან მატჩისათვის ემზადებოდა. ეს შეხვედრა არ შედგა. ერთი ვერსიით, კასპაროვმა ახალგაზრდა პონომარიოვი თავისთვის შესაფერის მეტოქედ არ ჩათვალა, სულ ცოტა ხნის შემდეგ კი მიიღო გადაწყვეტილება ჭადრაკისათვის თავი დაენებებინა (ათასში ერთხელ სწრაფი ჭადრაკის თამაში სათვალავში ჩასაგდები არ არის). საინტერესოა, რომ ის, ვისთანაც წააგო კასპაროვმა თავისი უკანასკნელი სატურნირო პარტია, შარშან აპრილში, ლინარესში, სწორედ ტოპალოვი გახლავთ!

ამ დროიდან მოყოლებული ტოპალოვთან თამაში, პირდაპირ რომ ვთქვათ, შეუძლებელი გახდა. იგი პირველ ადგილს იკავებდა ყველგან, სადაც კი თამაშობდა. განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა ბულგარელის გამოსვლამ სან-ლუიში (არგენტინა), ფიდეს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონატზე. აქ 8 დიდოსტატი მონაწილეობდა (ორ წრედ). ჩვენ ვერ დავასახელებთ ბოლო 30 წლის ვერცერთ შეჯიბრებას ფიშერის იმ დაუვიწყარი მატჩების შემდეგ (6:0 ლარსენთან, ტაიმანოვთან, სპასკის სასტიკი დამარცხება), როცა ერთ მონაწილეს სხვებზე ესოდენ შთამბეჭდავი უპირატესობა ჰქონდა. სან-ლუიში კი აი რა მოხდა. პირველ წრეში ტოპალოვმა მოიგო თითქმის ყველა პარტია, მეორეში იმავე მეტოქეებს ყაიმზე შეუთანხმდა და სრულიად დამაჯერებლად ფიდეს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონი გახდა, დიახ, დაუმარცხებელი მსოფლიო ჩემპიონი.

კრამნიკს, რომლის შედეგები სულ უფრო და უფრო უარესდებოდა, შესთავაზეს ტოპალოვთან შეხვედრის უფლებისათვის რიგშიც კი ჩამდგარიყო, ე.ი. ეთამაშა შე-

სარჩევ შეჯიბრებებში. თუმცა პრეზიდენტმა ილიუმჟინოვმა უფრო სამართლიანად ჩათვალა ამ ორ ჩემპიონს შორის უშუალო ორთაბრძოლის მოწყობა, როგორც მოგახსენეთ, გაიკრა ჯიბეზე ხელი.

დაინიშნა 12 პარტია, რაც, ცხადია, ასეთი დონის შეჯიბრებისათვის ცოტაა, მაგრამ დრო შეიცვალა და ახლა თვეობით თამაში საჭიროდ აღარ ითვლება. იმის გამო, რომ კრამნიკმა უკანასკნელ თვეებში ერთგვარად აღიდგინა თავისი „ფორმა“, დორტმუნდში ბოლო პარტია მოუგო იმავე ლეკოს, გადაასწრო მას და პირველი ადგილი დაიკავა, კომენტატორები თვლიდნენ, რომ ელისტაში ყველაფერი იყო მოსალოდნელი, აქ შეხვედრის ბედი კლასთან ერთად, შეეძლო იღბალსაც გადაეწყვიტა. უმეტესობა მეტოქეების შესაძლებლობებს მაინც თანაბრად მიიჩნევდა.

ვესელინ ტოპალოვი

რა თქმა უნდა, ისევე, როგორც მსოფლიო პირველობის ყველა ორთაბრძოლაში, წინასწარი დაძაბულობა დიდი იყო. მოსკოვის ჟურნალმა „64“-მა („საჭადრაკო მიმოხილვა“) გამოაქვეყნა წერილი, სადაც ამტკიცებდნენ, რომ ყველა ადრინდელ შეჯიბრებაში ტოპალოვი თითქოს კომპიუტერს იყენებდა (როგორ? რანაირად?), რაც სასტიკად არის აკრძალული. ეს, რა თქმა უნდა, გარკვეული ფონის შესაქმნელად დაიწერა. ამასთან ჟურნალმა ამ მეტოქეების ადრინდელი ანგარიშიც მოიყვანა: 36:26 კრამნიკის სასარგებლოდ. შთამბეჭდავი უპირატესობაა, მაგრამ ამას ახლა არ უნდა ჰქონოდა დიდი მნიშვნელობა – პარტიების დიდი უმეტესობა ხომ იმ საუკუნეში გაიმართა!

პირველი პარტიების შემდეგ ცხადი გახდა, რომ ტოპალოვი, რაც მას საერთოდ არა სჩვევია, ვერ იყენებდა თვალსაჩინო, ზოგჯერ კი გადამწყვეტ უპირატესობას. ზოგი თვლიდა, რომ კრამნიკს აშკარად ბედის წყალობდა, სულ მალე კი მეტოქეებს შორის დიდი უთანხმოება მოხდა. 4 პარტიის შემდეგ, როცა ანგარიში იყო 3:1 კრამნიკის სასარგებლოდ, ტოპალოვის მხარემ გაავრცელა წერილი, რომელსაც ნამდვილად სკანდალური ხასიათი ჰქონდა. აქ მითითებული იყო, რომ ყოველი სვლის შემდეგ კრამნიკი მიაშურებს ხოლმე ჯერ მისთვის განკუთვნილ დასასვენებელ ოთახს, შემდეგ კი შედის ტუალეტში, ერთადერთ ადგილში, სადაც არ არის სათვალთვალო კამერა. ვესელინმა დათვალა, რომ მეოთხე პარტიაში, მე-15 სვლიდან მოყოლებული, კრამნიკი 49-50-ჯერ შევიდა საპირფარეშოში (სხვა პარტიებში იგი საშუალოდ 25-ჯერ მაინც იმყოფებოდა ამ ოთახში). დიახ, მაგრამ რას აკეთებდა? რას აკეთებდა და გადაწყვეტილების მიღების წინ, რახან ვერავინ აკონტროლებდა, კომპიუტერს იყენებდა!

ამაზე მძიმე ბრალდების წაყენება დღევანდელ პირობებში, ალბათ, შეუძლებელია. მსოფლიო პირველობაზე ადრინდელ მატჩებშიც ყოფილა სხვადასხვა სახის „მამაძაღლობა“, ერთხელ ფიშერმა მოითხოვა იმ სკამის გაჭრა, სადაც მას სვამდნენ. იქ არაფერი ყოფილიყო დამონტაჟებული, მართლაც გაჭრეს, მაგრამ მკვდარი ბუზის მეტი ვერაფერი აღმოაჩინეს. ახლა მკვდარი ბუზი ყველამ დაივიწყა, მაგრამ საპირფარეშოში კრამნიკს მართლაც კამერა დაუყენეს. შეურაცხყოფილმა კრამნიკმა განაცხადა, რომ მას უსინდისოდ ცილს სწამებდნენ, მეხუთე პარტიაში სათამაშოდ არ გამოცხადდა, რისთვისაც წაგება ჩაეთვალა. ანგარიში გახდა 3:2. კრამნიკი საერთოდ აპირებდა მატჩის მიტოვებას, მაგრამ შემდეგ მაინც გააგრძელა თამაში. მომდევნო პარტიები ყაიმით დასრულდა (4:3 კრამნიკის სასარგებლოდ 7 პარტიის შემდეგ). შემდეგ ზედიზედ ორჯერ ბულგარელმა გაიმარჯვა და დაწინაურდა, თუმცა მეათეში გამარჯვებით კრამნიკმა კვლავ გაათანაბრა ანგარიში. მეთერთმეტე და მეთორმეტე პარტიების ყაიმით დასრულების შემდეგ ანგარიში გახდა 6:6 და ამით დასრულდა შეჯიბრების ძირითადი ნაწილი.

აფსუს, სტეინიცის და ლასკერის დროინდელი ჯენტლმენური ჭადრაკი!

ტოპალოვი თვლიდა, რომ ასეთ მეტოქესთან ლაპარაკიც კი არ ღირდა, მას ხელს აღარ ართმევდა და საერთო პრესკონფერენციებშიც აღარ მონაწილეობდა. უფრო მეტიც, განაცხადა, რომ მის წინააღმდეგ რაღაც ფსიქოტროპულ საშუალებებს იყენებდნენ, თავი მუდამ ბურუსში ჰქონდა, რაღა უნდა ეთამაშა.

ასე იყო თუ ისე, მაინც ბრძოლა გრძელდებოდა. რახან „ძირითადმა დრომ“ გამარჯვებული არ გამოავლინა, დაინიშნა ოთხი სწრაფი პარტია ერთ დღეს, 13 ოქტომბერს. ამ სწრაფ პარტიაში თითოეულ მეტოქეს სვლების მოსაფიქრებლად სულ 25 წუთი ეძლევა. ხომ ადვილი წარმოსადგენია, როგორი იქნებოდა დაძაბულობა!

პირველი პარტია, რომელშიც ბულგარელი თეთრებით თამაშობდა, ყაიმით დასრულდა, მეორე მოიგო კრამნიკმა, მესამე – ტოპალოვმა. და აი, მეოთხე დამატებით შეხვედრაში გაიმარჯვა კრამნიკმა და ეს მრავალტანჯული მატჩიც დამთავრდა. საბოლოო ანგარიშია 8,5:7,5 კრამნიკის სასარგებლოდ, რომელმაც არა მარტო შეინარჩუნა თავისი წოდება, არამედ ოფიციალურად გააერთიანა საჭადრაკო სამყარო.

ისე კი, ხომ არ ვჩქარობთ, როცა ბრძოლის დამთავრებაზე ვლაპარაკობთ? მატჩი კი დამთავრდა, მაგრამ სკანდალი ხომ სულ უფრო იზრდება და ფართოვდება. როგორ მოხდა, რომ კრამნიკის სვლები ესოდენ გასაოცრად ემთხვეოდა კომპიუტერულ პროგრამა „ფრიც 9“-ის მოქმედებებს? ამაზე დღემდე ვერავინ გასცა პასუხი. რა ფსიქოტროპული საშუალებები იყო, ტოპალოვს რომ თავგზას უბნევდა...

ერთი სიტყვით, მატჩი ელისტაში კი დასრულდა, მაგრამ ახლა კამათში ფსიქოლოგები, კომპიუტერის შემქმნელები და სულ სხვადასხვა დარგის მეცნიერები უნდა ჩაერთონ.

მარტი ლარნი

სოკრატე ჰელსინკში

*

თითქმის საშობაო მოთხრობა

ფინეთის ყოფილი მოქალაქე ვიხტორი ვირტარენი ცათა სასუფეველს 1944 წლის გაზაფხულზე გაემგზავრა. დასაწყისში თავს კარგად გრძნობდა, მაგრამ თანდათან ანგელოზთა ქოროს გალობა და არფების ჟღარუნი მობეზრდა. უკვე სახლიც მოენატრა და იმასაც ფიქრობდა, ურიგო არ იქნებოდა, ცოლის ჯაჯღანიც გამეგონაო. ისე, მრავალფეროვნებისათვის.

ადგილიდან ადგილზე მოუსვენრად რომ დაფარფატებდა, ერთხელ ტანმორჩილ, სახედაღარულ მოხუცს გადაეყარა, რომელიც ისე უსახური იყო, თითქმის ლამაზადაც მოგეჩვენებოდა. ეს ჩია, გამოფიტული ბერიკაცი მასწავლებლობდა და გასაგებიც იყო, რატომ გამოიფშიკა ასე: ყველას მოეხსენება, რარიგ ცუდია მასწავლებლის ანაზღაურება. ის იყო გაკვეთილი დაემთავრებინა და მოჩვენებითი პალმის ძირში მჯდარი მარადისობასა და სიცოცხლის უწყვეტობაზე ფიქრობდა.

– ვაი, დედა, რა საშინელი ხარ, მოხუცო! – თქვა ვიხტორი ვირტანენმა, რომელსაც ბავშვობიდან ჩასჩიჩინებდნენ: ყოველთვის სიმართლე თქვიო.

– უფრო უსახურიც შეიძლება ვყოფილიყავი, – ალერსიანად უპასუხა ბერიკაცმა და კეთილმა ღიმილმა სახე გაუნათა.

– ასეთი ჯოჯოხეთის მაშხალა რომ ვყოფილიყავი, პატიოსან სიტყვას გაძლევ, თავს ან ჩამოვიხრჩობდი ან მოვიწამლავდი.

– მეც ასე მოვიქეცი, – უპასუხა მოხუცმა, – მაგრამ საკუთარი თავით უკმაყოფილების კი არა, კაცთა უკეთურების გამო.

– ვხედავ, ენაზე ძვალი არა გაქვს! – წამოიძახა ვიხტორი ვირტანენმა, – ამ მხარეში როდის ჩამოხვედი?

– ჩვენს ერამდე ოთხასი წლის წინათ.

– შემთხვევით ცოტა ხომ არ ცრუპენტელობ?

– არა, მე ყოველთვის ჭეშმარიტებისაკენ ვისწრაფოდი.

– საიდან ხარ?

– საბერძნეთიდან. ჩემს მშობლიურ ქალაქ ათენში ახალგაზრდობას ცხოვრების შეცნობას ვასწავლიდი.

– ეჰ, მოხუცო! დაგენებებინა თავი ახალგაზრდობისათვის. ეცეკვათ თავისთვის, ეჯაზათ, ეთვალიერებინათ კომიქსები და ეკურკურათ კინოსეანსებზე.

– შენი სიტყვებისა არაფერი მესმის. რა ენაზე მელაპარაკები?

– იმავე ზეციურზე, რაზეც შენ საუბრობ.

– ჰო, რა თქმა უნდა. მაგრამ რას ნიშნავს „ეჯაზათ“, „კომიქსი“, „კინო“?

– ნეტავ ვის რას ასწავლიდი, თვითონ არაფერი იცი!

– ბრძენი ისაა, ვინც თავის უვიცობის შესახებ იცის.

– მოიცა რა, მოხუცო, ნუ ხლართავ. რას ჭკუისკოლოფობ. წერა-კითხვა მაინც თუ იცი?

– არა. და არც არის საჭირო. ბევრი არცთუ სულელი ადამიანი ჭკვიანი წიგნების კითხვით სულელდება. სხვები წერენ წიგნებს, რომლებშიც წვეთი არ არის სიბრძნისა. ესენი სოფისტები არიან. მათი ცრუმეცნიერება ცუდ საქმეს ემსახურება. ფულის გულისათვის, რასაც გინდა, იმის დამტკიცებას მოჰკიდებენ ხელს. მაგალითად, ამბობენ, თუკი ცა ლურჯია, ლურჯი კი – ფერია, ე.ი. ცა სხვა არაფერია, თუ არა ფერიო. აქ კი რაიმე ლურჯი გინახავს? აქ ყველაფერი თეთრია და უფერო. ადამიანმა ჭეშმარიტი და უტყუარი ცოდნისაკენ მისწრაფებით საგანთა არსი უნდა გამოიკვლიოს.

ვიხტორი ვირტანენი მოუსვენრად შეტრიალდა და უთხრა:

– აი, რა ყბედი ხდება ადამიანი, ძალიან დიდხანს რომ გაუტკბება მიწაზე ცხოვრება. რა გქვია, მოხუცო?

– სოკრატე.

– სოკრატე! ოდესღაც მსმენია ეს სახელი. სწორედაც! სკოლაში გვეუბნებოდნენ... ნუთუ სწორედ შენ ხარ ის ბერიკაცი, ჯოჯოხეთურად ავი ცოლი რომ ჰყავდა? მოიცა, რა ერქვა?

– ქსანთიპე. მაგრამ ავი სულაც არ ყოფილა, უბრალოდ, ჩვეულებრივი ცოლი იყო, რომელიც ჯაჯღანებს და ტვინს გიბურღავს. ცოლმა თუ არ გიჩიჩინა, აბა, რაღა ცოლი იქნება.

– აი, ახლა, სრული სიმართლე თქვი! – შესძახა ვიხტორი ვირტანენმა. – მეც ასე ჩამჩიჩინებდა ჩემი. ყოველთვის. სულმოუთქმელად: „უნდა გაიპარსო, ვიხტორი, უნდა გაიპარსო, ვიხტორი, გაიპარსო, გაიპარსო – პარსო, პარსო, პარსო... ისევ ჩამოიწუწე ღორივით, ისევ ჩამოიწუწე ღორივით, ისევ ღორივით, ღორივით – ვით, ვით, ვით... შენ ფულს ფლანგავ, მე კი ძონძებით დავიარები, ძონძებით, ძონძებით – ძებით, ძებით, ძებით, ძებით...“

სოკრატემ, თანხმობის ნიშნად თავს რომ უქნევდა, უთხრა:

– ქსანთიპე ბუზღუნა ცოლის საზოგადო სახელად იქცა.

– ჩემს ცოლს ანა ერქვა, მაგრამ მისი ჟიჟინი ყელში მქონდა ამოსული.

– აქ როდის მოხვდი?

– ათას ცხრაას ორმოცდაოთხის გაზაფხულზე.

– რომელი წელთაღრიცხვის?

– რა შუაშია წელთაღრიცხვა. ეს-ესაა ოცდარვა წლისა გავხდი. ფრონტზე ვიყავი და უეცრად დავიკარგე.

– უკვალოდ არაფერი ქრება. მხოლოდ ფორმა იცვლება.

– გეყო რა ჭკუისკოლოფობა, მეგობარო. რიგითი ვიხტორი ვირტანენი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. გულით ტყვია შეაკავა და ჭურვის აფეთქებისას მიწამ დამარხა. იმავე სანგარში. არც გმირის საფლავი, არც ორდენები. აქ კი თანაპოლკელებთან ერთად მომიყვანეს: ჭიშკართან ერთი ჯგლეთა იყო, სიის გარეშეც კი უშვებდნენ. მხოლოდ იმეორებდნენ: „წინ, წინ გაიწიეთ, იქ თავისუფალიაო“. ზუსტად ისე, როგორც ტრამვაიში.

– უცნაური სიტყვებია, უცნაური, იდუმალი, – ჩაიბურტყუნა სოკრატემ. – ტყვია, სანგარი, ტრამვაი? რას ნიშნავს „ტყვია“?

– ტყვია არ იცი, მამილო? ტყვია ისეთი რამაა, აი, აქ შევიდა და აქედან გამოვიდა.

ვიხტორი ვირტანენმა მკერდი აჩვენა, მაგრამ რადგანაც იქ არავითარი ნაჭრილობევი არ ჩანდა, სოკრატემ იფიქრა, ახალგაზრდა რაღაცას ცრუპენტელობსო.

– ალბათ გინდა თქვა, რომ შუბმა ან ისარმა განგგმირა? – ჰკითხა ვიხტორის.

– არც ერთმა და არც მეორემ. ტყვიამფრქვევის შემთხვევითი ჯერი. შენ, გეტყობა, წვევამდელი მომზადება არ გაგივლია. თანამედროვე იარაღიც კი არ იცი. ნეტა იქ რას ასწავლიდი?

– მოკვლა არასოდეს მისწავლებია. ამას სიბრძნე არა სჭირდება.

– არაფერი შენ არ გესმის! სწორედ აქ არის საჭირო დიდი სიბრძნე. მეც კი საგანგებო სწავლება გავიარე. მეავტომატე ვიყავი. ავტომატი კი ქვეითთა უმნიშვნელოვანესი იარაღია. ქვეითთა გარეშე კი ომი რა ომია. მას შემდეგ, რაც არტილერია მტრის პოზიციებს დასცხებს, მოქმედებას იწყებს ქვეითი. მას კი ქვეყნის საქმე აყრია. წმენდს ტერიტორიას, წვავს სოფლებსა და ქალაქებს, ხოცავს მოხუცებსა და ბავშვებს, აუპატიურებს ქალებს...

– კმარა, კმარა! – შესძახა სოკრატემ – საიდან ხარ?

– ფინეთიდან.

– არ ვიცი ასეთი ქვეყანა. სად არის – აზიაში თუ აფრიკაში?

– ევროპაში, ეეეეე... ჰელსინკი ჩემი მშობლიური ქალაქია. ეჰ, როგორ მინდა ახლა იქ...

– ცოლს რომ შეხვდე?

ვიხტორი ვირტანენი წუთით დაფიქრდა და აუჩქარებლად უპასუხა:

– რატომაც არა...

– ისევ ჩიჩინი რომ დაგიწყოს?

– რა თქმა უნდა, ჩიჩინს დაიწყებს. „სად დაეთრეოდი მთელი ეს ხანი, ხანი, ხანი, ხანი – ნი, ნი, ნი?.. ერთხელ მაინც მოგეწერა უტიფარო, მოგეწერა, უტიფარო, უტიფარო, მოგეწერა, უტიფარო, უტიფარო, უტიფარო, უტიფარო“... რა თქმა უნდა, ტვინს გაბურღავს. ამიტომაცაა ცოლი. მაგრამ ამ ზეციური მუსიკის მოსმენის ატანა უბრალოდ აღარ შემიძლია. დილიდან საღამომდე არფების სიმღერა და ჟღარუნი, საღამოდან ღამემდე კი – არფები და გუნდური გალობა. და სულ ერთი და იგივე. ანტრაქტში ტანგო, ფოქსტროტი ან შტრაუსის რომელიმე ვალსი ან გარმონი მაინც გავიგონო. მაგრამ არა! აქ მხოლოდ ერთ ფირფიტას ატრიალებენ. თუმცა რაღა თქმა უნდა ამისთვისაც არსებობს ის – პროპაგანდა...

– პროპაგანდა? რას ნიშნავს?

– მისმინე, სოკრატე. ჩვენთან, ჰელსინკში, მართალს ვამბობ, ხალხი შენზე იტყოდა, მთვარიდან ჩამოვარდაო. რა მეშველება შენს ხელში. სჯობს ის მითხრა, არ შეიძლება როგორმე აქედან მიწაზე ათესვა, თუნდაც შვებულებით? ჰელსინკში მინდოდა გამგზავრება.

– ეს რა ქაღალდები გაქვს?

– მხოლოდ ჯარისკაცის ამოსაცნობი ჟეტონი მაქვს.

– რა გერქვა?

– ვირტანენი.

– ადრეც მსმენია ეს სახელი.

– ვირტანენი ფინეთში ასი ათასია.

– სოკრატე კი მხოლოდ ერთი იყო საბერძნეთში.

ვიხტორიმ ისე დაიყმუვლა მიწაზე ფიქრით მოწოლილი სევდისაგან, როგორც კბილის ტკივილისას. მოვლენა სრულიად გასაოცარი – რადგანაც ანგელოზები სამოთხეში სულაც არ ოხრავენ და არც ტკივილს გრძნობენ. მათ გარდა, ვინც ზეცაში უპატიოსნო გზით შეაღწია. მაგრამ ვიხტორი ვირტანენი სამოთხეში სრულიად კანონიერი გზით ასულიყო.

ანგელოზი სოკრატე და ანგელოზი ვირტანენი წუთით დადუმდნენ. ბოლოს სოკრატემ წაილუღლუღა:

– ე.ი. მიწაზე? მე ხომ იქ ახალგაზრდობის გარყვნისა და სახელმწიფო რელიგიის უარყოფისათვის გამასამართლეს.

– ჩვენთან, ფინეთში, სინდისის თავისუფლებაა, – შენიშნა ვირტანენმა. – მეც გამოვემშვიდობე ეკლესიას და სამოქალაქო რეესტრში ვირიცხებოდი. აი, რაც შეეხება ახალგაზრდობას, ახლა უკვე საეჭვოა ამაზე მეტად მისი გაფუჭება. ესე იგი ახალგაზრდობის გახრწნისათვის გაგასამართლეს? რაო, ნარკოტიკებს ჰყიდდი?

– არ მესმის.

– მაშინ თავისუფალ სიყვარულს ქადაგებდი თუ იატაკქვეშ პორნოგრაფიით ვაჭრობდი?

– ისევ ვერ გავიგე, თუმცა ახლა რაღაც თქვი ბერძნულად.

– რა ჯანდაბაა, მე ხომ ფინელი ვარ.

– საოცარია. ზოგიერთი შენი სიტყვა ბერძნულს მაგონებს. „პორნოგრაფია“ ჩემს მშობლიურ ენაზე უხამსობის გამოსახვას ნიშნავს.

– ფინურადაც სწორედ იმავეს ნიშნავს. არ მეგონა ასეთი რამეებისათვის თუ გაგასამართლებდნენ. ალბათ ახალგაზრდობაში თავგადაკლული დონ-ჟუანი იყავი?

– არ ვიცნობ ამ სახელის ადამიანს, – მორიდებით მიუგო სოკრატემ.

– გულახდილად მითხარი, ცუდი რა გააკეთე მიწაზე?

– ცუდი? არაფერი ცუდი არ გამიკეთებია. სხვაგვარად აქ არ ვიქნებოდი.

– აბა, სად იქნებოდი?

– ძნელი სათქმელია. შესაძლოა ათენში. განვაგრძნობდი ფიქრს და მეგობრებთან ცხოვრების მარადიულ ამოცანებზე საუბარს.

ანგელოზ ვირტანენს ჩაეცინა.

– ეჰ, საცოდავო ბერიკაცო! აქ შენ ვერც კი ამჩნევ, როგორ გადის დრო.

– და რა არის დრო? იქნებ შენ ამიხსნა?

– დრო? ეს ისაა, რასაც საათი აჩვენებს.

– რომელი საათი?

– ოოჰ, შენ კიდევ ნერვებს ნუ მიშლი ამ სულელური შეკითხვებით. ხომ იცი, რომ ყველა აქ მოსულს პირველ რიგში საათს ართმევენ. მეც გამომართვეს. დრო, დრო... ისე, სინამდვილეში მეც ხომ არ ვიცი რა არის დრო...

– აი, ხომ ხედავ. თვითონვე აღიარებ, რომ ეს შენთვის შეუცნობელია. ეს ამტკიცებს, რომ შენში სიბრძნის მარცვალია. რად გინდა მიწაზე დაბრუნება? იქ ხომ აქაური ჰარმონია არ არის.

– ჰარმონია! ეს ჰარმონია უკვე, აი, აქ მაქვს! რაღაც მრავალფეროვნება მაინც იყოს! წავალ, მიივფრინ-მოვფრინდები, იქნებ ნაცნობებს მაინც შევხვდე.

ვირტანენმა ის იყო ფრთები შეისწორა, მაგრამ სოკრატემ შეაჩერა:

– რა გაჩქარებს, თუკი ჩვენს განკარგულებაში მარადისობაა, –იქნებ შენი დახმარება შევძლო. აქ სამოგზაურო ბიუროს თანამშრომელი გავიცანი. მიწასთან კარგი კავშირები აქვთ. სიმართლე გითხრათ, მე თვითონაც მინდოდა იქ გაფრენა. მსმენია, ჩემი მოძღვრება დაუმახინჯებიათ. ჩემს მოწაფეებს ახალი სკოლები შეუქმნიათ და აზროვნების ახალი მიმართულებანი განუვითარებიათ. ამბობენ, ეპიკურელები, ცინიკოსები და სტოიკოსები გაჩნდნენო.

– ასეთები უკვე დიდი ხანია აღარ არიან, – შეაწყვეტინა ვირტანენმა. – ყოველ შემთხვევაში ჩემი წამოსვლისას არ ყოფილან. მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? ოღონდ გაგვიშვან. ეჰ, მიწავ! როგორ მინდა იქ დაბრუნება. ძალიან ადრე მოვხვდი აქ.

დრო სამოთხეში არ არსებობდა. ამიტომაც ძნელი სათქმელია, როდის მივიდნენ სამოგზაურო ბიუროში და როდის დაიწყეს ცნობების შეგროვება გამგზავრებასთან დაკავშირებით. ჩინოვნიკები აუჩქარებლად იკვლევდნენ დოკუმენტებს, უჟამო ჟამს თათბირობდნენ და დამატებით განმარტებებს ითხოვდნენ. გამგზავრების მიზანი? ენის ცოდნა? უახლოესი ნათესავები ზეცაში? შვებულების ხანგრძლივობა – მიწიერი აღრიცხვით: საათი, დღე-ღამე, კვირა? ნათესავები ან ნაცნობები, რომლებთანაც გაჩერდებით?

ყველა შეკითხვაზე ჩვენი მოგზაურები მშვიდად პასუხობდნენ, როგორც სქესისა და აჩქარების ჩვევადაკარგულ ანგელოზებს შეეფერებათ. სამჯერ უთხრეს უარი განცხადებაზე. უარის საფუძველი: მიწაზე არავინაა დაინტერესებული მასწავლებლის, სახელად სოკრატეს, ჩასვლით, თუნდაც ვიზიტად. ვირტანენისა და მის მსგავსთა საფლავზე კი უკვე უცნობი ჯარისკაცის ძეგლი დგასო. მაგრამ ანგელოზები სულით არ დაცემულან. მათ შუამდგომლობით პრეზიდენტ პეტრეს მიმართეს და ბოლოსდაბოლოს გამგზავრების ნებართვა მიიღეს. თუმცა გარკვეული შეზღუდვებით. ერთად უნდა გამგზავრებულიყვნენ და დაბრუნებულიყვნენ და ნებართვა მხოლოდ ჰელსინკში ჩასვლაზე ჰქონდათ. პოლიტიკური მოსაზრებებით სოკრატეს საბერძნეთის ვიზა არ მისცეს, თუმცა პირობა კი დადო, ახალგაზრდობასაც თავს დავანებებ და სამშობლოში ოფიციალურად აღიარებულ ღმერთებსაცო. ტანმორჩილი, სახედაღარული სოკრატე დანაღვლიანდა, მაგრამ ფრთები არ დაუშვია. თავის შინაგან ხმასთან გასაუბრების შემდეგ გადაწყვიტა ანგელოზ ვირტანენს ხლებოდა ჰელსინკში იმ ფარული იმედით, რომ მეცნიერები იქ ბერძნულად ილაპარაკებდნენ, უბრალო ხალხს კი რაღაც მაინც გაეგებოდა ზეციური ენისა.

ერთ საოცრად ნათელსა და თბილ დღეს, 1966 წლის დეკემბრის მიწურულს, დაახლოებით შუადღისას, ჰელსინკის უქნარები ალექსის კივის ძეგლთან შეგროვილიყვნენ. რა თქმა უნდა ფინეთის ეროვნული მწერალი სულაც არ აინტერესებდათ, რომელიც სხვათაშორის ტალიის ტაძრისაკენ ზურგშექცეული იჯდა. მათი მზერა ორმა მწირმა მიიპყრო, ძეგლის ძირში რომ მიყუჟულიყვნენ. ერთ-ერთი მგზავრი, ბებერი და კარგად მოფამფალებული, განიერ, ჭუჭყიან ლაბადაში ეხვეოდა. ფეხზე მოღრეცილი სანდლები ეცვა, ხელში კი როკებიანი სამგზავრო ჯოხი; მეორე, ჩუზით, სამხედრო ფორმაში გამოწყობილიყო, მისი ძველი, გაქექილი შინელი ჭუჭყითა და სისხლით იყო გათხვრილი. გაბურძგნულმა ნიკაპი მოიქექა, საათიანი ქონგურის მხარეს გაიხედა და თქვა:

– დროა დავიძრათ.

– უკან? – ჰკითხა სანდლებიანმა მოხუცმა.

– არა, ჯანდაბა, ჩემთან! ოღონდ რა დღეა დღეს? დღესასწაულია თუ სამუშაო დღე?

– ეს რა ურჩხულია? – შიშით იკითხა მოხუცმა.

– ავტომობილი.

– ავტო?.. ისევ სიტყვა ჩემი ენიდან... რა, ცხოველია?

– ავტომობილი ცხოველი? არა, რა თქმა უნდა. ეს მანქანაა. მან-ქა-ნა!

– მახინაც – ჩემი ენიდანაა...

– თუ დღეს კვირაა, ცოლ-შვილი შინ იქნება. მაგრამ თუ სამუშაო დღეა, მაშინ ცოლი სამსახურში იქნება, პატარები კი – ბაღში... უკვე ალბათ მთელი თვე იქნება არ მინახავს... მაგრამ ჩვენთან ხომ ომია... განგაში! საჰაერო განგაში! დაა-წექ!..

ცა თვითმფრინავის ძრავის გუგუნმა შეარყია, ეტყობოდა მთელი სისწრაფით ახლოვდებოდა. ჯარისკაცმა ხელი სტაცა თავის მეგზურს და ძეგლის ძირას, მიწაზე დააგდო, თვითონ კი მის გვერდთი განერთხა.

– რა ხმაურია აქ? დაიშალეთ, დაიშალეთ! – გაისმა პოლიციელის შეძახილი. ერთი ხანშიშესული ქალი ამოღერილი ულვაშებით ხელისუფლების წარმომადგენლის დასაცავად გაეშურა:

– აქ ვიღაც ორი მთვრალი საზოგადოებრივ სიმშვიდეს არღვევს. რა თქმა უნდა, არყისთვის ფული აქვთ და

რომ ჩაიცვან – არა. ასეთები დაუყოვნებლივ უნდა აიყვანო და იძულებით სამუშაო ბანაკებში გააგზავნო!

– ალბათ სწორედ იქიდან გამოიქცნენ, – შენიშნა სოლიდურმა მამაკაცმა.

– დაიშალეთ! – იყვირა პოლიციელმა და განმგმირავი სტვენით მოუხმო მაშველ ძალას.

– ვინ ხართ? – უღრიალა პოლიციელმა სამხედრო-ფორმიანს და ფეხზე წამოაგდო.

– რიგითი ვიხტორი ვირტანენი, მესამე ქვეითი პოლკი.

– ნასვამი ხართ. რას კოტრიალობთ, ფეხები არ გემორჩილებათ?

– არ ვკოტრიალობ. თვითმფრინავის ხმა გავიგე და მიწაზე გავწექი. მაგრამ, როგორც ჩანს, თვითმფრინავი ჩვენი იყო.

– ვინ მოგცათ ეს ფორმა?

– საწყობის გამგემ. და საერთოდ, რა ჯანდაბა დაკითხვას მიწყობთ? მე ვალდებული ვარ ანგარიში სამხედრო უფროსობას ჩავაბარო და არა პოლიციას.

– თქვენ მოვალე ხართ ანგარიში მთელს საზოგადოებას ჩააბაროთ. ნუ იქაჩებით, ეს სულელი ვინღაა, აი, ის, ძეგლს რომ მიხუტებია და ცახცახებს? რას ბურტყუნებს? რაღაც აბდაუბდაა.

– ეს ჩემი მასწავლებელია.

– ადე, ადე, მოხუცო, აბა! რა გვარი ხარ?

– ფინური არ ესმის, – ჩაერია ვიხტორი.

– აბა რა ენაზე ლაპარაკობს?

– ზეციურზე... და ბერძნულზე... სოკრატე ჰქვია.

ბრბოს გაეხარდა. ასეთ ორიგინალურ წარმოდგენას იშვიათად ნახავ უფასოდ ჰელსინკში, სადაც თითოეული ხუმრობა ოქროდ ფასობს. სოკრატემ ხელი ჩაავლო ვირტანენს და დაფეთებული აქეთ-იქით რომ იხედებოდა, ძლივს გასაგონად წაილუღლუღა:

– ათენში არასოდეს მსგავსიც არაფერი მოხდებოდა...

– ახლა იქაც ასევეა, – მიუგო ვირტანენმა.

საიდანღაც პოლიციის მანქანა ამოძვრა. სოკრატე ციებიანივით კანკალებდა და ისევ ლაბადაში ეხვეოდა. მის გარშემო გროვდებოდნენ, ღმუოდნენ და აყროლებული ნაორთქლით ჰაერს წამლავდნენ მითიური ცხოველები, ჰომეროსის სიძველეთა წარმოუდგენელი ურჩხულები. თვალებზე ხელისგულები აიფარა, ვიღაცის ხელებმა კი ვირტანენთან ერთად პოლიციის მანქანაში ჩატენეს.

– ნუთუ ეს არგუსია, – ჩურჩულით ჰკითხა ვირტანენს, მანქანა რომ დაიძრა.

– რა?

– ეს ურჩხული, რომლის სტომაქშიც ახლა ვიმყოფებით?

– ეს მიკროავტობუსია.

– დარწმუნებული ხარ, რომ არგუსი არ არის? წინაც და უკანაც ისეთი უზარმაზარი თვალები აქვს. დავინახე.

– სისულელეა. ეს ფარებია.

– შეწყვიტეთ ჩურჩული! – დაუყვირა პოლიციელმა. – ეს რა ქურდული ჟარგონია! ჰო მართლა, ვირტანენ, საიდან გაქვთ შინელზე სისხლი?

– ზუსტად არც მახსოვს. დავიჭერი.

– სად?

– ფრონტზე.

– ეს ციდანაა ჩამოვარდნილი, – თქვა მეორე პოლიციელმა და თვალით ანიშნა მეგობარს.

– არ ღირს ამათთან ლაპარაკი. როგორც ჩანს, ორივეს უქრის. რამე ისეთი ექნებათ დალეული – პოლიტურა ან ანტიფრიზი.

– სრულ ჭკუაზე ვარ, – გაცხარდა ვირტანენი. – აი, ყველაფერს უფროსობას მოვახსენებ. პოლკის მეთაურისაგან კარგა მაგრა მოგხვდებათ. კანონები ძალიან კარგად ვიცი.

– ომის? – ჩაიცინა პოლიციელმა. – ახლა ხომ მშვიდობაა.

– მშვიდობა? ნუთუ მშვიდობა? როდის დამყარდა?

– ოცი წელი მაინც იქნება.

მანქანა პოლიციის განყოფილებასთან გაჩერდა და დაკავებულები დაკითხვაზე წაიყვანეს. აქ დადგინდა, რომ ვირტანენი მართლაც დაჭრილა გულში. ტყვიას გულმკერდი გაუვლია და ბეჭებში გამოსულა. ამოსაცნობი ჟეტონი რომ დაათვალიერეს, შეამოწმეს მისი ვინაობა და დაადგინეს, რომ ის, ვირტანენი, გარდაცვლილად იქნა გამოცხადებული ამა და ამ დროს. დაკითხვის ოქმში ახალგაზრდა პოლიციელმა შემდეგი აღნიშნა: ა) რიგითი ვიხტორი ვირტანენი ყველა შეკითხვაზე აბნეულად და ძალზედ ძველმოდურად პასუხობდა; ბ) სისხლის ანალიზმა აჩვენა, რომ დაკავებულს არ მიუღია არც ალკოჰოლი, არც სხვა ნარკოტიკი; გ) რადგანაც კანონით დადგენილია ყველა მიცვალებულის დაუყოვნებლივ ან დაკრძალვა ან დაწვა, რიგით ვირტანენს დაუწესდა დასაფლავება ან კრემაცია ერთი კვირის ვადაში; დ) დაკავებული თავისუფლდება ორი დღეღამით, რათა საგადასახადო სამმართველოს მისცეს შესაბამისი განმარტება ასე ხანგრძლივი დროის განმავლობაში გადასახადების გადაუხდელობის თაობაზე.

ასე რომ, ვირტანენთან დაკავშირებით ყველაფერი გაირკვა. მაგრამ სოკრატეს დაკითხვა უფრო რთული აღმოჩნდა. იგი მხოლოდ ვირტანენისათვის გასაგებ ენაზე ლაპარაკობდა.

– ნუთუ ამ ბებერმა მაიმუნმა არანაირი ადამიანური ენა არ იცის?

– ჩემი მასწავლებელი ბერძნულად საუბრობს, – უპასუხა ვირტანენმა.

– აჰა, ესე იგი ბერძენია?

– ასე ირწმუნება.

– კარგი. ახლავე შევამოწმებთ.

დასახმარებლად დაუყოვნებლივ იხმეს ახალგაზრდა მდივანი საბერძნეთის საკონსულოდან, რომელმაც თვალი შეავლო თანამემამულეს, თავი გადააქნია და ცივად განაცხადა:

– პატივცემულო ბატონებო! ეს შეურაცხმყოფელია. ასეთ უსახურ ფიზიონომიას ჩემი ღირსეული ქვეყნის ისტორია არ იცნობს. რა ჰქვია?

– სოკრატე, – თქვა პოლიციის ოფიცერმა. საკონსულოს მდივანი შეკრთა, ლაბადაში გახვეულ ბერიკაცს მიუახლოვდა და ჰკითხა:

– სად დაიბადეთ?

სოკრატემ მხრები აიჩეჩა და არაფერი უპასუხა:

– როგორ ბედავ, თავი ბერძენად წარადგინო? – აგრძელებდა ახალგაზრდა დიპლომატი.

სოკრატემ მოძღვრის კეთილი ღიმილით გაიღიმა და, ახალგაზრდა კაცის სწორ ნაკვთებს რომ ჩაუკვირდა, თქვა:

– მოქალაქევ! შენი მეტყველების ბგერები მეცნობა, მაგრამ არ მესმის, რას ლაპარაკობ.

– მგონი ძველბერძნულად ლაპარაკობს, – გაიღიმა საკონსულოს თანამშრომელმა. – პერიკლეს წვერსა ვფიცავ, ეს ვიღაც დარტყმული მეცნიერია, საბერძნეთის ისტორიის ფოლიანტებზე დამკვდარი. როგორც თარჯიმანი არ გამოგადგებით. და მაპატიეთ, საქმეები თავზე მაყრია, მაქვს პატივი, ბატონებო!

საკონსულოს თანამშრომელმა თავი დაუკრა იქ მყოფთ და წავიდა. ახლა თარჯიმნად ჰელსინკის უნივერსიტეტიდან კლასიკური ფილოლოგიის პროფესორი მოიწვიეს. იგი გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა სოკრატეს, ტყუპებივით იყვნენ, – ისეთივე სახედაღარული, კეთილი და ორიათასსამი წლით ჩამორჩენილი თანამედროვეობას.

– შესანიშნავია, შესანიშნავი! – შესძახა პროფესორმა – ყოველთვის მინდოდა თქვენთან შეხვედრა, ბატონო სოკრატე. პლატონმა თქვენს შესახებ ისე დაწვრილებით და არაჩვეულებრივად გვიამბო, მაგრამ მის სიტყვებს ყოველთვის ვერ ენდობი. ესე იგი თქვენ უწინდებურად მიგაჩნიათ, რომ ჭეშმარიტი სიქველე ცოდნაა?

ორი მოხუცი კეთილი მასწავლებელი ლაპარაკში გაერთო და დრო სრულიად მიავიწყდათ. მათთვის აღარც საათი არსებობდა, აღარც კალენდარი. პოლიციელები უნებურად ჰკრავდნენ მუშტებს, რიგითი ვირტანენი საჰაერო განგაშის მოლოდინში მოუსვენრად იცქირებოდა ფანჯარაში, ახალგაზრდა ოფიცერი კი მთელი გულისყურით იჩიჩქნიდა ყურებს. კლასიკოსთა შესანიშნავი დიალოგი ორ საათს გაგრძელდა. ბოლოს კი პოლიციის ოფიცერი წამოდგა და თავის ხელქვეითებს უღრიალა:

– დაკითხვა დამთავრებულია! გაათრიეთ აქედან!

– ეს დეზერტირი, ეს მესამე შერეკილი?

– გარეთ! ყველა გარეთ გაათრიეთ!

კლასიკური ფილოლოგიის პროფესორი გულითადად გამოემშვიდობა კოლეგას და რამდენჯერმე დაპატიჟა კიდეც თავისთან, მაგრამ დაბნეულობის გამო დაავიწყდა ეთქვა სახელი და მისამართი. წავიდა, თავი არ ახსოვდა დამათრობელ ექსტაზში და სულ ძველბერძნულად ბუტბუტებდა:

– დიახ, სოკრატე მართალი იყო: თუკი ადამიანი სინდისის ხმას მისდევს, არასოდეს მოუწევს მონანიება... ჭეშმარიტ ცოდნას ზნეობრივი ცხოვრებისაკენ მივყავართ... ეს ყველაფერი კვლავ უნდა ვუამბო კოლეგებსა და ცოლს, ჩემს ბუზღუნა ცოლს...

მხატვარი თამარ მინაშვილი

რიგითმა ვირტანენმა და მასწავლებელმა სოკრატემ ერთმანეთს ხელი ჩაჰკიდეს და ვირტანენის სახლისაკენ გასწიეს. ქუჩაში ჩვეული რია-რია იდგა. სწორედ იმ დროს ჰელსინკში ერთი უცხოური ცირკი იწყებდა გასტროლებს. ამიტომაც მათ რეკლამასავით უყურებდნენ ანუ არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ. ჩაიცინებენ, მხრებს აიჩეჩავენ და ჩაივლიან. მეგობრები თითქმის დაუბრკოლებლივ მიიწევდნენ წინ და წინ, სულ უფრო შორს ქალაქის ცენტრიდან.

მოსწავლეს მასწავლებელი ხელჩაკიდებული მიჰყავდა და მორჩილად პასუხობდა მის ყველა შეკითხვას.

– ეს რა არის?

– უნივერმაღის ვიტრინა.

– რისთვისაა?

– საქონლის გამოსაფენად.

– შეიძლება შევეხო?

– კი ბატონო.

სოკრატემ ფრთხილად გადაუსვა ხელი გლუვ შუშას. ცხვირი მშვენიერ გამჭვირვალე ზღუდეს მიადო და ცდილობდა მაღაზია დაეთვალიერებინა.

– და ეს რა არის?

– რადიომიმღები.

– რისთვისაა?

– უკანასკნელ ცნობებს, გასართობ მუსიკასა და საინტერესო გადაცემებს რომ უსმინო.

– ამას ადამიანისათვის ვნება მოაქვს?

– კიდევ რა გინდა! თუმც, ვინ იცის.

– ეს რა არის? აი, იქ.

– სარეცხი მანქანა.

– ამით რას აკეთებენ?
– თეთრეულს რეცხავენ.
– მანქანით რატომ?
– დროს ზოგავენ.
– და ეს დაზოგილი დრო სად მიდის?
– ჯანდაბას მაგის თავი! ნუ მისვამ ბევრ შეკითხვას. ანდა – მიდი, მკითხე. კმარა აქ დგომა, წავიდეთ.
– სად?
– რა თქმა უნდა, ჩემთან.
– შენ ასეთ საშინელ, უზარმაზარ კოშკში ცხოვრობ?
– კოშკი სულაც არ არის. ჩვეულებრივი მრავალსართულიანი სახლია, სწრაფლიფტიანი.
– ლიფტი რა არის?
– პატარა კაბინაა, რომელსაც მაცხოვრებლები სართულიდან სართულზე გადაჰყავს.
– ალბათ მძიმეა ეს კაბინა. მონებს დააქვთ?
– არა, არა! ელექტრობით მოძრაობს.
– ელექტრობით? ეს რაღაა?
– არ ვიცი... მიდი, რა...
– უფრო პატარა, აი, ასეთ სახლში რატომ არ ცხოვრობ?
– ეს ხომ ტრამვაია. იქ არ ცხოვრობენ, ამით დადიან. ოთხთვალასავითაა.
– და ვის აბამენ ასეთ ოთხთვალაში?
– არავის. თვითონ დადის.
– როგორ – თვითონ? ნუთუ მუდმივი მოძრაობა ნაპოვნია?.. მოძრავი სახლი!.. უმიწაწყლო ხალხის შესანიშნავი საცხოვრებელია. მოიცა.
– რას აპირებ?
– შარდის ბუშტი უნდა შევიმსუბუქო.
– შეიშალე! აქ ხომ ხალხი დადის.
– ზურგით დავდგები.
– რეგვენი ხარ!.. გაუთლელი... ველური!.. ცოტაც მოითმინე, მალე მივალთ. აი, უკვე ჩემი სახლიც გამოჩნდა.
– მაგრამ იქ ხომ არ შეიძლება, იქ შენი ბინაა.
– იქ ტუალეტია.
– ეს რაღას ნიშნავს? და ადამიანის ჯანმრთელობას არა ვნებს?
– არანაირად. ეს ცალკე სათავსოა, საგანგებოდ მოწყობილი...
– ვინ წმენდს?
– წყალი. დიდი ნიჟარიდან სიბინძურე მილებით ზღვაში გადის.
– არა, ამას ვერ დავეთანხმები, ადამიანმა თავის ბინა გომურად არ უნდა აქციოს.
– მისმინე, სოკრატე, მართლა ასწავლიდი ხალხს ოდესღაც ცხოვრების სიბრძნეს?
– ჰო, ვასწავლიდი. მაგრამ ადამიანებმა, ჩანს, ვერაფერი ისწავლეს... მინდოდა ათენი მენახა. იქ ასეთი რამ არ მოხდება...
– ახლა იქაც იგივეა. ცივილიზაცია! ყველანაირი პირობაა შექმნილი...
– პირობები ბედნიერებას არა ქმნის...
– აი, მოვედით... ცოტა ვღელავ... ვნახოთ, ჩემი ცოლი რას იტყვის. ბავშვები მაშინვე მომვარდებიან, აგვიყვანეო. საჩუქრად არაფერი მიმაქვს. მაგრამ ფრონტიდან რა უნდა მიუტანო? ჩემი გულისცემა გესმის? სიგარეტი მაინც მომაწევინა... სოკრატე, ეი, სოკრატე! სად წახვედი? ჭიშკარქვეშ ნუ მიძვრები... ჩვენ, აი, აქედან, სადარბაზოდან უნდა შევიდეთ! უჰ, შე ღორო! მაინც როგორ გაბედე? კიდევ კარგი მეეზოვეს არ დაუნახავს, თორემ პოლიციას გამოუძახებდა... რა სირცხვილია! ნუთუ არ შეგიძლია თავი დაიოკო? ხომ გეუბნებოდი...
– რისთვის მიბრაზდები, მეგობარო?
– აღშფოთებული ვარ! არ იცი, როგორ მოიქცე.
– როდესაც ვინმეს ცუდს გავუკეთებ, სინდისის გამკიცხავი ხმა მესმის. ახლა კი ჩემი სინდისი მშვიდადაა.
– კარგი... წავედით!
– ახლა სანდლებს გავიხდი.
– გეყო ბოდვა. შედი ლიფტში. მეექვსე სართულზე ავალთ.
– წავალთ. ვინ წაგვიყვანს?
– ვირი!
– სად არის?
– ჩემს წინ. ახლა არ გეუბნებოდი, ლიფტი ელექტრობას მიჰყავს-მეთქი. ჯოხი არ წამოიღო. მომე ერთი, მე წამოვიღებ. შემოდი. რას ფიქრობ?
რიგითმა ვირტანენმა სოკრატე ლიფტში შეაგდო და თვითონაც შევიდა. ერთ წუთში ბინის კარებთან აღმოჩნდნენ და ვირტანენმა ჩვეული მზერა წარწერაზე გადაიტანა.
– თვალი მატყუებს თუ? ვინ გამოცვალა წარწერა? მეკინენი... რა მეკინენი, რის მეკინენი, ეს ჩემი ბინაა. რა გაეწყობა, დავრეკოთ...
სოკრატე შეკრთა.
– რა იყო ეს?
– ზარი.
– ვინ უკრავს?
– მე. ვერ დაინახე, როგორ დავაჭირე თითი ამ ღილაკს?
– საოცრებაა. შეიძლება მეც დავაჭირო?
– დააჭირე, დააჭირე... დააჭირე-მეთქი, ნუ გეშინია, არ იკბინება.
კარს იქით ქალის გაღიზიანებული ხმა მოისმა:
– მოვდივარ, მოვდივარ!
კარი ასაკოვანმა, თმაგაწეწილმა, ნახევრადჩაცმულმა ქალმა გააღო. სიგარეტი ტუჩის კუთხეში გაერჭო.
– რა გნებავთ? – იკითხა გაბრაზებულმა.
– შინ მოვედი, – უპასუხა ვირტანენმა და შესვლა დაუპირა.
– შესდექ, შე წყეულო! თქვენისთანებს აქ რა ესაქმება.
– ეს ჩემი სახლია. მე ვიხტორი ვირტანენი ვარ. ასე ორი თვის წინათ ფრონტიდან შვებულებით ჩამოვედი. აქ ცოლი და ორი პატარა მყავს.
ქალმა შიშისაგან უკან დაიხია, მაგრამ შემდეგ ეჭვითა და დაჟინებით დააკვირდა მომხვდურს და თქვა:

– ჩემს პირველ ქმარს მართლაც ვიხტორი ვირტანენი ერქვა, მაგრამ დიდი ხნის წინათ დაიღუპა ფრონტზე... პირდაპირ გეტყვით: ეგეთები ჩემთან არ გაგივათ.

სოკრატე გაოგნებული უცქერდა სიგარეტს, რომელსაც ქალი ნერვიულად ატრიალებდა ხელში და იკითხა:

– ეს მარადიული ცეცხლია?

– რას ამბობს ეს მაიმუნი? – იკითხა ვირტანენის მეუღლემ. – არა, თქვენ ორივე გიჟები ხართ! საიდან გაჩნდით?

– ციდან, – უპასუხა ვირტანენმა.

– ღმერთო! ესკო, ეერო! ჩქარა, აქეთ!

ქალს სიგარეტი იატაკზე დაუვარდა. მთლიანად ცახცახებდა. ვირტანენმა სოკრატეს მხარზე წაავლო ხელი და წასჩურჩულა:

– ჩემი ბიჭები არიან! ესკო სამი წლისაა, ეერო კი მალე გახდება ორისა.

მაგრამ სოკრატე არ უსმენდა. ანთებული სიგარეტის წინ მუხლებზე დაჩოქილი ბურტყუნებდა:

– მარადიული ცეცხლი... მარადიული ცეცხლი დაუვარდათ... მისაღებში ორი ზორბა კაცი გამოჩნდა.

– რა უნდათ ამ ტიპებს? – იკითხა ერთმა შემოსულმა. – დე, ფულს გაწერენ?

– არ ვიცი, არ ვიცი... ალბათ პოლიცია უნდა გამოვიძახოთ.

– უფარაონებოდაც გავალთ. შეხედე, ეერო! ეს მათხოვარი ჩვენს მამილოს როგორა ჰგავს!

– მე თქვენი მამილო ვარ, – ნაღვლიანად თქვა ვირტანენმა. – ეს კი ჩემი ბინაა.

– მიდი! ნავის ქვეშ სანაპიროზე აღარ ცხოვრობ? ჰა? მოდი რა, ნუ გვესიაფანდები. ბინძურ ზეწარში გახვეული ეს მამა აბრამის ბატკანი ვინღაა? ალბათ შენი მამილოა, არა? და ჩვენი პაპიკო?

– ჩემი მასწავლებელია, სოკრატე.

ვირტანენის შვილებს გაეცინათ. უფროსი ყოფილ ჯარისკაცს თითქმის ცხვირწინ აეტუზა, სახე წვერით გაბურძგნულ სახესთან მიუტანა და უთხრა:

– ისე, მე, პრინციპში, არავის არაფერს ვსესხულობ, მაგრამ შენ რაღაც კაი ბებერი ჩანხარ, ერთი-ორი მარკა უნდა მოგცე დასალევად. აჰა, დაიჭი!

– აი, სიგარეტი და ასანთიც, აჰა, – უთხრა უმცროსმა ბიჭმა. – ოღონდ აღარც იფიქრო აქ კიდევ მობრუნება და დედილოს შეშინება! გაგიმართლა, მამინაცვალი რომ შინ არ არის, თორემ გაცოფდებოდა და ორივეს სიფათს მიგინგრევდათ. გასაგებია?

– არა... არაფერი არ არის გასაგები, – თქვა ვირტანენმა მიმკვდარებული ხმით.

– კიდევ რა გინდა?

– შინ მინდა, ჩემს ოჯახთან.

უფროსმა შვილმა რიგით ვირტანენს საყელოზე ხელი წაავლო, უცებ კი ელდანაკრავმა შესძახა:

– სულ სისხლში ცურავ, დაჭრილი ხარ?

– სისხლი უკვე შედედდა... პირდაპირი მოხვედრება...

– რომელიმე ლოთმა გაგიყარა დანა? ლოთობას გადაყოლილნი ყველა ერთნი ხართ. თუმცა, იცი რა, კმარა. ჩართე სიჩქარე და მოუსვი აქედან. აბა, დაახვიე! ჯანდაბის იქით წასულხარ, შენი ფეხი აღარ ვნახო აქ! და შენც, ბებრუხანა, გაქუსლე!

კარი ბრახუნით მოიკეტა. კომედია დამთავრდა. რიგითი ვიხტორი ვირტანენი და მასწავლებელი სოკრატე ერთად იდგნენ კიბეზე. სოკრატემ თქვა:

– მთავარი სასწაული კი ვერ ვნახეთ.

– რომელი?

– საგანგებო სათავსო, საიდანაც ნარჩენები მილებით ზღვაში ჩაედინება... რა მწირია კაცობრიობის ცოდნა იმისა, რაც ჩვენ არ გვემორჩილება! ფილოსოფოსთა სჯა-ბაასი სამყაროსა და მის შექმნაზე ფუჭი ვარაუდია. ადამიანში სული უნდა ცხოვრობდეს, რომელიც მის ქმედებას წარმართავს, მიანიჭებს მას გამბედაობას იმის მოსამოქმედებლად, რაც სწორია და აუცილებელი, ცუდ საქმეებს აარიდებს...

– კმარა, კმარა! გეყოფა! უკვე აღარ ვიცი, რა არის კარგი და რა – ცუდი. წამო, ფინჯანი ყავა დავლიოთ. ფული მაქვს.

– ეს ფულია?

– გახლავს.

– ოქროსი რომ არაა?

– ქაღალდისაა, თუმცა ოქროს ფასი აქვს.

– საოცარია, შეიძლება შევეხო?

– ინებე.

– ქაღალდის ფული... მსუბუქი ოქრო... ყალბი ოქრო...

– ნუ კუჭავ! მომეცი. ამით რაიმე საჭმელს ვიყიდით...

– იქნებ ზეთისხილი? ეს რა გაქვს?

– სიგარეტი.

– ამას რას უშვებიან?

– პირში იდებენ, უკიდებენ და ეწევიან. აი, ასე.

– პირში რატომ უკიდებენ?

– როგორ გითხრა... უბრალოდ ჩვევაა ასეთი, ან მისწრაფება. ერთი, მეც არ ვიცი.

– ეს რა არის? აი, საოცრება!

– არავითარი საოცრება. ჩვეულებრივი ასანთია.

– ასანთი, ჯოხი, რომელშიც ცეცხლი ცხოვრობს! ეს მსოფლიო საოცრებათაგან უდიდესია. ამის შესახებ ათენელებს უნდა ვუამბო. კიდევ მაჩვენე, როგორ ანთებ.

– აი, ასე. მარტივია, არა?

– ყველა საოცრება მარტივია... ასანთი, რომელშიც ცხოვრობს ცეცხლი... თხელი ფურცელი, რომლითაც ზეთისხილი შეგიძლია იყიდო... კარები, რომელიც ხმას გამოსცემს, როცა თითს დააკარებენ... სახლი, რომელიც თავისით მოძრაობს... ჭურჭელი რომლიდანაც წყალს სიბინძურე მილებით ზღვაში მიაქვს... ეს ყველაფერი უდიდესი საოცრებაა. მაგრამ ყველაზე დიდი საოცრება – ასანთია, რომელშიც ცოცხლობს ცეცხლი!

– ბავშვივით ხარ, სოკრატე! აიღე შენი ლაბადა, ქუჩაში გავდივართ.

– ასანთი. ცეცხლოვანი ასანთი! ხომ მართალია?

– მართალია, მართალი. კარგი, კმარა ერთი და იგივე. რას აიჩემე! აჰა, შენი კოლოფი!

– ამას ათენის მოქალაქეებს ვაჩვენებ. ეს საოცრებაა...

ასანთი საოცრება იყო. მაგრამ საოცრება სულაც არ ყოფილა, რომ ამ ჩვენს მეგზურებს – ერთს, ჯარისკაცის ჭუჭყიან შინელიანსა და მეორეს, შალის თეთრ მანტიანს – არცერთ კაფეში არ უშვებდნენ. ყველა კარიდან აბრუნებდნენ. კაფეები აწმყოსა და მომავალს ემსახურებოდნენ და არა წარსულს. ისინი კი დროს ჩამორჩნენ: ერთი – ორზე მეტი ათასწლეულით, მეორე – ოც წელზე მეტით.

ვირტანენმა მოიწყინა. ვერ მოეაზრებინა, რა მოეხერხებინა დროისათვის, სად წაეღო? როგორ გადაეგორებინა მთელი კვირა, რომლის გასვლის შემდეგაც, კანონის თანახმად, იგი, ვირტანენი უნდა დაეწვათ ან დაეკრძალათ? სამაგიეროდ, სოკრატე იყო ბედნიერი. მან საოცარი გამოგონება იპოვა, რომელიც გააბედნიერებს მსოფლიოს: ასანთი!

დეკემბრის საღამო უსასრულოდ იწელებოდა. მოგზაურთა წინაშე ყველა კარი იხურებოდა. ვირტანენი უკვე იტანჯებოდა და წვალობდა. იგი იმ ადამიანთაგანი იყო, მუდამ უკმაყოფილონი რომ არიან – როგორც ზეცაში, ისე მიწაზე. სოკრატე კი – პირიქით, თავს ბედნიერად გრძნობდა საიქიოსაც და სააქაოსაც. სახე პირდაპირ უბრწყინავდა, როდესაც იგი და ვირტანენი, კანონგარეშედ მიჩნეულნი, ღამის გასათევად ზღვის ნაპირზე, უძველეს ფარდულში მივიდნენ, სადაც ძველი ნავები ინახებოდა და ფინეთის დედაქალაქის ოციოდე უსახლკარო მცხოვრები აფარებდა თავს. ეს გახლდათ უპოვართა და ღატაკთა საერთო საცხოვრისი, რომელთაც არავითარი საკუთრება არ გააჩნდათ, ტანზე იარებისა და საკუთარი აზრების გარდა.

ნავთა ფარდულის მკვიდრთ ძალზე მოეწონათ სოკრატეს გამოსვლა ვირტანენის თარგმანით. არავის აინტერესებდა პოლიტიკა, ფინანსური კრიზისი, ქალთა ჩაცმულობა, ავტომობილები თუ რადიომიმღებები, საბინაო გადასახადის მომატება თუ აშშ-ს ომი ვიეტნამში. ყველას ყურადღება ერთმა ნივთმა მიიპყრო, რომელიც, როგორც მათ მხოლოდ ახლა შენიშნეს, საოცრებას წარმოადგენდა: ასანთი. ამით დაიწყო ყველაფერი და ამითვე დამთავრდა. ასანთის საოცარ თვისებებში რომ დარწმუნებულიყვნენ, ძველი ნავთების ფარდული გადაწვეს და შესანიშნავ კოცონს მიეფიცხნენ, ვიდრე პოლიცია და მეხანძრეები დაატყდებოდნენ თავს და უკანონო ილუმინაციებს ჩააქრობდნენ. სარდაფის მკვიდრნი დააკავეს. მათ შორის მხოლოდ ორი მაწანწალა არ აღმოჩნდა: დიდი ხნის გაუპარსავი ჯარისკაცი, შვებულებით ჩამოსულ რიგით ვირტანენად რომ წარადგინა თავი, და უცნობი ჩია მოხუცი, რომლის გონებაც – როგორც ყველა დაკავებული ამტკიცებდა – დაახლოებით ექვსი წლის ბავშვის გონებრივი განვითარების დონეს შეესაბამებოდა. ენერგიული ძებნის მიუხედავად, დაკარგულებს ვერ მიაგნეს, თუმცა მათი ნიშნები ჰელსინკის ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა, პოლიციამ კი ყველგან საგანგებო განცხადებები გამოაკრა.

გუშინ საღამოს უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში საინტერესო მოხსენება გაიმართა. კლასიკური ფილოლოგიის პროფესორმა შეკრებილთ აცნობა, ცოტა ხნის წინათ როგორ შეხვდა ჰელსინკში სოკრატეს. აღსანიშნავია, რომ მოხუც პროფესორს სიტყვაც არ დასცდენია რიგით ვიხტორი ვირტანენზე. იქნებ გაჩუმების მიზეზი ის გახლდათ, რომ ვირტანენი კლასიკოსებს თუნდაც ჩაცმულობით არ მიეკუთვნებოდა? სამხედრო ფორმა ხომ ჩვენს დროშიც მოდურია, თუმცა მას უკვე ჩამოერეცხა მეორე მსოფლიო ომის სისხლი.

თარგმნა
მაკა ჯაფარიძემ

მთარგმნელისაგან

მარტი ლარნი იოჰანეს (ნამდვილი გვარი; 1942 წლამდე ლაინე; ფსევდონიმები: ასლაკ ნუორტი, დან ასტერი) ფინელი მწერალი, პოეტი, ჟურნალისტი. დაიბადა 1909 წლის 22 სექტემბერს, პაკილაში (ჰელსინკი). იყო ფინეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე. 1948-1949 და 1951-1954 წლებში ცხოვრობდა აშშ-ში. ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო როგორც პოეტმა. ავტორია რომანებისა „პატივცემული ღარიბები და მათი ჭრელი კომპანია“ (1944), „მოუთმენელი ვნება“ (1945), „ცა ფეხად ჩამოდიოდა“ (1948), „მეოთხე მალა, ანუ უნებლიე თაღლითი“ (1957), „მშვენიერი მეღორე, ანუ ეკონომიკის მრჩევლის მინა კარლსოონ-კანანენის მოგონებანი“ (1964).

გარდაიცვალა 1993 წელს. საკმაოდ პოპულარულია მისი აფორიზმები და მახვილგონივრული თქმები, რომელთაგანაც სანიმუშოდ ზოგიერთს გთავაზობთ:

*** ფართო საზოგადოებას მხოლოდ სამი რამ აინტერესებს: ფული, სიყვარული და სანახაობა.**

*** ადამიანობა ბევრს ნიშნავს, ქალობა – უფრო მეტს.**

*** რეკლამა – საშუალება, აიძულო ადამიანი დაჭირდეს ის, რაც ადრე არც კი სმენია.**

*** ქალმა სიყვარულის აზრი იცის, მამაკაცმა – ფასი.**

*** – მოწიფულობა – გადასვლა იმ ასაკში, როდესაც ადამიანი იწყებს თმების, კბილებისა და ილუზიების დაკარგვას.**

*** მოაზროვნე ადამიანი არ შეიძლება ჯოგური ცნობიერებისა იყოს.**

*** თუკი ქალი დაიღალა მამაკაცის თაყვანისცემით და უნდა გაექცეს, ყველაზე კარგი იქნება, ცოლად წაჰყვეს მას. ასე ყველაზე სწრაფად დააღწევს თავს მობეზრებულ გალანტურობას.**

*** ბევრს სწამს ღმერთის, მაგრამ ბევრისა ღმერთს არ სჯერა.**

*** ქორწინება – ორთა თამაში, რომელშიც ორივე აგებს.**

*** – ვაშლს რომ უკბეჩ, ყოველთვის სასიამოვნოა მასში მთელი მატლის დანახვა, ვიდრე ნახევრისა.**

*** ალიმენტი – ჯარიმა, რომლის გადახდა უხდება ერთს ორის შეცდომისათვის.**

*** გილიოტინა – ქერტლისაგან გათავისუფლების საუკეთესო საშუალება.**

*** სიცილის მიზეზი ადამიანის განვითარების დონეს ამჟღავნებს.**

*** სამეცნიერო სამუშაო არ მიესადაგება ადამიანს, რომელიც ორივე ფეხით დგას მიწაზე და ორივე ხელით იწევს დოლარისაკენ.**

*** კაცი ქორწინდება ბერტაზე მხოლოდ იმიტომ, რომ ფიქრობს გრეტაზე და ვერაფრით დაუმორჩილებია მარტა.**

* * *



„მნათობის“ რედაქციაში კრიტიკოსთა ყველა თაობა მიუწვევიათ.

80-იანი წლების დამდეგია.

არჩილ სულაკაურს რედაქტორად დანიშნავდნენ თუ არა, მაშინვე კრიტიკის განყოფილების გაძლიერებასა და, საერთოდ, კრიტიკული აზროვნების გამოცოცხლებასა და განვითარებას ჩაითქვამდა და თანადროული ლიტერატურული პროცესების მკვლევარებს რეალური საუბრისა და გარკვეულ პროექტთა შემუშავებისათვის მოუყრიდა თავს – დისკუსიები რა თემების ირგვლივ წამოწყებულიყო, მიმოხილვითი სტატიების შედგენას ვინ ითავებდა, ცალკეულ წერილებს რას დაპირდებოდნენ უახლოეს ხანში.

თავისი მხრივ აღუთქვამდა დაუბრკოლებელ ბეჭდვას, სიმწვავის შენარჩუნებასა და პოლემიკისას კი ლიტერატურულ-ეთიკური ნორმების დასაცავად რედაქციის ენერგიულ ჩარევას.

მოწვეულთა შორის ჯანსუღ ღვინჯილიაც იმყოფებოდა, „ცისკრის“ ახალდანიშნული რედაქტორი; ვინც არ დაფარავდა თავის სკეპტიკურ დამოკიდებულებას „მნათობის“ ამ კეთილი განზრახვის მიმართ: ამ სამი თვის წინათ სწორედ ამ ადამიანებს მე მოვუყარე თავი ჩემს რედაქციაში ზუსტად ამავე მიზნით, შეხვედრა სამ საათზე მეტხანს გაგრძელდა, ოღონდ საუბარი შეეხო ყველასა და ყველაფერს, ლიტერატურის გარდა, და მაშინვე მივხვდი, რომ ჩემი ძვირფასი კოლეგების იმედი არ უნდა მქონოდა, და, მართლაც, ეს სამი თვე ისე გავიდა, მცირე რეცენზიაც არავის მოუტანია, ერთადერთი თეიმურაზ დოიაშვილის იმედი მაქვს, მისი სადისკუსიო წერილისა, ხმაურსა და სტატიების ნაკადს ის თუ გამოიწვევსო.

– ასე არ იყო? – ეკითხებოდა ოტია პაჭკორიას, ვინც იმ სამი თვის წინათ „ცისკრის“ რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი გახლდათ, ახლა კი „მნათობი“ ემჯობინებინა.

ისე კი რაღა „ცისკრის“ ის დღე და რაღა „მნათობის“ ეს დღე.

ეს შეხვედრაც სამ საათზე მეტხანს გასტანდა და საუბარი შეეხებოდა ყველასა და ყველაფერს, ლიტერატურის გარდა. მსოფლიო პოლიტიკას დაალაგებდნენ, საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებას დააწყობდნენ, ვიღაცებს მოხსნიდნენ, ვიღაცებს დანიშნავდნენ, ქვეყნის მომავლის გზებს განსაზღვრავდნენ და... ერთმანეთსაც დაერეოდნენ.

ვის ვისგან რა ახსოვდა ცუდად, ვინ ვისზე განაწყენებულიყო, ვინ ვისი შურით აბორგებულიყო. საუკეთესო საშუალება მიეცემოდათ და ლამის გაწევ-გამოწევამდეც მივიდოდა საქმე, თორემ ყვირილი და მუქარა გაბურვით გაბურავდა იქაურობას.

ჰაერში დაფრინავს სიტყვები და ფრაზები, რომელთა შერბილებულ ვარიანტებსაც აღვადგენ:

– შე მედროვე!
– შე მართლა მედროვე!
– შენ ვისზე რა გეთქმის!
– შე არაკაცო, მაშინ რომ...
– ეს ვიგინდარა!
– შენი ნაძირლობა!
– სამარცხვინოა...
– შემაზრზენია...
– მაშინაც რა იკადრე...
– თავს გაგიჩეხავ!
– ვის გაუჩეხავ, შენი...

არჩილ სულაკაური იხვეწება, ივედრება, ყურს ვინ ათხოვებს აყალმაყალსა და გნიასში, ვიდრე გულის ბუხარს არ ამოიყრიან და თვითონვე არ დაშოშმინდებიან.

– შე უნიჭო!
– შენც რომ ვინმეზე უნიჭოს იტყვი!
– ეს გრაფომანი!
– ეს ბერწი ლიტერატორი!
– თავი მოგვჭერი ყველას!
– რაც მოგივა, შენს თავს დააბრალე!
– ვინც შეგიშინებია...

რევაზ თვარაძე აუღელვებლად ზის, პაექრობაში არ ერევა, არც არავის წამოუხტება, არც არავის არაფერს მიაძახებს, შეფასებისგანაც თავს შეიკავებს, ერთადერთხელ გადმოიხრება ჩემკენ და ხმადაბლა გამიზიარებს შთაბეჭდილებას:

– „შემაზრზენი“ არასწორი ფორმაა, ხელოვნურად შერწყმული და ყურსა ჭრის, ამიტომ ან „შემზარავი“ უნდა ითქვას, ან „ამაზრზენი“. ყველას ვეუბნები, მაგრამ რად გინდა – რატომღაც ისევ „შემაზრზენის“ თქმა ურჩევნიათ.

იქ კი, „მნათობის“ რედაქტორის კაბინეტში, იმ სამ საათში:

ლაგდება მსოფლიო პოლიტიკა.

იხსნებიან და ინიშნებიან სახელმწიფოს მეთაურები, მინისტრები, თავმჯდომარეები...

საქართველოს მომავლის გზებიც იკვეთება...

და ავისმომასწავებლად ტრიალებს ჰაერში ეს ხელოვნური ნაერთიც: შემაზრზენი.

* * *

ოთარ ჩხეიძე იმხანად სტუდენტია და ალექსანდრე ყაზბეგივით მოინდომებს დრამატურგობით შემოაღწიოს სალიტერატურო ასპარეზზე.

მეორე პიესას, ქეთევან წამებულის ბედისწერისადმი მიძღვნილს, თავის ნათესავს წააკითხებს – გიორგი ჟურულს, ვინც მარჯანიშვილის თეატრში მოღვაწეობს და სახელი კი უპირველესად ფრიდრიჰ შილერის პიესის დადგმამ გაუთქვა – „ვერაგობა და სიყვარული“.

ოთარ ჩხეიძე კარგა ხნის შემდეგ კვლავ დაუბრუნდებოდა ქეთევან წამებულის თემას და სრულიად ახალ პიესას შექმნიდა – ტრაგედიის ჟანრისას, ის პირველი ცდა დრამა უფრო გახლდათ, თუმც ისიც თეთრი ლექსით დაწერილი, ივანე მაჩაბლის თარგმანების გავლენით.

გიორგი ჟურული მოუწონებდა, თუმც რჩევით ურჩევდა, რუსთაველის თეატრში რომ მიგეტანა, აჯობებდა, იმათ სტილისტიკას უფრო შეეფერება და ისინი ხელიდან არ გაუშვებენო.

ესეც ამოიღლიავებდა თავის პიესას და მიადგებოდა რუსთაველის თეატრის დირექტორს პოკო მურღულიას, ვინც გულისხმიერი პიროვნება იყო და ისედაც კეთილად მოექცეოდა, არა სჭირდებოდა გიორგი ჟურულის შეხმიანება: ჩემი ნათესავია და, აბა, შენ იციო.

ის დაიტოვებდა დრამას, გაეცნობოდა, ახალბედას გაამხნევებდა, საქებურ სიტყვებს ეტყოდა, მაგრამ არ დაუმალავდა: აქ დადგმა გაგვიძნელდება, ისეთი ვითარებაა, ტყუილუბრალოდ უნდა იდოს და იდოს, ამიტომ სჯობდა ბათუმის თეატრისათვის შეგვეთავაზებინა, ჩემი ძმაა იქ მთავარ რეჟისორად, თვითონაც მოეწონება, ეჭვი არ მეპარება, მაგრამ მეც არ დავაკლებ მონდომებას. შენ გარჯა არ დაგჭირდება, ხვალ-ზეგ თბილისში ველოდები და მე თვითონ გადავცემო.

გადასცემდა, ტყუილი რა საკადრისი გახლდათ. მოწონებით იმასაც მოეწონებოდა, მაგრამ დასს რომ გააცნობდა, მაინცდამაინც ვერ აიყოლიებდა მსახიობებს. აუგი არავის უთქვამს, მაგრამ რეჟისორის დარწმუნებას შეეცდებოდნენ, მარჯანიშვილის თეატრში აჯობებს დაიდგასო. დაარწმუნეს თუ ვერა, ამ აზრს კი შეაგუეს, რომ ამ თეატრში სპექტაკლად ვერ აქცევდა.

არადა, ძმისაც ერიდება, იმ უცნობი ახალგაზრდა კაცისაც...

ამასობაში გიორგი ჟურული ჩავიდოდა ბათუმში, თავის მშობლიურ ქალაქში, და თეატრალებსაც რომ შეხვდებოდა, მთავარი რეჟისორი მაშინვე იმ დრამას გამოურბენინებდა: აქ რაღაც დაბრკოლებები შეგვექმნა და იქნებ შენ გამოგადგესო.

ის შეატრიალებდა, შემოატრიალებდა, აფურცლავდა.

შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩეთ, ანტონ ჩეხოვის რომელიღაც ნოველის სიუჟეტია გადმოქართულებული, რათა შიშველმა ქარგამ გამოცდილი ლიტერატორის ხელში ხორცი შეისხასო.

ყოფაშიც იკვრის ხოლმე წრე ასეთნაირად – მზამზარეული სიუჟეტია და სესხება არავისგან არა გჭირდება, თუნდაც ჩეხოვის იყოს.

* * *

სხვას ტელეფონის ეს ნომერი რომ მოესმინა, მაშინვე ჩაიწერდა: როგორ უნდა დავიმახსოვროო.

მართლაც რაღაც უფერული რიცხვია: 12-58.

ისტორიკოსისათვის კი ნაცნობი თარიღი აღმოჩნდებოდა და შოთა ბადრიძესაც ჩაწერა არ დასჭირდებოდა:

– მონღოლებმა რომ ბაღდადი აიღეს.

გაიხსენებდა ბაღდადის აღების თარიღს და ნომერს იოლად აკრეფდა.

რაღაც ამგვარი თქვენს მონა-მორჩილსაც შეემთხვეოდა.

ტელეფონის ნომერს რომ ეტყვიან, ბლოკნოტსაც ჯიბეში ჩაიბრუნებს და კალამსაც: რა ჩაწერა უნდაო.

მართლაც ზედმეტია, როდესაც ნომერი ასე გამოიყურება:

21-42.

ერთი საქართველოს ოკუპაციის თარიღია, მეორე – 1942 წლის შეთქმულებისა.

ოღონდ დარეკვა რომ დამჭირდება, დაუფიქრებლად ავკრეფ... 24-43-ს.

ერთი აგვისტო-სექტემბრის აჯანყების თარიღია, მეორე – სამანელთა განადგურების.

– სხვაგან მოხვდით, – მომიგებენ.

– როგორ თუ... სხვაგან. ეს ნომერი მითხრეს.

ტრაგედიები ერთმანეთს კი ჰგავს, მაგრამ ერთი მაინც არ არის.

ისე ნეტა შოთა ბადრიძესაც თუ დაემართებოდა, რომ მონღოლთა მიერ ალამუთის ციხის აღების წელი აეკრიფა ციფერბლატზე?

კინოში – ცოლთან ერთად

ეს გახმაურებული წიგნი ეკუთვნოდა ფართო საზოგადოებისათვის სრულიად უცნობი მწერლის მარიო პიუზოს კალამს და სათაურად ჰქონდა „ნათლია“. მისმა ტირაჟმა, სულ მოკლე ხანში, 10 მილიონ ეგზემპლარს გადაჭარბა.

კინოსტუდია „პარამაუნტმა“ რომანის ეკრანიზაციის უფლება 2 მილიონ დოლარად იყიდა, მაგრამ ცნობილმა კინორეჟისორებმა უარი განაცხადეს ფილმის გადაღებაზე, განგსტერთა ცხოვრების ამსახველი რომანი ზნეობას შეგვილახავსო, და ბედმა გაუღიმა 32 წლის ფრენსის ფორდ კოპოლას, რომელსაც მანამდე მხოლოდ ორდინარული თრილერები ჰქონდა გადაღებული.



ფრენსის კოპოლა

კოპოლას ფილმის წარმატება უპრეცედენტო გამოდგა. უდარებდნენ ჰოლივუდის ისტორიაში ყველაზე წარმატებული ფილმის („ქარწაღებულნი“) შემოსავალს და უპირატესობა, ულაპარაკოდ, „ნათლიას“ მხარეზე იყო.

კინომცოდნენი თავს იმტვრევდნენ იმის ამოსახსნელად, თუ რამ გამოიწვია კოპოლას ფილმის გაუგონარი პოპულარობა.

ირონიის გარკვეული დოზით აღნიშნავენ, რომ ამერიკაში ფილმის წარმატებისათვის ხელშემწყობ მრავალ ფაქტორთა შორის უკანასკნელი ადგილი როდი უჭირავს მხატვრულ ღირსებებს.

„ნათლიას“ უხვად მოეპოვება ისინიო.

ამერიკელ კინომცოდნეთა აზრით, თითზე ჩამოსათვლელია ფილმები, სადაც ასეთი ოსტატობით, ასეთი ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით არის შესრულებული ლამის ყოველი როლი (პერსონაჟები კი არ აკლია ამ ფილმს). განსაკუთრებით გამოყოფენ მთავარი როლების შემსრულებელთ: მარლონ ბრანდოს, ალ პაჩინოს, ჯეიმს კაანს.

შემსრულებელთა ზუსტი შერჩევა მიჩნეულია წარმატების პირველ ნახევრად.

წარმატების მეორე ნახევარი – საკუთრივ რეჟისურა – ასევე მაღალ პროფესიულ დონეზეა „ნათლიაში“.

მაგრამ არც ერთი და არც მეორე არ იყო საკმარისი არნახული პოპულარობის მოსახვეჭად. მსახიობების ბრწყინვალე თამაშითა და უმაღლესი კლასის რეჟისურით ამერიკაში ვერავის გააკვირვებო.

კინომცოდნენი იხსენებენ ათობით ფილმებს, რომლებიც ამ მხრივ არ ჩამოუვარდებიან „ნათლიას“ და მისი წარმატების მეათედიც არ მოუხვეჭიათ.

მიუთითებენ პრობლემატიკის სიმწვავეს, მაგრამ იქვე დასძენენ, რომ ამერიკაში განგსტერული ფილმების დეფიციტი არ შეიმჩნევაო.

დასმული კითხვა უპასუხოდ რჩება.

„ნათლიამ“ მიიზიდა სხვადასხვა ჯურის მაყურებელი. მიიზიდა ისინი, ვისაც ჯერ არ მოყირჭებია სისასტიკის სცენები და მიიზიდა ისინიც, ვისაც მობეზრდა უხამსი ფილმები, რომელთა გმირებს არავითარი ზნეობრივი ფასეულობანი არ გააჩნიათ.

ჟურნალ „ენკაუნტერის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა სტატია, რომლის ავტორი იმოწმებდა თავისი მეგობრის, დარბაისელი კაცის მოსაზრებას. ეს ანონიმი მაყურებელი „ნათლიას“ შესახებ თურმე ამბობდა: „აი, ბოლოს და ბოლოს, ფილმი, რომლის სანახავად ცოლის წაყვანა არ მოგერიდება“.

ამ დარბაისელი კაცის მსჯავრს ერთგვარად დაემთხვა შეერთებული შტატების მაშინდელი პრეზიდენტის რიჩარდ ნიქსონის გამონათქვამი: „არ ვაპირებ გამოვეკიდო ხელოვნებაში ზოგიერთი ახალი ტენდენციის კრიტიკას, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ამჟამად ძალზე ძნელია ამოარჩიო ფილმი ან სპექტაკლი, რომელსაც ნახავდი ოჯახთან ერთად“.

და სასიამოვნო გამონაკლისად მიიჩნევდა „ნათლიას“. იქვე ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ეს იყო განცხადება რიგითი მაყურებლისა და არა – პრეზიდენტისა.

უხამსი, ბინძური ფილმები, მიუხედავად მნიშვნელოვანი ფინანსური წარმატებისა, ამინდს არ ქმნიან. ისინი პოტენციური აუდიტორიიდან ჰკვეთენ იმათ, ვისაც კინოში „ცოლთან ერთად წასვლა“ სურს.

კოპოლა არ გამოჰკიდებია ე.წ. „სექსპლუატაციას“. მან ლიტერატურული პირველწყაროდან მთლიანად ამოაგდო ლუსი მანჩინის ხაზი, რომელიც რომანს პიკანტურობით მოსავდა. დარჩა მხოლოდ და მხოლოდ ათწამიანი სცენა – მდუმარე ეროტიკული ექსტაზი.

კოპოლამ ამოაგდო აგრეთვე მომღერლისა და კინომსახიობის ჯონი ფონტეინის თავგადასავლები – ერთადერთი ეპიზოდი დატოვა.

„ნათლია“ გამოვიდა ეკრანზე 1972 წელს და იმხანად მაყურებელი არ იყო განებივრებული ისეთი სცენებით, როგორიც არის, მაგალითად, რომანში აღწერილი სეროობა, ჰოლივუდში რომ გაუმართავთ, სადაც ჯონი ფონტეინი მიიყვანს თავისი ყრმობის მეგობარს ნინო ვალენტის და გააცნობს ჰოლივუდის მზეთუნახავ ვარსკვლავს – მისი სიჭაბუკისდროინდელი ოცნების ქალიშვილს, რომელიც ეკრანიდან აჯადოებდა მთელ ამერიკას. და ეს ვარსკვლავი მისი ცოცხლად ნახვით გაოგნებულ იტალიელ მძღოლს, გაცნობიდან ხუთი წუთის შემდეგ, ე.წ. „ფრანგული სიყვარულის“ სეანსს უტარებს.

ეს რომ გაეშვათ ფილმში, ამერიკელი მაყურებელი ხომ გადაირეოდა!

მაგრამ კოპოლას, ჩანს, არ სურდა ამგვარი გზით სიარული. იგი უარს უცხადებდა ბინძური ყაიდის სენსაციებს, არ ელტვოდა სკანდალურ პოპულარობას.

ერთი სიტყვით, „სექსპლუატაციას“ თავი აარიდა და, როგორც წერენ, ამ მხრივ „ნათლია“ წარმოადგენს სტერილურად სუფთა ფილმს, რაც იშვიათი გამონაკლისია თანამედროვე დასავლურ კინოში.

გამარჯვება

ამქვეყნად ყველაზე ჰუმანური პროფესიის წარმომადგენელი, რომელსაც ექიმი ჰქვია, თუკი თავისი მაღალი კვალიფიკაციის დასამტკიცებლად ფეხქვეშ ქელავს სულიერად დაცემულსა და ფიზიკურად დაძაბუნებულ ადამიანს, ვეღარ გაგიგია, რა სჯობს – ცოდნა თუ უცოდინარობა.

დიდებული რუსი მწერალი ვარლამ შალამოვი თავის დოკუმენტურ მოთხრობაში „შოკური თერაპია“, 1956 წელს რომ დაუწერია, გადმოგვცემს გასაოცარ ამბავს აღნიშნულ თემაზე – საბჭოთა კონცლაგერის ცხოვრებიდან. აი, ამ მოთხრობის მოკლე შინაარსი:

ტუსაღი მერზლიაკოვი მორების თრევისას დაღლილობისგან წაიქცევა და გასავათებული უეცრად გადაწყვეტს, ამ წყეულ ტვირთს აღარ შევეჭიდებიო. ბადრაგებსაც და ტუსაღებსაც ეჩქარებათ ბარაკში დაბრუნება. გამძვინვარებულნი დააცხრებიან თოვლში გაწოლილ მერზლიაკოვს და უწყალოდ გალახავენ, თითქოსდა ხერხემალი გადაუმტვრიეს და თვითონვე მოუწევთ მისი წაყვანა ლაგერში.

მერზლიაკოვს მალე შეუხორცდება გაბზარული ნეკნი, მაგრამ ორად მოღუნული აგრძელებს წოლას და ამტკიცებს, ხერხემალი გადამიტყდაო. წელში ვეღარ იმართება და რამდენიმე თვეს გაატარებს რაიონულ საავადმყოფოში. შემდეგ ტუსაღთა ცენტრალურ საავადმყოფოში გადაიყვანენ და მოათავსებენ ქირურგიულ განყოფილებაში (მოთხრობის ავტორიც ტუსაღი იყო და სწორედ იქ მუშაობდა ფერშლად). რენტგენის კაბინეტში მერზლიაკოვს დაუყოვნებლივ გადაუღებენ სურათს, მაგრამ ტექნიკურ მიზეზთა გამო სურათი იმდენად უხარისხო გამოვა, რომ ექიმი კი არა, ეშმაკიც ვერ გაიგებს – მართალს ამბობს თუ ცრუობს მერზლიაკოვი. ის მზადაა, ყველაფერი მოითმინოს, ოღონდ არ დააბრუნონ სამუშაოდ ოქროს საბადოებზე, სადაც, ადრე თუ გვიან, გარდუვალი სიკვდილი ელის.

ნევროპათოლოგი გასინჯავს მერზლიაკოვს და, სხვათა შორის, აუწყებს, რომ მრავალთვიან არაბუნებრივ მდგომარეობაში ჩავარდნილი ჯანსაღი კუნთებიც კი უძრაობას ეჩვევიან და კაცი თავს ინვალიდად გადაიქცევსო. ექიმი, ჩანს, რაღაცას ხვდება.

შალამოვის სიტყვით, ხსენებული ნევროპათოლოგი თავისი სამუშაო დროის ნახევარს ანდომებდა სიმულანტთა გამომჟღავნებას. მას მშვენივრად ესმოდა ტუსაღთა სიმულაციის გამომწვევი მიზეზები – ცოტა ხნის წინათ თვითონაც ხომ ტუსაღი იყო და არ აოცებდა არც სიმულანტთა ბავშვური სიჯიუტე და არც მათი ყალთაბანდობის პრიმიტივიზმი. ვერავინ იტყოდა, ავადმყოფები არ ებრალებაო. არა, მხოლოდ თავის ცოდნასა და უნარს ამოწმებდა, როდესაც ხაფანგს უგებდა დამშეულ, ნახევრად ჭკუიდან შერყეულ, გაუბედურებულ ადამიანებს.

და აი, იწყება ნევროპათოლოგის ორთაბრძოლა წელში ორად მოღუნულ მერზლიაკოვთან. მას გაუკეთებენ ე.წ. რაუშ-ნარკოზს. ნევროპათოლოგი ნელ-ნელა და საზეიმო გამომეტყველებით წელში გამართავს ჩაძინებულ სიმულანტს. როცა ის გაიღვიძებს, უცებ ვერ ხვდება, სიზმარშია თუ ცხადში. მერე ლანძღვა-გინების კორიანტელს დააყენებს და ისევ ორად მოიღუნება. ნევროპათოლოგის დასკვნას, გამომჟღავნებული ხარო, არაფრად აგდებს. ნევროპათოლოგი გულწრფელად აქებს: ნამდვილი გმირი ხარ, მთელი წელიწადი გვაბითურებდიო.

მაგრამ მერზლიაკოვი არ აღიარებს თავის დამარცხებას.

ერთი კვირის შემდეგ ნევროპათოლოგი შოკური თერაპიის სეანსს ატარებს მთელი მედპერსონალის თანდასწრებით.

მერზლიაკოვს ვენაში შეუშხაპუნებენ ქაფურის ზეთის ისეთ დოზას, რომელიც რამდენჯერმე აღემატება ჩვეულებრივს, სნეულის მილეული გულის გამოსაცოცხლებლად რომ იყენებენ. უზარმაზარი დოზა კი იწვევს მოულოდნელ შეტევას. მერზლიაკოვის ვეება სხეული უეცრად მაღლა ავარდება და სანიტართა მკლავებში აფართხალდება. საღია, საღია ხერხემალი!

თავისი გამარჯვებით აღტაცებული ნევროპათოლოგი საავადმყოფოს უფროსს მიმართავს: „დახეთ, როგორ აზვიადებს გოგოლი. გახსოვთ „ტარას ბულბას“ დასასრული? ლამის ოცდაათი კაცი ხელ-ფეხზე ჩამოეკიდაო. ეს გორილა კი ტარას ბულბაზე დიდრონი უნდა იყოს და მხოლოდ რვა კაცი აკავებდა“.

მეორე დილით, ავადმყოფთა შემოვლისას, ნევროპათოლოგი შეჩერდება მერზლიაკოვის საწოლთან და ეკითხება: რას იტყვი, რა გადაწყვიტეო?

„გამწერეთ“, – მორჩილად პასუხობს დამარცხებული სიმულანტი.

ექიმს დაუწერელი სასიკვდილო განაჩენი გამოაქვს კატორღული შრომით ქანცგაწყვეტილი და სასოწარკვეთილი ტუსაღისათვის. და რაც მთავარია, ამას აკეთებს თავისი „მეობის“ დასამტკიცებლად, კოლეგების წინაშე თავისი მაღალი კვალიფიკაციის გამოსაჩენად.

ამგვარი ამბები მარტოოდენ კონცლაგერში როდი ხდება.

სად არის ზღვარი პროფესიის სიყვარულსა და დანაშაულს შორის? ნუთუ პროფესიული ვალი უნდა სპობდეს ელემენტარულ კაცთმოყვარეობას?

სხვისი ჭირი – ღობეს ჩხირიო. ამ ანდაზას, ჩვენდა სავალალოდ, ყავლი ჯერ არ გასვლია.

27 სექტემბერს ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზი ტრადიციულად პოეზიის საღამოს დაეთმო.

ღონისძიებას წარმართავდა კულტურის და მეცნიერების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი კილაძე.

ახალგაზრდა პოეტმა აუდიტორია მოხიბლა თავისი წრფელი, ემოციური ლექსებით. უპასუხა შეკითხვებს და აქაური შეხვედრების წესისამებრ ცოცხალი ლიტერატურული საღამოც შედგა.

სულ მალე ქეთი ხოსიტაშვილი საკუთარი პოეტური კრებულის „ფოტოშეგრძნებების“ პრეზენტაციასაც გამართავს. აღსანიშნავია, რომ ახალი წიგნი ავტორისავე ნამუშევრებით იქნება ილუსტრირებული.